K 169387
3

ალეგრიან ითონიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის სამეცნიერო ყოფა

«საბჭოთა საქართველო» - 1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან ითონიშვილი

კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა

ისტორიოგრაფიული ნარკვევი

К 169387
3

სპეგ-2000
მეამოწმებულია

გამომცემლობა „მეცნიერება“
თ ბ ი ლ ი ს ი — 1977

902.7(C)(=9996) + 392(C 9)

ეროვნული ბიბლიოთეკა

902.7 (C4)
392 (47.9)
ი 409

1) კავკასიის ეთნოგრაფია
2) კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა

ნაშრომის მიზანს შეადგენს მკითხველს გააცნოს კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლის მდგომარეობა როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა პერიოდის ეთნოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურის მიხედვით. მასში განხილული და გაანალიზებულია არსებული სამეცნიერო მემკვიდრეობა ოჯახის ფორმებისა და მისი ძირითადი კომპონენტების შესახებ, რასაც მეცნიერულ-თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად აქვს პრაქტიკული მიზანდასახულობაც, რამდენადაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს ძველი ტრადიციების გენეზისის, ფესვებისა და გამძლეობის ფაქტორების მეცნიერულ საფუძველზე კვლევას.

Автор поставил целью ознакомить читателей с состоянием изучения семейного быта народов Кавказа по этнографической и исторической литературе как дореволюционного, так и советского периодов. В труде рассмотрено и проанализировано существующее научное наследство о формах семьи и ее основных компонентах, что имеет как научно-теоретическое, так и практическое значение, постольку постановление Центрального комитета Коммунистической партии Грузии «О мерах по усилению борьбы с вредными традициями и обычаями» придаёт большое значение исследованию на научной основе генезиса старых традиций.

п $\frac{10602}{М\ 607\ (03)-77}$ 147—77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

ცნობები საოჯახო ყოფის, ისევე როგორც ყოფისა და კულტურის შესახებ საერთოდ, უძველესი დროიდანვე ჩნდება. ამ რიგის ცნობები მით უფრო უხვი და მრავალფეროვანია, რაც უფრო მდიდარია ხალხის კულტურული და ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. საოჯახო ურთიერთობისა და ყოფის სხვა ელემენტების შესახებ საინტერესო მონაცემები გაგვაჩნია საისტორიო მწერლობაში, სამართლის ძეგლებში, მხატვრულ ნაწარმოებებში, ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ მასალებში. შეიძლება ითქვას, რომ უძველეს წერილობით წყაროებში ყველაზე უხვი ცნობები სწორედ საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის შესახებ გვხვდება. ამის დამადასტურებელია ძველი აღმოსავლეთის სამართლის ძეგლები, რომლებშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საოჯახო და საქორწინო კოდექსებს. ამ თვალსაზრისით არანაკლებად საინტერესოა ქართული და სომხური სამართლის წიგნები, ისევე როგორც ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის რიგი თავისებურების შესწავლისა და ოჯახის ისტორიული განვითარების სურათის დადგენისათვის მრავლისმეტყველ წყაროებად წარმოგვიდგებიან ისტორიული წყაროები და მხატვრული ლიტერატურის ძეგლები.

საუკუნეების განმავლობაში ასე გროვდებოდა დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა საოჯახო ყოფის შესახებ, მაგრამ თვით ეთნოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, გვიან გაჩნდა. დამოუკიდებელ დარგად ის ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და ამ დროიდან იწყება საოჯახო ყოფის მეცნიერული შესწავლაც, რაშიაც თავიდანვე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა კავკასიის ეთნოგრაფიულ მასალას. ამის საბუთად საკმარისია აღინიშნოს, რომ მ. კოვალევსკის შრომების მეშვეობით კავკასიის ეთნოგრაფიული მონაცემების გაცნობის საფუძველზე ფ. ენგელსმა თავისი ერთ-ერთი ნაშრომის მეოთხე გამოცემაში (1891 წ.) კიდევ უფრო მკაფიოდ აჩვენა „პატრიარქალური თეორიის“ უნიადაგობა და განავითარა თვალსაზრისი, რომ ინდივიდუალური ოჯახის წინამორბედ

ერთეულს წარმოადგენდა „პატრიარქალური სახლისეული თემი“, რომელიც თავისი ძირითადი ნიშნებით, მაგრამ „შეცვლილი ფორმით“ XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე მყოფ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა არსებობას[1].

საოჯახო თემის შესახებ ლიტერატურაში ასახული ფაქტობრივი მონაცემების ესოდენ ღრმა გაანალიზების შედეგად მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა ერთადერთ სწორ შეხედულებას იმის შესახებ, რომ XIX საუკუნემდე შემონახული დიდი ოჯახი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას. საბჭოთა ეთნოგრაფია დღეს ამ მიმართულებით ავითარებს ოჯახის ისტორიის კვლევას, რომელიც თანდათან უფრო აქტუალური ხდება ამ თვალსაზრისისადმი დაპირისპირებულ ბურჟუაზიულ შეხედულებებთან ბრძოლაში. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში დღითი დღე იზრდება კავკასიის ეთნოგრაფიული მასალის, როგორც პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა, რომლის გამოყენების საფუძველზე მ. კოვალევსკიდან დღემდე მრავალი საინტერესო ნაშრომით გამდიდრდა სოციალურ ურთიერთობათა კვლევა-ძიების სფერო. პირველ რიგში ეს ეხება საოჯახო ყოფის შესწავლას, რაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში უმთავრესად მასალების შეგროვებით დაიწყო, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცალკეულ შემთხვევებში გამოკვლევებიც ჩნდება, ხოლო საბჭოთა ეთნოგრაფიაში ამ საკითხის კვლევას ინტენსიური ხასიათი მიეცა. საბჭოთა ეპოქაში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. კოსვენის ფუძემდებლური შრომები[2], რ. ხარაძის მონოგრაფიები[3], ე. კარაპეტიანის გამოკვლევა[4] და არაერთი სხვა ავტორის ნაშრომი, რომლებსაც ამ ნარკვევში ცალკეული რეგიონების მიხედვით ვიხილავთ. ქართველი და კავკასიელი ხალხების საოჯახო ურთიერთობის საკითხები ადრე შესწავლილი გვქონდა სპეციალურ შრომებში[5], რომლებშიც მოცე-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, 77—80.

[2] М. Косвен, Этнография и история Кавказа, М., 1961; მისივე, Семейная община и патронимия, М., 1963.

[3] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ., 1939; მისივე, Грузинская семейная община, I, Тб., 1960, II, Тб., 1961.

[4] Э. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958.

[5] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; მისივე, Пережитки семейной общины в горной Ингу-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულია გამოყენებული ლიტერატურის განხილვა-შეფასების ცდებიც, მაგრამ შედარებით სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროდ ჩავთვალეთ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის ისტორიოგრაფიული შესწავლა. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში განხილულია კავკასიის თითქმის ყველა ხალხის საოჯახო ყოფა. ნაშრომის განსაზღვრული მოცულობის გამო ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიოგრაფიიდან ჯერჯერობით ვეხებით ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ღვაწლს, ხოლო ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის შესახებ შექმნილი ეთნოგრაფიული, ისტორიული და იურიდიული მემკვიდრეობის შეფასება მომავლისათვის გადაიდო.

საკითხის განხილვის შედეგად გამოჩნდა, რომ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლა თანდათანობით გაფართოვდა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების ამოცანას შეადგენს. ამისი საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა იმის გამო, რომ საოჯახო ყოფისა და საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლას თეორიულ-მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად აქვს პრაქტიკული მიზანდასახულობაც.

ოჯახისა და ქორწინების გენეზისის კვლევას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ეს ღრმა მეცნიერული შინაარსის დოკუმენტი გარკვეულ მიმართულებას სახავს სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისა და სულიერი კულტურის შესწავლის, შეფასებისა და თანამედროვეობის ინტერე-

---

шетии (состав семьи), КЭС, II, Тб., 1968; მ ი ს ი ვ ე, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა (რეზიუმე რუსულ ენაზე), თბ., 1969; მ ი ს ი ვ ე, ვ. ი. ლენინი ოჯახის შესახებ, „მნათობი“, 1970, № 9; მ ი ს ი ვ ე, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში (რეზიუმე რუსულ ენაზე), კეკ, III, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, Семейный быт горцев Центрального Кавказа, Автореферат докт. дисс., Тб., 1971; მ ი ს ი ვ ე, Пережитки семейной общины у грузин-горцев Ксанского ущелья, КЭС, IV, Тб., 1972; მ ი ს ი ვ ე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, ამიერკავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის საკითხები საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში, „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1975, № 1; მ ი ს ი ვ ე, ოჯახის ეკონომიური საფუძვლები წოვა-თუშებში, „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე, ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი წოვა-თუშებში, „ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებთან შეფარდების საქმეში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გარკვეული პროფილის მქონე სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა „კომპლექსურად, მეცნიერულ საფუძველზე გამოიკვლიონ ქართველი ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები". ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, რამდენადაც ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რასაც დადგენილება ეხება, ძირითადად ეთნოგრაფია სწავლობს. დადგენილება თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ძველი ტრადიციების გენეზისის კვლევას, ისე მისი გამძლეობის ფაქტორების შესწავლას და ახალ ყოფაში მათი გარდაქმნის თუ ახალი ტრადიციების წარმოშობის გზების დადგენას. ამდენად, ქართული ეთნოგრაფიის სადღეისო ამოცანას შეადგენს მუშაობის გაძლიერება როგორც სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ძველი ფორმების კვლევის, ისე ახალი ყოფისა და კულტურის თავისებურებათა შესწავლის მიმართულებით.

დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა შუქზე ქართველი ხალხის სოციალურ ურთიერთობათა კვლევის გაფართოვება გულისხმობს ისეთი საკითხების დაწინაურებას, როგორიცაა ქორწინების ფორმები და საქორწინო წეს-ჩვეულებები, ოჯახის ფორმები და საოჯახო ყოფა, ჩვეულებითი სამართალი, სტუმრობა-მასპინძლობის ტრადიციები, სუფრის კულტურა და მენიუ, ერთობლივი შრომის ფორმები, ურთიერთდახმარების წესები, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობის ნორმები. დადგენილების პასუხად ასევე საჭიროა მუშაობის გაძლიერება რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, დღეობების, მიცვალებულის გლოვის, დასაფლავების წესის და რიგი სხვა სახის რიტუალის გენეზისისა და განვითარების ისტორიის შესწავლის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე დგება ტრადიციებისა და გადმონაშთების შინაარსის დაზუსტების საკითხი და იზრდება გადმონაშთების კვლევის მნიშვნელობა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს თეორიული საკითხების დამუშავებას. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მავნე ტრადიციების გამიჯვნა დადებითი ეროვნული ტრადიციებისაგან, როდესაც სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული სოციალური თუ რელიგიური ინსტიტუტების გადმონაშთური ფორმების კვლევა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი როგორც გადმონაშთების, ისე ყოფაში წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების დანახვა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა დასახვა. ძველი ტრადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების მეცნიერული შესწავლით ნიადაგი მზადდება იმის გამოსაცდელად, თუ პროგრესულმა ეროვნულმა ტრადიციამ როგორ და რა ახალი შინაარსი შეიძინა, დრომოჭმული ჩვეულების ადგილას როგორ და რა სახით წარმოიქმნა ახალი ჩვეულება ან ეროვნულ ტრადიციულობათა ნიღბით როგორ იქნა შემონახული მავნე წეს-ჩვეულება და როგორ და რა მიზეზით მოხდა მისი შინაარსის შემდგომი დასახიჩრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახულ ამ ესოდენ მნიშვნელოვან ამოცანათა განხორციელება საჭიროებს კვლევის დაწინაურებას ოჯახის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის საკითხებზე, რაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც არსებული თეორიებისა და შეხედულებების კრიტიკული გააზრების, ისე ცალკეული რეგიონებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე. სწორედ ეს ფაქტორებია გათვალისწინებული ჩვენს ნაშრომში, რომლის მიზანს შეადგენს არსებული სამეცნიერო მემკვიდრეობის მიხედვით აჩვენოს კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის ძირითადი კომპონენტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის საკითხები ქართველ ისტორიკოსთა შრომებში

საოჯახო ყოფის შესწავლა პირველ რიგში ეთნოგრაფიის ამოცანას შეადგენს და ქართული ოჯახის შესახებ არსებული სამეცნიერო მემკვიდრეობაც უმთავრესად ქართველ ეთნოგრაფთა ხელით არის შექმნილი, მაგრამ ამ საკითხის კვლევაში მათთან ერთად სათანადო წვლილი შეიტანეს ქართველმა ისტორიკოსებმა და იურისტებმა. ისტორიკოსთა შორის ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი ღირსეული მოწაფეების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ღვაწლი. თავიანთ მუშაობაში ისინი უხვად სარგებლობდნენ ეთნოგრაფიული მასალებით და სხვა რიგის წყაროებთან ერთად მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განსაკუთრებით სოციალურ ურთიერთობათა ფორმების კვლევაში. ამ რიგის საკითხების ძიებაში ისინი ხშირად ეხებოდნენ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საგანგებოდაც სწავლობდნენ ოჯახის ისტორიის საკითხებს, საოჯახო ურთიერთობის ფორმებს და მის შესაბამის წეს-ჩვეულებებს, რაშიაც შეიძლება დავრწმუნდეთ თითოეული მათგანის სამეცნიერო მემკვიდრეობის განხილვის შედეგად.

ივანე ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევას. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ფუძემდებლური შრომების შექმნა ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის სფეროში, რითაც მყარი მეცნიერული ნიადაგი მომზადდა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის. ივ. ჯავახიშვილი ამომწურავი სისრულით იყენებდა და აანალიზებდა ისტორიული ეთნოგრაფიის მონაცემებს წერილობითი წყაროებიდან და ფართო მეცნიერულ მიმოქცევაში შემოჰქონდა სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა დროს გამომზეურებული საველე ეთნოგრაფიული მასალები. ივ. ჯავახიშვილმა შეიმუშავა საველე და სამეცნიერო-კვლევითი მეთოდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოამზადა სპეციალური გეგმა-კითხვარები, რასაც არაერთი სპეციალისტი სახელმძღვანელოდ იყენებდა საველე მასალის (უმთავრესად შინამრეწველობის) შეგროვების დროს. ამასთან ერთად, ქართველ საბჭოთა მკვლევართა შორის პირველმა მან განსაზღვრა ეთნოგრაფიული მასალის სპეციფიკა და გამოიჩინა მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება. მისი შეხედულებით, „უეჭველია, ხალხურს მეხსიერებასა და ზეპირსიტყვაობას უძველესი ხანის ზნე-ჩვეულებანი, მსოფლმხედველობა და რწმენა, ზღაპრები და თქმულებები, ლოცვა-სავედრებლობითი წარსათქმელები და წარმართული ხანის სიმღერა-ლექსები [შემონახული აქვს] მაგრამ, თუ წერილობითი ძეგლებიც-კი დროის გავლენის სიდუხჭირეს ვერ გადაურჩა, წარმოუდგენელია, რომ ზეპირსიტყვაობის სახით დაცულს გადმოცემასა და ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდის უცვლელად მოეღწია და სხვადასხვა დროისა და წრის შენაერთი ადგილის არაერთი ფენით არ იყოს აჭრელებულ-შეცვლილი“[1].

ივ. ჯავახიშვილი ეთნოგრაფიულ მასალებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უძველესი კულტურულ-ისტორიული მოვლენების ასახსნელად, იგი საჭიროდ თვლიდა ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალების გამოყენებას არა მარტო საქართველოს, არამედ ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების შინაარსის გასარკვევად. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი უძველესი ქართული წეს-ჩვეულებებისა და წარმართული რიტუალების შესწავლისათვის იყენებდა როგორც ქართულ, ისე ძველაღმოსავლურ წყაროებს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში XX საუკუნის დამდეგამდე გადმონაშთის სახით შემორჩენილი „მელიდა ტელეფიადს“ დღესასწაულის შესწავლაში ივ. ჯავახიშვილმა გამოიყენა ძვ. წ. XVI საუკუნის ხეთურ ლურსმულ საბუთებში დაცული ცნობები ღვთაება ტელეფინუშის შესახებ და ამ შორეულ პარალელურ მოვლენებში რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე ამოიცნო ნაყოფიერება-შვილიერების ღვთაების რწმენისა და მის სახელზე შესრულებულ საგალობელ-რიტუალთა არსებობის ანარეკლი[2].

ივ. ჯავახიშვილი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლის ეთნოგრაფიული ანალიზის უცილობელ პირობად თვლიდა მასში ასახული

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, 171.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, 94.

წეს-ჩვეულებების ცოდნას. მაგალითად, როდესაც იგი ეხება საქორწინო ვალდებულებათა ხასიათს V საუკუნეში იაკობ ხუცესის თხზულების მიხედვით, აღნიშნავს, რომ „იაკობ ხუცესის ზემომოყვანილი ცნობის მთელი შინაგანი მნიშვნელობის გასაგებად ქართული ძველი ქორწინების წესების ცოდნაა საჭირო“[3].

ასეთი პასუხისმგებლობით იკვლევდა ივ. ჯავახიშვილი ყოფისა და კულტურის პრობლემებს, მათ შორის საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის საკითხებს. ამ საკითხებს იგი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ განუზრახავს მონოგრაფიის დაწერა საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ[4], მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა ამ ჩანაფიქრის განხორციელება. სამაგიეროდ, ქორწინების რიგი თავისებურებების განხილვას სპეციალური პარაგრაფი დაუთმო „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში, ხოლო სხვადასხვა ეპოქის წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით თავის არაერთ ნაშრომში შეეხო ოჯახისა და ქორწინების ისტორიის მრავალ საკითხს, რომელთაგან აქ ზოგიერთზე შევჩერდებით.

საქართველოს ისტორიულ წარსულში ოჯახის სტრუქტურის ზოგიერთ თავისებურებას ივ. ჯავახიშვილი მოკლედ გვაცნობს იაკობ ხუცესის თხზულების მიხედვით. ამ წყაროზე დაყრდნობით საოჯახო ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად თვლის მშობლებისა და შვილებისაგან შედგენილი სახლობის არსებობას, ე. ი. გაყრილი ძმების ცალ-ცალკე ცხოვრებას. ივ. ჯავახიშვილი, ამასთან ერთად, ყურადღებას აქცევს საოჯახო ყოფის ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა მამა-მძუძესთან და დედა-მძუძესთან გასაზრდელად შვილების გაბარება, ოჯახში მამაკაცის პატრიარქალური უფლებამოსილება, ქმრისადმი ცოლის მორჩილება, ქალის უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველი საწოლი მოწყობილობისა და შემოსილობის ელემენტები, მამაკაცისა და დედაკაცის უფლებები ჭამა-სმის დროს და ა. შ.[5]

ამ საკითხების ინტერპრეტაციის მიზნით საისტორიო მწერლობის ძეგლებს ქართველ საბჭოთა მკვლევართაგან პირველად ყუ-

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფ., 1928, 162.

[4] ი ქ ვ ე, 170.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, 282—284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღება მიიქცია ივ. ჯავახიშვილმა. მისივე დამსახურებაა აღნიშვნა, რომ V საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში იქცა ოჯახის ძირითად ფორმად, ხოლო მის პარალელურად, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილის სხვა გამოკვლევებიდანაც ნათლად ჩანს, ქართველი ხალხის ყოფაში არსებობას ინარჩუნებდა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა დიდი ოჯახის სახით.

როდესაც ოჯახის ამ ორი ტიპის თანაარსებობის დადგენაში ივ. ჯავახიშვილის ღვაწლს აღვნიშნავთ, მხედველობაში გვაქვს მისივე ნათქვამი, რომ „ბერძენი მერჩულეს ნაწარმოებით ცნობილ ხანაში „სახლობა მრავალ-რიცხოვანიცა და პატარაც ყოფილა“, ხოლო „სახლობის წევრნი „სახლეულ“-ად იწოდებოდნენ“[6]. დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა ასევე კარგად ჩანს უფრო ადრეულ პერიოდშიც, არაბთა ბატონობის დროს. ივ. ჯავახიშვილი აღწერს არაბებსა და ქართველებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებს არაბთათვის საკომლო გადასახადის მიცემის შესახებ, სადაც გათვალისწინებული ყოფილა, რომ ქართველებს არ დაეწყოთ ოჯახების ფიქტიური შეყრა-შეერთება, ხოლო არაბებს არ მოეთხოვათ არსებული ოჯახების ხელოვნური დაყოფა-დაქუცმაცება[7]. ხელშეკრულებაში ამგვარი პირობების გათვალისწინება ლოგიკური უნდა ყოფილიყო მხოლოდ დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობის შემთხვევაში.

სხვადასხვა ტიპის ოჯახების თანაარსებობა ასევე ნათლად ჩანს გვიანფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალებიდან, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი თვით ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა, ხოლო მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ კიდევაც გამოქვეყნდა[8]. XVII-XVIII სს. ამ აღწერებში ნაჩვენებია მოსახლეობის რაოდენობა, საქმიანობა, ადგილმონაცვლეობის ხასიათი, სოციალური სტრუქტურა, ცალკეულ გვართა წარმომავლობა, ოჯახის შემადგენლობა და ა. შ. ოჯახის შემადგენლობის ჩვენებისას აღწერაში გაუთვალისწინებიათ მხოლოდ მამრობი-

---

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, 378.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1948, 72, 82.

[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (13—19 სს.), წიგნი II, თბ., 1974.

ბითი სქესის წარმომადგენელთა აღრიცხვა. XVII საუკუნის მეოთხედ ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს აღწერაში ჩამოთვლილია ბევრ-თად მცხოვრებ მამაკაცთა რაოდენობა თაობების ჩვენებით. პირველ რიგში დასახელებულია ოჯახის უფროსი, შემდეგ მისი ძმები და ბოლოს ძმათა ვაჟები[9]. აღწერის ამ პრინციპისაგან განსხვავებით ყოფილი არაგვის საერისთავოს ანუ ხევისა და მთიულეთ-გუდამაყრის 1774 წლის აღწერაში, რომელიც ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა[10]. ჯერ დასახელებულია კომლი, ხოლო შემდეგ ნაჩვენებია კომლში შემავალ „თავთა" რიცხვი. ერთ შემთხვევაში კომლში შედის მხოლოდ ერთი „თავი", მეორე შემთხვევაში ორი, სამი და ა. შ. დასახელებულია ბევრი ისეთი კომლი, რომელიც აერთიანებს ოთხ, ხუთ და ექვს „თავს". მთელი აღწერილობა ემყარება რა ამ პრინციპს, აღმწერთ სიაში შეჰქონდათ მხოლოდ კომლთა და „თავთა" რიცხვი გვარების, მამის სახელებისა და საკუთარი სახელების აღნიშვნით. არსად ოჯახის სრული აღწერა არ გვხვდება, ქალებისა და ბავშვების სახელები და მათი რიცხვი სავსებით უგულებელყოფილია.

ოჯახის შემადგენლობის დასადგენად განსაკუთრებით საინტერესოა კომლისა და მასში შემავალი „თავი"-ს მნიშვნელობა, რის შესახებაც ივ. ჯავახიშვილი წერს: „თავი" კომლში ოჯახის უფროსს უნდა ნიშნავდეს, მამა-ქმარს.. კომლში შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს, თვითეულ ოჯახს ეყოლება „თავი" ანუ უფროსი — „მამა". ამნაირად მეტატონის ყმების სიაში რომ გვარი და სახელია მოხსენებული, ის მთელი კომლის უფროსს ეკუთვნის, ხოლო დავთარში ნაჩვენებია, რამდენი ოჯახი სახლობს თვითეულ კომლში"[11].

ამგვარი ახსნა-განმარტებისა და არსებული სტატისტიკური მასალის გათვალისწინების შედეგად კომლი ერთ შემთხვევაში წარმოგვიდგება ინდივიდუალურ ოჯახად, რომელსაც სათავეში ედგა ერთი მამაკაცი—ე. წ. „თავი". მეორე შემთხვევაში კომლი იყო ისეთი სოციალური ერთეული, რომელშიც ირიცხებოდა ორი, სამი, ოთხი, ხუთი და, ზოგიერთ შემთხვევაში, ექვსი „თავი". თუ „თავი" ყველა

---

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, 41 და შმდ.

[10] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ტფ., 1907.

[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნ. „მოამბე", ტფ., 1901, № 4, განყ. II, 10.

ვარიანტში ოჯახის უფროსს ანუ ცოლ-შვილის პატრონს (მამა-ქმარს) ნიშნავდა, მაშინ გამოდის, რომ რამდენიმე „თავის“ გამაერთიანებელი კომლი იყო რამდენიმე ოჯახის ერთობლიობა, კოლექტიური უჯრედი. მაშასადამე, თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით, კომლი, რომელშიც მხოლოდ ერთი „თავი“ ირიცხებოდა, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო კომლი, რომელშიც რამდენიმე „თავი“ ითვლებოდა, უნდა ყოფილიყო დიდი ოჯახი (საოჯახო თემის გადმონაშთური საზეობა), რამდენადაც მის ფარგლებში შედიოდა რამდენიმე საქორწინო წყვილი თავისი შთამომავლობით.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია სტატისტიკური მასალის დიდ ნაწილს, რომელიც საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ოჯახის სტრუქტურის შესწავლისათვის. ამასთან ერთად, მან გააანალიზა ადრე გამოქვეყნებული ასეთივე შინაარსის მასალები და შექმნა იმის მტკიცების საფუძველი, რომ გვიანფეოდალური ხანის მოსახლეობის აღწერის დავთრებში ფიქსირებულია მეტ-ნაკლები სიდიდის ოჯახები, რაც ერთხელ კიდევ ააშკარავებს დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობას.

ოჯახის შემადგენლობისა და საოჯახო საკუთრების ფორმების შესწავლისათვის ასევე მრავლისმეტყველი წყაროა შეყრილობის წიგნები, რომელთა მიკვლევა-გამომზეურება და გაანალიზება კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მართალია, ივ. ჯავახიშვილი ოჯახების შეყრილობის საბუთებს იმის დასამტკიცებლად იყენებდა, რომ „გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვათკუთხედ დაწესებულებად იქცეს“[12], მაგრამ შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად უარყოფილ ამ შეხედულებას ამჟამად მთავარი მნიშვნელობა როდი ენიჭება. ოჯახების შეყრილობის საბუთების შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ის ფრიად საყურადღებო კანონზომიერება, რომ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულში „შეყრილობისადმი მისწრაფება და პროცესი ქართველი ერის ყველა წრეში იყო უმაღლესითგან მოყოლებული სოფლელებამდე“. მისივე მტკიცებით, „ცხოვრების უშიშროების შესაქმნელად გაყრილ-დაშორებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შე-

---

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებაზე ზრუნავდნენ"[13]. ივ. ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ ოჯახების შეყრა წარმოადგენდა გაყრილობის საპირისპირო მოვლენას, ხოლო ეს გარემოება თავისთავად იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ქართველ ხალხში ხანგრძლივად იყო შემონახული გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია. პირველ ყოვლისა ამის დამამტკიცებელია ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული XVI—XVIII სს. შეყრილობის წიგნები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ შეყრილობით აღადგენდნენ ოდინდელ ერთობას, ე. ი. დიდ ოჯახს, რომელიც აერთიანებდა ძმების, ბიძაშვილებისა და მათი შთამომავლობის რამდენიმე თაობას.

ივ. ჯავახიშვილის მიერ გამომზეურებული საბუთების, თვით ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით მის მიერვე გამოთქმული საყურადღებო შეხედულებებისა და საოჯახო ყოფის შემდგომი შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ოჯახების შეყრით დამყარებულ ურთიერთობაში გამოყენებული იყო ისტორიულად არსებული ქართული დიდი ოჯახის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, ხოლო ამგვარი ურთიერთობის დამყარება მიზნად ისახავდა მდგომარეობის შემსუბუქება-გაუმჯობესებას. ოჯახების შეყრილობას აპირობებდა კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური ვითარება, ხოლო კანონზომიერ ისტორიულ პროცესად გვესახება დიდი ოჯახების დაშლა ინდივიდუალურ ოჯახებად. ამდენად, შეყრილობა წარმოადგენდა ძველ ტრადიციებზე დამყარებულ დროებით ღონისძიებას და არა საოჯახო თემის რესტავრაციის საშუალებას.

ოჯახის ისტორიული განვითარებისა და მისი შესაბამისი ფორმების დადგენისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საოჯახო საკუთრების სახეობათა გარკვევას, რასაც ივ. ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიის" მეორე ტომის მეორე ნაკვეთში სპეციალური თავი დაუთმო. ისტორიული წყაროების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გაანალიზების შედეგად მან დაადგინა საოჯახო ქონების სამი ძირითადი სახეობა: „მამული" (ოჯახის სამემკვიდრეო ქონება), „დედული" (ქალის მიერ მიტანილი მზითევი) და „მონაგები" (ოჯახში საერთო გარჯით შექმნილი ქონება)[14]. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, IX საუკუნემდე არსებულ წყაროებში „მამული" და „დედული" იხმარებოდა ადამიანის მოდგმა-წარმო-

---

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 156.

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 373—374.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობის მნიშვნელობით და ნიშნავდა მამისეულ თუ დედისეულ სამშობლოს. IX საუკუნის შემდგომ პერიოდში „მამულის“ შინაარსი გაფართოვდა, „რომელშიაც მამის უძრავ-მოძრავის გარდა, რასაკვირველია, დედის ნამზითვი და მონაგებიც შეიძლება რეულიყო, რამდენადაც შვილები თავიანთი დედის საკუთრების, დედულის, კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ“[15].

საოჯახო საკუთრების ზემოხსენებულ სახეობათა არსებობა ივ. ჯავახიშვილმა დაუკავშირა დიდი ოჯახის დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახის ფორმირების საფეხურს: „მემკვიდრეობის სამართალი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა, ესე იგი მას შემდეგ, რაც საგვარეულო სახლი პატარ-პატარა სახლობებად დაიყო“[16]. ამის კონკრეტულ მაგალითად მკვლევარი ასახელებს ვარსქენ პიტიახშის ოჯახს იაკობ ხუცესის, ხოლო ზენონის ოჯახს გიორგი მერჩულეს თხზულებათა მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ცალ-ცალკე ოჯახებად მცხოვრებ ვარსქენ პიტიახშსა და მის ძმას „თუ უძრავი გაყოფილი არა ჰქონდათ, თვითეულს მაინც თავისი საკუთარი მეურნეობა და საკუთარი მონაგები უნდა ჰქონოდა“[17]. მკვლევარი დაახლოებით ასეთსავე სურათს ხედავს გიორგი მერჩულეს ეპოქაში, როდესაც მშობლები შვილებს უნაწილებდნენ მხოლოდ მონაგებს, რამდენადაც შვილებს შორის ქონების გაყოფა მიღებული ყოფილა მხოლოდ მშობლების გარდაცვალების შემდეგ[18]. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილმა საოჯახო საკუთრების სახეობათა შესწავლის შედეგად გარკვევით თქვა, რომ ოჯახში ქონების მემკვიდრეობით გადაცემის წესი უკავშირდება კერძო საკუთრების გაჩენას (ე. ი. კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნას), საოჯახო თემის დაშლას და ინდივიდუალური ოჯახის ფორმირებას. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილის მსჯელობაში აშკარად გამოიკვეთა შეხედულება იმის შესახებაც, რომ V თუ VIII—IX საუკუნეების საქართველოში არსებული ინდივიდუალური ოჯახი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მისი წინამორბედი საოჯახო თემის ცალკეულ ელემენტებს (უძრავის გაუყოფლობა, მშობლების გარდაცვა-

---

[15] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 389.

[16] ი ქ ვ ე, 376.

[17] ი ქ ვ ე.

[18] ი ქ ვ ე.

ლებამდე შვილების გაუყრელობა). ბუნებრივია, რომ საოჯახო ფეოდალის კომპონენტები გაცილებით მდგრად მდგომარეობას ინარჩუნებდნენ იმდროინდელ დიდ ოჯახებში, რომლებიც უსათუოდ თანაარსებობდნენ პატარა ოჯახებთან ერთად.

საოჯახო ქონებაზე ვაჟის სამემკვიდრეო უფლებებთან ერთად ივ. ჯავახიშვილი განიხილავს ქალის მდგომარეობასაც. მას მიაჩნია, რომ „ქართული მემკვიდრეობის სამართალი ქალებსაც აძლევდა მშობლების საკუთრების დამკვიდრების უფლებას“[19]. ამის ერთ-ერთ საბუთად მკვლევარი იმოწმებს გიორგი მერჩულეს ცნობას, რომ განსვენებული დედ-მამის „მონაგები“ დარჩათ ზენონს და მის დას, მაგრამ იქვე მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ ზენონის და გათხოვილი არ ყოფილა, დაასკვნის: „მშობლების მონაგების დამკვიდრების უფლება ამ დას სწორედ იმიტომ ჰქონდა, რაკი იგი „იყო სახლსა შინა“ და გათხოვილი არ ყოფილა. გათხოვილ ქალსა და დას, ვითარცა ზითვიანს, მშობლების მემკვიდრეობიდან, როგორც ეტყობა, წილი არ სდებია“[20].

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, თვით გაუთხოვარ ქალსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებოდა ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება, „როდესაც საგვარეულოთგან არცერთი წევრი აღარ იყო შემორჩენილი, რომელსაც დარჩენილი ქონების დამკვიდრების უფლება ჰქონდა“[21]. სამაგიეროდ, ქალის საკუთრებად ითვლებოდა მზითევი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „პირველ ხანებში „ზითევი“ მოძრავი ქონებისაგან შედგებოდა. VIII—XIII ს. მაინც-და-მაინც მზითვად მოძრავი ქონების მიცემა ჩვეულებრივი საქმე იყო და მტკიცე წესად იყო გამხდარი“[22]. სათანადო მონაცემების უქონლობის გამო ამ წესის დამკვიდრების დროის განსაზღვრაზე ივ. ჯავახიშვილი თავს იკავებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ „ზითევი“ ტერმინად დაბადების თარგმანში გვხვდება (გამოსვლათა 22), ხოლო უძრავად უკვე VIII—IX ს. არსებობდა და მას ამ დროს „დედული“ რქმევია, ე. ი. იმგვარივე სახელი, რომლითაც მამის საგვარეულო უძრავ ქონებას აღნიშნავდნენ („მამული“), ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ უკვე VIII—IX ს-ითგან მოყოლებული ზითვად უძრავი ქონებაც უნდა ეძლიათ“[23].

---

[19] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 378.

[20] ი ქ ვ ე, 378.

[21] ი ქ ვ ე, 379

[22] ი ქ ვ ე, 374.

[23] ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 169.387

აქ მოცემულ მტკიცებასთან ერთად საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული სხვა შინაარსის ისტორიული მონაცემებიც, რომელთა მიხედვით მზითვის მიტანა შუა საუკუნეების საქართველოში მაინცდამაინც საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების მტკიცედ განსაზღვრულ ვალდებულებად არ წარმოგვიდგება. ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში ჰქონდა გიორგი VIII-ის პასუხი 1451 წ. ბიზანტიის მეფის დესპანისადმი. „მისი ასულის ბიზანტიის მეფისათვის საცოლედ მთხოვნელ დესპანისათვის გიორგი მეფეს განუცხადებია: ჩვენი ქვეყნის ზნეჩვეულების თანახმად საქმროს მოაქვს საცოლისთვის ქონება და არა საცოლის საქმროსთვის. ამიტომ მე ჩემს ასულს მზითევს ვერ გამოვატან, მაგრამ სხვაფრივ ქონებრივად უზრუნველვყოფო“[24].

გარკვეული დიპლომატიური მოსაზრების გამო შესაძლებელია ამ პასუხში ეთნოგრაფიული სიზუსტე არ იყოს დაცული, მაგრამ რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო ეს თქმული, უსათუოდ სარწმუნოდ მისაჩნევია მეფის განმარტება საქმროს უპირატესი ქონებრივი მოვალეობის შესახებ. აღნიშნული ვითარების დასაბუთებისათვის ივ. ჯავახიშვილმა მიმართა როგორც უფრო ადრინდელ, ისე გვიანდელ წყაროებს. იაკობ ხუცესის თხზულებაზე დაყრნობით მან განმარტა, რომ V საუკუნის საქართველოში საქორწინო კავშირის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ქმრის მიერ ცოლისთვის ნივთების მირთმევის წესი. მისივე დაკვირვებით, ცოლ-ქმარს შორის გაწხეთქილების შემთხვევაში ამ ნივთებს ქმარი უკან იბრუნებდა და მეორე ცოლს მიართმევდა. იაკობ ხუცესის ცნობათა შინაარსის გარკვევის მიზნით ივ. ჯავახიშვილმა გააანალიზა აგრეთვე XVII—XVIII სს. მონაცემები, სახელდობრ, ვახტანგ ერეკლეს ძე ბატონიშვილის „ისტორიებრი აღწერა“, არქანჯელო ლამბერტის ცნობები თუ რიგი სხვა წყაროები და საცოლესთვის საქმროს მიერ მატერიალური ვალდებულების წესში დაინახა ურვადის კვალი და ანარეკლი[25], ე. ი. სყიდვითი ქორწინების გადმონაშთი, რომლის ლოკალური ვარიანტები საქართველოში, განსაკუთრებით კი მის მთიან ზოლში (სვანეთი, ხევი), XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც თვალნათლივ დადასტურდა[26].

---

[24] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 162; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ., 1948, 49—50.

[25] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 163.

[26] რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ., 1939, 87—98; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, 211—232.

საოჯახო საკუთრების ფორმების, ოჯახის ეკონომიური საფუძ-
ვლებისა და განაყრებს შორის ქონების განაწილების პრინციპების
დადგენა ითვალისწინებს საოჯახო დოვლათის ფაქტობრივი მაჩვე-
ნებლების ფიქსაციას. ამიტომ ეთნოგრაფი აღწერს ხოლმე არა
მარტო ოჯახის საცხოვრებელ სახლს, სამეურნეო ნაგებობებს, სა-
მეურნეო სავარგულებსა და პირუტყვს, არამედ ოჯახის კუთვნილ
დგამ-ჭურჭელსაც მათი განლაგება-გამოყენების ჩვენებით. წერი-
ლობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით სწორედ ამ სახის
მასალები აღწერა და გამოავლინა ივ. ჯავახიშვილმა თავის ერთ-
ერთ ნაშრომში[27], რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქ-
ვეყნდა. ამ ნაშრომში აღწერილია საფენელ-საგებელი, ავეჯი, ჭურ-
ჭელი და სხვადასხვა დამხმარე საოჯახო ნივთები, ნაჩვენებია თითო-
ეული მათგანის ფუნქცია.

საოჯახო ყოფის ძირითადი კომპონენტების კვლევაში განსაკუ-
თრებული მნიშვნელობა ენიჭება ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლე-
ნილსა და კვალიფიცირებულ ფაქტობრივ მონაცემებს საწოლ-საჯ-
დომი ავეჯის განლაგება-მოხმარების ხასიათის შესახებ, რასაც
გვერდს ვერ აუვლის ოჯახის ისტორიის მკვლევარი. ივ. ჯავახიშვი-
ლმა დაადგინა საწოლთა სახეობა-სახელწოდებანი და მოგვცა მათი
სოციალური შინაარსის ახსნა. ოჯახში არსებული სქესობრივ-ასაკობ-
რივი დიფერენციაციის ჩვენებისათვის საყურადღებოა ივ. ჯავახი-
შვილის დაკვირვება საჯდომი ავეჯის შესახებ. მან გაარკვია, რომ
„ოჯახში საჯდომი ავეჯი საერთო არ იყო. მამაკაცისა და დედაკა-
ცისათვის — ს ა მ ა მ ა ც ო და ს ა დ ე დ ა ც ო არსებობდა, და უმც-
როს-უფროსისათვისაც — სხვადასხვა იყო“. მკვლევარი იქვე მი-
მართავს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს და აღნიშნავს საქართველოს
მთიანეთში ამ მოვლენის შემონახულობას. ამასთან ერთად, დიდ
მეცნიერს მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ „საჯდომი ავეჯი
პატივსაცემი სტუმრისათვისაც განსაკუთრებულად განკუთვნილი
და მისი შესაფერისი უნდა ყოფილიყო“[28]

საოჯახო ყოფის რიგი თავისებურების გარკვევისათვის ასევე
საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლენილი მონაცემები
სხვა სახის საჯდომი ავეჯის, სასადილო მაგიდების სახეობათა და
ჭურჭლის შესახებ. მზითვის წიგნებისა და სხვა წყაროების მიხედ-

---

[27] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტუ-
რის ისტორიისათვის, თბ., 1965.

[28] ი ქ ვ ე, 25.

ვით ივ. ჯავახიშვილი დიფერენცირებულად გვაცნობს პრივილეგიურ ფენებში ყოველდღიურად სახმარ („ჭურჭელი სახმარებლად სანიადაგოდ“) და სანადიმო-სამეჯლისო ჭურჭელს[29].

მზითვის წიგნების ხსენებასთან დაკავშირებით აქვე უნდა აღინიშნოს ამ დოკუმენტების მრავალმხრივი მნიშვნელობა საქორწინო ურთიერთობის ნორმების, საკუთრების ფორმებისა თუ ოჯახის ეკონომიური საფუძვლების შესწავლისათვის და ივ. ჯავახიშვილის წვლილი მათი დიდი ნაწილის აღმოჩენა-გამომზეურების საქმეში[30].

საოჯახო ყოფისა და საქორწინო ურთიერთობის სრულფასოვანი შესწავლა წარმოუდგენელია ნათესაობის, ასაკისა და სქესის აღმნიშვნელი ტერმინების თავდაპირველი თუ მერმინდელი შინაარსის ცოდნის გარეშე, ისევე როგორც შეუძლებელია ისტორიულად არსებული აღზრდის სისტემის ხასიათის გაუთვალისწინებლობა. აღნიშნულ გარემოებათა საჭიროება ყველაზე უკეთესად იცოდა თვით ივ. ჯავახიშვილმა და პირველად სწორედ მან შეისწავლა როგორც ნათესაური და სქესობრივ-ასაკობრივი ურთიერთობის გამომხატველი ცნებების დედააზრი, ისე აღზრდის სისტემის ზოგიერთი თავისებურება, სახელდობრ, მამა-მძუძეობის ინსტიტუტის ძირითადი კომპონენტები.

ივ. ჯავახიშვილი ავლენს ადამიანთა ორივე სქესის ასაკის შესაბამის სახელწოდებებს და ერთმანეთისაგან მიჯნავს ყრმობას და ჰასაკს, რომელთაგან პირველი გამოხატავდა ბავშვობის ასაკს, ხოლო სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან იგულისხმებოდა ჰ ა ს ა კ ა დ მ ო ს ვ ლ ა[31]. აღნიშნული ვითარების გარკვევას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პირველ რიგში საქორწინო კავშირის დამყარებისათვის სავალდებულო წინაპირობების განსაზღვრაში, რომლის ერთერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა საქორწინო ასაკი.

ადამიანის სქესობრივ-ასაკობრივი მდგომარეობის გამომხატველ ტერმინებს, ნათესაობის სახეობათა აღმნიშვნელ ცნებებს და ურთიერთშორის სიტყვიერი მიმართვის ფორმებს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის შემადგენლობის დადგენისა და ოჯახის წევრთა ურთიერთობის ნორმების გარკვევისათვის. ასეთი

---

[29] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 44 და შმდ.

[30] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, 16—25.

[31] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 130—138.

კატეგორიის ტერმინთაგან აღსანიშნავია: ქმარი და ცოლი, მამრი და რძალი, მამაჲ და დედაჲ, მამრი და მდედრი, მამანი და დედანი, სიმამრი და სიდედრი, მამაკაცი და დედაკაცი, კაცი და ქალი, მამასახლისი და დასახლისი, სახლი და სახლეული, სახლიკაცი და სახლისშვილი და ა. შ.

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ნათესაობის გამომხატველი ამ ცნებების გარკვევის საშუალებით, რაც მისთვის ჩვეული სისრულითა და სიღრმით განახორციელა ივ. ჯავახიშვილმა[32], შესაძლებელი ხდება დავადგინოთ თუ რა ტიპის ოჯახში იყენებდნენ ამ ცნებებს, რა სახის ურთიერთობა აკავშირებდათ ერთ ჭერქვეშ მცხოვრებთ და ამგვარი ურთიერთობის დამყარებაში რამდენი თაობისა და საქორწინო წყვილის მონაწილეობა იყო შესაძლებელი. ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოფენილი ცნებების მეშვეობით და ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებით შესაძლებელია ნათესაური ურთიერთობის იმ ფორმათა აღდგენა, რომელიც დამახასიათებელი იყო ოჯახის თავდაპირველი ტიპის ანდა მისი გადმონაშთური სახეობისათვის. იმის წარმოსადგენად კი თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათესაობის გამომხატველ ცნებათა გაშიფვრას ოჯახის ისტორიული ფორმების შესწავლისათვის, კლასიკური ეთნოგრაფიიდან ამის საუკეთესო მოწმობაა ლ. მორგანის ფუძემდებლური გამოკვლევა[33], სადაც დავიწყებას მიცემული ძველი სოციალური ინსტიტუტების თავდაპირველი ფორმების აღდგენის ცდა მოცემულია სწორედ უძველესი ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი და XIX საუკუნის ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ტერმინების რეალური შინაარსის დადგენის საფუძველზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახის სტრუქტურის შესწავლაში სათანადო ადგილი უჭირავს აღზრდის სისტემას, სახელდობრ მამამძუძეობის ჩვეულებას, რომლის დედააზრი საქართველოს ისტორიულ წარსულში ის იყო, რომ მთავართა შვილები წარჩინებულთა სახლებში უნდა გაზრდილიყვნენ.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ეს ჩვეულება, რომელიც წერილობითი წყაროების დიდი ნაწილის მიხედვით პრივილეგიური ფენის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენად მოჩანს, უძვე-

---

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937, 182, 183, 224—229; მ ი ს ი ვ ე, ქართული სამართლის ისტორია, I, 144—148, 196 და შმდ.

[33] Л. М о р г а н, Древнее общество, Ленинград, 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს პერიოდში მთელი მოსახლეობის სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სათანადო მონაცემებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „ეს წესი თავდაპირველად ცხოვრების იმ უცილობელ კანონად ყოფილი მოვლენის ანარეკლს წარმოადგენს, როდესაც ბავშვი თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამცთუ არ იზრდებოდა, არამედ არც იბადებოდა აქ, მას ღვიძლი მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც მაშინ აგრეთვე ჯერ კიდევ თავისი ქმრის ოჯახში არ იმყოფებოდა, არამედ თავისსავე საგვარეულოში რჩებოდა“[34]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ასეთ ურთიერთობას განსაზღვრავდა ეგზოგამიის წესი, როდესაც მამაკაცს თავისი საცოლე უსათუოდ სხვა საგვარეულოში უნდა მოეძებნა[35]. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილმა მამამძუძეობის ინსტიტუტი დაუკავშირა მატრილოკალური ქორწინების საფეხურს, როდესაც ქალი მამაკაცთან შეუღლების შემდეგ კვლავ თავისი მამის სახლშივე რჩებოდა და შვილსაც იქ ზრდიდა. ამდენად, ივ. ჯავახიშვილის მიერ განხილული წყაროებისა და მასზე დამყარებული მსჯელობის მნიშვნელობა არა მარტო ქართველი ხალხის უძველესი სოციალური ინსტიტუტების შესწავლის ამოცანებს პასუხობს, არამედ ეხმაურება ზოგადი ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს, რასაც ამჟამად ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერება.

საოჯახო ყოფის ამსახველ ფაქტობრივ მონაცემებს ივ. ჯავახიშვილი რიგ შემთხვევაში იმოწმებდა და აანალიზებდა პოლიტიკური ისტორიის საკითხების გაშუქების მიზნით. მკვლევარი ამ თვალსაზრისით განიხილავდა ქართული საისტორიო მწერლობის ცნობებს ქართველ მეფეთა საოჯახო ყოფისა და საქორწინო ურთიერთობის შესახებ. მაგალითად, ულუ-დავითის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ცალკეული ეპიზოდების წარმოჩენის მიზნით მკვლევარმა ცხადჰყო, რომ ულუ-დავითი ოთხგზის იყო დაქორწინებული. მისი პირველი ცოლი და საქართველოს დედოფალი იყო ჯიგდა-ხათუნი, მისსავე სიცოცხლეში სასახლეში მეორე ცოლად—ხასად მოიყვანა ოსის ქალი ალთუნი, ჯიგდა-ხათუნის გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეირთო ავაგ ათაბაგის ქვრივი, რაჭის ერისთავის ასული გვანცა, ხოლო გვანცა დედოფლის მონღოლთაგან

---

[34] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 169.
[35] ი ქ ვ ე, 170.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკვლის შემდგომ მან ცოლად დაისვა ჭორმალო-ნოინისა და სერმეანელი ნოინის და ესუქნ[36].

ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული ფაქტები თავისთავად იმაზე მეტყველებენ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მეფეს შეეძლო რამდენჯერმე დაქორწინება არა მარტო დაქვრივების შემდეგ, არამედ ერთდროულად ორი ცოლის ყოლაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჟამთააღმწერლის შემდეგი ცნობა:

„ამათ ჟამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდამან არა შვა შვილი. ამისთჳს ინება მეფემან მოყვანა, შვილიერებისა ძლით, ალთუნ, ნათესავით ოსი, მეუღლედ, აღმთქმელმან, უკეთუ მიეცეს ყრმა-წული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს. და ვითარ გამოჯდა მცირე ჟამი, მუცლად იღო ალთუნ ძე, და შვა, და უწოდეს სახელი გიორგი, რომელი აღიქუა და შეიყვანა შვილად დედოფალმან ჯიგდა-ხათუნ და შემდგომად მცირედისა კუალად მიუდგა და შვა ასული, და უწოდა სახელი თამარ. და აქა შინა განიმორა საყუარელი თჳსი ალთუნ, ნათესავით ოვსი, რომელი ფრიად ქმნულ-კეთილ იყო“.[37]

საისტორიო წყაროდან ამ ადგილის დამოწმება ივ. ჯავახიშვილს უმთავრესად ისტორიულ მოვლენათა დადგენა-დათარიღებისათვის დასჭირდა, მაგრამ მკვლევარი გზადაგზა საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის ამ საინტერესო მოვლენასაც სათანადო კვალიფიკაციას აძლევს. იგი გარკვევით ამბობს, რომ „ულუ-დავითს საყვარელი მხოლოდ მაშინ შეუყვანია სახლში, როდესაც ჯიგდა-ხათუნმა არა შვა შვილი“[38]. ივ. ჯავახიშვილი აქ ხედავს საქართველოში საყოველთაოდ მიღებული ჩვეულების კონკრეტულ გამოვლინებას, რამდენადაც მოსახლეობის ყველა ფენაში მიზანშეწონილად ითვლებოდა უშვილო ქალის დათხოვა და მის ნაცვლად მეორე ცოლის შერთვა, ანდა უშვილო ცოლთან ერთად მეორე ქალთან თანაცხოვრება მემკვიდრის გაჩენის მიზნით. ასეთი გადაწყვეტილების განხორციელება კაცს შეეძლო პირველი ცოლის მოყვანიდან ორი-სამი წლის გასვლის შემდეგ, როდესაც გამოჩნდებოდა ქალის უნაყოფობა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივ. ჯავახიშვილს.

---

[36] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, 145—149.

[37] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, 236—237; შდრ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ტფ., 1906, 667.

[38] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც წერდა: „ცხადია, რომ ჯიგდაზე ჯვარის დაწერისა და ალთუნის საყვარლად მოყვანის შორის ისეთი მანძილი უნდა ვიგულისხმოთ, რომელი ხნის განმავლობაშიაც დედოფლის უნაყოფობა სრულებით უეჭველ გარემოებად უნდა ქცეულიყო. მართალია, მაშინ ამაზე სხვანაირად მსჯელობდნენ ხოლმე, მაგრამ თამარ მეფის ისტორიკოსებისაგან ვიცით, რომ ქორწინების შემდგომ ორი წლის განმავლობაში უშვილობა უკვე მწუხარებაში აგდებდა ხოლმე ცოლქმარსაცა და მეტადრე მახლობლებსაც. ამ შემთხვევაშიც საქმის ვითარება უნდა ამგვარადვე ვიგულისხმოთ და 1249-50 წ., როდესაც ულუ-დავითმა საყვარელი მოიყვანა, ჯიგდა-ხათუნი დაახლოებით უკვე 2—3 წლის განმავლობაში ულუ-დავითის თანამეცხედრე უნდა ყოფილიყო“[39].

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ასეთი გარიგება ხდებოდა ხასად მოყვანილი ქალისაგან ვაჟიშვილის შეძენისა და მის შემდგომ ქალის გაშვების პირობით, რაც ულუ-დავითს ზუსტად არ შეუსრულებია და ალთუნი მას მხოლოდ იმის შემდეგღა დაუთხოვია, როდესაც ასულიც უშვია, მაგრამ ამითი არ იცვლებოდა აღწერილი ჩვეულების შინაარსი. ულუ-დავითის მიერ ალთუნის დაგვიანებით გაშვება, ალბათ, იმან განაპირობა, რომ ალთუნი „ფრიად ქმნულკეთილ იყო“. წინაალმდეგ შემთხვევაში ულუ-დავითი მას ვაჟის დაბადებისთანავე გაუშვებდა და არსებულ ჩვეულებასაც, რაც ქართველთა ცხოვრების პრაქტიკაში ვაჟის შეძენის მოტივით იყო შენარჩუნებული, დათქმული პირობის მიხედვით შეასრულებდა.

მაშასადამე, ყამთააღმწერლის ცნობათა საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა, სხვა საკითხების კვლევის პარალელურად, ყურადღება მიაქცია ორცოლიანობის თავისებურებას, აქედან გამომდინარე ურთიერთობის ნორმებს და აღნიშნული ჩვეულების საფუძვლებს სოციალურად დაწინაურებულ პირთა საოჯახო ცხოვრებაში. როგორც ისტორიული წყაროს შინაარსიდან, ისე ივ. ჯავახიშვილის მსჯელობიდან სრულიად აშკარად გამოჩნდა, რომ შუასაუკუნეების საქართველოში მრავალცოლიანობა არ წარმოადგენდა ცხოვრებისეულ კანონს და მას მხოლოდ შვილიერების საშუალებად იყენებდნენ. პირველ კანონიერ ცოლთან შვილების ყოლის შემთხვევაში კი მეფის მიერ სხვა ქალების მოყვანა და რამდენიმე ცოლთან თანა-

---

[39] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 146.

ცხოვრება ქართველთა ყოფისათვის შეუსაბამო და უცხო მოვლენად ითვლებოდა, რაც ძალიან კარგად ჩანს დიმიტრი მეორის ბიოგრაფიული ცხოვრების შესახებ ჟამთააღმწერლის შემდეგი ცნობიდან: „აქამომდე მეფე დიმიტრი, კეთილად მმართებელი, სკიპტრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართებელი, სისრულისაგან მცირედ მიდრკა, და აღერია წარმართთა. და ისწავნა საქმენი მათნი, უძღებებისა და სიძვისა, გულის-სიტყვსა უკანა შედგომილმან მოიყვანნა ცოლნი სამნი, ერთი ბექას ასული, და სხუა რომელი დედათა შეაცთუნეს სოლომონისებრ, და ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული მცირედ სიბოროტედ მიდრკა, რომლისათვსცა ნიკოლოზ კათალიკოსი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა. ამისთვს დაუტევა კათალიკოსობა“[40].

ჟამთააღმწერლის ამ ცნობას ივ. ჯავახიშვილი იყენებს, მაგრამ არა საოჯახო ყოფის თავისებურების ჩვენებისათვის, არამედ თვით მომხდარი ამბების დადგენისა და სხვა ისტორიული მოვლენების გარკვევის მიზნით. ამიტომ მკვლევარი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ „აქამომდე დიმიტრი ერთცოლიანობას მტკიცედ იცავდა, ხოლო ამ დროითგან მოყოლებული კი სხვების მაგალითს აჰყვა და მეორე და მესამე ცოლიც მოიყვანა“[41]. ამ მოკლე განმარტებით ივ. ჯავახიშვილმა გვამცნო, რომ ჟამთა-აღმწერელი უარყოფითად აფასებდა დიმიტრი II-ის საქციელს, რამდენადაც მან თავის პირად ცხოვრებაში შემოიტანა ქართული ყოფისათვის უცხო მრავალცოლიანობის წესი. ქართველი მემატიანის გულისწყრომაც სწორედ ამან განაპირობა. ჟამთააღმწერელი დიმიტრი II-ეს მრავალ რამეს უქებს, მაგრამ სასტიკად ჰკიცხავს მას სამ ცოლთან ერთდროულად ცხოვრებისათვის, რითაც ის „აღერია წარმართთა და ისწავნა საქმენი მათნი“. მაშასადამე, მემატიანის ცნობა, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა მეფის ოჯახის აღწერილობის მიზნით გამოიყენა, საფუძველია იმის მტკიცებისა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მრავალცოლიანობა ქართული ქრისტიანული ტრადიციისათვის უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა და ის იმდენად „წარმართულ“ (ე. ი. გარედან შეთვისებულ უცხო) წეს-ჩვეულებად ითვლებოდა.

---

40 ქართლის ცხოვრება, II, 282; იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, 729—730.

41 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ მოვლენას წინააღმდეგ ქადაგებით დამაშვრალმა ნიკოლოზ კათალიკოსმა რაკი მეფე თავის შეცდომაში „ვერ არწმუნა, ამისთვის დაუტევა კათალიკოსობა“.

ივ. ჯავახიშვილმა სხვა ნაშრომშიც ცხადჰყო, რომ ქართული ზნე-ჩვეულება და საეკლესიო სამართალი ჰგმობდა ცოლქმრული ერთგულების დარღვევას და განსაკუთრებით მკაცრად სჯიდა მოღალატე ცოლს. სამართალი შედარებით ლმობიერად ეკიდებოდა ქმრის მიერ ხარჭის ყოლას. ივ. ჯავახიშვილს ქართველ მეფეთა მიერ საყვარლის ყოლის ფაქტებიც მოყავს (აშოტ კურაპალატი, მისი შვილი ადარნასე, გიორგი III), მაგრამ იმასაც შენიშნავს, რომ ტრადიციულად მეფე ერთ ცოლს ირთავდა, მრავალცოლიანობის შემთხვევები მონღოლთა გავლენის შედეგი იყო და, ამდენად, ქართული სამართალი მსგავს მოქმედებას სქესობრივი ზნეობის დარღვევად თვლიდა და დანაშაულთა იმ კატეგორიას მიაკუთვნებდა, რომელსაც ერქვა „დანაშაულებანი ბუნებითნი“[42].

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის მიერ განხილული წყაროებისა და მათი ინტერპრეტაციის საფუძველზე გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ შუასაუკუნეების საქართველოს პრივილეგიურ ფენებში ოჯახი ემყარებოდა ერთცოლიანობის კანონს, მრავალცოლიანობა ითვლებოდა კანონსაწინააღმდეგო მოვლენად, ხოლო კანონიერ მეუღლესთან ერთად ხასასთან თანაცხოვრების უფლება დროებით ხასიათს ატარებდა და განპირობებული იყო მემკვიდრე ვაჟიშვილის ყოლის აუცილებლობით.

საზოგადოებისა და სამართლის მიერ დაგმობილ ზემოხსენებულ მოვლენებთან ერთად ივ. ჯავახიშვილი ეხება საოჯახო ურთიერთობისათვის შეუთავსებელ ზოგიერთ ჩვეულებასაც, რომელსაც სახელმწიფო კანონმდებლობა კრძალავდა. ივ. ჯავახიშვილის ინტერპეტაციით, ერთ-ერთ ასეთ უწესო და უჯერო საქმეთა წყებას განეკუთვნებოდა რძლის შერთვა, „რომლის აღმოსაფხვრელად, ან ასალაგმავად საკანონმდებლო კრების მიერ კათალიკოსთა სამართლის წიგნი იქმნა შედგენილი“[43]. XVI საუკუნის ამ ძეგლის ანალიზისა და ხალხურ ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ რძლის შერთვა სქესობრივ აღრევასთან გათანასწორებულ მოვლენად იყო მიჩნეული, რის გამო დამ-

---

[42] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, 187, 296—297.

[43] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 55.

ნაშავები მკაცრად ისჯებოდნენ როგორც სახელმწიფო კანონით (დაკირვა), ისე ჩვეულებითი რჯულით (ჩაქოლვა)[44].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოსთა სამართლის წიგნში გარკვევით ითქვა, რომ რძალზე დაქორწინება ეკრძალებოდა ყველა წოდების კაცს, მაგრამ იქ აღნიშნული არ არის ოჯახისა და ნათესაობის ფარგლებში ეს აკრძალვა კონკრეტულად ვის ეხებოდა — მაზლს, მამამთილს თუ სხვა პირს. სამაგიეროდ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ დაქვრივებულ რძალზე ქორწინდებოდა მისი ქმრის ძმა ან ბიძაშვილი, ე. ი. რომელიმე მაზლთაგანი. საქართველოსა და კავკასიაში ეს ჩვეულება თავისი ფესვებით უკავშირდებოდა ლევირატს და წარმოადგენდა გვიანობამდე შემორჩენილ მის შორეულ გადმონაშთს[45], რომლის შესწავლაში გვერდს ვერ ავუვლით ივ. ჯავახიშვილის აქ დამოწმებულ ნაშრომს.

ივ. ჯავახიშვილი საზოგადოებრივად მიუღებელ მოვლენათა რიგში განიხილავს აგრეთვე ქალის მოტაცების ჩვეულებას. წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით მკვლევარი დასკვნის, რომ „ისტორიულად ცნობილ ხანაში ქალის წაგვრით, ანუ მოტაცებით ცოლად შერთვა უწესობადა და უკანონობად ითვლებოდა და ქართული სამართალი ასეთ მოვლენას ებრძოდა“[46]. წყაროების ანალიზის შედეგად ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოტაცებით ქორწინება საქართველოში XII საუკუნისა და მისი შემდგომი პერიოდისათვის მიუღებელი იყო და თვით X—XI საუკუნეებშიც საქორწინო კავშირის დამყარება ხდებოდა მშობლების მოლაპარაკების გზით, ხშირ შემთხვევაში საქორწინო წყვილის სურვილების გაუთვალისწინებლად[47]. მოტაცებით ქორწინება მით უფრო ადრე გადავარდნილი ჩანს, რომ ქორწინების ამ ჩვეულებისათვის მზითევი არ იყო დამახასიათებელი. მზითევი კი გაჩნდა მაშინ, როცა საქორწინო კავშირის დამყარების საქმეში განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მშვიდობიანი გარიგება[48]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შუა საუკუნეების საქართველოში მოტაცების აქტი შეიძლება მომხდა-

---

44 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 55—56.

45 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, 153—179 (აქვე, იხ. ლიტერატურა).

46 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 160.

47 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, 359—366.

48 ი ქ ვ ე, 374.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიყო, მაგრამ ქართული სამართალი და საზოგადოებრივი აზრი ასეთ შემთხვევებს ებრძოდა. ბრძოლის საფუძველს წარმოადგენდა აღნიშნული ჩვეულების დრომოჭმულობა და საქორწინო ურთიერთობის მდგრად ფორმებთან მისი შეუთავსებლობა, მაგრამ ეს ჩვეულება ფეოდალურ საქართველოში მაინც ინარჩუნებდა არსებობას. მეცნიერის სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც დაასკვნა, რომ „წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდა, როგორც სრულებით ბუნებრივი ჩვეულება“[49]. ამის მნიშვნელოვან საბუთად მკვლევარს მიაჩნია ეთნოგრაფიულ ყოფაში მოქმედი ჩვეულებანი. მას მხედველობაში აქვს შეიარაღებული მაყრების ცხენებით სვლის წესის აღწერილობა ვახტანგ ბატონიშვილის მიერ. ამ ჩვეულებაში, რაც ფეოდალური ხანისა და შემდეგდროინდელ საქართველოში უკვე მშვიდობიანი ქორწილის ერთ-ერთ მხატვრულ დეტალს წარმოადგენდა, ივ. ჯავახიშვილი ხედავს მოტაცებით ქორწინების ოდინდელი წესების სიმბოლურ გამოხატულებას, მშვიდობიანი ქორწინების სამკაულად ქცეულ შორეულ გადმონაშთს[50].

ზემოთ განხილულს გარდა ივ. ჯავახიშვილი სწავლობდა საოჯახო ყოფისა და საქორწინო ურთიერთობის სფეროში შემავალ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქორწინო ასაკი, ზნეობრივ-მორალური ნორმები, დანაშაულთა ხასიათი და სასჯელთა სახეობანი, ცოლქმრის უფლება-მოვალეობანი, მამაკაცისა და დედაკაცის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობა და ა. შ. ოჯახისა და ქორწინების საკითხებს ივ. ჯავახიშვილი ისტორიულ ჭრილში განიხილავდა და ერთმანეთისაგან მიჯნავდა ქრისტიანობამდელსა და ქრისტიანობის მიერ შემოღებულ წეს-ჩვეულებებს. მას მიაჩნდა, რომ ქორწინების სფეროში ქრისტიანობამ წარმართობის მრავალი წესი აღმოფხვრა და მის ადგილას თავისი დაამკვიდრა, რის შედეგადაც, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგროინდელი საისტორიო წყაროების საფუძველზე, უკვე შეუძლებელია ქორწინების პირვანდელი ფორმების სრული სახით აღწერა, მაგრამ მკვლევარი ამასთან ერთად ითვალისწინებდა ახალ გარემოში უძველეს ჩვეულებათა შემონახვის ფაქტორს. XV-XVI სს. წყაროების შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ ქართველები ზოგჯერ საეკლესიო ქორწინებისა და ჯვარისწერის წესებსაც არ ასრულებდნენ, ხოლო

---

[49] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 161.
[50] ი ქ ვ ე, 164.

სახელმწიფო კანონმდებლობა ამ დარღვევათა წინააღმდეგ სასჯელის სათანადო ფორმებს იყენებდა. აღნიშნული ვითარებიდან ჩანს, თუ რაოდენ სიცოცხლისუნარიანია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ადრინდელ საფეხურებზე წარმოქმნილი წეს-ჩვეულებები და გადმონაშთური ფორმით როგორ ხანგრძლივად ინარჩუნებენ არსებობას ახალ საზოგადოებრივ გარემოში. ტრადიციებისა და მათი გადმონაშთური ფორმების აღნიშნულ თავისებურებებს, რაც ზოგჯერ ხელაღებითაა უგულებელყოფილი ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში, ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ისტორიული წყაროების ნაკლებობით არსებულ ხარვეზს ის შესაბამისი ეთნოგრაფიული მასალით ავსებდა, დოკუმენტური მასალების შინაარსის გახსნაშიც არაერთგზის მიმართავდა ეთნოგრაფიულ მონაცემებს და ასე გამრავალფეროვანებული წყაროების ანალიზის საფუძველზე მოვლენათა სრულფასოვან შესწავლას აღწევდა. ივ. ჯავახიშვილი ეთნოგრაფიული მასალის გამოყენების საჭიროებას ხედავდა თვით საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლისათვის. მისი შეხედულებით, „ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ქორწინების ზნე-ჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამეა შენახული, რაც შორეული წარსულის ნაშთს წარმოადგენს და ცოლქმრობის დამყარების ძველის-ძველი წესების ისტორიის ერთ-ერთი საფეხურის დამახასიათებელია... ამიტომ მკვლევარი ვალდებულია ყველა, მცირეოდენი ცნობებიც კი გამოიყენოს, რომელიც ამ საკითხის გაშუქებას ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს“[51].

დამოწმებული მსჯელობა კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილი საქორწინო წეს-ჩვეულებებს და საოჯახო ყოფას, როგორც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შემადგენელ კომპონენტს, ისტორიულ განზომილებაში სწავლობდა. დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელების მიზნით იგი ისტორიულ წყაროებთან ერთად ამომწურავი სისრულით იყენებდა ეთნოგრაფიულ მასალებს. კვლევის ამგვარი მეთოდით ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო ეთნოგრაფიული მასალის მრავალმხრივი მნიშვნელობა და პირველწყაროდ მისი ფართოდ გამოყენების საჭიროება. ამასთან ერთად, მან გვიჩვენა ეთნოგრაფის მიერ ისტორიული წყაროების შესწავლისა და ეთნოგრაფიულ კვლევაში ისტორიზმის დანერგვის აუცილებლობა, რითაც ჯერ კიდევ სათანადოდ უზრუნველყოფილი ვერ არის თანამედროვე ქართული ეთნოგრაფია.

---

[51] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 160.

დასასრულ შეიძლება დავასკვნათ, რომ ივ. ჯავახიშვილმა ქართველი ხალხის საოჯახო ყოფისა და საქორწინო ურთიერთობის ისტორიიდან მრავალი მოვლენა გამოიკვლია, რითაც გეზი მისცა მათ შემდგომ ეთნოგრაფიულ შესწავლას. ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის რიგი სხვა პრობლემის კვლევასთან ერთად ზემოთ განხილული საკითხების შესწავლით ივ. ჯავახიშვილმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული ეთნოგრაფიის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება-განვითარების საქმეში. თავისი ფუძემდებლური შრომებითა და მეთოდოლოგიით ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

სიმონ ჯანაშია ქართველი ხალხის უძველესი სოციალური ისტორიის საკითხების კვლევის პროცესში საოჯახო ყოფის შესწავლას სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა ს. ჯანაშია, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ოჯახს უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან კავშირში განიხილავდა. საამისოდ ის ეთნოგრაფიულ მასალას ისევე უხვად იყენებდა და მას ისეთსავე პირველხარისხოვან წყაროდ მიიჩნევდა, როგორც საისტორიო მწერლობას, არქეოლოგიურ მონაპოვრებს და ლინგვისტურ მონაცემებს. ესოდენ მრავალფეროვანი წყაროების პირდაპირი ჩვენებისა თუ მერმინდელი ანალოგიების რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია სწავლობდა სოციალურ მოვლენათა როგორც თავდაპირველ, ისე გადმონაშთურ ფორმებს და წარმატებით აღწევდა მათ შორის უწყვეტი გენეტიკური კავშირის დამყარებას. სოციალური სტრუქტურის ამ გზით შესწავლის შედეგად ს. ჯანაშიამ, ივ. ჯავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად, თვალნათლივ გვიჩვენა ტრადიციული ეთნოგრაფიული მოვლენების შესწავლის მნიშვნელობა. ამ რიგის ტრადიციულ მოვლენებს ს. ჯანაშია ეძებდა ქართული გვარისა და ოჯახის სტრუქტურაში. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველ ტომებში წინაკლასობრივი საზოგადოების დახასიათებისას მკვლევარი სხვა რიგის წყაროებთან ერთად ქართული დიდი ოჯახისა და გვარის შესახებ შემონახულ ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც უხვად იყენებდა. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ნაშრომი — „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში", რომელიც პირველად დაიბეჭდა 1933 წელს, ხოლო შემდეგ შევიდა ავტორის შრომების მეორე ტომში (1952 წ.). ამ ნაშრომში ჯერ მოცემულია წინაკლასობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარების ზოგადი მონახაზი, ხოლო შემდეგ ნაჩვენებია ქართველ ტომებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაროვნული წყობილების ძირითადი თავისებურებანი, მისი რღვევის შედეგად კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესი და უძველესი სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთები.

გვაროვნული წყობილების ზოგადი დახასიათებისას ს. ჯანაშია გზადაგზა ეხება ოჯახის წარმოშობა-განვითარების საკითხებსაც. მარქსისტული მეთოდოლოგიით აღჭურვილი მკვლევარი ავითარებს იმ დროისათვის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში უკვე განმტკიცებულ თვალსაზრისს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ევოლუციის შესახებ. ამ თვალსაზრისის შესაბამისად, საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ვ. ი. ლენინის მიერ პირველყოფილ ჯოგად სახელდებული ურდო ჯერ შეგროვებით მეურნეობას ეწეოდა, ხოლო შემდეგ მონადირეობას და პირველყოფილ „მეგობისტნეობას“ ეკიდებოდა, ს. ჯანაშია გამორიცხავს ოჯახის არსებობას. მისი მსჯელობის თანახმად, ოჯახი ჩნდება გვაროვნულ წყობილებაში, სადაც „ურდოს ადგილი გვარს უჭირავს, სისხლით მონათესავე პირების ბუნებრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებას“, ხოლო გვართა კავშირი შეადგენდა ტომს[1]. ამგვარი ერთეულების გვერდით ს. ჯანაშია ასახელებს დიდ ოჯახს, როგორც უმცირეს უჯრედს იმდროინდელ სოციალურ სტრუქტურაში. ეს ნათლად ჩანს დიდი ოჯახის შესახებ მის მიერვე მოცემულ განმარტებიდან: „ასე ეწოდება იმ დროინდელ უკნინეს საზოგადოებრივ ერთეულს, რამდენიმე მონათესავე ოჯახის კრებულს, რომელიც ერთ სახლად ცხოვრობს“[2].

მოცემული განმარტება შეეხება დიდი ოჯახის თავდაპირველ სახეობას — საოჯახო თემს, რომლის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი ნათესაური გაერთიანების ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ამ თავისებურებას მეტ-ნაკლები სისრულით ინარჩუნებდა აგრეთვე საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა მისი არსებობის მთელ სიგრძეზე. ახლო ნათესავების ასეთ ერთობლიობას ს. ჯანაშიამ უწოდა „რამდენიმე მონათესავე ოჯახის კრებული“, რაშიაც უსათუოდ იგულისხმება სხვადასხვა თაობის რამდენიმე საქორწინო წყვილის გაუყრელად ყოფნა თავიანთი შთამომავლობით. თანამედროვე ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მიღებული ნომენკლატურის შესაბამისად მიზანშეწონილი არ არის

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, „შრომები“, II, თბ., 1952, 110.

[2] ი ქ ვ ე. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოჯახის შემადგენლობაში გაერთიანებულ საქორწინო წყვილებს ოჯახები ვუწოდოთ, რამდენადაც ოჯახის შიგნით ოჯახის ყოფნა შეუთავსებელია ნებისმიერი ტიპის ოჯახის სტრუქტურისათვის. მაგრამ ზემოხსენებულ ფორმულირებაში დაშვებული ხარვეზის მიუხედავად ს. ჯანაშიამ სწორად განსაზღვრა როგორც დიდი ოჯახის შემადგენლობა, ისე მისი ადგილი წინაკლასობრივ საზოგადოებაში.

ს. ჯანაშიას მართებული გაგებით, გვაროვნულ წყობილებაში წარმოქმნილი დიდი ოჯახის ფორმირება მიმდინარეობდა ამ წყობილებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შესაბამისად. როდესაც იგი ეხება გვაროვნული წყობილების განვითარების ეტაპებს და გადმოსცემს მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში თუ საბჭოთა მეცნიერებაში განმტკიცებულ თვალსაზრისს მატრიარქატის პირველადობისა და პატრიარქატის მეორადობის შესახებ, წერს: „ვიდრე შინაურ მეურნეობაში ქალი მეთაურობს (სანამ მიწისმოქმედება სუსტადაა განვითარებული, იგი ქალის საქმიანობის სფეროა), დიდი ოჯახის მეთაურადაც ქალი გამოდის. ზოგჯერ ეს მდგომარეობა მ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ ა დ ანუ დ ე დ ა მ თ ა ვ რ ო ბ ა დ ა ც ყალიბდება. მაგრამ მეურნეობაში მამაკაცის როლის გაძლიერებამ (მეჯოგეობა და ფართო მიწისმოქმედება მისი საქმიანობის სფეროა) სოციალურ ცხოვრებაშიც უპირატესობა მამაკაცს არგუნა საბოლოოდ. ყალიბდება ე. წ. პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ ი ანუ მ ა მ ა მ თ ა ვ რ ო ბ ა, რომელიც სხვადასხვა ტომში, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირია“[3].

დამოწმებული ადგილიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ ს. ჯანაშია დიდი ოჯახის განვითარებაში გამოყოფს ორ ეტაპს: ჯერ ყალიბდება მატრიარქალური დიდი ოჯახი, ხოლო გვაროვნული წყობილების შემდგომ საფეხურზე მის ადგილს იჭერს პატრიარქალური საოჯახო თემი.

გვაროვნული წყობილების ძირითადი ნიშნების დახასიათების მიზნით ს. ჯანაშიამ საჭიროდ სცნო დიდი ოჯახის ფორმებისა და შემადგენლობის გარკვევასთან ერთად ეჩვენებინა საკუთრების ფორმებიც. როგორც ის წერს, გვაროვნულ წყობილებაში, გვარისა და საოჯახო თემის თანაარსებობის პირობებში „მთავარი საწარმოო საშუალება არის მიწა. იგი საერთო — ტომის და გვარის — საკუთრებაა, შრომის იარაღები კი კერძო საკუთრებას შეადგენენ —

---

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოჯახისას და ცალკე ინდივიდისას"[4]. აღნიშნულს გარდა, ეჭვი
მიაჩნია, რომ გვაროვნული წყობილების გარკვეულ საფეხურზე,
კერძოდ კი იმ ეტაპზე, „რაც იწყებენ მიწის დამუშავებას, მიწა
იყოფა ცალკე ნაჭრებად, რომლებსაც ცალკე დიდი ოჯახები ჰფლობ-
ენ და ამუშავებენ"[5]. ამის საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ „მიწა
საგვარეულო საკუთრებისა და საოჯახო მფლობელობის საგანია"[6].
მაშასადამე, ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ მიწის საკუთრების უფლე-
ბით სარგებლობდა გვარი, ხოლო მისი მფლობელობის უფლებით —
ოჯახი. ამგვარი კვალიფიკაცია გვაფიქრებინებს, რომ მკვლევარს
„მიწის მფლობელობა" ნახმარი აქვს „მიწით სარგებლობის" შინა-
არსით. თუ ასეთ ვარაუდს გამოვრიცხავთ და „მფლობელობას"
პირდაპირი შინაარსით გავიაზრებთ, ძალაუნებურად გამოვა, რომ
ერთდროულად მიწის მესაკუთრეა როგორც გვარი, ისე ოჯახი, რამ-
დენადაც „მფლობელობა" საკუთრების გამომხატველი სიტყვაა.
გვაროვნული წყობილების საფეხურზე კი, როდესაც ძირითად სო-
ციალურ-ეკონომიურ ერთეულს გვარი წარმოადგენდა და საკუთ-
რებაც გვაროვნული არსებობდა, მიწის მფლობელად ანუ მესა-
კუთრედ ოჯახის გამოცხადება შეუძლებელია. ამიტომ უყოყმანოდ
შეიძლება ითქვას, რომ ს. ჯანაშია „მფლობელობაში" გულისხმობ-
და „სარგებლობას", რაც კარგად ჩანს მისივე მომდევნო მსჯელობი-
დან: „სრულ თანასწორობის განხორციელებისათვის ხდება მიწის
ხელახალი პერიოდული განაწილება: ერთიდაიგივე მიწის ნაკვეთი
სხვადასხვა ოჯახს შორის მოძრაობს"[7]. ოჯახებს შორის სრული თა-
ნასწორობის შენარჩუნების მიზნით მიწების პერიოდული განაწ-
ილება თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ ასეთ ვითარებაში ოჯა-
ხი მიწის მესაკუთრე ერთეული არ არის, იგი აღჭურვილია მხოლოდ
მიწით სარგებლობის უფლებით, რაც თანასწორად განაწილების
პრინციპს ემყარება, ხოლო გვაროვნულ წყობილებაში ამ განაწ-
ილებული მიწის მესაკუთრეა გვარი და, ამდენად, გვაროვნული
წყობილების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად კვლავ გვაროვნული სა-
კუთრება რჩება.

ს. ჯანაშიას სავსებით სწორად აქვს გააზრებული საოჯახო სა-
კუთრების წარმოშობის პროცესი. მისი ნაშრომიდან გამოკვეთი-

---

[4] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 110—111.
[5] ი ქ ვ ე, 111.
[6] ი ქ ვ ე.
[7] ი ქ ვ ე.

ლად ჩანს, რომ საოჯახო საკუთრება იქმნება გვაროვნული წყობილების წიაღში ქონებრივი უთანასწორობის გაჩენის, საგვარეულო საკუთრების რღვევისა და თვით გვაროვნული წყობილების დაშლის საფეხურზე. მარქსიზმის კლასიკოსების დებულებებზე დაყრდნობით ს. ჯანაშია ავითარებს იმ შეხედულებას, რომ მეჯოგე ტომებში საქონელი, ხოლო მიწისმოქმედ ტომებში მიწა იქცა კერძო საკუთრებისა და აღებ-მიცემის საგნად, რამაც გააღრმავა ქონებრივი უთანასწორობა ცალკე ჯგუფებს შორის. „ქონებრივ უთანასწორობის ზრდას თან სდევდა საგვარეულო საკუთრების რღვევაც. ეს პროცესი ყველაზე ადრე, როგორც ფიქრობენ, ჯოგებზე ვრცელდება. ჯოგები გვარისა და ტომის საერთო საკუთრებიდან ცალკე ოჯახების კერძო საკუთრებად იქცევიან“[8]. ს. ჯანაშია ანალოგიურ პროცესს გვაცნობს მიწისმოქმედ ტომებში, როდესაც „ცალკე ოჯახები, რომელნიც თავიანთ მიწის ნაკვეთებზე განსაკუთრებულ ენერგიას ხარჯავენ და იქ ზოგჯერ საკმაოდ მაღალ კულტურებს აშენებენ, ამ ნაკვეთებზე უფრო მყარ უფლებების მოპოვებას ცდილობენ, წინააღმდეგობას უწევენ გვარის უფლებას მოახდინოს მიწების პერიოდული ხელახალი დაყოფა და, დასასრულ, ამ მიწებს საკუთრებადაც იმკვიდრებენ“[9].

ს. ჯანაშიას შეხედულებით, გვარის დაშლისა და საოჯახო საკუთრების წარმოშობის საფუძველი თვით გვარის შინაგან სტრუქტურაში არსებობს. გვარის დაშლის მნიშვნელოვან ფაქტორად მას მიაჩნია ნამატი პროდუქტების დაგროვება ცალკე ოჯახებში, გვარში მისი უთანაბრო განაწილება და დიდ ოჯახებს შორის ქონებრივი უთანასწორობის ზრდა. ასეთი ტენდენციის საფუძვლად მკვლევარი თვლის საზოგადო (საგვარეულო) საკუთრების გვერდით კერძო (საოჯახო) საკუთრების არსებობას, ე. ი. საზოგადო და კერძო საკუთრების თანაარსებობას.[10].

როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშიამ თანმიმდევრულად გვიჩვენა გვაროვნული წყობილების დაშლის საფეხურზე საზოგადო საკუთრების პარალელურად საოჯახო საკუთრების წარმოშობის პროცესი; მაგრამ სათანადო განმარტებას მოითხოვს ერთი საკითხი. საქმე იმაშია, რომ ს. ჯანაშიას ნაშრომში საოჯახო საკუთრება და კერძო საკუთრება იდენტური შინაარსის მატარებელია, ისევე როგორც

---

[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 113.

[9] ი ქ ვ ე, 115.

[10] ი ქ ვ ე, 112—113.

საზოგადო საკუთრებაში ნაგულისხმევია საგვარო საკუთრება. მაგრამ რამდენადაც საზოგადო და საგვარო საკუთრება ეროვნული ეროვნული იგივეა, დაზუსტებას მოითხოვს კერძო და საოჯახო საკუთრების გაერთმნიშვნელიანება. ეს მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ს. ჯანაშიას მსჯელობა ეხება დიდ ოჯახს ანუ საოჯახო თემს მისი არსებობის პირვანდელ საფეხურზე, ე. ი. გვაროვნულ საზოგადოებაში, როდესაც ამ ტიპის ოჯახის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიშანდობლივ კომპონენტს წარმოადგენდა საოჯახო ქონების ერთობლივი საკუთრება. საკუთრების ამგვარი წესი რამდენადმე შეცვლილი სახით საოჯახო თემის გადმონაშთურმა სახეობამაც კი შემოინახა. XIX საუკუნეში ამ სახით შემონახული დიდი ოჯახის ქონება კვლავ საერთო-საოჯახო იყო და მასზე კერძო საკუთრების უფლებით ოჯახის არც ერთი წევრი, თვით ოჯახის უფროსიც კი, არ სარგებლობდა. უფრო მეტიც, დიდი ოჯახის შენარჩუნების ყველაზე უფრო მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა საოჯახო-თემური საკუთრების ნოუშლელობა. როგორც კი ოჯახის ცალკეული წევრები საკუთარი ქონების მოხვეჭით დაინტერესდებოდნენ, ერთპიროვნული განკერძოებისაკენ მიდრეკილებას გამოიჩენდნენ, კერძო-მესაკუთრულ ტენდენციას გააღრმავებდნენ და ამით ერთობლივ საოჯახო საკუთრებას საფუძველს მოურღვევდნენ, საოჯახო-თემურ საკუთრებაზე დაფუძნებული ეს ნათესაური გაერთიანება კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ინდივიდუალურ ოჯახებად დაიყოფოდა. ამიტომ სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული, რომ საოჯახო-თემური საკუთრება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის დასამტკიცებლად, რომ XIX საუკუნეში არსებული დიდი ოჯახი გენეტიკურად უკავშირდებოდა საოჯახო თემს და წარმოადგენდა მის გადმონაშთურ სახეობას. თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში და განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებთ იმ გარემოებას, რომ გვაროვნულ წყობილებაში საოჯახო თემი ანუ დიდი ოჯახი საოჯახო-თემურ საკუთრებას ემყარებოდა, ასეთ საზოგადოებაში კერძო საკუთრების გაიგივება საოჯახო თემის საკუთრებასთან გაუმართლებელი იქნებოდა. კერძო საკუთრებას შეიძლება გაუთანაბროთ მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახის საოჯახო საკუთრება, სადაც ერთპიროვნული კერძო მესაკუთრის უფლება მოპოვებული აქვს ერთ პიროვნებას — ოჯახის უფროსს. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ს. ჯანაშიას მიერ ერთმანეთისადმი დაპირისპირებაში განხილული საზოგადო და კერძო საკუთრება ეს არის, ერთი მხრივ, საზოგადო ანუ საგვარო საკუთრება, ხოლო, მეორე მხრივ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოჯახის საკუთრება ანუ საოჯახო-თემური საკუთრება, რომელის შიგნით კერძო საკუთრების ინსტიტუტი არ არსებობდა.

როგორც ვხედავთ, გვაროვნული წყობილების შესწავლისადმი განკუთვნილი ნაშრომის ზოგად-თეორიულ ნაწილში, რომელშიც მოცემულია საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ უძველესი საფეხურის დახასიათება მისი განვითარების უმთავრესი ეტაპებისა და ნიშანდობლივი მხარეების ჩვენებით, ს. ჯანაშია შემოიფარგლა საოჯახო ყოფის ზოგიერთი თავისებურების განხილვით. მას არ მოუცია ოჯახის ისტორიული ფორმებისა და მისი შესაბამისი ნიშნების სრული მიმოხილვა. მკვლევარს ეს არც მოეთხოვებოდა, რამდენადაც საოჯახო ყოფის ცალკეულ ელემენტებს იგი ეხებოდა გვაროვნული წყობილების ძირითადი კომპონენტების ჩვენების მიზნით. ერთ-ერთ ასეთ კომპონენტად კი მან წარმოგვიდგინა დიდი ოჯახი და ცხადყო, რომ გვაროვნულ წყობილებაში ის იყო უმცირესი სოციალური უჯრედი, რომლის სტრუქტურა დროთა ვითარებაში ცვალებადობას განიცდიდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარ ცვალებადობათა შესაბამისად. ასეთი ცვალებადობა თავდაპირველად მიმდინარეობდა თვით გვაროვნული წყობილების ძირითადი ეტაპების (მატრიარქატი, პატრიარქატი, გვაროვნული წყობის რღვევის საფეხური) მიხედვით, ხოლო არსებითი ხასიათის გარდაქმნას ოჯახი განიცდის გვაროვნული წყობილების დაშლის შემდგომ, ე. ი. კლასობრივ საზოგადოებაში.

ასეთნაირად წარმოგვიდგება ს. ჯანაშიას ზემოხსენებულ ნაშრომში ჩამოყალიბებული ზოგად-თეორიული კონცეფცია ოჯახის ფორმებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში მისი ადგილის შესახებ, მაგრამ ამ ნაშრომის ღირსება ზემოთქმულით არ ამოიწურება. მარქსისტულად გამართულ შეხედულებებთან ერთად, რაც საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების პოზიციიდან ზოგადი ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს ეხმაურება, ს. ჯანაშია ოჯახისა და საზოგადოების განვითარების ამ საერთო კანონზომიერებათა ფონზე განიხილავს კონკრეტულ მონაცემებს ქართველი ხალხის ისტორიული ეთნოგრაფიის სფეროდან და ამით ქართული ეთნოგრაფიული მასალის ზოგად-თეორიულ მნიშვნელობასაც ზრდის. მხედველობაში გვაქვს ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების მიმოხილვას ეძღვნება და ავტორის მსჯელობა უმთავრესად ემყარება გადმონაშთურ ეთნოგრაფიულ მასალას ქართველ მთიელებში (კერ-

ძოდ სვანებში) XIX საუკუნემდე შემორჩენილი სოციალური ინსტიტუტების ტრადიციული ფორმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ჯანაშია საგანგებოდ ეხება ტერიტორიული თემის გადმონაშთებს XIX საუკუნის სვანეთში, აღწერს მისი მმართველობის შესაბამის ფორმებს და ამ რიგის მოვლენებთან კავშირში ყურადღებას აქცევს საოჯახო ყოფის ზოგიერთ არქაულ ელემენტსაც. სვანეთის სოციალური სტრუქტურის დახასიათებისას ს. ჯანაშია საკმაო სისრულით გვაცნობს თემის ყრილობის ფუნქციებს და მის როლს საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის სფეროში. მკვლევარმა დაგვანახა, რომ თემის ყრილობა, მთელ რიგ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, არეგულირებდა მექორწინე მხარეთა ურთიერთობას, აწესრიგებდა ზნეობრივ ნორმებს, განსაზღვრავდა ნათესაური კავშირის ფარგლებს და ეგზოგამიის დარღვევის შესაძლებლობას, ხოლო ტრადიციის შემლახველთა მიმართ დასჯის საშუალებებსაც იყენებდა. თემის ყრილობის აღნიშნული ფუნქციების შესახებ ს. ჯანაშია წერს: „განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყრილობა სქესობრივ ზნეობის დაცვას. მაგ., ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისათვის თემი დამნაშავე ქალის მშობლებს ან მის მეურვეებს ან ნათესავებს ჯარიმად წაართმევდა ხოლმე ერთ დღიურს სახნავ-სათიბს ან ტყეს, რაც სამუდამოდ იქცეოდა თემის საკუთრებად და საზოგადოებრივ შემოსავლის წყაროდ. ზნეობრივი სასჯელი კიდევ სხვა იყო. ისჯებოდა აგრეთვე სისხლის შერევაც. აკრძალული იყო ნათესავების დაქორწინება ათი თაობის ფარგლებში, ერთი თაობის სახლიკაცებს-კი შეუღლება სრულიად აკრძალული ჰქონდათ, რაგინდ შორეული ნათესაობაც არ ყოფილიყო მათ შორის“[11].

აქედან სრულიად აშკარად ჩანს, რომ ს. ჯანაშიას უმთავრეს ამოცანას შეადგენდა სვანეთში XIX საუკუნემდე ტრადიციულად შენარჩუნებული თემური მმართველობის სისტემის დახასიათება. ამაზე მსჯელობისას თავისთავად წამოტივტივდა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის ზოგიერთი საკითხიც, ვინაიდან თემური ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციების ხანგრძლივად არსებობის პირობებში თემის ყრილობა საოჯახო ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების სფეროშიც აქტიურად იყო ჩარეული. საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის რეგულირებაში თემის ყრილობის ფუნქციების ჩვენების საფუძველზე ს. ჯანაშიამ გამოამზეურა საოჯახო

---

[11] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 120—121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის ნორმების ერთი ნაწილი, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია საოჯახო ყოფის სრულფასოვანი შესწავლა.

ასევე საყურადღებოა ს. ჯანაშიას დაკვირვება XIX საუკუნის სვანეთში გადმონაშთის სახით შემონახული დიდი ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობის, მისი უფროსის უფლებამოსილებისა და ამ ტიპის ოჯახში არსებული ერთობლივი საკუთრება-მოხმარების წესის შესახებ. სვანური დიდი ოჯახის ამ თავისებურებათა გამო ს. ჯანაშია წერს: „აქ ალებულ ხანაში (იგულისხმება XIX საუკუნე — ვ. ი.) მოიპოვებოდნენ ოჯახები, 50 სულის შემადგენლობით, რომლებშიც მეთაურობა განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილს ოჯახის მამას ეკუთვნოდა; ოჯახის წევრების მონაგარი საერთო საკუთრებას შეადგენდა და თავის მოთხოვნილებებსაც ოჯახი უმეტეს წილად საკუთარ პროდუქტებით იკმაყოფილებდა“[12].

ოჯახისა და ქორწინების არქაული ფორმების შესწავლისათვის არანაკლებად მნიშვნელოვანია ს. ჯანაშიას დაკვირვება სვანთა ყოფაში გადმონაშთის სახით შენარჩუნებული ისეთი ჩვეულების შესახებ, რომელიც გენეტიკურად ლევირატის ინსტიტუტს უკავშირდება. ს. ჯანაშიას განმარტებით, ასეთი სახის გადმონაშთად წარმოგვიდგება „ძმის ან სხვა მახლობელ ნათესავის უფლება შეერთოთ გარდაცვლილ ოჯახის წევრის ქვრივი, რათა ეს უკანასკნელი გარდაცვლილის ქონებითურთ ისევ ოჯახში დარჩენილიყო“[13].

ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ზემოხსენებულ გადმონაშთურ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება იმან განაპირობა, რომ ს. ჯანაშია ამ წყობილების ნაკვალევს ამჩნევდა მთიელთა „ოჯახის წყობაში“, „შეუღლების წესებში“, „სისხლის ალების ადათში“, „უფროს-უმცროსობის წესებში“[14] და ა. შ. წეს-ჩვეულებათა მთელ ამ სისტემასა და თემის სტრუქტურაზე დაკვირვების შედეგად მკვლევარმა ამოიცნო უძველესი საზოგადოებრივი ყოფის მერმინდელი ანალოგიები, რომლებიც მას, პირველ ყოვლისა, ქართველ მთიელთა ყოფაში ეგულებოდა. ეს კონკრეტულად გამოჩნდა სვანეთის მაგალითზე, სადაც XIX საუკუნემდე შემორჩენილ ამგვარ მოვლენებში ს. ჯანაშია ხედავდა თემური ყოფის გადმონაშთებს და არა მის თავდაპირველ ფორმებს. ამიტომაც აღნიშნავდა იგი, რომ „აღწერილ დაწესებულე-

---

[12] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 123.

[13] ი ქ ვ ე.

[14] ი ქ ვ ე.

ბებიდან გამოკრთის გვაროვნული ორგანიზაციის სახე. ამ პირველყოფილ მდგომარეობის კვალი"[15]. ეს გამოთქმები: „გამოკრთის გვაროვნული ორგანიზაციის სახე", ანდა „პირველყოფილ მდგომარეობის კვალი" თავისთავად გადმონაშთურ მოვლენებზე მსჯელობის მაჩვენებელია. ამ პოზიციაზე მდგომი მკვლევარი რომ XIX საუკუნის სვანეთში მხოლოდ ამგვარ ვითარებას ხედავს, ეს ნათლად ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდანაც: „შეცდომა იქნებოდა, რომ ახალი სვანური თემი გაქვავებულ პირველყოფილ გვარად წარმოგვედგინა. მას უკვე დიდი ცვლილებები ჰქონდა განცდილი. საკმარისია იმისი აღნიშვნაც, რომ უკვე მისი საძირკველი იყო გარღვეული: მოცემულ პერიოდში უძრავი ქონება აქ უკვე კერძო საკუთრების საგნად ითვლებოდა. სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე და საძოვარი ცალკე ოჯახებს ეკუთვნოდათ. მესაკუთრეს თავის მამულის გასხვისების (მაგ., გაყიდვის მის მიერვე დანიშნულ ფასებში) უფლება ჰქონდა. გაყიდული მამული მყიდველის სამუდამო და სამემკვიდრეო საკუთრებად იქცეოდა"[16].

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გვაროვნული წყობილების შესწავლისათვის განკუთვნილ ნაშრომში ს. ჯანაშიამ სათანადო ადგილი მიუჩინა მონაცემებს ოჯახის სტრუქტურის შესახებ და ეს მონაცემები საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმებთან კავშირში განიხილა. ოჯახის თავდაპირველი თუ გადმონაშთური ფორმების, ისევე როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა ელემენტების, განხილვის დონით ს. ჯანაშიას ეს ნაშრომი პასუხობს როგორც ზოგად ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ამოცანებს, ისე ქართველ ხალხში (სახელდობრ სვანებში) უძველესი სოციალური ყოფის შესწავლის ინტერესებს.

ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას ს. ჯანაშია აღრმავებს მომდევნო შრომებშიც. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმებთან კავშირში ოჯახის არქაული ფორმების განხილვას მან სერიოზული ყურადღება მიაქცია ჯერ 1933 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ადრეული ფეოდალიზმი"), ხოლო აქ ჩამოყალიბებული დებულებები შეავსო, დახვეწა და განამტკიცა 1937 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე". ძირითად წყაროდ გამოყენებული ენობრივი და ეთნოგრაფიული მონაცემების რეტროსპექტული მეთოდით გაანალიზების

---

15 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 123.

16 ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველზე იგი ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ ქართველ ტომთა წინაპრები ბინადარ ცხოვრებას იწყებენ მიწათმოქმედებაზე, კერძოდ პრიმიტიულ მებოსტნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. „სოციალურად ამ ცვლილებას შეეფარდებოდა „სახლ“-ის, როგორც ძირითად სოციალურ ერთეულის, ჩამოყალიბება. „სახლი“ (ჭანურ-მეგრული „ოხორი“, სვანური „ლახორ“ ანუ „ლალხორ“) არის გარკვეული საზოგადოებრივი ერთობა, რომელიც დასახელებულ სამეურნეო ფაქტისა (მებოსტნეობა) და წინა პერიოდიდან მიღებულ ტრადიციების ნიადაგზე მატრიარქალურ წესის მიხედვით ეწყობა. „სახლ“-ის სათავეში დგას ქალი, დედათმთავარი, „დიასახლისი“. სახლის წევრები ანუ „სახლისშვილები“ ურთიერთნათესაობას დედის ხაზით ანგარიშობენ. ამიტომ არის, რომ დასავლეთ საქართველოში დღესაც „სახლისშვილი“, ისევე როგორც ჭანური „ოხრასკირი“ (სკირი ნიშნავს შვილს) და „ოხრასურე“, მეგრული (ამჟამად, მხოლოდ ნაწილობრივ) „ოხორასკილი“ ისეთი ტერმინებია, რომელნიც აღნიშნავენ ნათესაობას დედის, ქალის ხაზით. ხოლო „სახლის“ ჩამოყალიბების კავშირი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან მიზეზია იმისა, რომ ეს სიტყვა, ასევე ტრადიციულად, მერმინდელ ხანებშიც „მიწაზე ჯდომის“, „მკვიდრობის“, „მოსახლობის“ მნიშვნელობის მომენტს შეიცავდა. შემდეგ, ეს „სახლი“ არის, ეთნოგრაფების ენით რომ ვთქვათ, „დიდი ოჯახი“ — ისეთი ერთობა ადამიანებისა, რომელიც ერთს ჭერ ქვეშ, ერთ ბინაში ცხოვრობს. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სახლი“ ადამიანთა საცხოვრებელ შენობასაც დაერქვა, და დღეს ხომ ეს ტერმინი უპირატესად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება. სახლიშვილების სოციალური ერთობა დამყარებულია მათს ეკონომიურ ერთობაზე. ერთ ჭერ ქვეშ ერთად ცხოვრება სწორედ ამ ეკონომიკურ ერთობის ერთ-ერთი მომენტია“[17].

ს. ჯანაშია შემდეგ ეხება საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების პატრიარქალურ საფეხურს, სახელდობრ სამხედრო დემოკრატიის ხანას, როდესაც უპირატესობა მამაკაცს ეკუთვნის, „მამასახლისის“ სახით ის სათავეში უდგას „სახლს“ (დიდ ოჯახს, გვარს), ახლა უკვე მამის ხაზით ანგარიშობენ „სახლისკაცობას“ (გვარიშვილობას), ხოლო ყველა „სახლისშვილი“ (იგივე „ერისკაცი“) მეომარი და საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია[18].

---

[17] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „შრომები“, I, თბ., 1949, 131—132.

[18] ი ქ ვ ე, 133—134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ ურთიერთობათა უძველესი საფეხურების შესახებ ს. ჯანაშიამ ამ შემთხვევაში კვლავ ის თვალსაზრისი განავითარა, რაც ჩამოყალიბებული ჰქონდა გვაროვნული წყობილებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. მკვლევარი აქაც იმ შეხედულებას იცავს, რომ დიდი ოჯახი წარმოიშვა გვაროვნული წყობილების მატრიარქალურ საფეხურზე, მისი სტრუქტურა თავდაპირველად დედის უფლებებზე დამყარებულ ტრადიციებს შეესატყვისებოდა, ხოლო განვითარების შემდგომ საფეხურზე გვაროვნული წყობაც და დიდი ოჯახიც პატრიარქალური წესის მიხედვით ეწყობა. ს. ჯანაშიას ორი სხვადასხვა ნაშრომის მიხედვით ამ დებულებათა შორის განსხვავება არ შეინიშნება, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ დებულებათა ფორმულირების საფუძვლებს. საქმე იმაშია, რომ გვაროვნული წყობილებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ს. ჯანაშიას კონცეფცია ოჯახისა და საზოგადოების წარმოშობა-განვითარების შესახებ შეფარდებულია საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით განმტკიცებულ თვალსაზრისთან. ფაქტიურად აქ საქმე გვაქვს მეცნიერებაში დამკვიდრებულ დებულებათა გადმოცემასთან. რაც შეეხება მეორე ნაშრომს, მასში გაშლილი მსჯელობა ემყარება მხოლოდ ქართულ მონაცემებს და მისი ანალიზის შედეგად მიღებული დებულებები ქართველთა წინაპრების საზოგადოებრივი ურთიერთობის მატრიარქალურსა და პატრიარქალურ სტადიაზე დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, ორიგინალური და ავტორისეულია. თანაც უნდა ითქვას, რომ ქართულ მონაცემებზე დაყრდნობითა და მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით შემუშავებული ესოდენ საყურადღებო თვალსაზრისი დიდი ოჯახის თუ სხვა უძველესი სოციალური ინსტიტუტების წარმოქმნა-განვითარების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად სწორედ ს. ჯანაშიამ ჩამოაყალიბა.

აღნიშნულ დებულებათა დაფუძნება ეთნოგრაფიულსა და ენობრივ მონაცემებზე იმის უტყუარი მოწმობაა, რომ უძველესი სოციალური ინსტიტუტების შესწავლას წინ უძღოდა მოსამზადებელი ეთნო-ლინგვისტური ძიებანი. ასეთი წინასწარი მუშაობის ნიმუშად შეიძლება დავიმოწმოთ ს. ჯანაშიას ერთ-ერთი ადრინდელი გამოკვლევა („მრავლობითი რიცხვის-თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის"), რომელიც, ავტორის მესამე ტომში მოთავსებულ შრომათა ბიბლიოგრაფიაში მოცემული განმარტების თანახმად, „დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით ოციანი წლების ბოლოს"[19].

[19] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „შრომები", III, თბ., 1959, 364.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მრავალი კუთხის ენობრივსა და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, ს. ჯანაშია ამ ნაშრომში განიხილავს გვარის, სახელების მწარმოებელ ფორმანტებსაც და არკვევს, რომ გვარის შემადგენლობაში არსებობს ესა თუ ის განშტოება, რომელიც უახლოესი წინაპრის სახელს ატარებს და ბოლოვდება თა, თ, ენ, თი და ა. შ. სუფიქსით. ასეთ განშტოებებს, ვიწრო ნათესაობის გამაერთიანებელ ერთეულებს, ს. ჯანაშია უწოდებს „მეტსახელებს“ ან „მეტგვარებს“, რომლებიც „იხმარება გვარის განაყოფ შტოთა აღსანიშნავად და მცხოვრებნი ერთმანეთს თურმე უმთავრესად ამ სახელებით იცნობენ“[20]. გვარის ფორმა-დაბოლოების შესახებ გამოკითხვით მოძიებული საველე მასალების, წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით გაირკვა, რომ ქართული გვარი თავისი აგებულებით პატრონიმიულ ერთეულს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ს. ჯანაშიამ საგანგებოდ გამოყო თი სუფიქსის მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ „აქ უნდა გვქონდეს ოდესღაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც საფუძვლად დადებული ექნებოდა „ოჯახის“, „გვარის“ ცნება. სათანადო ძიების შედეგად ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა. პროფ. იოს. ყიფშიძე თავის მეგრულ-რუსულ ლექსიკონში უჩვენებს თი სიტყვას, რომელსაც მისი განმარტებით აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: „ოჯახი“, „სახლი“, „სახლ-კარი“ (თუ „კომლი“ двор „საგვარეულო“). აქედან: „მიდართგ მუში თიშა“-წავიდა თავის სახლში, თავისიანებში; „ჩქიმი თი“-ჩემი ოჯახი; „ჩქიმი თური“-ჩემიანი, ჩემი ოჯახის წევრი; „თური კათა“-მეზობლები, სახლიკაცები“[21].

ქართულ მონაცემებთან ერთად აფხაზური და ჩრდილო კავკასიური პარალელების გამოყენებით ს. ჯანაშიამ ამ ნაშრომში გვარის პატრონიმიულ სტრუქტურასთან ერთად ისიც ცხადჰყო, რომ მეგრულში **თი** ნიშნავს ოჯახს, სახლს, საგვარეულოს. შემდგომ პერიოდში ტოპონიმიკური მასალითაც დადასტურდა, რომ სამეგრელოში თი ნიშნავდა დიდ ოჯახს, სახლს, სახლკარობას, მახორობას, ხოლო თი-ზე დაბოლოებული ტიპონიმები დაკავშირებული არიან დიდი ოჯახისა და პატრონიმიული ერთეულის ნაკვალევთან[22].

---

[20] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, „შრომები“, III, 148.

[21] ი ქ ვ ე, 152.

[22] გ. ე ლ ი ა ვ ა, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, „მაცნე“, (ისტორიის... სერია), 1972, № 3, 177—181.

ოჯახის ისტორიის ცალკეულ საკითხებს ს. ჯანაშია სხვა გამოკვლევებშიც ეხება. ერთ-ერთ მათგანში მკვლევარი საინტერესო ცნობებს ვირვებას გვთავაზობს საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის უძველეს საფეხურზე წარმოქმნილი ისეთი ჩვეულების შესახებ, როგორიც იყო პოლიანდრია (მრავალქმრიანობა). იგი განიხილავს ქართულ ისტორიულ წყაროებს საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, მთისა და ბარის სოციალური განვითარების დონეებს შორის შედარებას ახდენს და მთაში სოციალური განვითარების დაბალი დონის რიგ მაჩვენებლებთან ერთად იმოწმებს თამარ მეფის ისტორიკოსის შემდეგ ცნობას ფხოველებისა და დიდოელების შესახებ: ესენი „მშთვარსა და უხარშავსა ჭამენ და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიკუანებენ ცოლად, რომელიმე უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანისცემენ, და ზოგნი — უნიშნოსა შავსა ძაღლსა. და ამას ჰყოფენ, ხოლო ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ“ (ქცხ. მარ. 527). ამის საფუძველზე ს. ჯანაშია დაასკვნის: „როგორც აქ გადმოცემული ცნობები ფხოვლებისა და დიდოელების ზნე-ჩვეულებათა შესახებ (მაგ., უაღრესად საყურადღებო ცნობა პოლიანდრიის შესახებ), ისე სხვა მოსაზრებებიც სრული უეჭველობით გვარწმუნებს, რომ აღნიშნული ტომები ამ დროს თემურ-გვაროვნულ ყოფას განიცდიან“[23].

მთის სოციალური სტრუქტურის აქ მოცემული დახასიათებიდან ამ შემთხვევაში საოჯახო ყოფის შესწავლისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა აზრი იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეების საქართველოსა და დაღესტანში მთიელთა ყოფის ერთ-ერთ ნიშანდობლივ ატრიბუტს წარმოადგენდა მრავალქმრიანობის წესი, რაც მკვლევარმა, არქაულობის მაჩვენებელ სხვა ჩვეულებებთან ერთად, იმის მტკიცების საფუძვლად მიიჩნია, რომ ქართველი და დაღესტნელი მთიელები XII საუკუნეში ჯერ კიდევ „თემურ-გვაროვნულ ყოფას განიცდიან“.

ოჯახის სტრუქტურის შესწავლისათვის გასათვალისწინებელია ს. ჯანაშიას მსჯელობა პრივილეგიურ ფენებში საოჯახო ურთიერთობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ. ამ რიგის მოვლენებიდან მისი ყურადღება მიუქცევია „მსახურის“ მოვალეობას პიტიახშის ოჯახში, რასაც მნიშვნელობა ენიჭება კლასობრივ საზოგადოებაში, ოჯახის ძირითად წევრებთან ერთად, ოჯახის მომსახურე პერსონა-

---

[23] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის, გზაზე, „შრომები“, I, 239.

ლის შემადგენლობისა და ფუნქციების გარკვევისათვის. ს. ჯანაშიას შეხედულებით, იაკობ ხუცესის თხზულებაში (V ს.) ხსენებული „მსახურნი“ ანუ „ტაძრეულნი“ უმეტესწილად „წვრილი ერისაგან“ წარმოშობილი პირები იყვნენ, „რომელნიც მეფის ან დიდი აზნაურის კარზე რაიმე სამსახურს ასრულებდნენ“[24]. ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მსახურს საერთოდ ეკისრებოდა ადმინისტრაციულ-პოლიციური მოვალეობის შესრულება, ხოლო იაკობ ხუცესის მიერ აღწერილი კონკრეტული სიტუაციის მიხედვით მსახური გამწესებული იყო პატიმრობაში მყოფი შუშანიკის — პიტიახშის მეუღლის — მცველად. „გარდა ამისა, მსახურნი შინაურ წესრიგს იცავენ პიტიახშის „ტაძარში“, წმინდა საყოფაცხოვრებო დავალებებსაც ასრულებენ იქ და სხვა“. მკვლევარი ამის საბუთად იმოწმებს პიტიახშის ბრძანებას თავის მსახურთა მიმართ („დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხვასა ნუ ვის უფლიედ ჩვენ თანა შემოსვლად“) და დაასკვნის: „პიტიახშის ტაძარში პურისჭამის გარიგება და გარკვეული წინასწარი წესების დაცვა მსახურებს ჰქონდათ დაკისრებული“[25].

პრივილეგიური ფენის საოჯახო ყოფის ისტორიიდან ს. ჯანაშიას გამოყოფილი აქვს აგრეთვე ოჯახის ერთობა, როგორც მისი ძლიერების შენარჩუნების პირობა. ფეოდალური სახლების გაუყრელობის შესახებ იგი იმოწმებს ვახუშტის შემდეგ ცნობებს: „გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცისშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი“. ს. ჯანაშიას იქვე მოყავს ვახუშტის შემდეგი სიტყვები: „გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზისშვილი, ამათგან გამთავრებულნი ესრეთ, რომელიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა“[26].

ვახუშტის შრომიდან დამოწმებული ამ მონაცემების ანალიზის შედეგად ს. ჯანაშიამ დაასკვნა, რომ ფეოდალური სახლის (ოჯახის,

---

[24] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ადრეული ფეოდალიზმი, „შრომები“, II, 229.

[25] ი ქ ვ ე, 230; შდრ. მ ი ს ი ვ ე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „შრომები“, I, 278—279.

[26] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარის) ძლიერების საფუძველს შეადგენდა მამულის სიდიდე, ხოლო ასეთი მდგომარეობის შენარჩუნების პირობად ითვლებოდა მისი გაუყოფლობა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო სახლის გაუყრელობაზე[27].

საოჯახო ყოფის კვლევაში გასათვალისწინებელ იმ კომპონენტებს შორის, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია შესასწავლი ოჯახის ტიპის დადგენა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების ფორმას, რასაც ს. ჯანაშია სხვადასხვა ასპექტში ეხება. მკვლევარი აღწერს „მესამე გენეს — „ერის“ შემდგომი განვითარება-დიფერენციაციის პროცესს, მის შეიარაღებას, საგანგებოდ ეხება იარაღზე საკუთრების ხასიათს და დაასკვნის: „იარაღი ყველაზე ადრე იქცევა კერძო საკუთრების საგნად და ის, როგორც მამაკაცის კერძო საკუთრების საგანი, მტკიცე მემკვიდრეობის (მამიდან შვილზე) განსაკუთრებით საყურადღებო და საზრუნავი ობიექტია“[28], რაც მკაფიოდ ჩანს მერმინდელ ფეოდალურ ადათსა და კანონშიც. მკვლევარი ამის საბუთად იმოწმებს ბექასა და აღბუღას კანონებს, რომლის მიხედვით არკვევს, რომ „ქალის დაქვრივების შემთხვევაში მზითევი ქალს ან მის მშობლებს ეკუთვნოდა. მხოლოდ აბჯარი უთუოდ ვაჟს უნდა დარჩენოდა“[29]. ს. ჯანაშია იყენებს აგრეთვე ბარათაანთ დიდი გვარის გაყრის XVI საუკუნის საბუთს და ბექა-აღბუღას სამართლის მუხლების მონაცემებთან მისი შეჯერების საფუძველზედაც აღნიშნავს: „აბჯარი უთუოდ ვაჟებს უნდა დარჩენოდათ, მაგრამ, როგორც სავსებით ინდივიდუალური საკუთრების საგანი, მამას თავისი იარაღი შეეძლო, რომელიც უნდოდა, იმ ვაჟისათვის მიეცა“[30].

აქ მოცემული მსჯელობა ინდივიდუალური საკუთრებისა და მისი სამემკვიდრეო ხასიათის შესახებ ზუსტად ასევეა ფორმულირებული ს. ჯანაშიას მერმინდელ ნაშრომში — „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“[31], რომელიც „ადრეული ფეოდალიზმის“ გამოქვეყნებიდან (1933 წ.) ოთხი წლის შემდეგ (1937 წ.) დაიბეჭდა.

---

[27] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, „შრომები“ II, 451.

[28] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ადრეული ფეოდალიზმი, „შრომები“, II, 187.

[29] ი ქ ვ ე, 188.

[30] ი ქ ვ ე.

[31] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „შრომები“, I, 194—195.

საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არსებული საოჯახო საკუთრების ფორმის შესახებ რამდენადმე სრულფასოვანი წარმოდგენისათვის გასათვალისწინებელია სათემო მიწების მითვისებისა და კერძო საკუთრებად გადაქცევის ხანგრძლივად მიმდინარე პროცესი, რის შესახებაც ს. ჯანაშია წერს: „ეს პროცესი ერთბაშად არ ხდება. საზოგადოდ, ყველაზე ადრე კერძო საკუთრების საგნად სამოსახლო და ნაშენები (საბალ-ბოსტნე) ადგილები იქცევა. შემდეგ ამას, ერთგვარი მოგვიანებით, სახნავ-სათესი მიწები მისდევს. ბუნებრივია, რომ ფეოდალური საკუთრება თავდაპირველად სწორედ აქ ჩნდება. საძოვრებზე თემი შედარებით ძალიან დიდ ხანს ინარჩუნებს თავის უფლებებს, მთლიანად ან ნაწილობრივ. ყველაზე ბოლოს და ყველაზე გვიან თემს ხელიდან ტყე ეცლება“[32].

აღნიშნული პროცესის ჩვენების მიზნით ს. ჯანაშია აანალიზებს ბასილ ზარზმელის მონათხრობს ზარზმის მონასტრის აშენებისა და იმ ბრძოლის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ბერებსა (სერაპიონი და მისი ამხანაგები) და ფეოდალს (გიორგი ჩორჩანელი) შორის. ბასილ ზარზმელის თხზულებაში ასახულია ბრძოლა თემურ და ფეოდალურ საკუთრებას შორის. ზარზმის ტყეს ხალხი საერთო საკუთრებად თვლის, ზოგს იქ ახოებიც გაუკაფავს და ჩასახლებულა. ფეოდალს კი ეს ტყე თავის საკუთრებად და გასართობ (სანადირო) ობიექტად მიაჩნია. „იღებენ ამ ტყეს ბერები ფეოდალისაგან, რომელიც მას თავისი „საბრძანებლის“ ნაწილად და თავის საკუთრებად თვლის. მაგრამ სხვანაირად უყურებს ამ საქმეს ხალხი: აშკარაა, რომ ფეოდალის ამ უფლებებს არ სცნობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ შერიგებია ტყის დაკარგვასაც, მასზე თავისი უძველესი თემური უფლების გაუქმებას. ამ ნიადაგზე ჩნდება აღწერილი მწვავე ბრძოლა. ცხადია, რომ ჩვენ თვალთა წინ ის ხანაა, როდესაც მიწისათვის ბრძოლის უკანასკნელი მოქმედება სრულდება, სათემო ადგილმამულის ფეოდალთა მიერ მიტაცების უკანასკნელი ეტაპი. ამაშია სწორედ მოცემული ცნობების ღრმა მნიშვნელობა“[33].

ბასილ ზარზმელის თხზულების აქ მოცემული ანალიზის მნიშვნელობა საოჯახო საკუთრების ფორმების გარკვევისათვის იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაცნობს მიწის დასაკუთრების ეტაპებს სამეურნეო სავარგულების სახეობათა მიხედვით (საბალ-ბოსტ-

---

[32] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, „შრომები“, II, 438.

[33] ი ქ ვ ე, 448.

ნე ადგილები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ტყე). ფეოდალურ საზოგადოებაში მიმდინარე ამ პროცესის მეორე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა სათემო საკუთრების გვიანობამდე შენარჩუნება, რასაც ს. ჯანაშია XIX საუკუნის მონაცემებითაც ადასტურებს. ის გარემოება, რომ „საძოვრებზე თემი შედარებით ძალიან დიდ ხანს ინარჩუნებს თავის უფლებებს, მთლიანად ან ნაწილობრივ“, ხოლო „ყველაზე ბოლოს და ყველაზე გვიან თემს ხელიდან ტყე ეცლება“, ს. ჯანაშიას როდი მიაჩნია მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელ მოვლენად. მისი შეხედულებით, „თითქმის ყველა ქვეყანაში ხალხის შეგნებაში, სულ უკანასკნელ ხანებამდის, ღრმად იყო გამჯდარი შეგნება, რომ ტყე მთელი თავისი პროდუქციით საზოგადო, სახალხო საკუთრებას შეადგენს“[34]. მკვლევარს სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში, როდესაც, იმის აღნიშვნასთან ერთად, რომ სათემო მიწების მითვისებისათვის ბრძოლის ბოლო მოქმედება ასახულია ბასილი ზარზმელის თხზულებაში, იმასაც ამტკიცებს, რომ თემი ხანგრძლივად ინარჩუნებს უფლებებს საძოვრებსა და ტყეზე. ამის საბუთად იგი იმოწმებს მონაცემებს XIX საუკუნის ვითარების შესახებ: „მკითხველი მოიგონებს, რომ ეგნ. ნინოშვილის „მონადირეს“ „ძლიერ აჯავრებს“ ერთი გარემოება: „ტყე, რომელიც ბატონყმობის დროს თითქმის სოფლის საკუთრებას შეადგენდა, იქ ნადირობას და ხე-ტყის მოჭრას ვერავინ დაუშლიდა, რამდენიმე კაცმა — თავად-აზნაურმა „დაისაკუთრა და უბაჟოდ გარეშე პირს აღარ შეეძლო გაჭაჭანება“. ამ „ახალი კალონის შემოღებით“ აღფშოთებული გურული გლეხი ერთი პირობა თავს ანებებს კიდევაც ნადირობას, მაგრამ ბოლომდის ვერ ითმენს: „აიღო ნება ერთი თავადისაგან და ხელახლა მიჰყო ხელი ნადირობას“. ახალი კანონის მთელი შინაარსი ამ მონადირისათვის მაინც გაუგებარი რჩება, რაც მას დასასრულ მკაცრად დასჯის კიდევაც“[35].

ეპოქით დიდად დაშორებული აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ს. ჯანაშია შენიშნავს: „თუ მეცხრამეტე საუკუნეში გურიის გლეხობა, გულის სიღრმეში, ტყეს ისევ თავის საკუთრებად სთვლიდა, ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხალხის დამოკიდებულება ამ საგნისადმი იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ახლა ვსწავლობთ“[36].

---

[34] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, 438.

[35] ი ქ ვ ე, 439.

[36] ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენებისადმი ასეთი დამოკიდებულებით ს. ჯანაშიამ დაგვანახა, თუ როგორ ხანგრძლივად ინახავდა თავს ხალხური ტრადიციული კლასობრივ საზოგადოებაში რა სახით ინარჩუნებდა არსებობას თემური ყოფის კომპონენტები, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამგვარი მოვლენების ცოდნას საკუთრების ფორმების გარკვევისათვის, ამ რიგის მონაცემები რამდენად გასათვალისწინებელია საოჯახო საკუთრების დადგენისა და ოჯახის ტიპის განსაზღვრისათვის და როგორ ბევრის მთქმელია ძველი ყოფის მრავალი თავისებურების შემნახველი გვიანდელი ეთნოგრაფიული სინამდვილე, რომლის გათვალისწინების საფუძველზე ს. ჯანაშია ყოველ ხელსაყრელ მომენტში ღრმად იჭრებოდა ისტორიული წყაროებით ხელმიუწვდომელი შორეული წარსულის ლაბირინთებში და სასურველ შედეგებსაც აღწევდა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ს. ჯანაშია საოჯახო ყოფის ცალკეულ კომპონენტებს სწავლობდა ქართველი ხალხის სოციალურ ურთიერთობათა ფორმებთან მჭიდრო კავშირში, წერილობითსა და ლინგვისტურ მონაცემებთან ერთად ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ მასალებსაც და მოვლენების ისტორიულ ჭრილში განხილვის შედეგად აღწევდა ოჯახის თავდაპირველი და გადმონაშთური ფორმების განსაზღვრას. საოჯახო ყოფის შესწავლის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ს. ჯანაშიას დაკვირვებებს ოჯახის უძველესი ფორმების გადმონაშთურ სახეობათა შესახებ, რაც აქტუალურად უკავშირდება საბჭოთა ეთნოგრაფიის ინტერესებს სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის მიმართულებით.

ნიკო ბერძენიშვილი. ჩვენთვის საინტერესო ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში აღსანიშნავია ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებები ქართული ოჯახის სტრუქტურის ზოგიერთი დეტალის შესახებ, რაც მას მოცემული აქვს საქართველოს ისტორიის სოციალური პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით. ნ. ბერძენიშვილი ოჯახს, როგორც უმცირეს სოციალურ უჯრედს, მასზე დიდ ნათესაურ კავშირებთან ერთად განიხილავს და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დონის განსაზღვრაში ოჯახის სტრუქტურას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. სხვადასხვა სოციალური ერთეულების გენეზისის კვლევა, თავის მხრივ, განაპირობებს ოჯახის წარმოშობისა და მისი ისტორიული განვითარების შესწავლის შესაძლებლობას. ნ. ბერძენიშვილი ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას მიყვება და სოციალურ ურთიერთო-

ბათა შესწავლისათვის საგანგებოდ იკვლევს ისეთი ცნებების შინაარსს, როგორიცაა „სახლი“, „გვარი“, „ნათესავი“ და ა. შ. მკვლევრისათვის აქ შეიძლება დავიმოწმოთ მისი მსჯელობა ბორჯომის ხეობის უძველესი საცხოვრებლების შესახებ, სადაც დასმულია „სახლის“ გენეზისის საკითხიც. როგორც მკვლევარი ფიქრობს, „ბუნებრივად სავარაუდებელია, რომ ადამიანის უძველესი საცხოვრისის ქართული (და ზოგად ქართული, თავდაპირველი) სახელი „ქვაბი“ იყო, რომ „სახლი“ მაშასადამე, ადამიანის ხელოვნურ საცხოვრისს შემდეგ, „გვიან“, შეერქვა; რომ თავდაპირველად „სახლი“ სისხლით მონათესავე ადამიანთა ერთობას ერქვა და ეს „სახლი“ „ქვაბში“ ცხოვრობდა; შემდეგ, გვიან, როცა „სახლმა“ „ქვაბი“ დატოვა და ხელოვნურად აგებულ საცხოვრისში მოთავსდა, ამ საცხოვრისს, ბუნებრივია „სახლივე“ ეწოდა. ქვაბი კი იმ უძველესი საცხოვრისის, ან უკვე მიტოვებულის, სახლადვე დარჩა“[1].

ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი „სახლის“ გენეზისის შესახებ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა ოჯახის წარმოშობის პრობლემასთან დაკავშირებით, რამდენადაც სხვა სახის სოციალურ ერთეულებთან ერთად „სახლი“ ოჯახსაც ნიშნავდა. „სახლის“ გენეზისის საკითხებს მკვლევარი კიდევ უფრო ულრმავდება თავის დაუმთავრებელ ნაწერებში[2], რომლებშიც უმთავრესად გაშუქებულია გორების სოციალური ბუნება. ამასთან დაკავშირებით დამაფიქრებელია ნ. ბერძენიშვილის დებულებები სოციალური ერთეულების გენეზისის, მათი თავდაპირველი და მერმინდელი განსახლების სტრუქტურის შესწავლისათვის. აღნიშნულ საკითხებს ენათესავება ოჯახის წარმოშობა-განვითარების პრობლემაც, მაგრამ იმის გამო, რომ ნ. ბერძენიშვილი ამ შრომებში ჩვენთვის საინტერესო პრობლემას უშუალოდ არ შეეხო და პირველ რიგში გვარის სტრუქტურისა და გვაროვნული დასახლების საკითხებით შემოიფარგლა, მათ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა განხილვა უმჯობესი იქნება მომავალში, როდესაც გვარის სტრუქტურის შესწავლის სფეროში მეცნიერის ღვაწლი შეფასდება.

დასახლების ტიპზე მსჯელობისას ნ. ბერძენიშვილმა ოჯახის ფორმას ყურადღება მიაქცია ბორჯომის ხეობის შესწავლისადმი

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1964, 231.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 197.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძღვნილ ზემოხსენებულ ნაშრომში. მისი აზრით, სოფ. სადგერლო ყველაზე ძველესი ხანის მკვიდრთა სამოსახლოს წარმოადგენდა მეგალითური სადგური, ხოლო „ფეოდალური ურთიერთობის ხანაში სადგერლები ერთი მეორეს მოშორებულ უბნებად ცხოვრობდნენ (დიდი ოჯახები, ფეოდალური გვარები, საფიქრებელია ასეთ უბნებსა ქმნიდნენ)“[3].

დამოწმებულ სტრიქონებში ნათლად გამოიკვეთა ნ. ბერძენიშვილის შეხედულება კლასობრივ საზოგადოებაში დიდი ოჯახის არსებობის შესახებ, რაც ჰარმონიულად უკავშირდება საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში აღიარებულ თვალსაზრისს, რომ კლასობრივ საზოგადოებას მრავალ შემთხვევაში ახასიათებდა წინაკლასობრივი ინსტიტუტების გადმონაშთური სახით შენარჩუნება. უძველესი სოციალური ინსტიტუტების შესახებ ამ შეხედულებას მყარი მეცნიერული არგუმენტებით სანიმუშოდ ასაბუთებდა თვით ნ. ბერძენიშვილი. ამიტომ მის კონცეფციასთან სრულ შესაბამისობაშია ფიქრი იმის შესახებ, რომ დიდი ოჯახი ფეოდალური ურთიერთობის ხანაშიც ჯერ კიდევ ისეთ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა, ფეოდალურ გვართან ერთად, რომ ის ცალკე უბანს ქმნიდა. ბუნებრივია, რომ ასეთი მსჯელობის მიხედვით იგულისხმება პატრონიმიული დასახლების წარმოქმნა, რისი საფუძველიც იყო დიდი ოჯახის დაყოფა ინდივიდუალურ ოჯახებად და დედა-სახლის ირგვლივ მათი ერთ უბნად დასახლება.

შეხედულება ფეოდალურ საზოგადოებაში დიდი ოჯახების არსებობის შესახებ ნ. ბერძენიშვილმა იმავე ნაშრომში განავითარა XII საუკუნის თორის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზედაც. მკვლევარმა ამ კუთხის ყოველმხრივი შესწავლის ამოცანა მომავლის საქმედ დასახა, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნია, სხვა მოსაზრებებთან ერთად, ისიც აღენიშნა, რომ „ძველი თორელები დიდ ოჯახებად და შედარებით პატარა სოფლებად მოსახლეობდნენ“[4]. ამასთან ერთად. ნ. ბერძენიშვილი შეეხო თორელთა მეურნეობას და საქმიანობას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ეკონომიური საფუძვლების გარკვევისათვის. მკვლევარის წარმოდგენით, „მარცვლეული კულტურის გვერდით თორელთა მეურნეობის უმთავრესი დარგი მეცხოველეობა უნდა

---

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობა, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, 270.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 253.

ყოფილიყო; სელი აგრეთვე დიდი მნიშვნელობის დარგი ჩანს თორელთა მეურნეობაში. ტყის მეურნენი და მშენებელნი (ხეროგლატოზები) უნდა ყოფილიყვნენ იმ დროის თორელები და არც ისე „კარჩაკეტილნი“, საფიქრებელია, ცხოვრობდნენ, როგორც ეს ზოგიერთ სოციოლოგს იმ დროისათვის ჩვეულებრივ წარმოუდგენია“[5].

გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას ნ. ბერძენიშვილი დამახასიათებელ მოვლენად თვლის ჯავახეთის ისტორიული წარსულისთვისაც. იგი დაჰკვირვებია ნასოფლარების რიცხვს და უცდია მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა. მისი ვარაუდით, სოფლების გავერანებამდე ჯავახეთში უნდა ეცხოვრა 75 000 სულს. მკვლევარი ამის საფუძვლად თვლის იმ გარემოებას, რომ „ჯავახეთის ისტორიულ წარსულში იყო დრო, როცა 240-250 ცოცხალი სოფელი მაინც ითვლებოდა“. ნ. ბერძენიშვილს ამასთან ერთად მხედველობაში აქვს „მაშინდელი ჯავახი გლეხის ოჯახის გაუყრელობა“ იმ ანგარიშით, რომ თითო კომლში 10 სულს მაინც უნდა ეცხოვრა, ხოლო თითოეულ სოფელში საშუალოდ 30 კომლი უნდა ყოფილიყო[6].

ისტორიული მოვლენების ასეთნაირად შესწავლა იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობის რაოდენობის დადგენის ერთ-ერთ წინაპირობად ნ. ბერძენიშვილი თვლის ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობის ცოდნას, ხოლო როდესაც ჯავახეთის ისტორიულ წარსულში საშუალო სიდიდის ოჯახში ათი სულის ერთად ყოფნას ვარაუდობს, ამის საფუძველს იგი ხედავს გაუყრელად ცხოვრების ტრადიციაში.

ოჯახის წარმოშობისა და ფეოდალურ საზოგადოებაში დიდი ოჯახების შემოინახულობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებთან ერთად დამაფიქრებელია ნ. ბერძენიშვილის შეხედულება სამეურნეო დარგების განვითარებისა და ქართველი ხალხის ყოფაში მათი როლის შესახებ. ამგვარი დაკვირვების კონკრეტულ შემთხვევას ზემოთ უკვე გავეცანით თორის მაგალითზე და აღვნიშნეთ მისი მნიშვნელობა ოჯახის ეკონომიური საფუძვლების შესწავლისათვის. მკვლევარი აქ შემოიფარგლა ერთი კუთხის სამეურნეო პირობების დახასიათებით. სამაგიეროდ, ამ საკითხზე თავის შეხედულებათა განზოგადებას იგი იძლევა ჯერ ჯავახეთის მაგალითზე, ხოლო შემდეგ

---

5 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, 253.

6 ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, 166.

„შრომების“ მერვე ტომში, რასაც სახელმძღვანელო დებულებათა
მნიშვნელობა აქვს ოჯახის ეკონომიურ საფუძვლებზე მსჯელობისა-
თვის. ამ დებულებათა გათვალისწინების საჭიროება პირველ რიგში
იგრძნობა მაშინ, როდესაც საოჯახო მეურნეობის აღწერასთან ერ-
თად დგება მეურნეობის წამყვანი თუ დამხმარე დარგის განსაზღვ-
რის საკითხი. კვლევა-ძიების შედეგად უმთავრეს შემთხვევაში ირკ-
ვევა, რომ მთიელთა საოჯახო მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა
მესაქონლეობას, რაც ზოგიერთ ეთნოგრაფს მეურნეობის ჩამორჩე-
ნილობისა და დაბალი კულტურის მაჩვენებელ ფაქტორად წარმო-
უდგენია. ყველა მკვლევარი როდი ითვალისწინებს იმ გარემოებას,
რომ მეურნეობის წამყვანობას განსაზღვრავს ამა თუ იმ კუთხის
სამეურნეო-ეკონომიური და გეოგრაფიული პირობები. ამის შესა-
ბამისად მესაქონლეობის დაწინაურება არა ჩამორჩენილობის, არა-
მედ მეურნეობრივ-კულტურული განვითარებულობის შედეგია. ამა-
ზე სრულიად გარკვეულ პასუხს ვპოულობთ ნ. ბერძენიშვილის
საანგარიშო მოხსენებაში ჯავახეთის შესახებ, სადაც მეურნეობის
განვითარების დინამიკა განხილულია ქვეყნის პოლიტიკურ ისტო-
რიასთან კავშირში. მკვლევარი საგანგებოდ ეხება ჯავახეთის წარ-
სულს, ასახელებს მთელ რიგ მიზეზებს, რომელნიც ქვეყნის პო-
ლიტიკური და კულტურული მომავლის განსაზღვრასთან ერთად
„შესაფერის გავლენას ახდენენ საქართველოს თვითეული კუთხის
მეურნეობის სახეობის შემდგომ განვითარება-დაცემაზე“[7], აღნიშ-
ნავს, რომ ასეთი მიზეზების გამო „XV-XVI საუკუნიდან, საფიქრე-
ბელია, მეტად გაძლიერდა აქამდისაც სააღებ-მიცემო ურთიერთო-
ბის შესუსტებით საკმაოდ შერყეული ძველი რენტაბელური მეურ-
ნეობის მოშლის პროცესი“[8], ხოლო საკუთრივ ჯავახეთის შესახებ
წერს: „ჯავახეთის მოსახლეობაც იძულებული იყო ახალ პირობებ-
თან შეგუებით მეურნეობის ძველი სახე შეეცვალა. არახელსაყრე-
ლად შექმნილ მესაქონლეობისა და ხელის წარმოების ხარჯზე პუ-
რეულის თესვა გაეძლიერებია, რაც ჯავახეთის პირობებში სამეურ-
ნეო რეგრესს მოასწავებდა და საბოლოო ანგარიშით ძველი მოსახ-
ლეობის საგრძნობ შემცირებას გულისხმობდა“[9].

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილს ჯავახეთში, როგორც გარ-
კვეული პირობების მქონე ლოკალურ ერთეულში, სამეურნეო რე-

---

[7] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 104.
[8] ი ქ ვ ე.
[9] ი ქ ვ ე.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრესის საფუძვლად მიაჩნია მესაქონლეობის დაქვეითება, რამდენადაც ამ კუთხეში, მეურნეობის ნორმალური განვითარების შემთხვევაში, რენტაბელური დარგი სწორედ მესაქონლეობა იყო და არა მიწათმოქმედება.

ნ. ბერძენიშვილი სხვა ნაშრომშიც მიუთითებს, რომ მესაქონლეობის განვითარება დიდი სამეურნეო პროგრესის მომასწავებელი იყო. იგი ფიქრობს, რომ საქართველოს არა მარტო მთიანეთში, არამედ ბარის რაიონებშიც მეურნეობის თავდაპირველ სახეს მესაქონლეობა წარმოადგენდა და ის მომთაბარული ხასიათისა უნდა ყოფილიყო. შემდეგ, როდესაც ორსახოვანი მეურნეობა ვითარდება მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების თანაარსებობის სახით, ქართლში „უპირატესობა საბოლოოდ მიწათმოქმედებას დარჩა (ქართული ფეოდალიზმი) და მესაქონლეობა მეურნეობის დამხმარე დარგად იქცა და მხოლოდ უკიდურეს მთიანეთში შეინარჩუნა მან უპირატესი მნიშვნელობა"[10].

ესოდენ ნათლად და დამაჯერებლად ჩამოყალიბებულ დებულებათა ფონზე აბსოლუტურად კარგავს მნიშვნელობას ზოგიერთი ეთნოგრაფის მიერ იმის მტკიცების სურვილი, რომ მიწათმოქმედება ყველა კუთხესა და სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებში წარმოადგენდა ქვეყნის კულტურული დაწინაურების მაჩვენებელ ფაქტორს. მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებულ ამგვარ განცხადებათა საპირისპიროდ ნ. ბერძენიშვილის განმარტება მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას რეგიონის სამეურნეო-ეკონომიური პირობების მიხედვით და ამის შესაბამისად მეურნეობის ამა თუ იმ დარგის როლის შეფასებას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საოჯახო მეურნეობაზე რეალური სურათის შექმნა და ოჯახის სტრუქტურის სრულფასოვანი შესწავლა. ამდენად, ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი მეურნეობის წამყვანობისა და როლის შესახებ სწორ მეთოდოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს როგორც სამეურნეო ყოფის მთლიანი შესწავლისათვის, ისე საკუთრივ ოჯახის ეკონომიური საფუძვლების ზუსტად დადგენისათვის. ნ. ბერძენიშვილის როგორც ეს დებულება, ისე მისი დაკვირვებები ოჯახის გენეზისისა და ფეოდალურ ურთიერთობაში დიდი ოჯახის არსებობის შესახებ, მნიშვნელოვანი წვლილია ქართული ოჯახის ისტორიული განვითარების კვლევის საქმეში, განსაკუთრებით კი კლასობრივ საზოგადოებაში შენარჩუნებული დიდი ოჯახის შესწავლის სფეროში.

---

10 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 230.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. სომხების, აზერბაიჯანელებისა და ამიერკავკასიის ზოგიერთი სხვა ხალხის საოჯახო ყოფის საკითხები საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის მრავალეროვან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში უმსხვილესი ეთნოსების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) გვერდით ცხოვრობენ მეტ-ნაკლები სიდიდისა და სხვადასხვა წარმომავლობის ხალხები თუ ეთნიკური ერთეულები, რომელთა შორის, ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით, საქართველოდან განსაკუთრებით გამოყოფენ აფხაზებსა და ბერძნებს, აზერბაიჯანიდან — თათრებს, თალიშებს, უდებს, ბუდუგებს, კრიზებს და ხინალუგებს, ხოლო სომხეთიდან — ქურთებსა და ასირიელებს. აქ არ ვასახელებთ საქართველოში მცხოვრებ ოსებს, ვინაიდან მათი საოჯახო ყოფის შესწავლის მდგომარეობა ჩრდილოელ ოსთა საოჯახო ყოფის კვლევის შედეგებთან ერთად განიხილება. ეთნოგრაფიულ კომპენდიუმში[1] ასეთი თანმიმდევრობით ამ ხალხთა ყოფისა და კულტურის განხილვას საფუძვლად დაედო თითოეულ რესპუბლიკაში მათი რიცხობრივი სიდიდე. საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ შესწავლაში ბერძნების შეყვანა განაპირობა კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოში მათმა მეტმა რაოდენობამ, ისევე როგორც სომხეთის ეთნოგრაფიულ განხილვაში ქურთების მოქცევა განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ სომხეთში უფრო მეტი ქურთები ცხოვრობენ, ვიდრე რომელიმე მეზობელ რესპუბლიკაში. ამ ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლის მდგომარეობის ჩვენება შეესაბამება ისტორიოგრაფიულ ჭრილში საკითხის განხილვის ინტერესებს, მაგრამ არსებული შედეგების მიხედვით საკმაოდ განსხვავებული ვითარება შეინიშნება. ერთ შემთხვევაში საოჯახო ყოფის შესწავლას მიეძღვნა მრავალრიცხოვანი სოლიდური გამოკვლევები (ქართველები, აფხაზები, სომხები), მეორე შემთხვევაში საკითხი შედარებით ნაკლები

[1] Народы Кавказа, II. М., 1962.

სისრულითაა შესწავლილი (აზერბაიჯანელები), ხოლო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხებისა და ეთნიკური ერთეულების საოჯახო ყოფის კვლევის შედეგების შესახებ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ჯერჯერობით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომის განსაზღვრული მოცულობის გამო ამიერკავკასიის ხალხთაგან, ქართველების გამოკლებით, ქვემოთ შევეხებით ძირითადად სომხების, აზერბაიჯანელებისა და აფხაზების საოჯახო ყოფის საკითხებს. აფხაზთა საოჯახო ყოფის შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას განვიხილავთ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე, ხოლო სომხებისა და აზერბაიჯანელების საოჯახო ურთიერთობის სფეროდან გამოვყოფთ საოჯახო თემის გადმონაშთების შესწავლის მდგომარეობას უმთავრესად საბჭოთა ეპოქაში რუსულ ენაზე დაწერილი ძირითადი ნაშრომების მიხედვით. მაგრამ ვიდრე სომხებისა და აზერბაიჯანელების შესახებ რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავეცნოთ იმ ლიტერატურას, რაც ამიერკავკასიაში მცხოვრები ზოგიერთი მცირერიცხოვანი ეთნიკური მასივების საოჯახო ყოფის შესახებ გაგვაჩნია.

საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობიდან ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ ბერძნები და ურუმები. კავკასიელი ბერძნების საოჯახო ყოფა დღემდე სპეციალურად შესწავლილი არ არის, მაგრამ ზემოხსენებულ კომპენდიუმში მოკლედ ითქვა, რომ რევოლუციამდელ ეპოქაში მათ ყოფაში შეიმჩნეოდა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთები. ამ რიგის ისეთ მოვლენებთან ერთად, როგორიც იყო სოფელში გვარის სახელის მატარებელი უბნის არსებობა, სასაფლაოზე გვარისთვის ნაკვეთის ცალკე გამოყოფის წესი, საგვარო წისქვილი, საგვარო სალოცავი, ჩვეულებითი სამართალი, კოლექტიური შრომა და ნათესავებს შორის ურთიერთდახმარების ჩვეულება, აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიელი ბერძნების საოჯახო წყობა ხასიათდებოდა პატრიარქალური საწყისებით და მამის მკვეთრად გამოხატული ძალაუფლებით. მამა ერთდროულად იყო როგორც ოჯახის მმართველი, ისე მთელი საოჯახო ქონების ბატონ-პატრონი. მისი ძალაუფლება ოჯახის ყველა წევრის მიმართ ვრცელდებოდა და არაიშვიათად დესპოტურ ხასიათს ღებულობდა. თვით შვილების დაქორწინების საქმეშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა მის ნება-სურვილს ენიჭებოდა. მასთან და ოჯახის სხვა უფროს წევრებთან უმძრახობა რძლის მოვალეობას შეად-

გენდა, რაც ზოგჯერ 15 წლამდე გრძელდებოდა და ეს ტაბუ მხოლოდ უფროსების ინიციატივით ისპობოდა. უფროსების წინააღმდეგ რძლის მორიდება გამოხატულებას პოულობდა რიგი სხვა ჩვეულების შესრულებაშიც. რძალი სახლში ფაქტიურად შინამოსამსახურის როლს ასრულებდა[2].

ბერძნების საოჯახო ყოფის ამ ზედაპირული დახასიათებისაგან განსხვავებით ურუმთა საოჯახო ყოფა მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი მისი ძირითადი კომპონენტების (ოჯახის შემადგენლობა, ეკონომიური საფუძვლები, მმართველობა, შრომის ორგანიზაცია, საკუთრების ხასიათი) მიხედვით[3]. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალებისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე გაირკვა, რომ ხსენებულ ეპოქაში ურუმები, ეროვნული შემადგენლობით ესოდენ ჭრელი კონფესიონალური ეთნიკური ერთეული, ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ, ხოლო ზოგიერთი ოჯახი 3-4 თაობას მოიცავდა და 25 სულზე მეტს აერთიანებდა. ოჯახის ეკონომიური საფუძვლები ურუმებში იქმნებოდა ქართული სამეურნეო ყოფის ნიადაგზე, რის გამო ოჯახის მატერიალურსა და მეურნეობრივ სფეროში მკაფიოდ შეინიშნება ყველა ის ელემენტი სახლის, სამეურნეო ნაგებობის, დგამ-ჭურჭლისა და მეურნეობის ფორმების სახით, რაც დამახასიათებელი იყო წარსულში წალკის რაიონის მოსახლეობის ყოფისა და კულტურისათვის. ოჯახის წევრთა ფუნქციებს განსაზღვრავდა სქესი და ასაკი, რაც, პირველ ყოვლისა გამოკვეთილ სახეს ღებულობდა გაუყოფელ ოჯახში. ასეთ ოჯახს მართავდა ხნით უფროსი მამაკაცი, რომლის გარდაცვალების შემდეგ ამ მოვალეობას ასრულებდა მისი მომდევნო ძმა ან უფროსი შვილი. ავტორს დადასტურებული აქვს ისეთი ფაქტებიც, როდესაც სიბერით ან ავადმყოფობით მოტეხილ უფროსს ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე სხვა უფრო ენერგიული პირი სცვლიდა, რაც ნაკარნახევი იყო ოჯახის პრაქტიკული ინტერესებით. ქალთა შრომა-საქმიანობას ხელმძღვანელობდა ოჯახის უფროსის მეუღლე, რომელიც მინდვრის სამუშაოებში არ მონაწილეობდა და ოჯახის შინასაქმეს უძღვებოდა. ოჯახის დანაწევრებას საფუძვლად ედო მუხლობრივი დაყოფის პრინციპი, ხოლო ქონების

---

[2] Народы Кавказа, II, 429.

[3] Л. Пашаева, Семья и семейный быт цалкских урумов, Автореферат канд. дисс., Тб., 1972; მისივე, Порядок раздела в семье урумов в прошлом, КЭС, IV, Тб., 1972.

მოწილეებად ითვლებოდნენ უფროსი თაობის მამაკაცები. ქონების გაყოფაში დაცული იყო მათი თანასწორუფლებიანობა, მაგრამ ამასთან ერთად, დასაშვებად ითვლებოდა უფროსისათვის ზედმეტი ქონების გამოყოფა უმთავრესად საქონლის, ხოლო შედარებით იშვიათად სახლის ნაწილის ან მიწის ნაკვეთის სახით. კუთვნილ წილს გარდა, უმცროს ძმასაც ზედმეტ დოვლათს აძლევდნენ საქორწილო ხარჯებისათვის, ხოლო მოხუცებულთათვის გამოყოფდნენ საქონელს საქელეხო საჭიროებისათვის. ზოგჯერ ზედმეტი ქონების მიცემა მომხდარა პიროვნების შრომითი დამსახურების მოტივითაც, მაგრამ ყველა ზემოხსენებულ ვარიანტში კუთვნილ წილზე მეტის გაცემას განსაზღვრავდა ოჯახის წევრთა ნებაყოფლობითი შეთანხმება. ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა და საოჯახო ქონების გაყოფაში არ შედიოდა მისი მზითევი (ლოგინი, ტანსაცმელი, სკივრი, ზოგიერთი დგამ-ჭურჭელი, მისი ხელით ნაქსოვი ხალიჩები და ჯეჯიმები). დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მამა ქალს მზითვად აძლევდა ფუტკრის სკას, ხოლო ვისაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ის ქალის მზითვად წისქვილსაც კი ყიდულობდა. წისქვილით სარგებლობდა ქალის ქმრის ოჯახი, მაგრამ ოჯახის გაყრის დროს ის, როგორც ქალის პირადი საკუთრება, გასაყოფ ქონებაში არ შედიოდა. ასევე რძლის პირად საკუთრებად ითვლებოდა მის მიერ მზითვად მოყვანილი საქონელი, რომლის თავნი, ოჯახის გაყრის შემდეგ, მასვე რჩებოდა, ხოლო ნამატი, სხვა ქონებასთან ერთად, მოწილეებს შორის იყოფოდა.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთეულებიდან აქვე შეიძლება დავასახელოთ ქურთები, რომელთა საოჯახო ყოფის ზოგიერთი მომენტის შესწავლის ცდა საბჭოთა და რევოლუციამდელ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მოცემულია სომხეთის ქურთების მაგალითზე. საბჭოთა ეთნოგრაფებს შორის ამ საკითხით დაინტერესდა ა. ავდალი, ხოლო XIX საუკუნის ეთნოგრაფთაგან — ს. ეგიაზაროვი. ვინაიდან ს. ეგიაზაროვის მიერ ბევრად ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში დადგენილი ფაქტები რიგ შემთხვევაში ა. ავდალის ნაშრომშიც მეორდება, საჭიროდ მიგვაჩნია ა. ავდალის კვლევის შედეგების გაცნობამდე მისი წინამორბედი ეთნოგრაფის დაკვირვებებსაც გადავხედოთ.

ს. ეგიაზაროვის ნაშრომის მიხედვით, ქურთის ოჯახის შემადგენლობაში შედიოდნენ მშობლები, მათი შვილები, გასათხოვარი ქალები და შვილიშვილები. ოჯახს განაგებდა და ქონებას ერთპიროვნულად ფლობდა მამა, რომელსაც ოჯახის წევრები უსიტყვოდ

ემორჩილებოდნენ. მის უფლებამოსილებას შეადგენდა შვილებს შორის ქონების განაწილება, რომელიმე მათგანის მოსამსახურედ გაბარება და ურჩი შვილის უარაფროდ გაგდებაც კი. მასზე იყო დამოკიდებული აგრეთვე ქალიშვილის გათხოვება და სიძისაგან სათანადო საფასურის აღება. მამაკაცი ოჯახში უმკაცრეს რეჟიმს ანხორციელებდა ცოლის მიმართ, რომლის ფუნქცია განისაზღვრებოდა საოჯახო შრომა-საქმიანობით. ნორმალური საოჯახო ურთიერთობის პირობებში სიბერის ჟამს მამა თავის უფლებამოსილებას უანდერძებდა უფროს შვილს, რომელიც რაიმე მოუგვარებელ საკითხზე კვლავ მამას ეთათბირებოდა. ოჯახის გაყრისა და ქონების გაყოფის მომენტში ვაჟები მეტი უფლებებით სარგებლობდნენ ქალებთან შედარებით, ხოლო ვაჟებს შორის უპირატესობა უფროს ძმას ენიჭებოდა. მამასთან გაყრამდე კი ვაჟის პირად საკუთრებას შეადგენდა ცხენი ან იარაღი. პირადი საკუთრება ქალსაც გააჩნდა მზითვისა და ქორწინების დროს ნათესავებისაგან ნაჩუქარი ძროხის ან ცხენის ნამატის სახით, მაგრამ ფაქტიურად ამ ქონებითაც მისი ქმარი სარგებლობდა[4].

ს. ეგიაზაროვი დაახლოებით ასეთსავე სურათს გვაცნობს იეზიდებშიც (გარკვეული რელიგიური სექტის მიმდევარ ქურთებში). მისი ცნობით, ოჯახის უფროსი აქაც ერთპიროვნულ მესაკუთრეს წარმოადგენდა, მისი ცოლის პირად საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ ტანსაცმელი და ვერცხლის ნივთები, რაც გასაყოფ ქონებაში არ შედიოდა, ხოლო შკარტის (s'kart)— მამის ოჯახიდან და ნათესავებისაგან ქალისათვის საჩუქრად მიცემული ძროხის, თხის ან ცხვრის — ნამატი ქმრის ოჯახის ერთობლივ საკუთრებად ითვლებოდა[5].

ს. ეგიაზაროვის ცნობებთან ზოგჯერ სრულ შესატყვისობაშია ა. ავდალის კვლევის შედეგები, რაც აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ ა. ავდალმა ს. ეგიაზაროვის ნაშრომით ისარგებლა, ხოლო, მეორე მხრივ, იმით რომ ა. ავდალის მიერ უფრო ვრცელი პროგრამით შეკრებილი მასალაც შინაარსობრივად თითქმის იგივეა, რაც ს. ეგიაზაროვის ჩანაწერები XIX საუკუნის 90-იან წლებში. სომხურ ენაზე ვრცელი რუსული რეზიუმეთი გამოქვეყნებულ ნაშრომში ა. ავდალი ქურთების ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა ასპექტში

---

[4] С. Егиазаров, Краткий этнографический очерк курдов Эриванской губернии, ЗКОРГО, XIII, вып. II, Тифлис, 1891, 31—35.

[5] იქვე, 214, 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვისას ეხება რევოლუციამდელი და საბჭოთა ეპოქის საოჯახო ურთიერთობის ხასიათსაც. მისი დაკვირვებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამიერკავკასიის ქურთების საზოგადოებრივ სტრუქტურაში ყველაზე მსხვილ სოციალურ გაერთიანებას წარმოადგენდა ტომი, რომელიც შედგებოდა პატრონიმიებისაგან, ხოლო პატრონიმია მოიცავდა დიდსა და პატარა ოჯახებს, რომელთაგან დიდი ოჯახი („მალო-მაზნ") თავის შემადგენლობაში 30-დან 70-მდე კაცს ითვლიდა და რამდენიმე თაობას აერთიანებდა პაპებისა და ბებიების, მათი შვილებისა და შვილიშვილების, ცოლშვილიანი ძმების სახით. გაუყოველად ცხოვრების ტრადიციას ქურთები XX საუკუნის 30-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ. ამ დროისათვის საბოლოოდ დამთავრებულა დიდი ოჯახის პატარა ოჯახებად დაყოფის პროცესი, რაც დაწყებულა ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა პერიოდიდან და გაღრმავებულა იმავე საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალმა კავკასიის ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი შეაღწია[6]. რაც შეეხება საოჯახო ყოფის ისეთ კომპონენტებს, როგორიც იყო ოჯახის მართვის საქმეში უფროსი მამაკაცის პრიორიტეტი, მისი ფუნქციები შრომის ორგანიზაციის სფეროში, დედაკაცთან შედარებით მამაკაცის მაღალი უფლებამოსილება და საოჯახო ქონების განაწილების პატრიარქალური პრინციპი, მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც ა. ავდალის ნაშრომში ამ საკითხებზე თითქმის იგივე ითქვა, რასაც ზემოთ გავეცანით ს. ეგიაზაროვის ნაშრომის მიხედვით.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვამ გვიჩვენა, ამიერკავკასიაში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნიკური მასივების დიდი უმრავლესობის საოჯახო ყოფა სავსებით შეუსწავლელია, ბერძნებისა და ქურთების საოჯახო ყოფის სფეროდან ჯერჯერობით საქმე გვაქვს მისი ზოგიერთი თავისებურების ზედაპირულ მიმოხილვასთან, ხოლო ურუმთა საოჯახო ყოფის შესწავლას მონოგრაფიული გამოკვლევა მიეძღვნა. აღნიშნული მონაცემები მეტ-ნაკლები სისრულით გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ოჯახის ფორმებსა და სტრუქტურაზე, ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების გაბატონებულ წესთან ერთად გაუყოველად ცხოვრების იმ ტრადიციებზე, რაც გენეტიკურად საოჯახო თემის ადრინდელ არსებობას უკავშირდება, მაგრამ ამ მიმართულებით საკითხის ძიება დღეს მხოლოდ საწყის სტადია-

---

[6] ა. ა ვ დ ა ლ ი, ამიერკავკასიის ქურთების ყოფა (სომხურ ენაზე, რეზიუმე რუსულ ენაზე), ერევანი, 1957, 218—222.

შია და მისი შემდგომი კვლევა საბჭოთა ეთნოგრაფიის პერსპექტიულ ამოცანად წარმოგვიდგება. ამიერკავკასიის ხალხთა შორის, ქართველების შემდეგ, ამ მხრივ უკეთესი შედეგები გვაქვს ჯერ სომხების, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანელების საოჯახო ყოფის შესწავლის საქმეში, რაც, ალბათ, ქვემოთ წარმოდგენილ მიმოხილვაში გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საოჯახო თემის გადმონაშთები სომხეთში

კავკასიის ხალხთა საოჯახო ურთიერთობის ზოგადი და სპეციფიკური მხარეების შესწავლისა და ოჯახის ისტორიული განვითარების საფეხურების დადგენისათვის ისტორიულ წყაროებთან, სამართლის ძეგლებთან და მატერიალური კულტურის ნაშთებთან ერთად მრავლისმეტყველი გამოდგა სომხური ეთნოგრაფიული მასალა, რომლის შეგროვებას და პუბლიკაციას გასულ საუკუნეში უკვე საკმაოდ ინტენსიური ხასიათი მიეცა. საოჯახო ყოფის სფეროდან აქაც ავტორთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დიდმა ოჯახმა (გერდასტან), რომელიც XIX საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა არსებობას, როგორც ისტორიული საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა. აღნიშნული ვითარების გამო საოჯახო ყოფის შესახებ მასალის შეგროვება ხდებოდა უშუალო დაკვირვების გზით. XIX საუკუნის ყველა მოღვაწეს, ვინც კი საოჯახო ყოფის შესწავლით იყო დაინტერესებული, შესაძლებლობა ჰქონდა თავისი თვალით ენახა გერდასტანი, გასცნობოდა მის კომპონენტებს და მისივე წევრების გამოკითხვით მოეპოვებინა სათანადო ცნობები. ასე მოპოვებული მასალა აისახა რევოლუციამდელ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში[1], რომელიც გვაცნობს გერდასტანის მრავალსულია-

---

[1] А. Гакстгаузен, Закавказский край. ч. I, СПб, 1857; С. Егиазаров, Административно-экономический строй сельской общины в Эриванской губернии, СМИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1887; მისივე, Исследования по истории учреждений в Закавказье, ч. I, Сельская община, Казань, 1889; С. Зелинский, Экономический быт государственных крестьян в Шорагяле, Александропольского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; მისივე, Экономический быт государственных крестьян в Бамбакском участке в северной части Шорагяльского участка, Александропольского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. III, ч. I, Тифлис, 1886; მისივე, Экономический быт государственных крестьян в Зангезурском уезде, Елисаветпольской губернии, МИЭБГКЗК, т. IV, ч. I, Тифлис, 1886; А. Парвицкий, Экономический быт государственных крестьян

ნობას, რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრებას, მმართველობის დესპოტურ სისტემას, ამის შესაბამის ურთიერთობას და წარმოებამოხმარებისა და საკუთრების ხასიათს, მაგრამ XIX საუკუნის ლიტერატურა ვერც ამ საკითხში გასცდა აღწერილობის დონეს. სამაგიეროდ ეს ლიტერატურა, ახალ საველე მასალასთან, წერილობით წყაროებთან და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად საფუძვლად დაედო საბჭოთა ეთნოგრაფების სპეციალურ გამოკვლევებს საოჯახო ურთიერთობის შესახებ.

ქრონოლოგიური პრინციპით საკითხის განხილვისას საბჭოთა ეპოქაში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ გ. ჩურსინის ნარკვევი[2], რომელიც ემყარება ავტო-

---

юго-западной части Новобаязетского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК т. I, Тифлис, 1885; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян северо-западной части Шарура и восточной части Даралагеза, Шаруро-Даралагезского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. IV, ч. II, Тифлис, 1886; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян северо-восточной части Новобаязетского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т., IV, ч. II, Тифлис, 1886; Н Никифоров, Экономический быт государственных крестьян западной части Нахичеванского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; А. Деконский, Экономический быт государственных крестьян в западной части Шаруро-Даралагезского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; А. Ерицов, Экономический быт государственных крестьян Казахского уезда, Елисаветпольской губернии, МИЭБГКЗК, т. II, ч. II, Тифлис, 1886; Ф. Марков, Экономический быт государственных крестьян Эриванского уезда, МИЭБГКЗК, т. III. ч. I, Тифлис, 1886; А. Хан-Агов, Экономический быт государственных крестьян в Эчмиадзинском и Сурамалинском уездах, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. III, ч. I, Тифлис, 1886; И. Давидбеков, Село Гадрут Элисаветпольской губернии Джебриальского уезда, СМОМПК, вып., V, Тифлис, 1888; Н. Григоров, Село Татев, СМОМПК, вып. XIII, Тифлис, 1892; Е. Мелик-Шахназаров, Село Арцеванк Зангезурского уезда, Элисаветпольской губернии, СМОМПК, вып. XXV, Тифлис, 1898; А. Хаханов, Из жизни армян Новобаязетского уезда, Эриванской губернии, ЭО, 1893, № 2; Б Халатянц, Поездка в Апаран (Эчмиадзинский уезд, Эриванской губернии, ЭО, 1899, № 1—2; А. Самуели, Очерки по обычному семейному праву армян, «Кавказский вестник», Тифлис, 1902, № 1.

საოჯახო ყოფის შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები სომხურ ენაზეც, რაც სათანადოდაა შეფასებული საბჭოთა ეთნოგრაფიაში იხ. Э. Карапетян, Армянская семейная община, 1958, 5—24; А. Тер-Саркисянц, Современная семья у армян, М., 1972, 5—12.

[2] Г. Чурсин, Армяне Зангезура «Научные записки Закавказского

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მიერ XX საუკუნის დასაწყისში უშუალო დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მასალას და მანამდე გამოქვეყნებულ ზოგიერთ ეთნოგრაფიულ ნაშრომს. ასეთი მონაცემების მეშვეობით გ. ჩურსინი ზანგეზურის სომეხთა ყოფაში ადასტურებს გვაროვნული წყობის გადმონაშთების არსებობას, მათ შორის საოჯახო თემის გადმონაშთების შემონახულობას. როგორც ის წერს, ძველად ზანგეზურის სომხურ მოსახლეობაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა რამდენიმე ცოლშვილიანი ძმის მშობლებთან ერთად ცხოვრება. ასეთი საოჯახო თემი 40-50 წევრს ითვლიდა. გ. ჩურსინის იქ ყოფნის დროს პატრიარქალური წესით მცხოვრები ამგვარი ოჯახები, რომელთა რიცხობრივი შემადგენლობა 30-35 სულს აღწევდა, შემორჩენილი ყოფილა მხოლოდ ზანგეზურის ჩამორჩენილ კუთხეებში. ზანგეზურის სხვა ნაწილებში, საკუთრივ ზანგეზურსა და სისიანში, ამ დროისათვის დიდი ოჯახები უკვე აღარ არსებულან. თვით 1898 წელსაც კი, როგორც ეს ჩანს ე. ლალაიანის აქ დამოწმებული ცნობიდან, სისიანში ყველაზე მრავალსულიანი ოჯახი 20-25 სულზე მეტს არ ითვლიდა და თითოეულ სოფელში სულ ორი-სამი ასეთი ოჯახი ყოფილა შემორჩენილი. ამის შემდეგ ოჯახების გაყრის პროცესი მუდმივ მოვლენად ქცეულა და სისიანსა და ზანგეზურში გ. ჩურსინის ეთნოგრაფიული მუშაობის პერიოდისათვის ოჯახი 6-7 სულისაგან შედგებოდა. ოჯახების გაყრის მიზეზად მკვლევარს მიაჩნია საშოვარზე სიარული და გარესამუშაოების გაფართოება, რასაც შედეგად მოსდევდა ამ საქმიანობაში ჩაბმულ პირთა დაინტერესება ნაშოვარის მითვისებით. ეს მოვლენა ეწინააღმდეგებოდა ყველა სახის შემოსავლის ერთობლივი საკუთრება-მოხმარების პრინციპს, რაც დიდი ოჯახის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. გ. ჩურსინი აქვე აღწერს პატრიარქალურ ოჯახში არსებულ რეჟიმს, ოჯახის წევრთა ურთიერთობის ფორმებს, უმცროსების დამოკიდებულებას უფროსებთან, უმცროსი რძლის უფროსებთან (დედამთილთან, მამამთილთან, მაზლებთან) უმძრახობის წესს, პატარძლის მძიმე შრომით მოვალეობას ოჯახში და საოჯახო ყოფაში მოქმედ მთელ რიგ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

სომხური საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის ძირითადი ნიშნების დახასიათებას საკმაო ადგილი დაუთმო ს. ლისიციანმა რე-

---

Коммуничстического университета им. 26-ти», т. I, вып. 6, Тифлис. 1931, 240—243.

ოლუციამდელი სომხეთის ეთნოგრაფიის ნარკვევებში[3]. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ავტორმა გვიჩვენა, რომ დიდი საოჯახო თემები, რომელთა შემადგენლობაში ახლო ნათესავების რამდენიმე თაობა და 50-მდე სული შედიოდა, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდნენ სომხეთის მიყრუებულ კუთხეებში. ს. ლისიციანის დაკვირვებით, ასეთი ოჯახის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა უფროსი მამაკაცისა და ქალის პრიორიტეტი. ოჯახის ერთპიროვნულ მმართველად ითვლებოდა უხუცესი მამაკაცი, რომელსაც ყველა უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა. იგი თავს მოვალედ არ თვლიდა ვისთვისმე ანგარიში ჩაებარებინა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე ხნიერ მამაკაცებს მაინც ეთათბირებოდა. მის უახლოეს თანაშემწედ ითვლებოდა უფროსი ქალი (ტანტიკინ), რომელიც საოჯახო საქმიანობას ხელმძღვანელობდა, რძლებს შორის ფუნქციებს ანაწილებდა და ოჯახის უფროსს საშინაო საქმეებს უთანხმებდა. ასეთი რეჟიმის მქონე ოჯახის გაყრა უფროსის გადაცვალებამდე ძველად მიუღებელი ყოფილა. მაგრამ თუ ოჯახი მამის სიცოცხლეში მაინც დანაწილდებოდა, მამა ქონების ისეთსავე წილს მიიღებდა, როგორსაც ცალკე გამოყოფის მსურველი მისი თითოეული შვილი. გარკვეული ნაწილი გათვალისწინებული იყო დედისთვისაც თუ ოჯახი მის გარდაცვალებამდე გაიყოფოდა. ჩვეულებრივად კი ოჯახის გაყოფა უნდა მომხდარიყო უფროსების გარდაცვალების შემდეგ. ასეთ ვითარებაში ყველა სახის ქონებას ძმები თანაბრად ინაწილებდნენ, ხოლო მათ შორის უფროსს აძლევდნენ ზედმეტს საუფროსოს სახით. ოჯახის გაყრის ყველა შემთხვევაში — უფროსების გარდაცვალებამდე თუ მათი გარდაცვალების შემდეგ — ქონების გაყოფა ხდებოდა წილისყრით, ოღონდ წილისყრამდე პირველ რიგში ცალკე გამოყოფდნენ რძლების მზითევს, ხოლო შემდეგ გასათხოვარი ქალებისთვის განკუთვნილ სამზითვო ქონებას, რომელიც განაწილებაში არ შედიოდა და ქალებისა და რძლების პირად საკუთრებად ითვლებოდა.

ს. ლისიციანის გამოკვლევით, სომეხთა ყოფაში გვიანობამდე შეინარჩუნა არსებობა სოფლის თემმაც, რომელიც ბოლო საუკუნეების სიგრძეზე წარმოადგენდა დიდი ოჯახების ტერიტორიულ-მეზობლურ გაერთიანებას. რუსეთის ხელისუფლებამ ასეთ თემს მოუს-

---

[3] С. Лисициан, Очерки этнографии дореволюционной Армении, КЭС, I, М., 1955.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრო სომხეთით დასახლებულ ამიერკავკასიის იმ ოლქებში, რომლებიც სპარსეთისა და თურქეთის ხელთ იყო. ავტორის შეხედულებით, ამგვარი ტიპის თემი წარმოადგენდა თურქულ-ირანული მოძალადეობისაგან თავდაცვის საიმედო ძალას. დიდი ოჯახი მას მიაჩნდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხალხის შეკავშირებისა და ყოველგვარი ურთიერთდახმარების ერთ-ერთ საშუალებად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა გაუყოფლად ცხოვრების წესის ხანგრძლივად არსებობას. გაუყოფლად ცხოვრებით ერთობისა და ძალის შენარჩუნების საჭიროება ერთხანს იგრძნობოდა რუსული თვითმპყრობელობისა და ცარიზმის განუკითხავი ძალაუფლების პირობებშიც, მაგრამ რუსეთის კულტურულ-ეკონომიურ სამყაროსთან დაახლოების შედეგად XIX საუკუნის ბოლო პერიოდში სომეხთა ყოფამ ძირეული ცვლილებები განიცადა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა დიდი ოჯახების დაშლის პროცესის გაღრმავება-გაფართოებაშიც. პირველ რიგში ეს დამახასიათებელი ყოფილა აღმოსავლეთ სომხეთისათვის, სადაც დიდი ოჯახების დაყოფის შედეგად იქმნებოდა განაყრებით დასახლებული უბნები, რომელთაც ეკონომიური მთლიანობის საფუძველი მოშლილი ჰქონდათ, ხოლო ადრინდელი ერთობის ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობდა ნათესაური ურთიერთობის სფეროში.

როგორც წყაროების მრავალფეროვნებით, ისე მისი ანალიზით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. კარაპეტიანის გამოკვლევები სომეხთა უძველესი სოციალური ინსტიტუტების შესახებ[4]. 1958 წელს მან სპეციალური მონოგრაფია[5] მიუძღვნა სომხურ გერდასტანს და XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რაც უმთავრესად ავტორის საველე მუშაობის შედეგად იქნა მოპოვებული, მოგვცა მისი გადმონაშთური სახეობის დახასიათება. ამასთან ერთად, ავტორმა გამოიყენა ძველსომხური ისტორიული წყაროები, სამართლის ძეგლები, არქეოლოგიური მონაცემები, პერიოდული პრესის მასალები, სომხებისა და კავკასიის სხვა ხალხთა საოჯახო ყოფის შესახებ არსებული ნაშრომები და ზოგადი ეთნოგრაფიის მიღწევები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისტორიული განვითა-

---

[4] ალ. რობაქიძე, ორი გამოკვლევა სომეხთა სოციალური ყოფის ისტორიიდან, „მაცნე", 1967, № 4, მისივე, Новые исследования по истории социальной организации у армян, СЭ, 1968, № 2.

[5] Э. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ჭრილში განიხილა ძირითადი კომპონენტები: რიცხობრივი მუხლობრივი შემადგენლობა, საოჯახო მეურნეობა, საცხოვრებელი კომპლექსი, მმართველობის სისტემა, შრომის ორგანიზაცია, უფლებრივი ურთიერთობის ნორმები, საკუთრების ხასიათი, ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი.

საოჯახო გენეალოგიების შესწავლის შედეგად ავტორმა დაადგინა, რომ სომხეთის სხვადასხვა კუთხეში არსებობდა სამი, ოთხი და, შედარებით იშვიათად, ხუთი თაობის მომცველი მრავალსულიანი ოჯახები. სომხეთის აღმოსავლეთ რაიონებში არსებული დიდი ოჯახების უმრავლესობა სამი თაობისაგან შედგებოდა, ხოლო ხუთი თაობის მომცველი ოჯახები შემორჩენილი ყოფილა მხოლოდ დასავლეთ სომხეთის მთიანეთში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ოჯახების რიცხობრივი და მუხლობრივი შემადგენლობის ასეთი განსხვავების მიზეზად ავტორს მიაჩნია სომხეთის რაიონების სოციალურ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონე. მისი შეხედულებით, აღმოსავლეთ სომხეთის ეკონომიურად განვითარებულ რაიონებში ნატურალური მეურნეობის რღვევა და კერძო-მესაკუთრული ურთიერთობის განვითარება ხელს უწყობდა ოჯახის შიგნით წინააღმდეგობის გაჩენას, მისი მთლიანობის რღვევას და ნათესაური წრის დავიწროებას მისი წევრების თანდათანობით გამოყოფის შედეგად. რაც შეეხება ეკონომიური განვითარების დონით შედარებით ჩამორჩენილ დასავლეთ სომხეთის მთიანეთს, სადაც უპირატესად ნატურალური მეურნეობა არსებობდა და ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები, ოჯახის რიცხობრივი და ნათესაობრივი შემადგენლობის შემცირების პროცესიც უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ავტორის დაკვირვებით, გერდასტანის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა სომხეთის სხვადასხვა მხარეში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მისივე მტკიცებით, როგორც სამეურნეო ნაკვეთები, ისე საქონელი, სამეურნეო იარაღები, საცხოვრებელი ნაგებობანი თუ საოჯახო ინვენტარი გერდასტანის საერთო საკუთრებაში შედიოდა. საოჯახო თემის ქონება გაუსხვისებელი იყო და მხოლოდ ოჯახის წევრთა სამემკვიდრეოდ ითვლებოდა. ამიტომ ერთად მცხოვრები ძმები საოჯახო ქონების იდეალური წილის პოტენციალური მფლობელები იყვნენ. იდეალური წილის მიმართ არსებული ეს პოტენციალური უფლება ძალაში შედიოდა ძმების გაყრის შემთხვევაში,

ხოლო ქონების გაყოფა ხდებოდა მუხლობრივი პრინციპის შესაბამ-ისად, სადაც მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა განსაზღვ-რული თაობის წარმომადგენელი. ასეთებად გვევლინებოდნენ უმ-თავრესად გარდაცვლილი უფროსის შვილები, რომელთა შორის ქონების გაყოფა ხდებოდა მათი თანასწორუფლებიანობის ნიშნით. გაყოფა არ ეხებოდა მხოლოდ პირად საკუთრებაში არსებულ საგ-ნებს (ტანსაცმელი, სამკაული, იარაღი).

როგორც ნაშრომშია დასაბუთებული, ამგვარი ქონებრივ-უფ-ლებრივი ურთიერთობა შეესაბამებოდა საერთო-საოჯახო ქონებაზე კოლექტიური საკუთრების შენარჩუნების ინტერესებს. თავის მხრივ საერთო-საოჯახო საკუთრება წარმოადგენდა კოლექტიური წარმოების საფუძველს, ხოლო საოჯახო ურთიერთობის განვითარე-ბის გვიანდელ საფეხურზე კოლექტიური საკუთრების შენარჩუნე-ბა განპირობებული იყო კოლექტიური წარმოების აუცილებლობ-ით. კოლექტიური წარმოება სოციელდებოდა შრომის ორგა-ნიზაციის კოლექტიური ფორმის მეშვეობით, რაც იმაში გამოიხა-ტებოდა, რომ ოჯახის შრომისუნარიანი წევრები სქესისა და ასაკის მიხედვით საოჯახო მეურნეობაში ერთობლივად მონაწილეობდნენ.

მმართველობის სისტემისა და შინასაოჯახო ურთიერთობის ნორმების მიხედვით ნაშრომში ნაჩვენებია სამი სახის საოჯახო თე-მის არსებობა. ავტორის შეხედულებით, მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო დესპოტური ტიპის საოჯახო თემი, რომე-ლიც ხასიათდებოდა ოჯახის უფროსის — ტ ა ნ ტ ე რ ი ს განუსაზ-ღვრელი ძალაუფლებით და ოჯახის დანარჩენ წევრთა მისდამი მორჩილებით. დასავლეთ სომხეთის მთიანეთში იშვიათი გამონაკ-ლისის სახით არსებული მეორე სახის საოჯახო თემის ძირითად ატ-რიბუტს წარმოადგენდა მმართველობისა და შინასაოჯახო ურთი-ერთობის დემოკრატიული პრინციპი. რაც შეეხება მესამე სახის სა-ოჯახო თემს, რომელიც შესწავლილია კაპიტალისტურ ურთიერთო-ბაში ჩაბმული ცალკეული რაიონების მიხედვით, მის შიგნით მიმ-დინარეობდა მამის (ოჯახის უფროსის) ძალაუფლების შეზღუდვა-შესუსტებისა და ოჯახის წევრთა ინდივიდუალური უფლებების ზრდის პროცესი. ოჯახის სამივე სახეობა შეესაბამებოდა კლასობ-რივ საზოგადოებაში გადმონაშთური ფორმით არსებული საოჯახო თემის განვითარების სამ საფეხურს. ოჯახის ამგვარ სახეობათა შეპირისპირების შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კლასობრივი საზოგადოებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელი იყო დესპოტური ოჯახი, მეორე სახის ოჯახი წარმოადგენდა დემოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიულიდან დესპოტური ოჯახისაკენ გარდამავალ ფორმას, ხოლო მესამე სახის ოჯახის არსებობა შეესაბამებოდა საოჯახო თემის დაცემის სტადიას.

ასეთი თანმიმდევრობით საკითხის განხილვის საფუძველზე ავტორმა გვიჩვენა, რომ საოჯახო თემმა სომხეთში განვითარების გრძელი გზა განვლო. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, სახელდობრ საოჯახო თემისათვის დამახასიათებელი განათხარი საცხოვრებელი კომპლექსის მეშვეობით, ავტორმა საოჯახო თემის ჩამოყალიბება დაუკავშირა ადრეული ბრინჯაოს ხანას, ხოლო ყველა მონაცემის ანალიზის შედეგად ნაშრომში დასაბუთებულია, რომ გერდასტანი წარმოადგენდა ისეთ სოციალურ-ეკონომიურ უჯრედს, რომელიც წარმოიშვა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის დაშლის საფეხურზე, იარსება ყველა ისტორიულ ფორმაციაში, კლასობრივი საზოგადოების განვითარების შესაბამისად სათანადო ცვლილებები განიცადა და თავისი ხანგრძლივი არსებობა განვითარებული კაპიტალიზმის ხანაში დაასრულა. მისი მოსპობის უმთავრეს მიზეზებად ავტორს მიაჩნია კერძო საკუთრების ჩასახვა და მისი შემდგომი განვითარება.

ე. კარაპეტიანის ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გერდასტანის რიგ თავისებურებას შეეხო მ. კოსვენი, რომელმაც ე. კარაპეტიანის თუ მის წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით გაკეთებულ მოკლე მიმოხილვაში სომხური საოჯახო თემი დესპოტური ტიპის საოჯახო თემთა წყებას მიაკუთვნა[6].

საოჯახო თემის შესწავლა შემდგომში ე. კარაპეტიანმა კვლავ განაგრძო. მან ჯერ გამოქვეყნა სპეციალური მონოგრაფია სომხური აზგის (პატრონიმიის) შესახებ[7], სადაც მდიდარი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია პატრონიმიის ძირითადი ელემენტები (პატრონიმიის ნათესაური სტრუქტურა, ერთ უბნად ცხოვრება, მეურნეობრივი და სულიერი ერთობის ელემენტები) და მისი გენეტიკური კავშირი გერდასტანთან. შემდეგ კი ე. კარაპეტიანმა გერდასტანისა და აზგისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები სადოქტორო დისერტაციის[8] სახით გააერთიანა, რითაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ის გარემოება, რომ გერდასტანი წარმოადგენდა

---

[6] М. Косвен, Этнография и история Кавказа, 100—102.

[7] Э. Карапетян, Родственная группа «азг» у армян, Ереван, 1966.

[8] Э. Карапетян, Семейная община и патронимия у армян, Автореферат докт. дисс., Тб., 1967.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმას, ხოლო აზგი—გერდასტანში დაყოფა-დანაწილების შედეგად ჩამოყალიბებულ პატრონიმიულ გაერთიანებას.

ს. ლისიციანისა და ე. კარაპეტიანის მიერ ზემოხსენებულ შრომებში გამოთქმული შეხედულებები მათივე ავტორობით ზუსტადაა ანოტირებული კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ კომპენდიუმში[9].

სხვა საკითხების კვლევასთან დაკავშირებითაც გამოითქვა მოსაზრება, რომ გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას განსაკუთრებით დიდხანს ინარჩუნებდნენ სომხეთის მთიანეთში, რაშიაც მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია ადგილმონაცვლე მესაქონლეობის პრაქტიკას. ამ მოსაზრებას ი. მკრტუმიანი ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ მიწათმოქმედებასთან ერთდროულად ამ ტიპის მესაქონლეობის გაძღოლა საჭიროებდა საკმაო რაოდენობის მუშახელს, რომლის დასაქმების შესაძლებლობა ისახებოდა დიდი ოჯახის არსებობის პირობებში[10].

სომხების საოჯახო ყოფის კვლევის შემდგომი ეტაპი აღინიშნა ახალი საოჯახო ყოფის შესწავლით, რასაც სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ა. ტერ-სარქისიანცმა[11]. მას მიზნად დაუსახავს სოფლის მოსახლეობის ახალი საოჯახო ყოფის ძირითადი კომპონენტების კვლევა. სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლინებისათვის ავტორი მასალას განიხილავს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. ამასთან ერთად, ცდილობს გვიჩვენოს კონტრასტები ახალსა და ძველ საოჯახო ყოფას შორის. თავის მიერ მოპოვებული მასალისა და გერდასტანის შესახებ არსებული ლიტერატურული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი გზადაგზა იძლევა ახალ ყოფაში შემონახული ძველი ტრადიციების დახასიათებას. ავტორის დაკვირვებათა შედეგად სრულიად აშკარაა, რომ ახალ საოჯახო ყოფაში შენარჩუნებული იყო რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია. იგი აღწერს არაერთ ისეთ ოჯახს, რომელიც ჯერ კიდევ აერთიანებდა სამი თაობის წარმომადგენლებს. ამასთან ერთად, ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ თანამედროვე ინდივიდუალურ ოჯახში ურთიერთობისა და ჩვეულების მრავალი ისეთი ნორმა მოქმედებდა, რაც დამახასიათებელი იყო ძველი სა-

---

[9] «Народы Кавказа», II, М. 1962, 524—527.

[10] Ю. Мкртумян, Формы скотоводства и быт населения в армянской деревне второй половине XIX в. СЭ, 1968, № 4.

[11] Л. Тер-Саркисянц, Современная семя у армян, М., 1972.

ოჯახი ყოფისათვის. ავტორის დაკვირვებით, გაუყრელად ცხოვრების წესი და მისთვის ნიშანდობლივი ტრადიციები უმთავრესად შენახული ყოფილა სომხეთის მთიანეთში, აგრეთვე მთისძირა ზოლის მოსახლეობაში, ხოლო ოჯახების გაყრას გაცილებით ინტენსიური ხასიათი ჰქონია ქალაქებში, სამრეწველო რაიონებში და მასთან ახლოს მდებარე სოფლებში. ავტორის ამ დაკვირვებას სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ კვლევაში, რამდენადაც სომხეთის მთიანეთში, ისევე როგორც კავკასიის სხვა რეგიონებში თუ სხვაგან, სოციალური განვითარების დონით მთასა და ბარს შორის მკვეთრ განსხვავებას ჰქონდა ადგილი. სამწუხაროდ, ეს უდავო ჭეშმარიტება ზოგჯერ სრულიად გაუგებარი მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

2. საოჯახო თემის გადმონაშთები აზერბაიჯანში

კავკასიის ხალხთა საოჯახო თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვისას მ. კოსვენი არ შეხებია აზერბაიჯანელთა ყოფაში დიდი ოჯახის არსებობის საკითხს, რომლის მიზეზად იგი ასახელებდა სათანადო წყაროების უქონლობას. მისი მტკიცებით, რევოლუციამდელ ლიტერატურაში აზერბაიჯანული დიდი ოჯახის შესახებ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ცნობაც კი არ მოგვეპოვება[1]. მკვლევარი ასევე არასახარბიელო მდგომარეობას ხედავს ახალ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც[2], რამდენადაც ავტორები მხოლოდ იმის აღნიშვნას დასჯერდნენ, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მათ მიერ შესწავლილ რაიონებში დიდი ოჯახები არ შემონახულა[3].

მ. კოსვენმა ასე წარმოგვიდგინა საკითხის შესწავლის მდგომარეობა აზერბაიჯანის მაგალითზე ნაშრომში, რომელიც პირველად გამოაქვეყნა 1946 წელს[4], ხოლო შევსებული სახით შეიტანა 1961 წელს გამოსულ წიგნში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ.

---

[1] М. Косвен, Этнография и история Кавказа, 101—102.

[2] М. Атакишиева, Семейный быт азербайджанцев в прошлом и настоящем (по материалам Халданского района), Автореферат канд. диссер., М; 1953; Г. Гулиев, Социалистическая культура и быт колхозного крестьянства Азербайджана (по материалам Кубинского района), Автореферат канд. дисс.., М., 1953.

[3] М. Косвен, დასახ. ნაშრომი, 101—102.

[4] СЭ, 1946, № 2.

მ. კოსვენის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, რომელთაც მ. კოსვენი ვეღარ მოესწრო, მაგრამ ვიდრე მათ შესახებ რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ რევოლუციამდელი ლიტერატურის კოსვენისეული შეფასება მეტისმეტად მკაცრად გამოიყურება. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ა. არღუთინსკის ცნობა ბორჩალოელ თათართა გაუყრელად ცხოვრების წესად არსებობის შესახებ და მის მიერვე დიდი ოჯახის აღწერილობა, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ მ. კოსვენის თვალსაზრისი რევოლუციამდელი ლიტერატურის ღირსების შესახებ. როგორც ა. არღუთინსკი წერს, ოჯახის გაყრა თათრებს შორის ძალზე იშვიათია, ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ერთად ცხოვრებას და მხოლოდ მათთან შეიძლება ვნახოთ განაყარი ოჯახების კვლავ ერთად შეყრის შემთხვევები. ამის მიზეზად ავტორს მიაჩნია მათი ცხოვრების პირობები, ხოლო გაყრის საფუძვლად თვლის მხოლოდ მამის, ე. ი. ოჯახის უფროსის თანხმობას, ურომლისოდაც ცალკე გამოყოფის მსურველისათვის ქონების მიცემის შესაძლებლობა გამორიცხული ყოფილა[5].

ა. არღუთინსკი ეხება გაუყრელად ცხოვრების მრავალ სხვა მხარესაც. დიდი ოჯახის შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება სხვა ავტორთა ნაწერებშიც[6], რომლის ხელაღებით უარყოფა ყოვ-

---

[5] А. Аргутинский-Долгоруков, Борчалинский уезд в экономическом и коммерческом отношениях, Тифлис, 1897, 83—84, 87—88.

[6] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. 2, СПб, 1871, 368 და შმდ.; П. Рисс, О талышинцах, их образе жизни и языке, ЭКОРГО, кн. 3, Тифлис, 1885; П. Ягодынский, Экономический быт государственных крестьян в Бакинском уезде, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; მისივე, Экономический быт государственных крестьян западной части Бакинского уезда, МИЕБГКЗК, т. II, ч. I, Тифлис, 1886; მისივე, Экономический быт государственных крестьян в южной части Кубинского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. II,ч. I, Тифлис, 1886; П. Котляревский, Экономический быт государственных крестьян северной части Кубинского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. II, ч. I, Тифлис, 1886; Н. Калашев, Местечко Сальяны Джеватского уезда, Бакинской губернии, СМОМПК, вып. V, отд. I, Тифлис, 1886; Н. Абелов, Экономический быт государственных крестьян Геокчайского и Шемахинского уездов, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. VI, ч. II., Тифлис, 1887; С. Алифин, Экономический быт государственных крестьян Джеватского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. VII, Тифлис, 1887; Д. Кистенев,

ლად გაუმართლებელია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საოჯახო ყოფის თავისებურების გასარკვევად, საოჯახო ყოფის შესწავლის მიზნით მათი გამოყენება ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე არავის უცდია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახის ისეთმა დიდმა მკვლევარმაც კი, როგორიც მ. კოსვენი იყო, რევოლუციამდელი ლიტერატურა აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფის შესახებ განხილვის ღირსად არ სცნო. მ. კოსვენის ზემოხსენებული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგაც აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფის, კერძოდ საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის შესწავლას კიდევ დიდხანს არ ექცეოდა ყურადღება. ამ საკითხის კვლევას ინტენსიური ხასიათი მიეცა მხოლოდ 1960-იანი წლებიდან, რაც აღინიშნა, ერთი მხრივ, საოჯახო ყოფის სპეციალური შესწავლით, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა მონათესავე საკითხების დამუშავებასთან დაკავშირებით საოჯახო ურთიერთობის რიგი მომენტის გაშუქებით.

ლიტერატურის შესწავლისა და საველე მასალის ანალიზის საფუძველზე ყველა მკვლევარი, ვინც კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა საოჯახო ყოფას შეეხო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XIX საუკუნეში და თვით XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც გაუყოფელად ცხოვრების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობდა, ოჯახის ძირითად სახეობას წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემი საბოლოო დაშლისა და მოსპობის სტადიაში იმყოფებოდა.

ვ. კობიჩევის დაკვირვებით, სწორედ ამ პროცესმა განაპირობა ნაგებობათა გაბარიტების შემცირება და კონსტრუქციული ცვლილებები. როგორც მან აღნიშნა, დიდი პატრიარქალური ოჯახების თანდათანობითი დაშლის შედეგად XIX საუკუნეში მიმდინარეობდა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მოცულობის შემცირება და კარ-ფანჯრების რაოდენობის ზრდა, ე. ი. ფართის სეგმენტაცია. ვ. კობიჩევის ცნობით, უდური სახლის ინტერიერიც აზერბაიჯანულის მსგავსი იყო, რაც ასევე ახსნილი აქვს XIX საუკუნის

Экономический быт государственных крестьян Ленкоранского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. VII, Тифлис, 1887; С. Егиазаров, Сельская община в Елисаветпольской и Бакинской губерниях, СМИЭБГКЗК, т. III, ч. II, Тифлис, 1887; А. Захаров, Домашний и социальный быт женщин у закавказских татар, СМОМПК, вып. XX, отд. I, Тифлис, 1894; М. Эфендиев, Селение Лагич, Геокчайского уезда, Бакинской губернии, СМОМПК, вып. 29, отд. II, Тифлис, 1901 და სხვა.

ბოლომდე დიდი პატრიარქალური ოჯახების შემონახულობის ფონზე. ხინალუგების ნაგებობათა კონსტრუქციული ცვლილებების საფუძველადაც ავტორს მიაჩნია დიდი ოჯახების დაშლა[7]. მაშასადამე, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ყოფაში XIX საუკუნის ბოლომდე სიცოცხლეს ინარჩუნებდა გაუყოფელად ცხოვრების წესი, რომლის არსებობა თუ მოშლა ნაგებობასაც თავისებურ სახეს აძლევდა.

ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებლების (ქართული დარბაზი, სომხური გლახატუნი, აზერბაიჯანული ყარადამი) სოციალური ფუნქციების განხილვისას საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის არსებობას აღნიშნავს და ამ ტიპის ნაგებობებს გენეტიკურად დიდი ოჯახის საცხოვრებლად წარმოგვისახავს თავის მონოგრაფიაში თ. ჩიქოვანი[8], რაზედაც ვრცლად ითქვა ჩვენს რეცენზიაში[9] და ამის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

აზერბაიჯანის ერთ-ერთი რაიონის მცხოვრებთა (თათრები, ლეკები, მთიელი ებრაელები, ხინალუგები, კრიზები, ბუდუგები) ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გ. გეიბულაევი ამტკიცებს, რომ რევოლუციამდელ ყოფაში ძირითად ერთეულს წარმოადგენდა პატარა ოჯახი, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა პატრიარქალური ყოფის ელემენტები. ამგვარი ოჯახის ერთ-ერთ თავისებურებად ავტორს მიაჩნია უფროსი მამაკაცისადმი, როგორც ქონების ერთპიროვნული მეპატრონისადმი, ოჯახის დანარჩენ წევრთა უყოყმანო მორჩილება. ასეთი ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო დაქორწინების შემდეგ შვილების ცალკე გამოყოფა მშობლებთან უმცროსი შვილის დარჩენის პირობით. ძველი პატრიარქალური ყოფის ნიშნად მიჩნეულია ისიც, რომ ზოგჯერ გაყრილი ძმები კვლავ ინარჩუნებდნენ მეურნეობრივ ერთობას, მაგრამ პატრიარქალური საოჯახო წეს-რიგის შედარებით სრულ სურათს ავტორი ხედავს ყოფილი ყუბის მაზრის მოსახლეობაში XIX საუკუნის ბოლომდე გადმონაშთის სახით შემორჩენილ დიდ პატრიარქალურ ოჯახში, რომელიც 3-4 თაობისაგან შედგებოდა და ზოგჯერ 60-65 სულს აერთიანებდა.

---

[7] В. Кобычев, Крестьянское жилище народов Азербайджана в XIX в. КЭС, III, Москва, 1962, 19, 57, 58, 60.

[8] თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ. 1967.

[9] ვ. ითონიშვილი, მონოგრაფია ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებლების შესახებ, "მაცნე", 1964, № 4.

ამგვარი ოჯახის დახასიათების მიზნით ავტორი ეხება არა მარტოოდენ მის შემადგენლობას, არამედ ისეთ კომპონენტებსაც, როგორიცაა საცხოვრებელი ნაგებობანი; ნაგებობის სოციალური ფუნქცია და დიდი ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილ სათავსოთა სახელწოდებები; დიდი ოჯახის დაშლის შედეგად შექმნილი უბანი და პატრონიმიული გაერთიანება მის სათავეში ყოფილი დიდი ოჯახის უფროსის ყოფნით; წინაპრის კულტთან დაკავშირებული საერთო სალოცავი, რომელიც ადრე გაუყოფელ ოჯახს ეკუთვნოდა; მმართველობის სისტემა და ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება, დიდი ოჯახის მეთაურის უფლება-მოვალეობა და ამის გამომხატველი სახელწოდებები; თვით დიდი ოჯახის აღმნიშვნელი სახელწოდებები; ოჯახის გაყრის შემთხვევაში ინვენტარისა და საქონლის განაწილება, მაგრამ საერთო ხმარებაში მიწის დატოვება; ერთი დიდი ოჯახის დაყოფა ერთ შემთხვევაში შედარებით მცირერიცხოვან დიდ პატრიარქალურ ოჯახებად, ხოლო მეორე შემთხვევაში ინდივიდუალურ ოჯახებად და სხვა.

ავტორის შეხედულებით, დიდი ოჯახის შემონახულობას საკვლევ რაიონში, ისევე როგორც მთელ აზერბაიჯანში, ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის დიდხანს არსებობა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სუსტი განვითარება. მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია აგრეთვე კომლობრივი საგადასახადო სისტემა, როდესაც საგადასახადო ერთეულთა ზრდის შიშით მოსახლეობა გაუყოფელად ცხოვრებისადმი მიდრეკილებას იჩენდა. სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და ოჯახის შიგნით კერძო საკუთრებისადმი ლტოლვის შედეგად კი, როდესაც ოჯახის უფროსი დესპოტური ერთმმართველობისადმი კიდევ უფრო დიდი გულმოდგინებით ისწრაფვის, დიდი ოჯახის დაშლაც გარდუვალი ხდება[10].

გ. გეიბულაევის ნაშრომების მიხედვით, აზერბაიჯანული დიდი ოჯახი თავისი ბუნებით დესპოტურია, მაგრამ როდესაც იგი შეეცადა დიდი ოჯახის ტიპის განსაზღვრას, არსებული მასალების საფუძველზე ზოგიერთი ოჯახისათვის დამახასიათებელ მომენტად მიიჩნია დემოკრატიული (სოლიდარული) წეს-რიგის მოქმედება იმ

---

[10] Г. Гейбулаев, Современная семья и семейный быт азербайджанцев (по этнографическим материалам Кубинского района), Автореферат кан. дисс. Баку, 1966; მისივე, О пережитках большой семьи в Азербайджане в XIX в. (по материалам Кубинского района), АЭС, II, Баку, 1966.

არგუმენტით, რომ ოჯახის უფროსის — მამის ადგილს მისი უფროსი შვილი იკავებდა, რომელსაც მეურნეობის წარმოება ეკისრებოდა[11]. მაგრამ ვინაიდან ნაშრომში ნაჩვენები არ არის მმართველობის სისტემაში მათი უფლებრივი მდგომარეობა, მარტო ზემოხსენებული ფაქტორით ოჯახის სოლიდარულ ბუნებაზე მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია. ასევე მიუღებელია იმის მტკიცება, თითქოს აზერბაიჯანული დიდი ოჯახის შიგნით არსებული კუზენური ქორწინება ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთია და რომ კუზენური ქორწინება რამდენადმე დაკავშირებულია დიდ ოჯახთან[12]. დიდი ოჯახი საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ მის შიგნით, ე. ი. ოჯახის წევრებს შორის ქორწინება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ აზერბაიჯანულ დიდ ოჯახში კუზენური ქორწინების არსებობა აიხსნება არა ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთების შემონახულობით და დიდ ოჯახთან მისი კავშირით, არამედ აზერბაიჯანელთა ყოფაში მაჰმადიანური რელიგიის გაბატონებით, რომელიც ახლო ნათესავთა შორის ქორწინებას არ კრძალავდა.

შირვანის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გ. რაჯაბოვმა შეისწავლა რა სოფლის თემის სტრუქტურა გადმონაშთური ფორმით მისი არსებობის პირობებში, მის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნია პატრონიმიის არსებობა. ამასთან ერთად, მიუთითა, რომ სოფლის თემის ძირითად სამეურნეო და საზოგადოებრივ უჯრედს წარმოადგენდა ოჯახი, რომლის სახეობათაგან გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო XIX საუკუნის მიწურულში გადმონაშთის სახით ჯერ კიდევ არსებობდა საოჯახო თემიც[13]. როგორც ავტორმა აღნიშნა, XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე შირვანში შემორჩენილ საოჯახო თემს არქაული ნორმების უმრავლესობა დაკარგული ჰქონდა. მისთვის უცხო იყო მმართველობის დემოკრატიული (სოლიდარული) სისტემა, რამდენადაც ოჯახის უფროსი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. მუსულმანური რელიგიის ბატონობის პირობებში ქალი უნუგეშო მდგომარეობაში

---

[11] Г. Гейбулаев, О пережитках большой семьи в Азербайджане в XIX в., АЭС, II, 181.

[12] ибидем, 181,

[13] Г. Раджабов, Пережитки сельско-общинного быта в дореволюционном Азербайджане (этнографическое исследование по материалам Ширвана), Автореферат канд. дисс., Баку, 1966; тот же, некоторые этнографические данные о пережитках сельской общины в Азербайджане (по материалам Ширвана), АЭС, II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომყოფებოდა. მამაკაცთან შედარებით ასევე უმნიშვნელო უფლებებით სარგებლობდა უფროსი ქალი, რომელიც დიდი ოჯახის შინამეურნეობას (საქალებო საქმიანობას) ხელმძღვანელობდა. სხვა ქალებთან შედარებით მისი პრივილეგია იმაში მდგომარეობდა, რომ მამაკაცები ზოგიერთ საკითხზე მასთანაც თათბირობდნენ და მის აზრს ანგარიშს უწევდნენ[14].

გ. რაჯაბოვის დაკვირვებით, საოჯახო თემის არქაული ნორმებიდან მმართველობის სოლიდარული სისტემა შირვანელთა საოჯახო ურთიერთობაში მოშლილი იყო, მაგრამ იმავე უძველესი ნორმებიდან დესპოტური ტიპის ოჯახი გადმონაშთის სახით ინარჩუნებდა წარმოებისა და მოხმარების კოლექტიურ პრინციპს. ეს პრინციპი ისეთ ვითარებაშიც კი მოქმედებდა, როდესაც მამის გარდაცვალებამდე ძმებს შორის ქონება უკვე განაწილებული იყო, თითოეული ძმა თავისი კუთვნილი წილის მესაკუთრედ ითვლებოდა, მაგრამ მამის გარდაცვალებამდე კვლავ ერთ ჭერქვეშ განაგრძობდნენ ცხოვრებას, კოლექტიური შრომით უძღვებოდნენ საოჯახო მეურნეობას და დოვლათსაც თანაბარი უფლებებით იყენებდნენ. ავტორი ისეთ ვითარებაზედაც მიუთითებს, როდესაც მამის გარდაცვალების შემდეგ დიდი ოჯახის სეგმენტაცია ხდებოდა ძმების ერთი ნაწილის გამოყოფით ქონების გაუყოფლად. ზოგიერთი ძმის გამოყოფას, მაგრამ ქონებაზე ერთობის შენარჩუნებას ზოგჯერ ადგილი ჰქონია მამის გარდაცვალებამდეც. მაგრამ ოჯახის დაყოფა რომელი ვარიანტითაც არ უნდა მომხდარიყო, განაყრები პირველ რიგში ძველ სახლშივე რჩებოდნენ საცხოვრებლად, თუ საცხოვრებელი ადგილი მათთვის საკმარისი აღმოჩნდებოდა. ასე ეწყობოდნენ, უმთავრესად, შეძლებული ოჯახის განაყრები, რომელთაც დიდი სახლიც ჰქონდათ. ფართის უკმარობის შემთხვევაში კი ოჯახი გაყრამდევე აშენებდა სახლებს მომავალი ახალი ოჯახებისათვის და განაყრები ცალ-ცალკე სახლდებოდნენ. ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა ისიც, რომ ერთ უბნად დასახლებული განაყრები მორიგეობით სარგებლობის პირობით კოლექტიურ საკუთრებაში იტოვებდნენ წისქვილს, დიდ გუთანს და სხვა სახის დოვ-

---

[14] Г. Раджабов, Пережитки сельско-общинного быта в дореволюционном Азербайджане, Баку, 1966, 84. საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი ინახება აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათს, რაც პატრონიმიის ფარგლებში მეურნეობრივი ერთეულის საფუძველს ჰქმნიდა[15].

გ. რაჯაბოვი შეეხო საოჯახო თემის მრავალ სხვა მხარესაც, მაგრამ მისი ნაშრომებიდან დამოწმებული ადგილებიდანაც ნათლად ჩანს, რომ XIX საუკუნის მიწურულში ავტორი აზერბაიჯანელთა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობისათვის დამახასიათებელ მომენტად თვლის მის დესპოტურ ბუნებას, რაც საერთოდ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარ ხალხთა საოჯახო ყოფისათვის.

ახალი ყოფის ტრადიციული წანამძღვრების გათვალისწინების შედეგად აზერბაიჯანულ ოჯახში მმართველობის დესპოტურ ხასიათზე მიუთითა აგრეთვე ა. უმუდოვმა. მისივე დაკვირვებით, თანამედროვე აზერბაიჯანული ოჯახის საშუალო რიცხობრივი შემადგენლობა 6-8 სულით განისაზღვრება, რაც ავტორს მიაჩნია ადრინდელი გაუყრელი ცხოვრების მემკვიდრეობად. მაშასადამე, რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე, მ. უმუდოვი ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ აზერბაიჯანში ოჯახის ადრინდელ ფორმას წარმოადგენდა დიდი ოჯახი, რომლის დოვლათის ერთპიროვნულ მესაკუთრედ, რძლების მზითევის გამოკლებით, ითვლებოდა ოჯახის უფროსი მამაკაცი, ხოლო ოჯახის წევრთა ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო უთანასწორობა, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა ქალთა ჩაგვრებობაში[16].

ახალი და ძველი ყოფის ამსახველი მასალების შეპირისპირების შედეგად ტრადიციული ნორმების ხანგრძლივი არსებობა ასევე ნათლად გამოჩნდა აფშერონის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ა. ტროფიმოვას შეხედულებით, საკვლევ რაიონში, ისევე როგორც აზერბაიჯანის სხვა კუთხეებში, დიდხანს არსებობდა მრავალსულიანი პატრიარქალური ოჯახი. მისი ერთპიროვნული მმართველი და ქონების მესაკუთრე იყო ოჯახის უფროსი — მამა, რომლის დესპოტური ნება-სურვილის გარეშე არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლებოდა. მის გარდაცვალებამდე შვილები ვერ გაიყრებოდნენ. მათი ერთად ცხოვრება ზოგჯერ უფროსის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა, რასაც უმთავრესად ხელს

---

[15] Г. Раджабов, დასახ. დისერტაცია, 86—87.

[16] М. Умудов, Быт и культура рабочих нефтедобывающей промышленности Азербайджана (по материалам Апшерона), Автореферат, канд. дисс., Баку, 1966, 16.

უწყობდა მათი ქვრივი დედა, რომელიც მეურნეობის ერთობლივ წარმოებას და საერთო ქონების შენარჩუნებას ცდილობდა. ავტორის დაკვირვებით, ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში აფშერონში სამ თაობამდე ერთად ცხოვრების შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო სხვა მაღალმთიან რაიონებში 1950 წლამდეც კი არსებობდა ზოგიერთი მრავალსულიანი ოჯახი[17].

ცალკე აღებული რაიონების, კოლმეურნეობებისა და სამრეწველო ცენტრების მიხედვით, აზერბაიჯანელთა ახალი ყოფის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებშიც გამახვილებულია ყურადღება საოჯახო ყოფის ცალკეული მოვლენების შესახებ და აღნიშნულია, რომ რევოლუციამდელ აზერბაიჯანში გადმონაშთური სახით არსებობდა დიდი ოჯახი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში მომხდარ ცვლილებებთან ერთად, იცვლიდა სახეს, ხოლო საბოლოოდ ეს პროცესი მისი სრული მოსპობითა და ინდივიდუალური ოჯახის საყოველთაოდ გავრცელებით დამთავრდა[18].

აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფიდან ბოლო დროს ეთნოგრაფთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საოჯახო თემის გადმონაშთურმა სახეობამ, რასაც 1970 წელს ზედიზედ ორი საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა. ერთი მათგანი ეხება საქართველოს სსრ დმანისის რაიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფას[19], ხოლო მეორე დაწერილია აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით[20].

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საოჯახო თემის

---

[17] А. Трофимова, Из истории семьи Азербайджанцев Апшерона (1920—1950 гг.), КЭС, IV, М., 1969.

[18] А. Назаров, Хозяйство и быт колхозников сельхозартели «Болгаристан», Геокчайского района Азербайджанской ССР, Автореферат канд. дисс., Тб., 1962; А. Измайлова, Социалистическое преобразование хозяйства, культуры и быта талышей, Автореферат кан. дисс. М., 1964; И. Гаджиев, Социалистическое переустройство хозяйства, культуры и быта азербайджанского крестьянства (по материалам Казахского района). Автореферат кан. дисс., Баку, 1965; В. Чирагзаде, Социалистический быт рабочих-шелководов города Нухи, Автореферат кан. дисс., Баку, 1966.

[19] А. Ахмедов, Семья и семейный быт азербайджанцев (историко-этнографическое исследование по материалам Дманисского района Грузинской ССР), Автореферат канд. диссерт., Баку, 1970.

[20] А. Садыков, Пережитки семейной общины в Восточном Азербайджане в конце XIX — начале XX в. Автореферат канд. диссерт., Баку, 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმონაშთებს ა. ახმედოვმა სპეციალური წერილი[21] მიუძღვნა 1967 წელს, ხოლო შემდეგ ეს საკითხი ვრცლად განიხილა საკვალიფიკაციო მონოგრაფიაში[22]. ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ორივე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ინდივიდუალურ ოჯახთან ერთად ცოცხლობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომლის შემონახულობას ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის არსებობა. ამ ტიპის ოჯახის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარედ ავტორს მიაჩნია 20-დან 60-მდე სულის ერთად ცხოვრება სამი-ოთხი თაობის სახით. ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ყოფილა სულთა რაოდენობის თანდათანობით კლება ისე, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის დიდი ოჯახის შემადგენლობა 20-25 სულს აღარ აღემატებოდა, ხოლო თაობებს ერთმანეთისაგან გამოყოფდნენ მამრობითი და მდედრობითი ხაზით არსებული შესაბამისი სახელწოდებებით. დიდი ოჯახის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა კოლექტიური წარმოება და მოხმარება. ოჯახს მართავდა მამაკაცებს შორის უფროსი, ხოლო მეორე ადგილი ეჭირა მის მეუღლეს ან უფროს რძალს, რომელსაც ევალებოდა ქალთა შრომა-საქმიანობის ხელმძღვანელობა. ოჯახის უფროსობა გადადიოდა მომდევნო ხნით უფროსის ხელში, ჩვეულებისამებრ, მამიდან უფროსი შვილის ხელში. ოჯახის უფროსი სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებებით. მას ნებისმიერი წევრის დასჯა და სახლიდან უწილოდ გაგდებაც კი შესძლებია, რაც დესპოტური მმართველობის არსებობაზე მიგვითითებს. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მის გარდაცვალებამდე ან მის დაუკითხავად ოჯახის გაყრა არ მოხდებოდა. გაყრის შემთხვევაში კი ქონებას თანაბრად იყოფდნენ შვილები და შვილებიანი ქვრივი. უშვილო ქვრივი მხოლოდ თავის მზითევს უნდა დასჯერებოდა. თუ გაყრა მამის სიცოცხლეში მოხდებოდა, ის სხვების თანაბარ წილთან ერთად ზედმეტსაც მიიღებდა საქონლის სახით. თუ მამა აღარ იყო ცოცხალი, მის ქვრივს შედარებით ნაკლებ ქონებას შეახვედრებდნენ. გასათხოვარ ქალს წილს არ აძლევდნენ იმ შემთხვევაში, თუ მათი მამა ცოცხალი იყო, მაგრამ თუ გაყრა მამის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა,

---

[21] А. Ахмедов, Семейная община у азербайджанцев в конце XIX и начале XX вв. (по материалам Башкечитского района Грузии), «Доклады Академии наук Азербайджанской ССР», т. 23, № 6, 1967.

[22] А. Ахмедов, დასახ. ავტორეფერატი.

ქალი იმდენსავეს მიიღებდა, რამდენსაც თითოეული მისი ძმა, ხოლო ლო თავისი წილი ქონებით გათხოვებამდე საცხოვრებლად რჩებოდა რომელიმე ძმასთან. უცოლო ძმას, კუთვნილ წილს გარდა, აძლევდნენ ზედმეტ ქონებას ყალიმის გადასახდელად და საქორწილო ხარჯებისათვის. იარაღი, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები ყველას თავისთვის რჩებოდა. წისქვილსა და ბაღს განაყრები საერთო საკუთრებაში იტოვებდნენ. ოჯახის გაყრისა და განაყრების ერთ უბნად დასახლების შედეგად იქმნებოდა პატრონიმია.

ზემოაღნიშნული მონაცემები საეჭვოს არ ხდის დიდი ოჯახის გადმონაშთების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შორის, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გარკვევისას ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება. მაგალითად, 1967 წელს გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ დესპოტური უფლებების მქონე უფროსს სცვლიდა უფროსი შვილი მისი არჩევის გარეშე[23]. შემდეგ, ამავე საკითხთან დაკავშირებით, კვლავ აღიარა რა, რომ ოჯახის უფროსის ძალაუფლება დესპოტურ ხასიათს ატარებდა, იქვე მოჰყვა იმის მტკიცებას, თითქოს, ჩვეულებისამებრ, ოჯახის უფროსს ირჩევდნენ, მაგრამ ზოგჯერ მისი ძალაუფლება, ხნით უფროსობის პრინციპის შესაბამისად, მამიდან მისი უფროსი შვილის ხელში გადადიოდა[24].

თუ ერთდროულად წარმოვიდგენდით ყველა ზემოაღნიშნული მომენტის არსებობას ოჯახის მმართველობის სისტემაში, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, თუ ოჯახის რომელ ტიპს მიეკუთვნებოდა ა. ახმედოვის მიერ შესწავლილი ოჯახი, ვინაიდან არჩევა დამახასიათებელი იყო სოლიდარული მმართველობის ანუ დემოკრატიული ტიპის საოჯახო თემისათვის, ხოლო ოჯახის უფროსის განუსაზღვრელი ძალაუფლება — დესპოტური დიდი ოჯახისათვის. აღნიშნული მოვლენების თანაარსებობა და მმართველობის სისტემაში დუალიზმის გაჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად დესპოტური ტიპის აზერბაიჯანულ ოჯახში შეიჭრა ქართული საოჯახო თემისათვის ნიშანდობლივი სოლიდარული მმართველობის ელემენტები, რომლის გაუთვალისწინებლობამ ავტორი წინააღმდეგობაში ჩააგდო. მასალის ცალმხრივი განხილვის შედეგად მან, ასევე ერთ შემთხვევაში, აღნიშნა, რომ ოჯახის უფროსის

---

[23] А. Ахмедов, დასახ. წერილი, 86.

[24] А. Ахмедов, დასახ. ავტორეფერატი, 7.

ქვრივს წილში მამულს არ აძლევდნენო, ხოლო ექვე წერს, თითქოს, ქვრივი დედის წილხვედრ მამულს ის შვილი დაეპატრონებოდა, ფრიზელითაც მელთანაც დედა საცხოვრებლად დარჩებოდა[25].

ამგვარი ხარვეზების მიუხედავად, ა. ახმედოვმა სწორად გაიგო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფის შესახებ შემორჩენილი მასალის რაობა და მასზე დაყრდნობით გვიჩვენა, რომ, ინდივიდუალურ ოჯახთან ერთად, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ დიდი ოჯახიც არსებობდა.

საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის ძირითადი ელემენტების გასაცნობად არანაკლებად საინტერესოა ა. სადიკოვის ზემოხსენებული ნაშრომი, რომელიც ემყარება, ერთი მხრივ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამის ლიტერატურულ მონაცემებს.

ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი გვაცნობს მრავალ ისეთ ოჯახს, რომელიც სამ, ოთხ ან ხუთ თაობას მოიცავდა და ის, სისხლით ნათესავების გარდა, ზოგჯერ გარედან შესულ პირებსაც (შვილობილებს ან ზედსიძეებს) აერთიანებდა. ასეთ ოჯახს ხელმძღვანელობდა გამოცდილი მეურნე, რომელიც ითვლებოდა ქონების სრულუფლებიან მესაკუთრედ. მას ევალებოდა ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება, ხოლო ოჯახის წევრების მოვალეობას შეადგენდა მისდამი უყოყმანო მორჩილება. ოჯახის უფროსს შეეძლო შვილის უწილოდ გაგდებაც კი. იგი იყო ოჯახის წარმომადგენელი სოფლის თემის საბჭოში, სადაც სამეურნეო და საზოგადოებრივი საკითხები განიხილებოდა. ყოველივე ამასთან ერთად, ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელის ძალაუფლება მაინც განსაზღვრული იყო საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის ნორმებით, შინასაოჯახო ეტიკეტით. მისი ავტორიტეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თვით მის პირად ურთიერთობას ოჯახის წევრებთან, სამართლიანობას და ოჯახში სიმშვიდისა და თანხმობის დაცვას. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად ის ვალდებული იყო მოეწვია საოჯახო თათბირი სრულწლოვანი მამაკაცებისა და, არაიშვიათად, ხნიერი დედაკაცების მონაწილეობით. ქალთა შინასაოჯახო საქმიანობას ხელმძღვანელობდა უფროსი ქალი,

---

[25] А. Ахмедов, დასახ. ავტორეფერატი, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც პროდუქტების სათავსოც ჰქონდა ჩაბარებული. შრომის განაწილებას საფუძვლად ედო სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპი, რაც განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნეოდა საოჯახო თემის არსებობის ადრეულ სტადიაზე. ოჯახის ეკონომიურ საფუძველს განსაზღვრავდა თვით საკვლევი რაიონის მეურნეობის ხასიათი. ქონების ძირითადი ნაწილი ოჯახის წევრთა საზოგადო საკუთრებას შეადგენდა, ხოლო პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონოდათ ტანსაცმელი, იარაღი, სამკაული და მზითევი. როდესაც ოჯახის გაყრის საკითხი დადგებოდა, პირველ რიგში გამოყოფდნენ ვალის და საერთო ხარჯის დასაფარავად საჭირო ქონებას. შემდეგ უცოლო ძმას საქორწილო ხარჯებისათვის წინასწარ მისცემდნენ მიწის ნაკვეთს ან საქონელს. ასევე გათვალისწინებული ყოფილა გასათხოვარი დების და ქვრივი დედის შესანახად მოძრავი ქონების გამოყოფა — დისთვის ძმის წილის ნახევარი, ხოლო დედისთვის წილის 1/4. ამ ქონებას აძლევდნენ უფროს ძმას, რომელთანაც დედა და დები საცხოვრებლად რჩებოდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში მათ უძრავი ქონების ნაწილსაც აძლევდნენ, რასაც დედის გარდაცვალებისა და დების გათხოვების შემდეგ ძმები ინაწილებდნენ. ზემოაღნიშნული მომენტების გათვალისწინების შემდეგ საოჯახო ქონებას ძმები წილის ყრით ინაწილებდნენ, ოღონდ უფროს ძმას საუფროსოში აძლევდნენ ან მიწის ნაკვეთს, ან ცხენს, ანდა რამდენიმე ცხვარს. მას გადასცემდნენ აგრეთვე გარდაცვლილი უფროსის პირად იარაღს, ცხენს, ყურანს და სხვ. დიდი ოჯახის განაყრები ერთმანეთის მეზობლად დასახლებით ჰქმნიდნენ პატრონიმიას.

ძირითადად ასე ახასიათებს ა. სადიკოვი აღმოსავლეთ აზერბაიჯანში არსებულ დიდ ოჯახს, რომლის შემორჩენილობის მიზეზებად თვლის ნატურალურ მეურნეობას, კომლობრივ საგადასახადო სისტემას და მაღალმთიანი რაიონების კულტურულ-ეკონომიურ იზოლაციას. დიდი ოჯახების დაშლის მიზეზად კი ავტორს მიაჩნია მის შიგნით კერძო საკუთრების განვითარება, რაც განსაკუთრებით გაღრმავდა კაპიტალისტური ურთიერთობის აღმავლობის პირობებში.

აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ეთნოგრაფიული მასალის გამომზეურებით ა. სადიკოვმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საოჯახო თემის ლოკალურ თავისებურებათა კვლევის სფეროში, მაგრამ ამ მიმართულებით ნაშრომში ბევრი საკითხი შემდგომ გაღრმავებას მოითხოვს. ეს პირველ რიგში ეხება მმართველობის სისტემას, რამდენადაც ავტორი მმართველობის დესპოტური სისტემის პარალელურად გვაცნობს სოლიდარული მმართველობის ელემენტებსაც, მაგრამ არ

ასახელებს ასეთი მოვლენების თანაარსებობის მიზეზს. როგორც ჩანს, ეს იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ავტორმა დიფერენცირებულად არ შეისწავლა საოჯახო თემის ძველი, ტრადიციული მოვლენები, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სოლიდარული მმართველობა და შარიათის არსებობა, რამაც ხელი შეუწყო დესპოტური მმართველობის დანერგვა-განმტკიცებას.

როგორც დავინახეთ, ოჯახის არქაული ფორმების გადმონაშთების კვლევა, სომხეთთან შედარებით, აზერბაიჯანში გვიან დაიწყო და შედარებით შეზღუდული მასშტაბით მიმდინარეობს. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მ. კოსვენის გულგრილი დამოკიდებულება აზერბაიჯანული საოჯახო თემის საკითხისადმი. ამავე ვითარების ანარეკლს ვხედავთ კავკასიის ეთნოგრაფიის ნარკვევებში[26], სადაც აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანში XX საუკუნემდე იყო შემორჩენილი დიდი პატრიარქალური ოჯახის გადმონაშთები, იქვეა ნაჩვენები პატრიარქალური ყოფის ელემენტები (ოჯახის უფროსის განუსაზღვრელი უფლებები, ქალის მძიმე პირობები, შარიათის ნორმები...), მაგრამ ეს მიმოხილვა რამდენადმე სრულფასოვან წარმოდგენას არ გვაძლევს დიდი ოჯახის სტრუქტურაზე. და მაინც, საოჯახო ყოფის კვლევა აზერბაიჯანში, რაც, უმთავრესად, გაიშალა ზემოხსენებული ნარკვევების გამოქვეყნების (1962 წ.) შემდეგ, მნიშვნელოვნად ავსებს მანამდე არსებულ ხარვეზს.

---

[26] «Народы Кавказа», II, 131—133, 185, 202.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III. აფხაზთა საოჯახო ყოფის საკითხები ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში

კავკასიის ხალხთაგან თუკი ვინმემ ხანგრძლივად შეინარჩუნა ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმები, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი აფხაზებს უჭირავთ. ტრადიციის შენარჩუნება, თავის მხრივ, დამოკიდებულია ოჯახის სტრუქტურასა და ბუნებაზე, მის შიგნით არსებული ურთიერთობის ხასიათზე, სადაც ხდება ადამიანის აღზრდა და ყველა იმ მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომელიც საზოგადოების წევრის ჩამოყალიბებას ემსახურება. აფხაზური ოჯახი ამ მხრივ უაღრესად საინტერესო სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა, რომელიც ტრადიციული წესრიგით სულდგმულობდა. ეს შეეხება არა მარტო XIX საუკუნის ბოლომდე გადმონაშთის სახით შემორჩენილ დიდ ოჯახს, არამედ ინდივიდუალურ ოჯახსაც, რომელსაც თავისი ფორმისა და სტრუქტურის გამო აღარ შეეძლო დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი ნორმების დაცვა, მაგრამ ინარჩუნებდა იმ წეს-ჩვეულებებს, რომელთა არსებობა ოჯახის სიდიდეზე არ იყო დამოკიდებული. ბუნებრივია, რომ ასეთი ნიშნების მქონე ოჯახი კვლევის საგანი გამხდარიყო და სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია აფხაზთა საოჯახო ყოფის შესწავლით დაინტერესება ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. მაშინ, როდესაც ყველა ხალხის ძველი სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთურ სახეობათა კვლევამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

XIX საუკუნის ავტორები აფხაზთა საოჯახო ყოფის ცალკეულ მომენტებს აღწერდნენ უმთავრესად ისეთი ხასიათის მიმოხილვებში, რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულით იყო ასახული მთელი აფხაზეთის ან მისი რომელიმე ნაწილის ეთნოგრაფიული თავისებურება. ასეთი ხასიათის მიმოხილვებიდან, რომელთა დიდი ნაწილი უმთავრესად რუსულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა, ერთ-ერთ მათგანში გაკვრითაა ნაჩვენები უფროს-უმცროსობაზე დამყარებული ურთიერთობის ნორმები, უმცროსი მამაკაცების დამოკიდებულება უფ-

როსებისადმი, ოჯახის წევრების თუ სტუმრის თანდასწრებით ჩადენილი ვალდებულო ცერემონიების შესრულების წესები, ასაკით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი, აღზრდის სისტემა, კვების რეჟიმი, ქალის როლი და უფლებრივი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში, მოსახლეობის ეკონომიური პირობები და არსებული საოჯახო მეურნეობისათვის შესაფერისი შრომა-საქმიანობა[1].

აფხაზთა ყოფა-ცხოვრების მრავალ მხარეს, ასევე ზოგად ხაზებში, ეხება კ. მაჭავარიანი, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებულა ქალის მდგომარეობის შესწავლით. ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის როლსა და უფლება-მოვალეობას ავტორი გვაცნობს მოსახლეობის სოციალური ფენების მიხედვით. ასეთი მიდგომის საფუძველზე ავტორი ავლენს სოციალური მდგომარეობით განსაზღვრულ პირობებს, რაც ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულებას პოულობდა ათალიკობის ინსტიტუტში, ე. ი. ფეოდალთა შვილების გლეხთა ოჯახებში აღსაზრდელად გაბარების ჩვეულებაში. ამ ჩვეულების აღწერით, რომლის შესწავლას საბჭოთა მეცნიერებმა სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს[2], კ. მაჭავარიანმა დაგვანახა თუ რაოდენ შრომატევად საქმიანობას ასრულებდა გლეხის ქალი და, თავისი საკუთარი შვილების აღზრდასა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლასთან ერთად, რამდენად იტვირთებოდა მიბარებული ბავშვების მოვლა-პატრონობით. ავტორი ასევე დეტალურად აღწერს აფხაზი ქალის მონაწილეობას საკუთარი ოჯახის საქმიანობაში და სტუმრისადმი გამასპინძლების საკმაოდ დამღლელი მოვალეობის შესრულებაში. ამ ასპექტში ქალის მდგომარეობის აღწერასთან ერთად, კ. მაჭავარიანს შეუნიშნავს ოჯახში ძმებს შორის ფუნქციების განაწილების ტრადიცია, რომლის მიხედვით, ერთი ძმა შინასაქმეს მისდევდა, მეორე ცხვრებსა და თხებს პატრონობდა, მესამე საშოვარზე მიდიოდა, ბავშვები საქონელს მწყემსავდნენ, ხოლო მოხუცები სახლში ისხდნენ ან სასოფლო მმართველობაში მონაწილეობდნენ[3].

---

[1] А—а, Экономическое положение туземного населения Сухумского отдела, ССКГ, VI, Тифлис 1872.

[2] М. Косвен, Аталычество, СЭ, 1935, № 2; შდრ. მ ი ს ი ვ ე, Этнография и история Кавказа, М., 1961, 104—126; Я. Смирнова, Аталычество и усыновление у абхазов в XIX—XX вв., СЭ, 1951, № 2; Ш. Инал-Ипа, Очерки по истории брака и семьи у абхазов, Сухуми, 1954, 26—36; მ ი ს ი ვ ე, Абхазы (историко-этнографические очерки), Сухуми, 1965, 479—496.

[3] К. Мачавариани, Некоторые черты из жизни абхазцев. Положение женщины в Абхазии, СМОМПК, IV, Тифлис, 1884, 51—52.

XIX საუკუნეში გამოქვეყნებულ წერილებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მ. ჯანაშვილის ნაშრომი, რომელიც ეთნოგრაფიულ მიმოხილვას მოიცავს და მასში საოჯახო ყოფის ზოგიერთი ნიშან-თვისების გარკვევასაც სათანადო ადგილი უჭირავს. მკვლევარი გვაცნობს აფხაზთა საცხოვრებელ ნაგებობებს, მენიუს, დედაკაცისა და მამაკაცის შრომა-საქმიანობას, ქალის საოჯახო და საზოგადოებრივ მდგომარეობას, ოჯახის წევრთა ურთიერთობის ხასიათს და ა. შ. მ. ჯანაშვილის დაკვირვებით, აფხაზთა ძირითად საარსებო წყაროს, და ამდენად, ოჯახის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ნაწილობრივად მეფუტკრეობა. მეფუტკრეობას უმთავრესად მისდევდნენ მთისძირა ზოლში. ადრე ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა ღომის კულტურა, ხოლო მ. ჯანაშვილის ამ ნაშრომის დაწერის დროისათვის აფხაზებს უკვე მოყავდათ ცოტა ხორბალი და უფრო მეტი სიმინდი, რამაც ღომი მთლიანად გამოდევნა. საშინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თესავდნენ აგრეთვე თამბაქოს, ბამბას, სელს, ქერელს და ბოსტნეულს. აფხაზის მთავარ სიმდიდრეს საქონელი შეადგენდა, ურომლისოდაც ოჯახის არსებობა ვერ წარმოედგინათ. ეს აზრი განსაკუთრებით მტკიცედ ყოფილა გამჯდარი მთაბარობის მიმდევართა შორის, რომლებიც ადგილმონაცვლე ცხოვრებას ეწეოდნენ და ფაცხას იქ დაიდგამდნენ, სადაც საქონელი უკეთ გამოიკვებებოდა. ამ ფაქტის ფიქსაციასთან ერთად მ. ჯანაშვილი აღწერს ამ ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათა ფორმებსა და შიდამოწყობილობას, ოჯახის მთავარ საცხოვრებლად წარმოგვიდგენს კვადრატული ფორმის ფაცხას, ხოლო ახალმექორწინეთა საწოლებად ასახელებს კონუსურ ფაცხებს.

XIX საუკუნის მიწურულისათვის აფხაზური ოჯახის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარედ მ. ჯანაშვილს მიაჩნია მშობლების გარდაცვალებამდე გაუყრელად ცხოვრების წესი და უფროს-უმცროსობის მიხედვით ოჯახის მართვის სისტემა. იგი ეხება უხუცესი მამაკაცის—ოჯახის უფროსის (pater famillias — авн аihаб) პრიორიტეტს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მის მორჩილებაში მყოფი ოჯახის წევრები მისი მითითების შესაბამისად მოქმედებდნენ. მას არ ეხებოდა მხოლოდ ქალთა საქმიანობა, რომლის ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა უფროს დედაკაცს (авн эihаб аnhc). რელიგიურ წეს-ჩვეულებებსაც ოჯახში უფროსი მამაკაცი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაკაცი ასრულებდნენ, ისევე როგორც გვარში უხუცეს მამაკაცს ევალებოდა საგვარო რიტუალის ხელმძღვანელობა. უფროსების ასეთი უფლებების არსებობასთან ერთად, მ. ჯანაშვილს შეუნიშნავი არ დარჩენია ის გარემოებაც, რომ მათი პრაქტიკული უმოქმედობისა და უგერგილობის შემთხვევაში ინიციატივა გადადიოდა გამჭრიახი უმცროსის ხელში და ყველაფერი მისი შეხედულებისამებრ კეთდებოდა.

ოჯახის მმართველობის სისტემასთან ერთად, მ. ჯანაშვილი გვაცნობს გაყრის შემთხვევაში ქონების განაწილების პრინციპსაც. როგორც იგი წერს, თუ ოჯახის გაყრა მოხდებოდა მშობლების სიცოცხლეში, მთელი საოჯახო ქონების ნახევარს მშობლებს აძლევდნენ. თუ ქონებას გაიყოფდნენ დედა და შვილები (მამის გარდაცვალების შემდეგ), დედას, მზითევთან ერთად, მიაკუთვნებდნენ იმდენს, რამდენსაც მის თითოეულ შვილს, რის შემდეგ დედა თავისი სურვილით რომელიმე შვილთან სახლდებოდა. ოჯახის შესაძლებლობის შესაბამისად საქონლის სახით უფროსს გამოუყოფდნენ საუფროსოს (аihабшаху), ხოლო უმცროსს — საუმცროსოს (эiѿбшаху). ჩვეულებისამებრ, მამისეული სახლ-კარი ერგებოდა უმცროსს, ხოლო დანარჩენ ქონებას ძმები თანაბრად იყოფდნენ[4].

მ. ჯანაშვილის შემდეგ აფხაზთა საოჯახო ყოფას შეეხო ნ. დერჟავინი, რომლის დაკვირვებით, აფხაზეთში გაბატონებული იყო ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესი. იგი იმოწმებს მ. ჯანაშვილის ცნობებს გაუყრელად ცხოვრების შესახებ და თავის მხრივ შენიშნავს, რომ 1903 წელს, როდესაც ის აფხაზეთში იმყოფებოდა, დიდი ოჯახი იშვიათად არსებობდა. ნ. დერჟავინი ასახელებს ორ ეზოს, რომელთაგან ერთში ცხოვრობდა ათი ოჯახი, ხოლო მეორეში — რვა ძმა საკუთარი მეურნეობით. ასეთი მონაცემების საფუძველზე იგი ფიქრობს, რომ მის მიერ აღწერილი აფხაზური ოჯახი გვიანდელი მოვლენაა, რომელსაც განუცდია რა სათანადო ევოლუცია, მის წინამორბედ ფორმას წარმოადგენდა ახლო ნათესავების მომცველი რამდენიმე თაობისაგან შედგენილი დიდი ოჯახი ანუ საოჯახო თემი. მ. ჯანაშვილის ცნობებზე დაყრდნობით, ნ. დერჟავინი ამის კვალს ხედავს უფროს-უმცროსობაზე დამყარებულ მმარ-

---

[4] М. Джанашвили, Абхазия и абхазцы, ЗКОРГО, кн. XVI, Тифлис, 1894, 15—18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობის სისტემაში და ოჯახის წევრთა შორის ამავე პრინციპით დიფერენცირებულ სახელწოდებებში[5].

ზემოხსენებულ ავტორთა შრომების გამოყენებისა და საველე ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე აფხაზთა საოჯახო ყოფის სფეროდან გ. ჩურსინი შეეხო უფროს-უმცროსობის ტრადიციებს და ქალის მდგომარეობას. მკვლევარი აფხაზთა საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშნად თვლის მოხუცისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას და გვაცნობს ქცევის იმ ნორმებს, რაც გამოხატულებას პოულობდა უფროსებისადმი უმცროსების დამოკიდებულებაში. ამავე ჭრილში აღწერს ის ქალის საოჯახო და საზოგადოებრივ მდგომარეობასაც და აღნიშნავს აფხაზი ქალის თავისუფლებას ჩერქეზ, უაბარდოელ ან დაღესტნელ ქალთან შედარებით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ყოფილა პრივილეგიური წოდების ცხოვრებაში, სადაც ქალის უფლებები თითქმის მამაკაცისას უთანასწორდებოდა. ქალის ასეთი თავისუფლების გამოხატულებად მკვლევარი თვლის იმ გარემოებას, რომ ქალი მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, გამაჰმადიანებულ აფხაზებში ის ჩადრს არ ატარებდა და ა. შ., მაგრამ, ავტორის აზრით, ყოველივე ეს მაინც არ ნიშნავდა დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას. უფლებებით განსხვავებას მკვლევარი პირველ რიგში ამჩნევს გლეხის ოჯახში, სადაც უფროსი დიასახლისი საქალებო საქმეებს ხელმძღვანელობდა, მაგრამ ის, სხვა რძლებთან ერთად, შეზღუდულ მდგომარეობაში იმყოფებოდა განსაკუთრებით სტუმრიანობის დროს. ასეთ ვითარებაში ქალი თითქმის შინამოსამსახურის როლს ასრულებდა. ამ მხრივ ყველაზე მეტი ჯაფა ადგებოდა უმცროს რძალს, რომელიც სტუმარს ხელებს აბანინებდა, ტანსაცმლის გახდაში ეხმარებოდა. პატრიარქალური წესებით მცხოვრებ ოჯახში ის სტუმარს ფეხებსაც კი თავისი ხელით ბანდა. სტუმართან და ოჯახის უფროს მამაკაცებთან ერთად რძლების დაჯდომა ხომ გამორიცხული იყო[6].

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად გ. ჩურსინი იკვლევდა აფხაზთა ყოფისა და კულტურის მრავალ სხვა საკითხსაც, რითაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის ეთნოგრაფიის შესწავლის საბჭოურ ეტაპს. ეთნოგრაფიული მუშაობის განვითა-

---

[5] Н. Державин, Абхазия в этнографическом отношении, СМОМПК, т. 37, Тифлис, 1907, 5.

[6] Г. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957, 19—20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ამ ეტაპზე სათანადო ყურადღება დაეთმო საოჯახო ურთიერთობის შესწავლასაც. საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები ასახა არაერთ ნაშრომში, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია შ. ინალ-იფას შრომები. მათში განვითარებული თვალსაზრისი აფხაზთა საოჯახო ყოფის შესახებ მკვლევარმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა საკვალიფიკაციო მონოგრაფიებში. პირველ მათგანში, რომელშიც უმთავრესად შესწავლილია აფხაზთა საქორწინო წეს-ჩვეულებები, XVIII-XIX საუკუნეების მონაცემების მიხედვით ავტორი აფხაზური ოჯახისათვის დამახასიათებელ მომენტად თვლის მისი მმართველობის სისტემაში არსებულ სქესობრივ-ასაკობრივ დიფერენციაციას. პირველ რიგში ეს იმაში პოულობდა გამოხატულებას, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცი აწესრიგებდა ოჯახის „შინაპოლიტიკურ" საქმეებს, შვილებს შორის ანაწილებდა შრომით ფუნქციებს, ხოლო სადიასახლისო სფეროს უფროსი ქალი განაგებდა. ოჯახში ქალთა სამუშაო მკვეთრად იყო გამოყოფილი და მამაკაცთა ჩაურევლად სრულდებოდა. ასეთი რეჟიმი ქალის მდგომარეობას საკმაოდ ამძიმებდა, ვინაიდან მხოლოდ მის მოვალეობას შეადგენდა წყლის ზიდვა, ბოსტნის დამუშავება, ხელწისქვილის ტრიალი, სტუმრის გაძღოლა, საჭმელ-სასმელის მომზადება და სხვა უამრავი საქმიანობა[7].

შ. ინალ-იფა არ იზიარებს წინამორბედ ავტორთა თვალსაზრისს აფხაზურ ოჯახში უფროსის განუსაზღვრელი, დესპოტური უფლებების არსებობის შესახებ. მისი განმარტებით, ასეთი შეხედულების საფუძვლად მიჩნეული იყო ცოლისა და უცოლო შვილების მიმართ ოჯახის უფროსის მკაცრი დამოკიდებულების ფაქტი. მკვლევარი იმოწმებს შ. ნოგმოვის ნაშრომსაც, სადაც ნათქვამია, რომ ჩერქეზის ოჯახში განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა ქმარს ცოლის მიმართ, მამას შვილის მიმართ, ძმას დის მიმართ[8]. შ. ინალ-იფას აზრით, ჩერქეზის ოჯახის ეს დახასიათება რამდენადმე ვრცელდება აფხაზთა ძველი ყოფის მიმართაც და იქვე დასძენს: აფხაზებში უფროსის უფლებამოსილება არასოდეს არ ატარებდა განუსაზღვრელი დესპოტიზმის ხასიათს, მაგრამ ამა თუ იმ ზომით იგი გამოხატულებას პოულობდა უმთავრესად ცოლისადმი ქმრის დამოკიდებულებაში[9].

---

[7] Ш. Инал-Ипа, Очерки по истории брака и семьи у абхазов, 153—155.

[8] Ш. Ногмов, История адыгейского народа, Нальчик, 1947, 39.

[9] Ш. Инал-Ипа, დასახ. ნაშრომი, 161.

ოჯახის სტრუქტურაზე მსჯელობისას შ. ინალ-იფა იმოწმებს ავრეთვე ნ. დერჟავინის ზემოხსენებულ ნაშრომს, საგანგებოდ გამოყოფს მის დაკვირვებებს დიდი ოჯახისა და პატრონიმიის არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული ვითარების დასამტკიცებლად, თავის მხრივ, XIX საუკუნის მეორე ნახევრის სინამდვილიდან გვაცნობს მანამდე უცნობ ფაქტობრივ მონაცემებს. სანიმუშოდ იგი აღწერს ნადლიყვი ამჩბას ოჯახს, რომლის სასადილო მაგიდის ირგვლივ ერთდროულად 42 სული ჯდებოდა. სადილი იმართებოდა დიდ საერთო სახლში, რომელიც განკუთვნილი იყო ავრეთვე მოხუცებისა და დაუქორწინებელთა დასაძინებლად, ხოლო შვიდი ცოლშვილიანი კაცი დიდი სახლის ირგვლივ მდგარ ამხარაში იძინებდა[10].

მსგავსი მონაცემების მიხედვით, ამავე ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მოგვიანო პერიოდშიც, როდესაც დიდი ოჯახი უკვე იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდებოდა, ოჯახის გაყრის მომენტში იცავდნენ ადრინდელ ტრადიციებს, ხოლო დიდი ოჯახის განაყრები ერთ ეზოში ერთიმეორის მეზობლად დასახლებით ქმნიდნენ აბიფარას ანუ პატრონიმიას[11].

აფხაზთა პატრიარქალური საზოგადოების ზოგიერთი თავისებურების შესწავლისათვის განკუთვნილ წერილშიც შ. ინალ-იფა დიდ ოჯახს განიხილავს წინაფეოდალური სოციალური ინსტიტუტების მრავალრიცხოვან გადმონაშთებს შორის, რომელთა არსებობა საეჭვოდ არ მიაჩნია რეფორმამდელი (1870 წ.) ხანისათვის. ერთ-ერთ ასეთ ერთეულად იგი ასახელებს ყველაზე უფრო დიდ ნათესაურ გაერთიანებას (აჟვლაllაჟელა), რომლის ორგანულ ნაწილებად თვლის პატრონიმიას (აბიფარა) და ოჯახს (ათააცია) ნაშრომის მიხედვით, ძირითად სამეურნეო ერთეულს თავდაპირველად წარმოადგენდა დიდი ოჯახი, ხოლო შემდგომში პატარა ოჯახი. აფხაზებში ერთიმეორის იდენტურია „სახლი“ და „ოჯახი“, რამდენადაც ერთი ტერმინი (атдзы) ერთდროულად სახლსაც ნიშნავს და დიდოჯახიან სოციალურ ჯგუფსაც. დიდი ოჯახი სახლობდა ან „გრძელ სახლში“, რომელსაც მეორენაირად „აფხაზური“ ეწოდება, ანდა, რაც უფრო ტიპიურია, საქორწინო წყვილებად ცხოვრობდნენ „დიდი სახლის“ ირგვლივ განლაგებულ ამხარებში. დიდი სახლი ერქვა

---

[10] Ш. Инал-Ипа, დასახ. ნაშრომი, 185.

[11] იქვე, 185—186.

ოჯახის უფროსის სამყოფს, რომლის საერთო კერაზე ცეცხლიანი ... ქრებოდა. როგორც წესი, აფხაზური დიდი ოჯახი შესდგებოდა ძმების ცალკეული ოჯახებისაგან, რომლებსაც არ გააჩნდათ მეურნეობრივი დამოუკიდებლობა[12].

შემდგომი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საფუძველზე შ. ინალ-იფამ მრავალმხრივ საყურადღებო მეორე მონოგრაფიაში კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის აფხაზეთში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით არსებობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელიც წარმოადგენდა მეურნეობრივი და იდეოლოგიური ერთობით შეკავშირებულ ნათესაურ კოლექტივს. ავტორის დაკვირვებით, შრომის განაწილების პრინციპი, საკუთრების ხასიათი და მემკვიდრეობის წესი გვიჩვენებს, ერთი მხრივ, მამაკაცთა პრიორიტეტს, ოჯახის უფროსის — „პატრიარქის" მეთაურობით, ხოლო, მეორე მხრივ, ქალთა რამდენადმე დაჩაგრულ მდგომარეობას[13].

ავტორს შემდეგ მოჰყავს ფაქტობრივი მონაცემები დიდი ოჯახის ძირითადი კომპონენტების შესახებ და რ. ხარაძის გამოკვლევების დამოწმების საფუძველზე აღიარებს იმ სტრუქტურულ მსგავსებას, რაც ახასიათებდა აფხაზურ და ქართულ საოჯახო თემს მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე[14]. მსგავსების ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენდა თუნდაც ის, რომ აფხაზურში, ქართულის ანალოგიურად, ერთი ტერმინით აღინიშნებოდა როგორც სახლი, ისე გარკვეული სოციალური ერთეული (ოჯახი, გვარი). ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ამხარების შუაში მდგარი „დიდი სახლი" (იგივე „აფხაზური სახლი" ანუ „გრძელი სახლი"), რომელიც თავისი ჩაუქრობელი კერით სადილობის თუ თათბირის დროს ოჯახის თვშესაყარსა და მისი უფროსების საცხოვრებელს წარმოადგენდა. დასახლების ასეთი სისტემა ავტორს ესახება იმის მტკიცების საფუძვლად, რომ აფხაზური დიდი ოჯახი შესდგებოდა ცალკეული ოჯახებისაგან (ე. ი. საქორწინო წყვილებისაგან — ვ. ი.), რომლებიც ცალკე სამეურნეო უჯრედებს არ წარმოადგენდნენ[15].

---

[12] Ш. Инал-Ипа, Некоторые черты абхазского патриархального общества, КСИЭ, XXXII, 1959, 56, 59.

[13] Ш. Инал-Ипа, Абхазы, 466.

[14] იქვე, 467—469.

[15] იქვე, 467.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ გარემოებასთან ერთად გათვალისწინებული მომენტების მიხედვით აფხაზური დიდი ოჯახი ამ ნაშრომში მიჩნეულია პატრიარქალურ-დემოკრატიული ტიპის ერთეულად, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სათემო-გვაროვნული ტრადიციებისა და ფეოდალურ-კლასობრივი ნორმების თანაარსებობა, რაც ყველაზე ნათლად ჩანდა ქონებრივ ურთიერთობაში. საოჯახო ქონება საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და მასზე ოჯახის წევრთა სოლიდარული უფლება ვრცელდებოდა, ოღონდ მხოლოდ მამაკაცთა ხაზით. ქალს შეეძლო მიეღო მხოლოდ გარდაცვლილი დის ქონება, ე. ი. სამზითვოდ გადადებული დოვლათი, როგორც ყველა გასათხოვარი ქალის ხელშეუხებელი საკუთრება. ასეთსავე უფლებას ინარჩუნებდნენ რძლებიც ქმრის ოჯახში მიტანილ მზითევზე, რაც, საკმაოდ მნიშვნელოვანი ღირებულების გამო, ქალს მატერიალური დამოუკიდებლობის გარკვეულ საფუძველს უქმნიდა. გარდაცვლილი მამის ქონებას შვილები თანაბრად იყოფდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა გასათხოვარი დების შენახვა და გათხოვებისას მათი გამზითვება. უძეოდ გარდაცვლილი კაცის ქონება რჩებოდათ მის ახლო ნათესავ მამაკაცებს, რომელთაც ობოლი ქალებისთვის ძმობა უნდა გაეწიათ. განაყრებს მართებდათ აგრეთვე ქვრივის შენახვა, რომელსაც მამულიდან წილს არ აძლევდნენ[16].

ზემოხსენებულ მონოგრაფიებში დიდი ოჯახისათვის ნიშანდობლივ მხარედ მიჩნეულია სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია, როგორც ოჯახის მმართველობის, ისე შრომის ორგანიზაციის სფეროში. სხვა ხალხთა მსგავსად, აფხაზთა საოჯახო ყოფაშიც ეს მომენტი გულისხმობდა მამაკაცთა და დედაკაცთა შორის ფუნქციების გამიჯვნას ურთიერთჩაურევლობის მკაცრი ეტიკეტით, ოღონდ ოჯახის უფროსის მაღალი უფლებრივი მდგომარეობისა და ქალის მიმართ მამაკაცის პრიორიტეტის შენარჩუნებით. ავტორმა ამ მომენტს საგანგებო ყურადღება მიაქცია, ვინაიდან ქალისადმი მამაკაცის მკაცრ დამოკიდებულებას ზოგიერთი დამკვირვებელი აფხაზური ოჯახის დესპოტური ხასიათით ხსნიდა. შ. ინალ-იფა იმოწმებს არქივში დაცულ ზოგიერთ აღწერილობას, სადაც ეს თვალსაზრისია გატარებული და უარყოფს მამაკაცისა და ქალის ამგვარი ურთიერთობის მოტივით შემუშავებულ თვალსაზრისს ოჯახის დესპოტური ბუნების შესახებ, რამდენადაც ოჯახის უფროსის თუ სხვა მამაკაცების სიმკაცრე ცოლების მიმართ არ ნიშნავდა ოჯახის უფროსის

---

[16] Ш. И н а л-И п а, Абхазы, 472—473.

განუსაზღვრელ, ერთპიროვნულ ძალაუფლებას და მისადმი ოჯახის დანარჩენი წევრების მონურ მორჩილებას[17]. შ. ინალ-იფა ამ არგუმენტის სასარგებლოდ მკაფიოდ ლაპარაკობს საერთო-საოჯახო საკუთრების ხასიათი, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ოჯახის ფორმის განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის აფხაზური სახეობის აღწერისა და მისი სოციალური მხარის ჩვენებისას ი. აჯინჯალი მასში მცხოვრები ოჯახის ზოგიერთ თავისებურებასაც შეეხო.

ავტორის დაკვირვებით, საცხოვრებელი კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენდა აფხაზური გრძელი სახლი, ანუ დიდი სახლი, რომელიც, ამხარებით გარშემორტყმული, შუა ეზოში იდგა. ამ სახლში ერთი საოჯახო კერა, რომლის ახლოს სრულდებოდა ყოველგვარი საოჯახო რიტუალი. ამიტომ იყო, რომ ოჯახის გაყრის შემდეგ განაყრები საერთო კერიდან აღებული ცეცხლით აღვივებდნენ ახალ სახლში მოწყობილ კერას. დიდ სახლში მუდმივად ცხოვრობდნენ და იძინებდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ხოლო მთელი ოჯახი იქ იმყოფებოდა საუზმის, სადილის და ვახშმის დროს. უფროსი ქალის ხელმძღვანელობით რძლები მორიგეობით აქვე ამზადებდნენ საჭმელს. პირველ რიგში სუფრას შემოუსხდებოდნენ მამაკაცები, ხოლო შემდეგ ქალები და ბავშვები. ზოგჯერ კი ყოველი რძალი თავისთვის და თავისი შვილებისათვის საჭმელს ამხარაში გაიტანდა. ჭამის დამთავრების შემდეგ ოჯახის წევრები დასასვენებლად გადიოდნენ თავ-თავიანთ იზოლირებულ სათავსოებში (ამხარებში). აღნიშნული წესრიგი დამახასიათებელი იყო ავტორის მიერ აღწერილი გადმონაშთური სახეობის საოჯახო თემისათვის, რომლის წევრთა ურთიერთობა ემყარებოდა უფროს-უმცროსობის მკაცრად მოქმედ რეჟიმს. ამასთან ერთად, ოჯახს აერთიანებდა საერთო წინაპრიდან წარმომავლობა და ერთ ეზოში კომპაქტურად ცხოვრება საერთო მეურნეობით და საერთო საკუთრებით. საოჯახო თემის წევრები ერთად ფლობდნენ ჯოგსა და მიწას, რომელსაც კოლექტიურად ამუშავებდნენ, ხოლო ყველა სახის შემოსავალი ოჯახში ერთად იყრიდა თავს. საოჯახო თემის ნიშნად ავტორს ესახება აგრეთვე მისი მრავალსულიანობა და რამდენიმე ურთიერთმონათესავე ოჯახის (საქორწინო წყვილის — ვ. ი.) ერთად

---

[17] Ш. И н а л-И п а, Очерки по истории брака и семьи у абхазов, 153—155, 161; ᲛᲘᲡᲘᲕᲔ, Абхазы, 474, 478.

ცხოვრება, რომელთა ერთობლიობა შეადგენდა საოჯახო თემს ანუ დიდ ოჯახს (а т а а ц о а დუ). ასეთი ვითარება ი. აჯინჯალს დადასტურებული აქვს აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი მასალით, რომელიც შეიცავს საინტერესო ფაქტობრივ მონაცემებს დიდი ოჯახების რიცხობრივი შემადგენლობის (21, 32, 63 სული ერთად) შესახებ[18].

XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, აფხაზთა საოჯახო ყოფას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ი. სმირნოვამ, რომელსაც მიაჩნია, რომ XIX საუკუნის აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ფეოდალური ურთიერთობისა და გვაროვნული წყობის გადმონაშთების თანაარსებობას. არქაული ეპოქის ერთ-ერთ ასეთ გადმონაშთად იგი თვლის დიდ ოჯახს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს თითქმის მთლიანად ისპობა და საყოველთაო ხასიათს იღებს პატარა ოჯახებად ცხოვრების წესი[19].

მთხრობელთა ცნობებზე დაყრდნობით ავტორი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოჯახის უფროსის გარდაცვალებამდე ცოლშვილიანი კაცების ცალკე გამოყოფა იშვიათად ხდებოდა. ისინი შედიოდნენ საოჯახო თემის შემადგენლობაში, რომელიც ზოგჯერ ასამდე სულს ითვლიდა და რომელსაც აფხაზურად ეწოდებოდა а и н д у (დიდი სახლი), ანუ а т а а ц в а р а д у (დიდი ოჯახი). დროთა ვითარებაში ასეთი ოჯახების რიცხობრივი შემადგენლობა კლებულობდა. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში დიდი ოჯახი უმთავრესად 20-30 სულს აერთიანებდა. ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მონაცემების მიმოხილვის შემდეგ ნაშრომში მითითებულია, რომ ოჯახს მართავდა მამა, რომელიც, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, იწვევდა საოჯახო საბჭოს სრულწლოვანი მამაკაცებისა და უფროსი დედაკაცების მონაწილეობით, თუმცა მას უფლება ჰქონია ოჯახიდან თვითნებურად გამოყოფილი შვილი უწილოდ დაეტოვებინა. ყველა სახის ქონება და შემოსავალი საოჯახო საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ოჯახის უფროსის განკარგულებაში იმყოფებოდა. ოჯახის წევრთა პირად საკუთრებას წარმოადგენდა მამაკაცებისათვის მხოლოდ ტანასცმელი და იარაღი, ხოლო ქალებისათვის ტანსაცმელი, სამკაული და მზითევი[20].

---

[18] И. А д ж и н д ж а л, Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969, 69—98.

[19] Я. С м и р н о в а, Семейный быт и общественное положение абхазской женщины (XIX—XX вв.), КЭС, I, М., 1955, 114—116.

[20] Я. С м и р н о в а, დასახ. ნაშრომი, 117.

აფხაზური დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელ ნიშნად ავტორს მიაჩნია ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით. შრომის ორგანიზაციისა და უფლება-მოვალეობის განსაზღვრის ამგვარი პრინციპი ექვემდებარებოდა იმ აუცილებელ პირობას, რომ ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა და მამაკაცთა შრომის ორგანიზაცია ოჯახის უფროსის ხელშეუხებელ უფლებას წარმოადგენდა, ხოლო ქალთა შრომა-საქმიანობის თაოსნობა და მათი ზედამხედველობა უფროსი ქალის კომპეტენციაში შედიოდა[21].

ამგვარი ოჯახის გაყრა თუ მამის სიცოცხლეში მოხდებოდა, საერთო ქონების ნახევარს მამა იტოვებდა, ხოლო ნახევარს მისი შვილები თანაბრად ინაწილებდნენ. თუ გაყრა მამის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა, ქონებას შვილები თანასწორად იყოფდნენ, ოღონდ უფროს და უმცროს ძმას გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ. ავტორის მიერ დამოწმებული ერთი ცნობის მიხედვით, უფროსს შეეძლო საუფროსოს სახით მიეღო მამისეული სახლი, ცხენი და იარაღი. მეორე ცნობის მიხედვით კი, მამისეულ სახლს მიიღებდა უმცროსი, ხოლო უფროსს უფლება ჰქონია ამოერჩია ერთი სული საქონელი, ან ყველა სახის პირუტყვიდან თითო სული აეყვანა.

ი. სმირნოვას დაკვირვებით, ზემოაღნიშნული წესი XIX საუკუნის მიწურულში დავიწყებას მისცემია, ჩვეულებისამებრ ძმები ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ, ხოლო მამისეული სახლი რჩებოდა უმცროსს, რომელთანაც საცხოვრებლად რჩებოდნენ დედა და გასათხოვარი დები. დების გამზითვება ყველა ძმის მოვალეობას შეადგენდა. რაც შეეხება მ. ჯანაშვილის ცნობას იმის შესახებ, რომ დედა შვილების თანაბარ წილს ღებულობდა, ამას ი. სმირნოვა სარწმუნოდ არ მიიჩნევს, რამდენადაც ეს არც XIX საუკუნის ლიტერატურული წყაროებით დასტურდება და არც თვით ს. სმირნოვას ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალით მტკიცდება[22].

ი. სმირნოვას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ XIX საუკუნის მიწურულში შემორჩენილ დიდ ოჯახს აფხაზეთში ახასიათებდა შედარებით მცირერიცხოვანი სულადი შემადგენლობა, დალმავალი ნათესაობა და, რაც მთავარია, დემოკრატიული ხასიათის მკვეთრი შეცვლა ოჯახის უფროსის ძალაუფლების გაძლიერებით.

---

[21] Я. Смирнова, დასახ. ნაშრომი, 123.

[22] იქვე, 143—144.

ასეთი მონაცემების მქონე აფხაზური ოჯახი მან მიაკუთვნა გვიანდროინდელი დიდი ოჯახის ტიპს, რომელსაც მ. კოსვენმა უწოდა „სამამო დიდი ოჯახი“[23].

ი. სმირნოვას შეხედულებით, აფხაზეთში დიდი ოჯახის საბოლოო დაშლა განაპირობა შინაგანმა წინააღმდეგობამ, რაც შეიქმნა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პირობებში, როდესაც ოჯახის უფროსი ცდილობდა კოლექტიური შრომით მოპოვებული ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე გამხდარიყო და, თავის მხრივ, ოჯახის დანარჩენი წევრებიც კერძო საკუთრების დაგროვებისაკენ მიისწრაფვოდნენ. ავტორს არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ ერთობის ტრადიცია ოჯახის გაყრის შემდეგაც, ახალ პირობებში ერთხანს კიდევ გრძელდებოდა, რამდენადაც ერთ ეზოში დასახლებულ განაყრებს მამისეული „დიდი სახლი“ აკავშირებდათ[24]. ტრადიციის გაგრძელებას ხედავს ავტორი იმაშიც, რომ საბჭოთა აფხაზეთში, ინდივიდუალური ოჯახის აბსოლუტური ბატონობის პირობებში, აქა-იქ შეიმჩნეოდა მშობლებთან ერთად ცოლშვილიანი შვილების ან მშობლების გარდაცვალების შემდეგ ცოლშვილიანი ძმების გაუყრელად ცხოვრების შემთხვევები. ადრინდელი გაუყრელად ცხოვრების გადმონაშთად მიაჩნია ავტორს გაყრილი ძმების ერთ ეზოში ცხოვრების წესიც[25].

საკოლმეურნო ყოფაში ადრინდელი ტრადიციების შემონახულობაზე მიუთითა აგრეთვე ლ. აკაბამ[26]. ძველი ყოფის გადმონაშთად მას მიაჩნია გაუყრელად ცხოვრების იშვიათი შემთხვევები. ლ. აკაბას დაკვირვებით, ეს გაუყრელობა აღინიშნებოდა 10-15 სულის ერთად ცხოვრებით; ის ტრადიციებიც (ფუნქციების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებულების ადრინდელი ნორმები, უფროსებისადმი პატივისცემა, ქალის შეზღუდული მდგომარეობა, რიგ შემთხვევაში ცოლ-ქმრის გაყრის საკითხის განხილვა ძველი ადათების გამოყენებით და ა. შ.), რომლებიც ადრე დიდი ოჯახისათვის იყო დამახასიათებელი, უმთავრესად აქა-იქ შემორჩენილ მრავალრიცხოვან ოჯახებში ცოცხლობდა. ლ. აკაბას ისიც აღნიშნული აქვს, რომ წარსულში დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი აფხაზთა ყოფისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარ-

---

[23] Я. Смирнова, დასახ. ნაშრომი, 117—118.

[24] იქვე, 118.

[25] იქვე, 177.

[26] Л. Акаба, Абхазы очамчирского района, КЭС, I, 92—94.

მოადგენდა, მაგრამ იგი არ ამტკიცებს, რომ საკოლმეურნეო ყოფაში არსებული ზოგიერთი მრავალრიცხოვანი ოჯახი საოჯახო თემის განმეორება იყო. როგორც ი. სმირნოვას, ისე ლ. აკაბას ნაშრომებში ზემოაღნიშნული მოვლენები განხილულია როგორც ძველი ყოფიდან იშვიათი გამონაკლისის სახით შემორჩენილი გადმონაშთები. ისინი გვაცნობენ იმ ტრადიციებს, რაც ძველი საოჯახო ყოფიდან მემკვიდრეობით მიიღო ახალმა საოჯახო ყოფამ, მაგრამ არსად არ სვამენ იდენტურობის ნიშანს საოჯახო თემსა და ახალ ყოფაში დამოწმებულ მრავალსულიან ოჯახს შორის. ამდენად, იმის მტკიცება, თითქოს მათ კოლმეურნეთა ოჯახებს შორის საოჯახო თემი აღმოაჩინეს[27], ყოვლად გაუმართლებელ ბრალდებად მიგეჩნია.

განხილული ლიტერატურა ნათლად გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის ბოლომდე აფხაზებში ჯერ კიდევ დავიწყებას არ მისცემოდა გაუყოველად ცხოვრების ადრინდელი წესი, დიდი ოჯახი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას და მას გარკვეული ადგილი ეჭირა საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში.

აფხაზთა საოჯახო ყოფის მკვლევართა ეს მონაპოვარი მნიშვნელოვან მიღწევად იქნა აღიარებული საბჭოთა ეთნოგრაფიაში[28]. მოსალოდნელი იყო, რომ ახალი მასალის დაგროვებისა და ამის საფუძველზე აფხაზთა საოჯახო ყოფის კვლევის შემდგომ ეტაპზე ღირსეულად შეფასდებოდა არსებული ლიტერატურული მემკვიდრეობა, მაგრამ ერთ-ერთმა ეთნოგრაფმა[29] არჩია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარეყო ზემოხსენებულ მკვლევართა მიერ გამომზეურებული ფაქტობრივი მონაცემები და მისი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული თვალსაზრისი დიდი ოჯახის გადმონაშთური ბუნების შესახებ. შემდეგ იმის სურვილიც გაუჩნდა, რომ ასევე ხელაღებით დაეწუნებინა მ. კოსვენის კონცეფცია დიდი ოჯახის ტიპოლოგიის შესახებ და უადგილოდ დაემოწმებინა ი. ჭყონიას ორი წერილი[30], რომლებშიც მოცემულია იმის დამტკიცების

---

[27] И. Чкония, О природе большой семьи, Тб., 1964, 3.

[28] М. Косвен, Этнография и история Кавказа, М., 1961, 100; мисиэ, Семейная община и патронимия, М., 1963, 20.

[29] А. Кучберия, Большая семья у абхазов, ჟურნ. „მაცნე“, 1968, № 5.

[30] И. Чкония, Некоторые вопросы семейной общины в Картли, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, I, თბ., 1955; мисиэ, О природе большой семьи.

უშედეგო ცდა, თითქოს კლასობრივ საზოგადოებაში არსებული დიდი ოჯახი გენეტიკურად დაკავშირებული არ ყოფილა წინაკლასობრივ საოჯახო თემთან[31]. ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს ფაქტობრივი მონაცემები აფხაზური დიდი ოჯახის შესახებ და მათი მეშვეობით საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გადმონაშთის სახით შემორჩენილ იმ ძირითად ელემენტებზე, რომლებიც საოჯახო თემთან მოგვიანო დროის დიდი ოჯახის გენეტიკური კავშირის მაჩვენებელია. ზოგიერთი ასეთი კომპონენტი ავტორსაც მიაჩნია შორეულ წარსულში საოჯახო თემის არსებობის საბუთად. ის ამ თვალსაზრისით განიხილავს ოჯახის გაუყრელობის, მისი ნათესაობრივი ერთობის და მიმართვის ფორმებისათვის დამახასიათებელ ტერმინებს, რომლებიც XIX საუკუნის ბოლომდე არსებულ დიდ ოჯახში ცოცხლობდნენ, მაგრამ ბოლოს, ისევე როგორც სტატიის დასაწყისში, იგი კვლავ ავითარებს აზრს, რომ აფხაზური დიდი ოჯახი არ წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას. თავის მიერ მოპოვებული მასალის შეუფასებლობამ და სხვისი შეხედულებების ბრმად გაზიარებამ, რასაც საკუთრივ აფხაზურ ეთნოგრაფიულ მასალასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ავტორი იმ თვალსაზრისის აღიარებამდე მიიყვანა, რომ „Образование больших семей не могли быть обязательным, но они возникали по мере надобности как трудовая кооперация близких родственников“.[32]

---

[31] სრულ გაუგებრობაზე დამყარებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ კლასობრივი ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე არსებული დიდი ოჯახი გენეტიკურად საოჯახო თემთან დაკავშირებული არ არის, ახლო ნათესაობაშია XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ერთ-ერთ დღენაკლულ თეორიასთან, ე. წ. „არტელურ თეორიასთან“, რომლის მიხედვით დიდი ოჯახი გაიგივებული იყო მეჯურნეობრივ ასოციაციასთან, არტელთან. ამ „თეორიიდან“ ი. ჭყონიას მიერ ნასესხებ „დებულებას“ იმის შესახებ, რომ „დიდი ოჯახი კოოპერაციის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა“, დაემატა სათანადო დასაბუთებას მოკლებული მისივე ფრაზები, რითაც ოჯახის სიდიდე გათანაბრებულია მის სიმდიდრესთან, მდიდარ ოჯახად მიჩნეულია მხოლოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი და ის წოდებულია კულაკურ ოჯახად. ასეთ გაუგებრობათა უსაფუძვლობის შესახებ თავის დროზე ვრცლად ითქვა ჩვენს შრომებში (ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. ი. ლენინი ოჯახის შესახებ, „მნათობი“, 1970, № 9; მ ი ს ი ვ ე, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, კეკ, III, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, ოჯახის ეკონომიური საფუძვლები წოვა-თუშებში, „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1976), რის გამო აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

[32] А. К у ч б е р и я, დასახ. ნაშრომი, 168.

როგორც ვხედავთ, ჩვენს ეპოქაში კიდევ ერთი მემკვიდრე გამოჩენილა. ეროვნული ბიბლიოთეკა უჩნდა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მოძველებულ „არტელურ თეორიას“ და მან კიდევ ერთი „საბუთი“ შესძინა ბურჟუაზიულ თვალსაზრისს ინდივიდუალური ოჯახის თავდაპირველობის შესახებ.

ა. ქუჩბერიას სტატიის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ დაიბეჭდა ს. ბახიას წერილი[33], რომელშიც, ავტორის მიერ გუდაუთის რაიონში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, აღწერილია აფხაზური დიდი ოჯახის ზოგიერთი ტრადიციული ნიშან-თვისება, სახელდობრ, საოჯახო ქონების გაყოფის წესი. მაგრამ ამ წესის აღწერამდე ავტორი გვაცნობს ფაქტობრივ მონაცემებს დიდი ოჯახების შემადგენლობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ეროვლისოდაც გაჭირდებოდა ქონების განაწილების წესზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. ეს მონაცემები საგრძნობლად ავსებენ ჩვენს ცოდნას აფხაზური დიდი ოჯახის შესახებ და, არსებულ სამეცნიერო მემკვიდრეობასთან ერთად, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებენ იმ გარემოებაზე, რომ აფხაზებში ინდივიდუალური ოჯახის დიდი ხნიდან დომინანტობის პირობებში ხანგრძლივად არსებობდა გაუყრელად ცხოვრების ტრადიციაც. ნათლად ჩანს ერთობის ტრადიციების შემონახულობა ოჯახების გაყრის შემდეგაც, რაც ახსნილია პატრონიმიული ორგანიზაციის არსებობით.

ს. ბახიას მიერ გამოვლენილი და კვალიფიცირებული მასალის მიხედვით, საოჯახო ქონების გაყოფა ხდებოდა მოწილეებად მიჩნეული უფროსი თაობის მამაკაცებზე. სულებზე ანაწილებდნენ მხოლოდ უკანასკნელი წლის საჩოს. ტრადიციული წესით ოჯახის გაყრის შემთხვევაში, ე. ი. მამის გარდაცვალების შემდეგ, „დიდ სახლში“ რჩებოდა ძმებს შორის უფროსი, რომელიც გაყრამდე ოჯახის მეთაურის მოვალეობას ასრულებდა. მამის სიცოცხლეშივე ოჯახის გაყრის შემთხვევაში კი ამ სახლში რჩებოდნენ მშობლები, დაუქორწინებელი ვაჟები და გაუთხოვარი ქალები. დანარჩენი ძმები სახლდებოდნენ გაყრამდევე აშენებულ ახალ სახლებში და თანაბრად ანაწილებდნენ სამეურნეო ნაკვეთებს მათი მდებარეობისა და გამოსავლიანობის გათვალისწინებით. ასეთივე პრინციპი ედო საფუძვლად საქონლის, ფუტკრისა და სხვა სახის ქონების გაყოფასაც. ასაკისა და დამსახურების მიხედვით ზედმეტი ქონების (საუფროსო, საუმცრო-

---

33 ს. ბ ა ხ ი ა, საოჯახო ქონების გაყოფის წესი აფხაზეთში ძველად, „საისტორიო კრებული“, II, თბ., 1971.

სო) მიკუთვნება სავალდებულოდ არ ითვლებოდა, მაგრამ ტრადიციის მიხედვით უფროსიდან უფროსის ხელში გადადიოდა ოჯახში დაცული მამაპაპური ნივთები, უმთავრესად ქამარ-ხანჯალი. ასევე მიღებული ყოფილა უცოლო ვაჟისთვის საქორწილოს, ხოლო მოხუცთათვის სამარხოს გამოყოფა, ძირითადად, საქონლის სახით. საოჯახო დოვლათის გარკვეული ნაწილი (ხელსაფქვავი, აჯიკის სანაყი ქვა, სპილენძის დიდი ქვაბი, ურემი, მუშა საქონელი და ზოგჯერ მიწის ნაკვეთიც) ზოგჯერ განაყრების ერთობლივ სარგებლობაში რჩებოდა, რაც შემდეგში პატრონიმიულ საკუთრებაში გადადიოდა.

ყოველივე ეს გვიჩვენებს ოჯახის ტიპის განსაზღვრაში საკუთრების ფორმების შესწავლის მნიშვნელობას, რომლის საფუძველზედაც ავტორმა შენიშნა ა. ქუჩბერიას წერილში დამშვებული ის შეუსაბამობა მასში განხილულ მასალასა და „არტელური თეორიიდან" ნასესხებ სქემებს შორის, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

აფხაზთა ყოფისა და კულტურის შესწავლა დღეს ფართო გეგმით მიმდინარეობს[32], რაშიაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საოჯახო ყოფის საკითხებს, რამდენადაც მისი კვლევის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო საკუთრივ სოციალური ურთიერთობის, არამედ საერთოდ აფხაზეთის ეთნოგრაფიის შესწავლა მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად.

---

[32] А. Аншба, С. Зухба, Этнографические и фолклористические исследования в Абхазии за годы Советской власти, СЭ, 1974, № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის საკითხები ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. მოსახლეობის უმრავლესობა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ოჯახს, კერძოდ, აფხაზურ-ადიღეურ შტოს, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენენ თურქულენოვანი ხალხები: ყარაჩაელები (ცხოვრობენ ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ნაწილში) და ბალყარლები (ცხოვრობენ ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში). აფხაზურ-ადიღეური განშტოებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან ყაბარდოელები (ცხოვრობენ ძირითადად ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში, ხოლო ცალკეული დასახლებების სახით ადიღეს ავტონომიურ ოლქში და ჩრდილო ოსეთის ასსრ-ში). ამავე შტოს ეკუთვნიან ჩერქეზები (ცხოვრობენ ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში), აბაზები (კომპაქტურად ცხოვრობენ ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო გაფანტულად მოსახლეობენ აგრეთვე ადიღეს ავტონომიურ ოლქში) და საკუთრივ ადიღები (ცხოვრობენ კრასნოდარის მხარეში, ადიღეს ავტონომიურ ოლქში).

აფხაზურ-ადიღეურ განშტოებაში შემავალი ხალხების ეთნიკურ ნომენკლატურაში ეთნონიმი ა დ ი ღ ე საერთო სახელწოდებაა ერთ-ერთი უძველესი კავკასიელი ხალხისა, რომელიც გარკვეული ისტორიული პროცესების შედეგად სამ ხალხად დაიყო: საკუთრივ ა დ ი ღ ე ბ ა დ, ჩ ე რ ქ ე ზ ე ბ ა დ და ყ ა ბ ა რ დ ო ე ლ ე ბ ა დ. ენობრივადაც ისინი განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს. ეს ჯგუფი შედგება სამი ენისაგან: აფხაზურისა, ადიღეურისა (ანუ ჩერქეზულისა) ყაბარდოულითურთ და უბიხურისაგან. უბიხურ ენაზე კავკასიაში აღარავინ ლაპარაკობს, ვინაიდან 1864 წელს უბიხთა ტომი მთლიანად გადასახლდა თურქეთში. ყაბარდოელები და ჩერქეზები ლაპარაკობენ ერთ

ენაზე (ყაბარდულ-ჩერქეზულზე), ხოლო ადიღების სალაპარაკო ენაა ადიღეური ანუ კ ə ახური[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ ნაშრომში[2] ყაბარდოელებისა და ჩერქეზების ეთნოგრაფიული მიმოხილვა ერთადაა მოცემული, ხოლო ადიღებისა ცალკე, რაც დასაბუთებულია მათი ბოლოდროინდელი ურთიერთობით (ყოფისა და კულტურის სიახლოვით თუ დაშორებით). ამ ხალხთა ერთი ისტორიული წარმომავლობის გამო რევოლუციამდელ ლიტერატურაში, ყოფისა და კულტურის აღწერისას, მათ შორის მკვეთრი ზღვარი არაა გავლებული და საოჯახო ყოფაზე მსჯელობის დროსაც ეთნიკური ცნება ადიღე ან ადიღეელი ზემოხსენებული სამი ხალხის (ადიღელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) ერთობას გულისხმობს. ეს გარემოება გათვალისწინებულია ამ ნაშრომშიც, მასში ნაჩვენებია როგორც ადიღებში შემავალი ხალხების, ისე მათი მონათესავე აბაზებისა და ზემოხსენებული თურქულენოვანი ხალხების (ყარაჩაელები, ბალყარლები) საოჯახო ყოფის შესწავლის მდგომარეობა.

* *
*

უძველესი სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთური ფორმით ხანგრძლივად არსებობის გამო ადიღთა საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა ადრიდანვე ეთნოგრაფიულ დაკვირვებათა საინტერესო სფეროდ იქცა. XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე და განსაკუთრებით მის წინა პერიოდში ადიღეში მკვლევარს მასალის ძებნა არ ჭირდებოდა ისეთი მოვლენების შესწავლისათვის, როგორიც იყო დიდი ოჯახი, პატრონიმია, სოფლის თემი, მესისხლეობა, ქორწინების უძველესი ფორმები მისთვის დამახასიათებელი არქაული ელემენტებით (ეგზოგამია, ქალის მოტაცება, ლევირატი, სოროორა-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, 367; ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1969, 5; Народы Кавказа, I, М., 1960, 22, 25, 138; В. Гарданов, Общественный строй адыгских народов (XVIII—первая половина XIX в.), М., 1967, 5; Н. Волкова, этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973; მისივე, Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII — начале XX века, М., 1974.

[2] Народы Кавказа, I, 138—231.

ტი...) და მრავალი სხვა. XVIII—XIX საუკუნეებში ამ მოვლენებს, როგორც მაშინდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჯერ კიდევ მოქმედ გამონაშთურიტიპის ინსტიტუტებს, უშუალო დაკვირვების გზით აღწერდნენ. ამ მხრივ ყველაზე უფრო ხელშესახებსა და უცხო პირისთვის ადვილად შესამჩნევ ობიექტს წარმოადგენდა ოჯახი, რომელთანაც მოგზაურ-დამკვირვებელი უშუალო კონტაქტს ამყარებდა და მას მონათხრობის მიხედვით კი არ აღწერდა, როგორც დღეს ვაკეთებთ დიდი ხნის წინათ მოშლილი მოვლენების შესწავლის მიზნით, არამედ აღწერდა საკუთარი თვალით შენიშნულ ცოცხალ სინამდვილეს. როგორც მ. კოსვენმა დაადგინა, ამ გზით ფიქსირებული პირველი ცნობა კავკასიის ხალხთა ყოფაში დიდი ოჯახის არსებობის შესახებ რუსულ წყაროებში 1784 წელს გაჩნდა სწორედ ყაბარდოელთა ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად[3]. მკვლევარს მხედველობაში აქვს გენერალ პ. პოტიომკინის მიერ ყაბარდოში 1784 წ. შეკრებილი ცნობები. პ. პოტიომკინი მოკლედ აღწერს აღზრდის წესებს ყაბარდოში, კერძოდ, შვილების გაბარების ჩვეულებას, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ათალიკობის სახელწოდებით. იქვე იძლევა ის ყაბარდოელთა საზოგადოებრივი ყოფის დახასიათებას, ხოლო საკუთრივ საოჯახო ყოფისათვის ნიშანდობლივ მოვლენად აღიარებს ოჯახების გაუყოფლობას. უშუალო დაკვირვების გზით მას დაუდგენია, რომ ყოველ ოჯახში რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა ისე, რომ პირველი თაობის წარმომადგენელი იყო მამის პაპა. ასეთ ოჯახში საჭმელს ერთ ქვაბში ამზადებდნენ, რის გამო ხალხის მეტყველებაში „ოჯახი“ და „ქვაბი“ სინონიმურ ცნებათა მნიშვნელობით დამკვიდრებულა. ეს ნათლად ჩანს პ. პოტიომკინის ცნობიდან, რომ ოჯახების რაოდენობის დასადგენად ნაცვლად კითხვისა—რამდენი ოჯახი ან კომლია აქ, იკითხავდნენ — რამდენი ქვაბია აქ[4].

საოჯახო ყოფის შესახებ არსებული მონაცემების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილვისას პ. პოტიომკინის დაკვირვებათა შემდეგ ყურადღებას იქცევს როტმისტრ დავიდოვსკისა და მაიორ შარდანოვის მონაწილეობით შეკრებილი და გენერალ-მაიორ გოლიცინის მიერ 1844 წელს შედგენილი „ძველი ყაბარდოული

---

[3] М. Косвен, Этнография и история Кавказа, 92.

[4] Краткое описание о кабардинских народах, сделанное в 1784-м году ген.-поручиком Павлом Потемкиным, «Кабардино-русское отношения в XVI—XVIII вв.,» т. II, М., 1957, 360—361.

წეს-ჩვეულებების კრებული“, რომელიც ფ. ლეონტოვიჩმა „კავკასიელ მთიელთა ადათების“ I ტომში მოათავსა. კრებულიდან ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ ცნობა იმის შესახებ, რომ გლეხის ოჯახი, რომელშიც რამდენიმე ძმა ერთად ცხოვრობდა, შეიძლებოდა გაყრილიყო მხოლოდ იმ პირობით, თუ გაყრის მსურველები ბატონს მიართმევდნენ 40 ცხვარს თავისი ბატკნებით. პრივილეგიური ზედაფენა ასეთ ღონისძიებას მიმართავდა გლეხის ოჯახის გაუყრელობის შენარჩუნების მიზნით, ვინაიდან დიდ ოჯახს ბატონისათვის კუთვნილი გადასახადის გადახდაც შეეძლო და დაკისრებულ სამუშაოთა შესრულებაც. გაყრა და ქონების დანაწევრება კი იწვევდა როგორც მათ გაღარიბებას, ისე მუშახელის დაქსაქსულობას, რაც ასუსტებდა ბატონისათვის ხელსაყრელ ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობას[5].

ფ. ლეონტოვიჩის ზემოხსენებულ გამოცემაში მოთავსებული მასალებიდან აღსანიშნავია კუჩეროვის მიერ 1845 წელს შეკრებილი ცნობები ჩერქეზთა ადათ-ჩვეულებების შესახებ, რომელთა ერთი ნაწილი ოჯახსაც შეეხება. ირკვევა, რომ აქაც, ისევე როგორც კავკასიელ მთიელებში საერთოდ, ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით მამაკაცები სარგებლობდნენ, ხოლო ქალი, როგორც მამაკაცის მიერ ყალიმით ნაყიდი, მოკლებული იყო ამ უფლებებს. ქონება გადადიოდა მამიდან შვილის ხელში, უშვილო კაცის ქონებას ეპატრონებოდნენ მისი ძმები, უძმო კაცის ქონება ეძლეოდათ მის ბიძაშვილებს, ხოლო თუ მამაკაცთაგან აღარავინ დრჩებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში, მამის ქონება მის ქალიშვილებს ერგებოდათ. ცოლს შეხვდებოდა მხოლოდ ქმრის მიერ ანდერძით განსაზღვრული ქონების ნაწილი, მაგრამ ქმარი თუ ამაზე არ იზრუნებდა, ქვრივისთვის რაიმეს მიცემა ან მისი უზრუნველყოფა გათხოვებამდე, გაუთხოვრობის შემთხვევაში კი სიკვდილამდე, მემკვიდრეებს ევალებოდათ. მემკვიდრეებს ასეთივე მზრუნველობა ეკისრებოდათ გასათხოვარი ქალების მიმართ მათ გათხოვებამდე ან სიკვდილამდე, ისევე, როგორც ქალის გათხოვებაში ყალიმის აღების უფლებაც მათ ჰქონიათ მინიჭებული. კუჩეროვის ცნობით, შვილები მამის მორჩილებაში იმყოფებოდნენ. მამისადმი დაუმორჩილებლობის შესაძლებლობა გამორიცხული იყო თვით ქორწინების დროსაც, ვინაიდან პირად საკუთრებას მოკლებული შვილი, რომელიც ურჩობის

---

[5] Ф. Леонтович, Адаты кавказских горцев, I, Одесса, 1882, 234—235.

გამოჩენის შემთხვევაში უწილოდ დატოვებასაც კი დაიმსახურებდა, მამისგან დამოუკიდებლად ყალიმის გადახდას ვერ შესძლებდა. ასეთი ურთიერთობა დამახასიათებელი იყო გაუყრელი ოჯახისათვის, საიდანაც გამოყოფა და კუთვნილი ქონების მოთხოვნა მამის სიცოცხლეში შვილს არ შეეძლო. კუჩეროვს შთაბეჭდილება შექმნია, რომ ცოლშვილიანი შვილები უმთავრესად მამასთან ერთად ცხოვრობდნენ, გაყრა მიზანშეწონილად ითვლებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მისთვის ცნობილი ყოფილა იმის მრავალი მაგალითიც, როდესაც მამასთან შეთანხმების საფუძველზე შვილები კუთვნილ ქონებას მიიღებდნენ და ცალ-ცალკე ბინავდებოდნენ[6].

საოჯახო საკუთრების საკითხისათვის საინტერესოა ყუბანის ოლქის ჩერქეზთა შესახებ ბარონ სტალის მიერ 1849 წელს შეკრებილი ცნობები, რომელთა მიხედვით ჩანს, რომ მამის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება ენიჭებოდათ მის ვაჟიშვილებს. მათ შორის მცირედი უპირატესობით სარგებლობდა უფროსი, რომელსაც, კუთვნილ წილს გარდა, შეეძლო დამატებით მიეღო ცხენი, ხარი ან ხმალი, უმცროს შვილსაც ასევე დამატებით ერგებოდა ცხენი ან ხმალი, ხოლო შუათანა შვილი თავის წილს უნდა დასჯერებოდა[7].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ავტორთაგან აღსანიშნავია ლაპინსკის ცნობები ადიღეში დიდი ოჯახის შემადგენლობის შესახებ, რასაც მ. კოსვენის ნაშრომის მიხედვით გავეცანით. ამ ცნობათა თანახმად, ერთ ოჯახში გაუყრელად ცხოვრობდნენ არა მარტო მშობლები, მათი ცოლშვილიანი შვილები, უცოლო ვაჟები და გაუთხოვარი ქალები, არამედ ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ მონებიც (იგულისხმებიან უმთავრესად მეკობრეობის გზით დატყვევებული უცხოტომელები, რომლებიც შინამოსამსახურის მოვალეობას ასრულებდნენ — ვ. ი.). როდესაც რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობაც განსაკუთრებით იზრდებოდა. ადიღეში ლაპინსკის 10-სულიან ოჯახზე ნაკლები არ შეხვედრია, თითოეულ ოჯახში მას აღურიცხავს უმეტესად 20 სულზე მეტი, ხოლო ზოგი ისეთი ოჯახიც უნახავს, რომელიც 100 სულზე მეტს ითვლიდა[8].

გაუყრელად ცხოვრების წესი აბაძეხებში პირველად დადას-

---

[6] Ф. Леонтович, დასახ. ნაშრომი, I, 149—152.

[7] იქვე, 174—175.

[8] М. Косвен, დასახ. ნაშრომი, 93.

ტურებული აქვს ა. მახვიჩ-მაცკევიჩს. მისი ყურადღება მიუქცევია
ეროვნული
ბიბლიოთეკა
იმ გარემოებას, რომ ოჯახი ბინადრობდა ერთ ნაკვეთზე განლაგებულ რამდენიმე სახლში, რომელთა შორის, ე. წ. „დიდ სახლში“, ცხოვრობდნენ ოჯახის უფროსი, მისი მეუღლე და ბავშვები 12 წლის ასაკამდე. ამავე სახლში ინახებოდა ლოგინი (რომლის რაოდენობა 50-ს აღწევდა), დგამ-ჭურჭელი, იარაღი, თოფის წამალი და ა. შ. ცოლშვილიანი ვაჟებისა და გასათხოვარი ქალებისათვის განკუთვნილი ყოფილა რამდენიმე პატარა ზომის ქოხი. ზოგიერთ ეზოში 15-მდე ასეთი ქოხი მდგარა, ხოლო ეზოს გარეთ სასტუმრო ოთახი ყოფილა აშენებული. ამასთან ერთად, ავტორი დაჰკვირვებია იმ გარემოებასაც, რომ შვილების მიმართ განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა მამა, რომლის გარდაცვალებამდე ოჯახის დაყოფა შეუძლებელი იყო, ხოლო ქალები და რძლები ოჯახის უფროსის მეუღლის მორჩილებაში იმყოფებოდნენ[9].

უფრო მოგვიანებით ადიღთა საოჯახო ყოფის ზოგიერთ მხარეს შეეხო ლ. ლიულიე, რომელიც უმთავრესად გვაცნობს სამემკვიდრეო ქონების განაწილების პრინციპს. როგორც ის წერს, მამის გარდაცვალების შემდეგ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მემკვიდრეობით გადაეცემოდათ მის ვაჟიშვილებს. მემკვიდრეთა რაოდენობის შესაბამისად საოჯახო ქონების თანაბარ ნაწილებად დაყოფა მინდობილი ჰქონდა ძმებს შორის უმცროსს, ხოლო წილების არჩევა ხდებოდა ხნით უფროსობის მიხედვით ისე, რომ წილს პირველი აიღებდა უფროსი ძმა. ქალებს ქონებას არ აძლევდნენ. რაც შეეხება ქვრივს, მემკვიდრეების საერთო შეთანხმების საფუძველზე, მას სიკვდილამდე სარგებლობის უფლებით გამოუყოფდნენ მიწის ნაკვეთს, რასაც მისი სიკვდილის შემდეგ ისევ მემკვიდრეები ინაწილებდნენ. ამასთან ერთად, ქვრივს უფლება ჰქონდა საცხოვრებლად ამოერჩია ერთ-ერთი უმცროსი შვილის სახლი, ვინაიდან მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ძველი სახლი მთელი მისი მოწყობილობით უფროსი ვაჟის საკუთრებაში ექცეოდა. ძმებს შორის უფროსის პრიორიტეტი გამოხატულებას პოულობდა იმაშიც, რომ, კუთვნილ წილს გარდა, მას შეეძლო რაიმე ნივთი და თვით მონაც კი ამოერჩია[10].

---

[9] А. Махвич-Мацкевич, Абадзехи, «Народная беседа», СПб., 1864, № 3.

[10] Л. Люлье, Учреждения и народные обычай шапсугов и натухажцев, ЗКОРГО, кн. VII, вып. I, Тифлис, 1866, 14—15.

ადილთა საოჯახო ყოფას გაკვრით ეხება ე. კოვალევსკი, რომელიც ოჯახის ბატონ-პატრონად და ოჯახის წევრთა მიმართ გადაჭარბებული საზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილ პირად წარმოგვიდგენს ოჯახის უფროს მამაკაცს. მისივე მტკიცებით, საოჯახო ქონების მესაკუთრედ მამაკაცები ითვლებოდნენ, ძალაში იყო ახლო ნათესავებზე მემკვიდრეობის გადაცემის კანონი, ქალების გამოკლებით, ხოლო მემკვიდრეებად ცნობილ პირთა შორის, ქონების თანაბრად განაწილების დროს სხვებთან შედარებით უფროსის უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მას შეეძლო, კუთვნილ წილთან ერთად, დამატებით აეღო ერთი ფასიანი ნივთი[11].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურიდან აქვე შეიძლება დავიმოწმოთ ს. დავიდოვიჩის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ყაბარდოელი მთიელები ოჯახების გაყრას გაურბიან, მათთან არაიშვიათად გვხვდება ისეთი ოჯახი, რომელიც რამდენიმე თაობას აერთიანებს, 70-მდე სულს ითვლის და ყველანი ერთობლივ შრომას ეწევიან[12] .

საოჯახო ურთიერთობის საკითხებს შეეხო ნ. დუბროვინიც, რომელმაც სიტყვასიტყვით გაიმეორა ლ. ლიულიეს ზემოაღნიშნული ცნობები ქონების გაყოფის წესისა და საკუთრების ხასიათის შესახებ[13]. იგი, ამასთან ერთად, გვაცნობს საოჯახო ყოფის ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ქალისა და მამაკაცის შრომა-საქმიანობა, მშობლების უფლებები დასაქორწინებელი შვილების მიმართ, ოჯახის წევრთა ურთიერთობა სქესის, ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით, ლევირატის გადმონაშთების არსებობა და სხვა[14].

რევოლუციამდელ ავტორთა ზემოხსენებულ ცნობებს, როგორც ძვირფას წყაროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის ისტორიის შესწავლისათვის, მაგრამ მისი ამ თვალსაზრისით დამუშავებას ადრე ჯეროვანი ყურადღება არ მიქცევია. აღნიშნულ მონაცემებზე და ახალ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ოჯახის ფორმათა კვლევას საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ეთნოგრაფებმა. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის ინტენსიური შესწავლა საბჭოთა ეთნოგრაფიამ 1950-იანი წლებიდან დაიწყო,

---

[11] Е. Ковалевский, Очерки этнографии Кавказа, ВЕ, 1867, III, 86—88.

[12] С. Давидович, Восхождение на Эльбрус, ИВ, 1887, № 5.

[13] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПб., 1871, 234.

[14] იქვე, 168—171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვიდრე ამ საკითხში მის მიღწევებს გავეცნობოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხების, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის დანარჩენი მოსახლეობისა და მათთან ერთად აფხაზების შესახებ არსებული რევოლუციამდელი ეთნოგრაფიული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ამერიკელმა ეთნოგრაფმა ლ. ლუზბეტაკმა ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ[15]. ქორწინების სფეროდან იგი ეხება ისეთ მოვლენებს, როგორიცაა დამოყვრებაზე შეთანხმება, საქორწინო ურთიერთობის საფესურები და მისთვის დამახასიათებელი რიტუალები, მრავალცოლიანობა, ლევირატი, სოროორატი, ყალიმის გადახდის წესი და ა. შ., ხოლო საოჯახო ურთიერთობის ნორმებიდან საგანგებოდ განიხილავს ცოლისა და ქმრის ურთიერთდამოკიდებულებას, მათ უფლება-მოვალეობას, ურთიერთობას მშობლებსა და შვილებს შორის, უფროს-უმცროსობის წესებს, ოჯახის გაყრის შედეგად შექმნილ სიტუაციას და შვილების ეკონომიურ ვალდებულებას მშობლებისადმი, მშობლების გარდაცვალების შემდეგ დებისადმი ძმების მოვალეობას, ძმების უყოლობის შემთხვევაში მათდამი ნათესავების მზრუნველობას და რიგ ასეთ საკითხებს. მკვლევარი დაინტერესებულია აგრეთვე ქალისა და მამაკაცის შრომა-საქმიანობის პროფილით და, ამის შესაბამისად, ოჯახის წევრთა ფუნქციებით. აღნიშნული საკითხების შესწავლის შედეგად იგი აღნიშნავს კავკასიის ხალხთა ყოფის დიდ მსგავსებას საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სფეროში, რომლის მიზეზად მიაჩნია, ერთი მხრივ, ადათობრივი ნორმების იდენტურობა, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი მოვლენები, როგორიცაა: ისლამისა და ქრისტიანობის თანაარსებობა, რომაულ-ბიზანტიური კანონების გავრცელება, ინდოევროპელებთან კავშირი, თურქ-მონღოლთა მწყემსურ-მომთაბარული ცხოვრების გავლენა და, ბოლოს, კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების განმტკიცება. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა საოჯახო სამართალს, რომლის შესწავლის ძირითად წყაროდ ავტორი იყენებს ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოქვეყნებულ „ადათებს". რაც შეეხება თვით ოჯახის ფორმებს და მისი ისტორიული განვითარების საფეხურებს, კერძოდ, საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას და მისი შემონახულობის ან დაშლის მიზეზებს, ლ. ლუზბეტაკის ნაშრომში ეს ნაჩვენები არ არის.

---

[15] Louis. J. Luzbetak. Marriage and the Famili in Caucasia. Vienna-Moglink, 1951.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება 1950-ანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა ეთნოგრაფიამ სათანადო მნიშვნელობა მიანიჭა როგორც რევოლუციამდელ ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას, ისე და კიდევ უფრო მეტად, ახალი ეთნოგრაფიული მასალის შეკრებისა და შესწავლის საქმეს. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ე. სტუდენეცკაიას ნაშრომი[16], რომელშიც კონკრეტულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით მოცემულია ყაბარდოული დიდი ოჯახის აღწერილობა და მისი ძირითადი კომპონენტების დახასიათება. ირკვევა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ყაბარდოელთა ყოფაში ჯერ კიდევ ბევრი დიდი ოჯახი იყო შემორჩენილი, რომელიც არსებობას ინარჩუნებდა გარკვეულ გარემოში, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში. ამ ტიპის მრავალრიცხოვანი ოჯახი სამ-ოთხ თაობას მოიცავდა და კოლექტიური საკუთრებისა და მოხმარების პრინციპს ინარჩუნებდა. ავტორი ასეთსავე თვალსაზრისს ავითარებს მეორე ნაშრომშიც და ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პერიოდში ოჯახის მეტად გავრცელებული ფორმა იყო დიდი ოჯახი ანუ პატრიარქალური საოჯახო თემი, რომელიც წარმოიშვა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებამდე, სოფლის თემთან თანაარსებობას განაგრძობდა და საბოლოოდ დაიშალა XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით[17].

საოჯახო ყოფის შესახებ ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე შემუშავებულმა თვალსაზრისმა ასახვა ჰპოვა ადიღეს, ყაბარდოსა და ჩერქეზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილ შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომებში. ადიღების საოჯახო ყოფის შესახებ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ძირითადი სამეურნეო ერთეული იყო პატარა ოჯახი, ხოლო დიდი ოჯახები შემორჩენილი იყო განსაზღვრული რაოდენობით[18]. ყაბარდოელებისა და ჩერქეზების

---

[16] Е. Студенецкая, О большой семье у кабардинцев в XIX в., СЭ, 1950, № 2.

[17] Е. Студенецкая, Быт и культура кабардинского народа (XVIII—XIX вв), «Сборник статей по истории Кабарды», вып. III, Нальчик, 1954, 176.

[18] Народы Кавказа, I, 211.

საოჯახო ყოფის შესახებ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ კომპენ-
დიუმში აისახა ე. სტუდენეცკაიას კვლევის შედეგები[19], რასაც ზემ-
ოთ გავეცანით, ხოლო „ყაბარდოს ისტორიის“ მე-9 თავში, ყაბარ-
დოელთა კულტურისა და ყოფის მიმოხილვაში, გვაროვნული წყო-
ბილების რიგ გადმონაშთებთან ერთად, ნაჩვენებია დიდი ოჯახის,
როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის, ძირითადი ნიშ-
ნებიც. აქ მოცემული კვალიფიკაციის მიხედვით, განსახილველ პე-
რიოდში (XVII საუკუნიდან XIX საუკუნის პირველი ნახევრის
ჩათვლით) ყაბარდოში ჯერ კიდევ არსებობდა დიდი ოჯახი, რომ-
ელიც წარმოადგენდა ერთად მცხოვრები რამდენიმე თაობისაგან შე-
დგენილ კოლექტივს. იგი ემყარებოდა ერთობლივ მეურნეობას,
ოჯახის წევრთა ერთობლივ შრომას და გაუყოფელ საკუთრებას.
ასეთ ოჯახს ხელმძღვანელობდა ხნით უფროსი მამაკაცი, რომელსაც
შემდგომში სცვლიდა მომდევნო ხნით უფროსი მამაკაცი, რაც ზოგ-
ჯერ ოჯახის უფროსის გარდაცვალებამდეც ხდებოდა მისი ავად-
მყოფობის ან მოხუცებულობის გამო. ოჯახის საერთო ხელმძღვანე-
ლობასთან ერთად უმუალოდ მის მოვალეობას შეადგენდა სამამ-
აკაცო შრომის ორგანიზაცია და მამაკაცებს შორის ფუნქციების განა-
წილება მათი ასაკისა და შესაძლებლობის მიხედვით. ამავე პრინცი-
პის დაცვით ქალთა შრომა-საქმიანობის გაძღოლა ეკისრებოდა უფ-
როს ქალს. ოჯახის წევრთა ურთიერთობის მარეგულირებელი იყო
უფროს-უმცროსობის პრინციპი. XIX საუკუნეში, განსაკუთრებით
კი მის მეორე ნახევარში, დიდი ოჯახი დაშლას განიცდის და XIX
საუკუნის ბოლოსათვის ის ადგილს უთმობს პატარა ინდივიდუალურ
ოჯახს, რომელიც თავის შინაგან წყობაში ოქტომბრის რევოლუ-
ციამდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში უფრო გვიანაც, ინარჩუ-
ნებდა ტრადიციული პატრიარქალური ყოფის ნიშნებს[20].

ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს სოციალური სტრუქტურისა და
მასში დიდი ოჯახის ადგილის შესახებ სათანადო შეფასება მიეცა
საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ა. ფადეევის აზრით, კავკასიის მთი-
ელთა სოციალური ყოფის შესწავლისადმი მიძღვნილ გამოკვლევებ-
ში, კერძოდ კი ადიღეასა და ყაბარდოს ისტორიის ნარკვევებში, გა-
მოკვეთილად ითქვა, რომ რუსეთთან შეერთების პერიოდისათვის
მთიელთა სოციალური წყობისათვის დამახასიათებელი იყო მოუმ-
წიფებელი ფეოდალური ურთიერთობისა და პატრიარქალურ-გვა-

---

[19] Народы Кавказа, I, 182—183.

[20] История Кабарды, М., 1957, 94—95.

როვნული სტადიიდან ძლიერად შემორჩენილი გადმონაშთების შერწყმული სახით არსებობა. „ყაბარდოს ისტორიისა“ და „ადიღეს ისტორიის ნარკვევების“ ავტორებს ა. ფადეევი სავსებით ეთანხმება იმის აღიარებაში, რომ XIX საუკუნის დასაწყისში მთიელთა ცხოვრებისათვის ყველაზე ტიპური იყო პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობა. სამაგიეროდ, ა. ფადეევი „ყაბარდოს ისტორიის“ ავტორებს არ ეთანხმება იმის მტკიცებაში, რომ დიდმა ოჯახმა დაშლა განიცადა მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულს. მისი აზრით, ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას „ადიღეს ისტორიის ნარკვევების“ ავტორთა თვალსაზრისი, რომლის თანახმად, სისხლით ნათესაობაზე დამყარებული გაერთიანებანი, რომლებიც გადმონაშთური ფორმით ინარჩუნებდნენ არსებობას სასოფლო თემის შიგნით, დაშლის სტადიაზე იმყოფებოდნენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში[21].

სოციალური სტრუქტურის ასეთივე სურათია დახატული განსაზღვრული ისტორიული პერიოდის შესწავლისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებშიც. ერთ-ერთ ასეთ ნაშრომში ნათქვამია, რომ ადიღეში საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა თემური წყობის რღვევა და ფეოდალიზმის განვითარება. XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს პროცესი აქ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერად იყო შემონახული პატრიარქალურ-გვაროვნული ინსტიტუტების გადმონაშთები, ხოლო სოფლის თემი („ჰსუხო“), რომელიც წარმოადგენდა გვაროვნული თემის დაშლის შემდგომ საფეხურს, თავისი ატრიბუტებით ინარჩუნებდა მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახეს. მის ერთ-ერთ ასეთ ატრიბუტად მიჩნეულია დომინარებულ მდგომარეობაში მყოფი ინდივიდუალური ოჯახის გვერდით დიდი ოჯახის არსებობა[22].

ადიღეს ისტორიის უფრო ძველი პერიოდის (XVI-XVIII სს.) სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ვითარების შესწავლასთან დაკავშირებით მ. ციცაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომლის „ეკონომიური და საზოგადოებრივი არსი მდგომარეობდა მთელი ქონების კოლექტიურ მფლობელობაში, კოლექტიურ შრომაში, კოლექტიურ გამოყე-

---

[21] А. Фадеев, Вопрос о социальном строе кавказских горцев XVIII—XIX вв. в новых работах советских историков, ВИ, 1958, № 5, 133; შდრ; «История Кабарды», 94; «Очерки истории Адыгей», Майкоп, 1957, 171.

[22] М. Покровский, Адыгейские племена в конце XVIII — первой половине XIX века, КЭС, II, М., 1958, 109—124.

ნებაში, კოლექტიურ და დემოკრატიულ მართვა-გამგეობაში"[23]. ამავე სივე შეხედულებით, „იმის გამო, რომ ქვეყნის ფეოდალიზაციანელი ტემპით ვითარდებოდა და ადიღეს ეკონომიკა ჩამორჩენასა და კრიზისს განიცდიდა დიდმა ოჯახმა საკმაოდ დიდხანს შემოინახა თავი ადიღელთა გარდამავალი კლასის თლფოკოტლებს შორის"[24]. როგორც ვხედავთ, ავტორისეული გაგების თანახმად, დიდი ოჯახის არსებობას ხელს უწყობდა კლასობრივი საზოგადოების განვითარების დაბალი დონე, რამდენადაც ოჯახის ეს ფორმა გენეტიკურად უკავშირდება წინაკლასობრივ საზოგადოებას. ამდენად, სამართლიანად მიგვაჩნია ავტორის შეხედულება დიდი ოჯახის დაშლის მიზეზის შესახებაც, როდესაც იგი წერს: „ადიღელ ტომებში საწარმოო ძალთა განვითარება და მეტ-ნაკლები წინსვლა ნელ-ნელა ძირს უთხრიდა დიდ ოჯახს და შლიდა თანამედროვე ტიპის წვრილ ოჯახებად"[25].

ტ. შიკოვას კვლევის შედეგებიდანაც აშკარად გამოჩნდა, რომ ყაბარდოელთა წარსულში ერთ-ერთი არქაული სოციალური ერთეული იყო საოჯახო თემი, რომლის რიცხობრივი შემადგენლობა 30-50 სულს აღწევდა და აერთიანებდა რამდენიმე საქორწინო წყვილს. ამგვარი ოჯახის მართვა და ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება მათი სქესისა და ასაკის მიხედვით ევალებოდა უხუცეს მამაკაცს. ოჯახის არსებობის საფუძველს წარმოადგენდა ერთობლივი მეურნეობა და გაუყოფელი საკუთრება. ფაქტობრივი მონაცემების გამომზეურებით ავტორმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ XIX საუკუნეში ამ ტიპის ოჯახი გადმონაშთის სახით არსებობდა. ამ დროისათვის ყაბარდოელთა ყოფაში ძირითად ერთეულად ითვლებოდა პატარა ოჯახი, რომელიც თავისი ბუნებით არსებითად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი დიდი ოჯახისაგან, მაგრამ ისიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პატრიარქალური ყოფის ზოგიერთ ადრინდელ ტრადიციას. ავტორი პირველ რიგში გულისხმობს მემკვიდრეობის პატრიარქალურ წესს, მამაკაცის მაღალ უფლებრივ მდგომარეობას და, ამის შესაბამისად, ნორმირებულ ურთიერთობას ოჯახის წევრთა შორის[26].

---

[23] მ. ცინცაძე, ადიღელთა სოციალ-ეკონომიური და კულტურული ვითარება XVI-XVIII საუკუნეებში, თბ., 1961, 108.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] Т. Шикова, Семья и семейный быт кабардинцев в прошлом и настоящем, Автореферат канд. дисс., М., 1955.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველე ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული სპეციალური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ადიღეებისა და აბაძეხების სოციალურ ურთიერთობათა საკითხებს ინტენსიურად იკვლევს მ. მერეტუკოვი[27], რომელიც რამდენიმე ნაშრომში საგანგებოდ ეხება ოჯახისა და ქორწინების ფორმებსაც. მისი კვლევის შედეგების მიხედვით, ზემოხსენებულ ხალხთა ყოფას XIX საუკუნეში ახასიათებდა სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში გვაროვნული წყობის გადმონაშთების შემონახულობა. ამ რიგის გადმონაშთური მოვლენები მკვლევარს დადგენილი აქვს უმთავრესად საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სფეროში. ამასთან ერთად, მის ყურადღებას იქცევს შარიათის გავლენით ცხოვრებაში შემოჭრილი და, ზოგიერთ შეთხვევაში, ადათობრივი ნორმების შემცვლელი წესები. ამგვარი ჩვეულებები გზას იკაფავდნენ ოდითგანვე არსებული მამაპაპური ადათების შევიწროების ხარჯზე, მაგრამ მარეგულირებელ მნიშვნელობას მაინც პირველი ინარჩუნებდა. მკვლევარს აღნიშნული ვითარება დადასტურებული აქვს თვით საოჯახო ყოფის შესწავლის შედეგად. საოჯახო ურთიერთობის განვითარების ისეთ საფეხურზე, როდესაც ინდივიდუალური ოჯახის გვერდით შემორჩენილი იყო დიდ ოჯახებად ცხოვრების წესიც, ოჯახი სტრუქტურულად ტრადიციულ სახეს ინარჩუნებდა. ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანდა დიდ ოჯახში, რომელიც, ავტორის კვალიფიკაციით, საოჯახო თემის გამონაშთურ ფორმას წარმოადგენდა. მისთვის დამახასიათებელი უმთავრესი კომპონენტებიდან მკვლევარი გამოყოფს მრავალსულიანობას, რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებას, მმართველობის სოლიდარულ ფორმას, სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით განსაზღვრულ შრომის ორგანიზაციის ხასიათს და საოჯახო-თემურ საკუთრებას. მ. მერეტუკოვის დაკვირვებით, ოჯახის წევრთა ურთიერთობაში გამოკვეთილ სახეს ღებულობდა მამაკაცის პრიორიტეტი. ეს თავს იჩენდა არა მარტო იმაში, რომ ოჯახს მამაკაცი ხელმძღვანელობდა, არამედ განსაკუთრებით იმაში, რომ საოჯახო ქონება მათ შორის ნაწილდებოდა, მაშინ, როდესაც ქალის პირად საკუთრებას მხოლოდ მისი მზითევი შეადგენდა. მკვლევარი საკმაო სისრულით აღწერს აგრეთვე სხვადასხვა თაობის მამაკაცებისა და

---

[27] М. Мерегуков, Свадебные обряды абадзехов, მსე, XII—XIII, თბ., 1963; მისივე, Семейная община у адыгов, УЗАНИИЯЛИ, IV, Краснодар, 1965; მისივე, Брак у адыгов, УЗАНИИЯЛИ, VIII, Майкоп, 1968; მისივე, Экзогамия у адыгов, იქვე; მისივე, Культ очага у адыгов, იქვე.

ქალების ურთიერთობას, აღიარებს ოჯახის უფროსის პრიორიტეტს, მის როლს ოჯახის მართვის სფეროში, მაგრამ ზოგიერთი ავტორისაგან განსხვავებით, რომლებიც ოჯახის უფროსის მაღალ უფლებამოსილებაში ზოგჯერ მის დესპოტურ ძალაუფლებას ხედავენ, გარკვევით ამბობს, რომ ოჯახის უფროსს არ შეეძლო ერთპიროვნული უფლებების გამოყენება ისეთ პირობებში, როდესაც მას, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ოჯახის სხვა წევრებთან დათათბირება ევალებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული, საარქივო და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ყაბარდოელთა საოჯახო ურთიერთობის სფეროდან არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის სერიოზული განხილვის ცდა მოცემულია ხ. დუმანოვის შრომებში[28]. მკვლევარი განსაკუთრებით დაინტერესებულა საოჯახო საკუთრების საკითხით რეფორმის შემდგომ პერიოდში, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საოჯახო ყოფის შესწავლისათვის.

ხ. დუმანოვი პირველ რიგში კრიტიკულად განიხილავს ეთნოგრაფიულ ლიტერატურას დიდი ოჯახის სახელწოდებათა შესახებ და, თავის მხრივ, მათი შინაარსის დაზუსტებას ცდილობს. მისი აზრით, ტერმინი „быныш хуэ“ ყაბარდოში „დიდ ოჯახს“ კი არ აღნიშნავდა, როგორც ეს ე. სტუდენეცკაიას მიაჩნია, არამედ მრავალშვილიან ოჯახს, რამდენადაც „бын“ ნიშნავს შვილებს, ბავშვებს, ხოლო „шхуэ“ სიდიდისა და სიმრავლის გამომხატველი სუფიქსია. ხ. დუმანოვი უზუსტობას ამჩნევს ტ. შიკოვას განმარტებაშიც, ვინაიდან მის მიერ გამოყენებული ტერმინი („унэзэхэс“) აღნიშნავს ოჯახის მრავალრიცხოვნობას, მაგრამ არ მიუთითებს ოჯახის წევრთა ურთიერთობაზე. მკვლევარს, თავის მხრივ, დაუფიქსირებია დიდი ოჯახისა და მრავალსულიანი ოჯახის აღმნიშვნელი სახელწოდებანი, რომელთაგან, მისი აზრით, რამდენიმე თაობის მომცველი დიდი ოჯახის შინაარსის გამომხატველ ყველაზე უფრო რეალურ სახელწოდებას წარმოადგენდა „унэзэшзэхэс“.

---

[28] Х. Думанов, К вопросу о большой семье и патронимии у кабардинцев, ВКБНИИ, вып. 4, Нальчик, 1970; მისივე, обычное семейное имущественное право кабардинцев во второй половине XIX—начале XX в. ВКБНИИ, вып. 6, Нальчик, 1972. მისივე, Обычное наследственное право кабардинцев во второй половине XIX — начале XX в. ВКБНИИ, вып. 6; მისივე, Обычное имущественное право кабардинцев во второй половине XIX — начале XX века, Автореферат канд дисс., М., 1972.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის სათავეში იმყოფებოდა ხნით უფროსი მამაკაცი: პაპის მამა, პაპა, მამა ან უფროსი შვილი. ოჯახის უფროსის ფუნქცია მომავალში მომდევნო ხნით უფროსი მამაკაცის ხელში გადადიოდა. ქალთა საქმიანობას ხელმძღვანელობდა ხნით უფროსი დედაკაცი, რომელიც ოჯახის ყველა წევრისთვის უფროსი („нэхъыжь") იყო, ხოლო რძლებისათვის დედამთილი („гуаще"), მიუხედავად იმისა ის მართლა დედამთილად ეკუთვნოდა მათ, თუ უფროს რძლად. მისი მოვალეობა მომავალში ეკისრებოდა უფროსი ძმის ცოლს, რომელიც შესაძლებელია სხვა რძალზე ხნით უმცროსი ყოფილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორი იყო არა ქალის, არამედ მისი ქმრის ხნოვანება.

ხ. დუმანოვის დაკვირვებით, ოჯახის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა უძრავი ქონების სახით ნაგებობანი და მიწა, ხოლო მოძრავის სახით — საქონელი, სამეურნეო იარაღები, ტრანსპორტი და ა. შ. მისი მტკიცებით, ყველა სახის ქონება საერთო-საოჯახო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მასზე კონტროლის უფლებით ოჯახის უფროსი სარგებლობდა, რომლის სიცოცხლეშიც ოჯახის გაყრა ნორმალურ მოვლენად არ ითვლებოდა, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდებოდა, შვილებს შორის უძრავი ქონების განაწილება მის ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული. უძრავი ქონების სახეობებიდან განაწილება არ ეხებოდა მიწის ნაკვეთს, რომელიც სათემო ნადელად ითვლებოდა და გაყრის შემდეგაც ერთობლივად მუშავდებოდა განაყრებს შორის მოსავლის განაწილების პირობით. რაც შეეხება საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს და მოძრავ ქონებას, შვილებს შორის მას ოჯახის უფროსი ანაწილებდა, ხოლო თუ ოჯახი მისი გარდაცვალების შემდეგ დაიყოფოდა, ძმები ქონებას თანასწორად ინაწილებდნენ. კუთვნილ წილს გარდა, უფროს ძმას აძლევდნენ მხოლოდ ცხენს, ხოლო უცოლო ძმას საყალიმოდ საჭირო თანხას. ოჯახიდან თვითნებურად გამოყოფილი შვილი მამას შეიძლება უწილოდ დაეტოვებინა, მაგრამ თუ განცალკევების მსურველ შვილს მისი ძმები თანხმობას მისცემდნენ, მამაც ძალაუნებურად ამ გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა და მისთვის კუთვნილი ქონების გამოყოფაზედაც უნდა ეზრუნა. ასეთნაირად წესრიგდებოდა საქმე ადათის მიხედვით, რაც საოჯახო ქონების მიმართ ქალის უფლებას გამორიცხავდა, ვინაიდან მის პირად საკუთრებად მიჩნეული იყო მხოლოდ მზითევი და ქმრის მიერ ჯერ კიდევ ქორწინებამდე ნაანდერძევი ქონება. ამ მხრივ ქალს უფრო მომგებიან მდგომარეობას უქმნიდა შარიათი, რომლის მიხედვით უმთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოესად მოძრავ ქონებას ანაწილებდნენ და ქალებსაც დოვლათის
გარკვეულ ნაწილს აკუთვნებდნენ. ხ. დუმანოვის აზრით, საოჯახო,
საკუთრების სფეროში შარიათი თანდათანობით იჭრებოდა და ის
ადათთან თანაარსებობის უფლებებს იძენდა. მისივე მტკიცებით
დიდი ოჯახი ყაბარდოში, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო
ადათისა და შარიათის ნორმების შერწყმული სახით არსებობა, XIX
საუკუნის დასაწყისიდანვე აღარ წარმოადგენდა ოჯახის ძირითად
ფორმას და გაბატონებულ მდგომარეობას პატარა ოჯახი იჭერდა.
დიდი ოჯახის შიგნით კერძო საკუთრებით დაინტერესება იწვევდა
მის დაშლას ინდივიდუალურ ოჯახებად. მკვლევარს ისიც კარგად
შეუნიშნავს, რომ დიდი ოჯახის დაშლის შედეგად წარმოქმნილი
პატარა ოჯახები ქონების გარკვეულ ნაწილს (საქონლის სადგომი,
წისქვილი, ხარო, ჭა...) კოლექტიურ საკუთრებაში იტოვებდნენ და
საზიაროდ იყენებდნენ; მიწასაც ერთობლივი ძალებით ამუშავებდ-
ნენ და განაყარი ოჯახები მოსავალს თანაბრად ინაწილებდნენ. სა-
კუთრების ამგვარი ფორმა, განაყარი ოჯახების ერთობის სხვა ტრა-
დიციებთან ერთად, ახანგრძლივებდა მათ ურთიერთსიახლოვეს და
აპირობებდა იმ ურთიერთობის განმტკიცებას, რაც დამახასიათებე-
ლი იყო აქ არსებული პატრონიმიული ორგანიზაციისათვის.

ადიღეებისა და შაფსუღების ძველი და ახალი ყოფის შესწავლი-
სადმი მიძღვნილ შრომებში ე. კოჯესაუ[29] გვაცნობს საოჯახო ურთი-
ერთობისა და პატრონიმიის ნიშნებსაც. თავის წინამორბედ ავტორ-
თა მსგავსად ე. კოჯესაუ დიდი ოჯახის ნიშანდობლივ ელემენტებად
თვლის მრავალსულიანობას, უფროს-უმცროსობაზე დამყარებულ
ურთიერთობას და ერთობისათვის ნიშანდობლივ სხვა ტრადიცია-
თა არსებობას. მისივე დაკვირვებით, დიდი და პატარა ოჯახების
გაერთიანება წარმოადგენდა პატრონიმიას, რომელსაც ადიღეებში
ეწოდებოდა „ერთ ცეცხლზე განაყრები“ ან „გაუყოფელი ჯაჭ-
ვი“. XVIII—XIX სს. მონაცემების მიხედვით, პატრონიმიაში შე-
მავალი ოჯახები გაუყოფელ სახნავ მიწებს კოლექტიურად ამუშა-
ვებდნენ და მოსავალს ოჯახები ინაწილებდნენ. ამ დროისათვის
მიწების პერიოდულ გადანაწილებას იშვიათად თუ მიმართავდნენ.
ერთობის ტრადიცია ვლინდებოდა მესაქონლეობის დარგშიც. სა-

---

[29] Э. Коджесау, Семейные отношения шапсугов в прошлом и настоящем, Автореферат канд. дисс., М., 1954; мисивэ, Патронимия у адыгов, СЭ, 1962, № 2, мисивэ, Об обычаях и традициях адыгейского народа, УЗАНИИЯЛИ, VIII.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქონელი ცალკეული ოჯახების საკუთრებაში იმყოფებოდა, მაგრამ პატრონიმიის წევრები მას საერთო საძოვარზე მორიგეობით მწყემსავდნენ, ხოლო ღამით საერთო ბოსელში აყენებდნენ. თანასწორობაზე დამყარებული კოლექტიური საკუთრება საკმაოდ მტკიცედ ინარჩუნებდა არსებობას საწარმოო იარაღებზე და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებზე — წისქვილზე, ღუმელზე და ა. შ. პატრონიმიის ერთობა გამოხატულებას პოულობდა შრომით ურთიერთდახმარებაში, ხანდაზმული პირების პრიორიტეტის აღიარებაში, თავდაპირველ სახლში მცხოვრები ოჯახისადმი განსაკუთრებულ პატივისცემაში და ა. შ. აღნიშნული მონაცემების მიხედვით კიდევ ერთხელ დადასტურდა მ. კოსვენის დებულება, რომ პატრონიმია იქმნებოდა დიდი ოჯახის დაშლის შედეგად, მაგრამ ე. კოჯესაუს შრომებიდან ის გარემოებაც შეინიშნება, რომ მკვლევარი ყოველთვის გამოკვეთილად ვერ გვიჩვენებს დიდი ოჯახისა და პატრონიმიის ნიშან-თვისებებს და პატრონიმიის თავისებურებად ზოგჯერ ისეთ რამეს მიიჩნევს, რაც დიდი ოჯახისათვის იყო დამახასიათებელი.

მ. კალმიკოვის დაკვირვებით, XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩერქეზეთში ფეოდალური ურთიერთობა რაკი ჯერ კიდევ გადახლართული იყო პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთებთან, საოჯახო და საზოგადოებრივი საკითხები წესრიგდებოდა პატრიარქალურ-გვაროვნული ჩვეულებებისა და შარიათის ნორმების გამოყენებით. აღნიშნულ პერიოდში პატარა ოჯახთან ერთად არსებობდა დიდი ოჯახიც, რომელსაც მეთაურობდა ერთპიროვნული ძალაუფლებით აღჭურვილი უფროსი მამაკაცი. ის თავის შეხედულებისამებრ ანაწილებდა ფუნქციებს ოჯახის წევრებს შორის და განაგებდა უძრავ-მოძრავ ქონებას. მისი ნებართვის გარეშე არავის არ ჰქონია ოჯახიდან ცალკე გამოყოფის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეეძლო ურჩი წევრი უწილოდ დაეტოვებინა. ჩერქეზის ოჯახში მამაკაცთან შედარებით ქალის უფლებები შეზღუდული იყო. ქალის მდგომარეობა ამ მხრივ განსაკუთრებით უარესდებოდა გათხოვების დღიდან. ქალს თუ მანამდე არ ეკრძალებოდა სახალხო შეკრებებზე (ქორწილი, გართობა) მონაწილეობა, გათხოვების შემდეგ, რაც მისი მშობლების ნება-სურვილით ხორციელდებოდა, ქალი უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა მკაცრ საოჯახო და საზოგადოებრივ რეჟიმს. ავტორის აზრით, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება რომ პატარძალს ერთ წლამდე ქუჩაში გამოსვლაც კი არ შეეძლო. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ დიდი ოჯახების საბოლოო დაშლა ინდივიდუალურ ოჯახებად მოხდა

კერძო საკუთრების შემდგომი განვითარებისა და მთიელთა მეურნეობის ეკონომიკაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეღწევის შედეგად. ავტორს არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ დიდი ოჯახების დაშლის შედეგად იქმნებოდა პატრონიმია, რომლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა მასში შემავალი ოჯახების ნათესაური კავშირი და ურთიერთდახმარება[30].

ადიღთა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფებიდან მ. აზამატოვა ერთი სოფლის ძველი და ახალი ყოფის მაგალითზე საგანგებოდ შეეხო რა ბჟედუღების საზოგადოებრივ ურთიერთობას, კერძოდ პატრიარქალურ-თემური ყოფის გადმონაშთებს, ნათლად გვიჩვენა, რომ XIX საუკუნეში შემორჩენილ ერთ-ერთ ასეთ გადმონაშთს წარმოადგენდა დიდი ოჯახი. ავტორის განმარტების თანახმად, XIX ს. ბჟედუღებში დიდ ოჯახებთან ერთად უკვე პატარა ოჯახებიც არსებობდა, რაც ამ ორი ტიპის ოჯახების თანაარსებობაზე მიგვანიშნებს[31].

XIX საუკუნის ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ლ. ლავროვი განიხილავს უბიხთა ყოფის ზოგიერთ თავისებურებას. უფრო გვიანდელი წყაროს გამოყენება ავტორს არც შეეძლო, ვინაიდან 1864 წ. უბიხები მთლიანად თურქეთში გადასახლდნენ. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში უბიხების სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი ეჭირა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთებს (ეგზოგამია, სისხლის აღების წესი, ქალის მოტაცების ჩვეულება...), რომელთა წყებას განეკუთვნებოდა პატრიარქალური გვარი, როგორც გაფანტულად მცხოვრები დიდი ოჯახების გამაერთიანებელი ნათესაური ორგანიზაცია. ავტორის სამართლიანი შეხედულებით, ამ დროს გვარი აღარ წარმოადგენდა უბიხების ძირითად სოციალურ ერთეულს. საზოგადოებრივი ურთიერთობის ევოლუციის პროცესში გვაროვნული თემი შეცვალა სოფლის თემმა, რომელმაც გვაროვნული თემის ზოგიერთი ჩვეულებაც მემკვიდრეობით მიიღო და წოდებრივად დაყოფილ საზოგადოებაშიც ჯერ კი-

---

[30] И. Калмыков, Черкесы, Автореферат канд. дисс., М., 1955; მ ი ს ი ვ ე, Черкесы, Сб., «Народы Карачаево-Черкесии», იხ. წიგნში — Очерки истории Карачаево-Черкесии, т. I, Ставрополь, 1967.

[31] М. Азаматова, Быт и культура аула Понежукай (Теучежский район Адыгейской АО) в прошлом и настоящем, Автореферат канд. дисс., Тб. 1961, 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ სოციალური ერთეულის სახით ფიგურირებდა. მაშასადამე, უბიხების მაგალითზე ლ. ლავროვმა გვიჩვენა ისეთი საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომლის განვითარება მიმდინარეობდა სოციალური დიფერენციაციის ნიშნით, მაგრამ ყოფაში მოქმედებდნენ წინაკლასობრივი წყობის ნორმები, მათ შორის გაუყოელად ცხოვრების წესი[32].

იგივე მკვლევარი უფრო ადრე ზოგად ხაზებში შეეხო აბაზების საოჯახო ყოფას. მისი დაკვირვებით, აბაზების საზოგადოებრივი ყოფა ხასიათდებოდა არქაული სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთურ სახეობათა დიდხანს შემონახულობით. ასეთი ელემენტების რიგში ის ასახელებს პატრონიმიას და დიდ ოჯახს[33]. მისივე გამოკვლევით, XIX საუკუნეში აბაზები უმთავრესად პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ. მაგრამ ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც ინდივიდუალური ოჯახი წარმოადგენდა ოჯახის გაბატონებულ ფორმას, აბაზებში გვხვდებოდა დიდი პატრიარქალური ოჯახებიც. ასეთი ოჯახის ძირითად ნიშნად მკვლევარი ასახელებს საოჯახო ურთიერთობის პატრიარქალურ ხასიათს და ოჯახის სათავეში მყოფი უხუცესი მამაკაცისადმი მორჩილებას, მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, ავტორის ყურადღება მიუქცევია მატრიარქატის ცალკეული ელემენტების გადმონაშთების ნაკვალევსაც[34].

აბაზების ყოფის შემდგომი კვლევის შედეგად მეტი დამაჯერებლობით დადასტურდა დიდი ოჯახების საკმაო რაოდენობით შემონახულობა XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე[35]. ეთნოგრაფიული მასალებისა და საარქივო მონაცემების ანალიზის საფუძველზე ე. დანილოვამ განავითარა აზრი, რომ XIX საუკუნეში აბაზების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურული ერთეული იყო სოფლის თემი, რომელიც რამდენიმე სახელწოდებით აღინიშნებოდა (აბაზურად ერქვა „კიტ“ ან „კვეი“, ხოლო არაბულად „ჯამაათი“). სოფლის თემის შემადგენლობაში უმცირეს და ძირითად სოციალურ ერთეულად ითვლებოდა პატარა ინდივიდუალური ოჯახი, რომლის პარალელურად არსებობას განაგრძობდა დიდი ოჯახი.

---

[32] Л. Лавров, Этнографический очерк убыхов, УЗАНИИЯЛИ, VIII.

[33] Л. Лавров, Абазины (историко-этнографический очерк), КЭС, т. I, М., 1955, 7.

[34] Л. Лавров, Абазины, «Народы Кавказа», I, 236.

[35] Е. Данилова, Семья и патронимия в системе сельской общины абазин во второй половине XIX века, СЭ, 1973. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დიდი ოჯახების რიცხვი ოჯახების საერთო რაოდენობის 1/3 შეადგენდა. ასეთი ოჯახი მოიცავდა რამდენიმე თაობას და, უმრავლეს შემთხვევაში, 20-მდე სულს ითვლიდა, ხოლო ზოგი მათგანის შემადგენლობაში 20-დან 60-მდე სული ირიცხებოდა. დიდი ოჯახი მოსახლეობდა ერთ ეზოში მდებარე რამდენიმე სახლში. ჩვეულებისამებრ, ორი-სამი საქორწინო წყვილი იკავებდა ერთ დიდ სახლს, სადაც ყოველ ახალ წყვილს გამოყოფილი ჰქონდა ცალკე ოთახი („მხარა"). ე. დანილოვა ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის დიდ ოჯახს — სამამოს და საძმოს, რომელთაგან პირველის თავისებურებად სახავს მშობლებთან ერთად მათი ცოლშვილიანი შვილების ცხოვრებას და ოჯახის სათავეში მამის ყოფნას, ხოლო მეორესთვის დამახასიათებელ ნიშნად თვლის მშობლების გარდაცვალების შემდეგ ძმების ერთად ცხოვრების გაგრძელებას უფროსი ძმის მეთაურობით. ორივე შემთხვევაში ოჯახის ყველა წევრი ემორჩილებოდა მის უფროსს, უმცროსები — უფროსებს, ხოლო დედაკაცები — მამაკაცებს. ოჯახის უფროსი ასევე ითვლებოდა ოჯახის წარმომადგენლად ნათესაურ გაერთიანებაში და სოფლის თემში. მისი მაღალი უფლებები ვლინდებოდა ქონებრივი ურთიერთობის სფეროშიც. მართალია აბაზური დიდი ოჯახის ერთ-ერთ ნიშანს შეადგენდა ერთობლივი წარმოება, მოხმარება და საკუთრება, მაგრამ ოჯახის უფროსის უფლებრივი უპირატესობა ამ მხრივაც შეინიშნებოდა. პირველ რიგში ეს ეხება სამამო ოჯახის უფროსს, რომელსაც შვილის უწილოდ დატოვებაც კი შესძლებია. ასეთი ვითარება გამორიცხული ყოფილა საძმო ოჯახში, რამდენადაც უფროსი ძმა უმცროსის მიმართ ასეთ უფლებას ვერ გამოიყენებდა. ძმები ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ, მაგრამ გარკვეული პრიორიტეტით მაინც უფროსი ძმა სარგებლობდა, რამდენადაც მას შეეძლო უმცროს ძმებთან შეთანხმებაზე ყოველთვის არ ეფიქრა და საკუთარი შეხედულებისამებრ მოეწესრიგებინა საოჯახო ეკონომიკის საკითხები. მისივე პრიორიტეტის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ოჯახის გაყრის დროს უმცროსი ძმები სახლსაც მას უთმობდნენ და, პატივისცემის ნიშნად, ზედმეტ საქონელსაც აძლევდნენ. რამდენადაც საძმო ოჯახი სამამო ოჯახის მერმინდელი საფეხურია დიდი ოჯახის განვითარების ისტორიაში, ამდენად უფროსი ძმის უფლებრივი პრიორიტეტიც საოჯახო ეკონომიკის სფეროში გვიანდელი მოვლენა ჩანს. ასევე გვიანდელ მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ ე. დანილოვას მიერ დადგენილი ვითარებაც, რომ საძმო ოჯახის უმცროსი წევრები ცალკე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოფას ცდილობენ, ხოლო უფროსის მიზანს შეადგენს ერთობის შენარჩუნება და ამ გზით თავისი პრივილეგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა.

საოჯახო საკუთრების სფეროში ასეთ ვითარებას გვაცნობს ავტორი საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც შეეხება პრივილეგიური ფენის საოჯახო ყოფას. ამგვარი მონაცემები არ მოეპოვებოდა მას რიგითი მეთემეების შესახებ, მაგრამ თუ საარქივო წყაროების მიხედვით პრივილეგიურ საზოგადოებაში ოჯახის გაყრას ამუხრუჭებდა ოჯახის უფროსის მაღალი უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებით დაინტერესება, ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ავტორს შექმნია შთაბეჭდილება, რომ გლეხის ოჯახის გაუყოელობას აპირობებდა მუშახელის შენარჩუნების საჭიროება კომპლექსური მეურნეობის — მემინდვრეობისა და მომთაბარე მესაქონლეობის პირობებში.

რიგ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლებოდა ასედაც წარმოგვედგინა საქმის ვითარება, მაგრამ ამ დებულების სიმტკიცეს ხელს უშლის ავტორისავე განმარტება იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძომესაკუთრული ტენდენციის ზრდის კვალობაზე, რაც გამოიწვია ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ, საგრძნობლად იმატა დიდი ოჯახების დაშლის ტემპმა და სოფლის თემში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ინდივიდუალურმა ოჯახმა. ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარებულა 1860—1870 წწ. მიწების კომლურად გადანაწილების შედეგად. ამდენად, ოჯახის უფროსის მიერ პრიორიტეტის დაუთმობლობის სურვილი ანუ საოჯახო მეურნეობაში მუშახელის სიმრავლის საჭიროება გაუყოელობის შენარჩუნების არგუმენტებად არ გამოდგებოდა. ოჯახის უფროსს ასეთივე სურვილი ამოძრავებდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ამ დროს ფართო მასშტაბის კომპლექსური მეურნეობა ასევე საჭიროებდა მრავალ მუშახელს, მაგრამ დიდი ოჯახების დაშლის პროცესი ამ მიზეზების გამო არ შეჩერებულა. XIX საუკუნის ბოლოსათვის ეს პროცესი არსებითად უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ, როგორც სხვაგან, აქაც დიდი ოჯახების დაშლა მაშინაც ხდებოდა, როდესაც ამ ტიპის ოჯახს დიდი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივი ყოფის სფეროში. ავტორის სწორი შეხედულების თანახმად, დიდი ოჯახიდან გამოყოფილი ოჯახები შემდგომში რამდენიმე თაობაში ინარჩუნებდნენ ახლო ურთიერთობას. ასეთ ნათესაურ გაერთიანებას, რომელშიც შედიოდა რამდენიმე დიდი და პატარა ოჯახი, აბაზურად ერქვა ა ბ ა ნ პ ა რ ა (შდრ. აფხაზური

ბიფარა), ხოლო შემდეგში მის შესატყვისად იხმარებოდა სპარსული ტერმინი თ უ ხ უ მ ი. ავტორისეული კვალიფიკაციის თანახმად, ეს არის პატრონიმია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ საწარმოო-ეკონომიურ უჯრედს, მაგრამ ინარჩუნებდა ერთობის ზოგიერთ ელემენტს (ერთი წარმომავლობა, ეგზოგამია, ერთ უბნად ცხოვრება, მიწების ერთობლივად გამოყენება გადანაწილების შემოღებამდე, საერთო სასაფლაო, მესისხლეობაში მონაწილეობის ვალდებულება, ურთიერთდახმარება და ა. შ.).

ასეთი მონაცემების გამომზეურებით ავტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მარტო აბაზების საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის კვლევაში, არამედ საკმაოდ გაზარდა აგრეთვე კავკასიის ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა ოჯახის ისტორიის შესწავლის სფეროში.

ადიღეში ბავშვის აღზრდის ძველი და ახალი სისტემის შესწავლასთან დაკავშირებით, ი. სმირნოვა გზადაგზა შეეხო ოჯახის ფორმებსაც და კონკრეტული მონაცემების მიხედვით (სტატისტიკური მასალები, საცხოვრებელი ნაგებობანი, მათი განლაგება და გამოყენება, სუფრასთან ჯდომის წესი, მშობლების დამოკიდებულება ბავშვებისადმი, ოჯახის წევრთა უფლებები და ურთიერთდამოკიდებულების ნორმები, შრომის ორგანიზაცია, შრომაში ჩაბმის ასაკი, დაობლებულ ბავშვებზე მზრუნველობა დიდსა და პატარა ოჯახში და ქონებაზე მემკვიდრეობის ხასიათი) არკვევს, რომ XIX საუკუნეში ადგილი ჰქონდა ისეთი მოვლენების თანაარსებობას, რომლებიც დამახასიათებელ კომპონენტებს წარმოადგენდნენ როგორც დიდი, ისე პატარა ოჯახებისათვის. მაშასადამე, აღზრდის სისტემის შესწავლის შედეგადაც ნათლად გამოჩნდა, რომ ადიღეში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით XIX საუკუნეში არსებობდა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა[36].

მკვლევარი ამგვარ ვითარებას ხედავს არა მარტო ადიღეში, არამედ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ყოფაში საერთოდ. ჩრდილო კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომში იგი იმ თვალსაზრისს ავითარებს, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობას. ამ ორი ტიპის ოჯახთა რიცხობრივი შე-

---

[36] Я. Смирнова, Воспитание ребенка в адыгском ауле в прошлом и настоящем, УЗАНИИЯЛИ, VIII.

ფარდება სხვადასხვა ხალხში, განსაკუთრებით მთისა და ბარის მოსახლეობაში, სხვადასხვაგვარი იყო. თუ მთიელთა შორის დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი ჯერ კიდევ შედარებით გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა, ბარელთა ყოფაში ამ ტიპის ოჯახი თითქმის აღარ არსებობდა. ავტორი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს დიდი ოჯახის ძირითადი ნიშნების დახასიათებას (მრავალსულიანობა, რამდენიმე თაობისა და საქორწინო წყვილის ერთად ცხოვრება, გაუყოველი ქონება, კოლექტიური შრომის ორგანიზაცია, მართვის სისტემა), მაგრამ ზოგიერთ საკითხში ერთგვარი გაუგებრობა შეინიშნება. მაგალითად, იგი ჩრდილო კავკასიის ხალხთათვის ზოგად მოვლენად სახავს მამის დესპოტურ უფლებებს და ქონების ერთპიროვნულ საკუთრებას. მისივე ცნობით, ოჯახის გაყრის დროს მამას ყველაზე მეტი ქონება ეძლეოდა[37]. ავტორის კონცეფციით, ასეთი ვითარება XIX საუკუნის ბოლოს თვით დიდ ოჯახშიც შეინიშნებოდა, რომლისთვისაც ადრე დემოკრატიული პრინციპები იყო დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებით საჭირო იყო მკვლევარს მიეთითებინა, რომ დესპოტიზმის დანერგვა დიდი ოჯახის შიგნით ძირითადად განაპირობა შარიათის გავრცელებამ. ავტორს იმის თქმაც ევალებოდა, რომ დესპოტიზმი საყოველთაო მოვლენა არ ყოფილა და ჩრდილო კავკასიის ხალხთაგან, სადაც შარიათი გავრცელდა, ოჯახს ბევრმა შეუნარჩუნა ტრადიციული სოლიდარული ხასიათი. ამ შემთხვევაში ი. სმირნოვა აღმოჩნდა იმ ავტორების პოზიციაზე, რომლებიც დესპოტიზმის არსებობის აღიარებისას უკიდურესობაში ვარდებიან. ამ უკიდურესობაზე აზრი გამოთქვა მ. კოსვენმა, რომლის თანახმად სრულუფლებიანი დესპოტიზმი ქონების ერთპიროვნულად ფლობის პირობით არსად არ არსებობდა[38].

იმავე კრებულში, სადაც ი. სმირნოვას ზემოხსენებული ნაშრომია მოთავსებული, დაბეჭდილია ვ. კობიჩევის წერილი, სადაც არაერთგზისაა აღნიშნული, რომ „დიდი სახლის“ ინტერიერი გამოიყენებოდა დიდი ოჯახის სამყოფად. ნაშრომში დამოწმებული ფაქტების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მრავალსართულიანი ციხესახლები და კოშკები თავდაპირველად გვარის, ხოლო მოგვიანებით დიდი ოჯახის საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობანი იყო[39].

---

[37] Я. Смирнова, Семья и семейный быт народов Северного Кавказа» Сб. «Культура и быт народов Северного Кавказа», М., 1968, 186.

[38] М. Косвен, Семейная община и патронимия, М., 1963, 76—77.

[39] В. Кобычев, Города, селения, жилище, Сб. «Культура и быт народов Северного Кавказа», 100, 107—108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე აზრი განავითარა ვ. კობიჩევმა შემდგომ ნაშრომში. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა საცხოვრებლების ტიპების შესწავლის შედეგად მან გვიჩვენა, რომ ბარად გავრცელებული იყო წნული, ხოლო მთიანეთში ძელური და ქვის სახლები. მთიანეთში არსებული სახლები წარმოადგენდნენ დიდი, გაუტიხრავი ფართობის მქონე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსებს, რომლებშიც დიდი ოჯახები ცხოვრობდნენ. სოციალური თვალსაზრისით ავტორი საგანგებო ყურადღებას აქცევს ქვით ნაგებ მრავალსართულიან კოშკურა სახლს, რომელშიც XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ცხოვრობდა დიდი გაუყრელი ოჯახი, ხოლო უფრო ძველად მთელი ნათესაური გაერთიანებაც. ავტორის ვარაუდით, XIX საუკუნის შუა პერიოდიდან, დიდი ოჯახის დაშლასთან ერთად, საცხოვრებლის ტიპიც იცვლება. ძველი საგვარო სიმაგრისა და დიდი ერთკამერიანი სახლის ნაცვლად ვრცელდება თავდაპირველად მცირე ზომის ერთკამერიანი საცხოვრებლები, ხოლო შემდეგ ოთახებად სეგმენტირებული სახლები[40].

*

* *

XIX საუკუნის ბალყარეთში ინდივიდუალური ოჯახის ძირითად ერთეულად არსებობის პირობებში საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა შემორჩენილი ყოფილა უმთავრესად მესაქონლეობაზე დამყარებული დიდი პატრიარქალური ოჯახის სახით. აღნიშნულ ვითარებას თავის დროზე ყურადღება მიაქციეს ი. ივანიუკოვმა და მ. კოვალევსკიმ. როგორც მათ დღიურში აღნიშნა, გაუყრელი ოჯახი შედგებოდა 25 სულისაგან, ზოგი ოჯახის სულადობა მეტსაც აღწევდა, ხოლო სოფ. ხულამში ერთ-ერთ ოჯახში 183 სულს უცხოვრია. თითოეული ასეთი ოჯახი ცხოვრობდა ერთ ეზოში განლაგებულსა და ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულ ნაგებობებში, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი ეჭირა სამზარეულოდ, სასადილოდ, სათათბიროდ და საკულტო რიტუალების შესასრულებლად განკუთვნილ მთავარ სათავსოს. საოჯახო თემის მეთაურად და მისი ქონების ბატონ-პატრონად ითვლებოდა უხუცესი მამაკაცი, რომელიც თავისი უფლებებით არ შეიძლება გაუთანაბროთ რო-

---

[40] В. Кобычев, Типы жилища у народов Северо-Западного Кавказа в середине XIX в., КЭС, V, М., 1972, 159, 166, 167.

მაულ „pater familias“-ს და ის ამ მხრივ უფრო ახლოს დგას ზადრუგას უფროსთან. ოჯახის უფროსი ხელმძღვანელობდა საოჯახო მეურნეობას და მამაკაცთა შრომა-საქმიანობას, ყველა სახის შემოსავლის საოჯახო ხაზინაში შემოტანის მიზნით კონტროლს ახორციელებდა ოჯახის ყველა წევრის მიმართ, ოჯახის წევრებთან დათათბირების საფუძველზე აწესრიგებდა აღებ-მიცემის საკითხებს, გამონაკლის შემთხვევაში, ასევე მათთან შეთანხმების შედეგად, იღებდა გადაწყვეტილებას რომელიმე წევრის ოჯახიდან განდევნის თაობაზე და ოჯახის წარმომადგენლის როლს ასრულებდა სხვა ოჯახებთან ურთიერთობის სფეროში. ასეთი წანამძღვრების გათვალისწინების პირობებში გამორიცხული იყო მის მიერ დესპოტური ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობა. საოჯახო ქონების გაყოფაში ადათი სცნობდა მამაკაცის პრიორიტეტს და აბსოლუტურად გამორიცხავდა ქალის უფლებამოსილებას. ქონების განაწილებას საფუძვლად ედო ძმების თანასწორუფლებიანობა. მათ შორის მხოლოდ უფროს ძმას, როგორც წინაპრის კულტის დამცველ-შემსრულებელს, საქონლის ან მიწის ნაკვეთის სახით აძლევდნენ ზედმეტს („таматалык“), ხოლო უმცროს ძმას აკუთვნებდნენ საუმცროსოს („кичилик“). ამასთან ერთად, მაჰმადიანობის გავრცელების კვალობაზე ბალყარელთა ცხოვრებაში გზას იკაფავდა შარიათიც, რომლის მიხედვით მატულობდა იმის შემთხვევები, როდესაც ქალსაც აძლევდნენ ვაჟისთვის განკუთვნილი ქონების ნახევარს[41].

ი. ივანიუკოვისა და მ. კოვალევსკის წერილის გამოქვეყნების შემდეგ რევოლუციამდელ ავტორთაგან ბალყარეთში ეს საკითხი არავის უკვლევია. ამ მიმართულებით მუშაობა განახლდა საბჭოთა პერიოდში და პირველად კავკასიის ეთნოგრაფიის კომპენდიუმში გარკვევით აღინიშნა, რომ XIX საუკუნის მონაცემების მიხედვით, ბალყარელთა საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, მაგრამ მის პარალელურად არსებობდა დიდი ოჯახიც, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო დიდი რიცხობრივი შემადგენლობა და მკვეთრად გამოხატული სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია, როგორც შრომა-საქმიანობაში, ისე ოჯახის წევრთა პირად ურთიერთობაში. ოჯახს განაგებდა უფროსი მამაკაცი,

---

[41] И. Иванюков и М. Ковалевский, У подошвы Эльбруса, ВЕ, М., 1886, I—II, 553, 554, 558, 570; შდრ. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, I, М., 1890, 200.

რომელიც თვითონ სწყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ამავე-
რამ ზოგჯერ საოჯახო თათბირსაც მიმართავდა. იქვე აღნიშნულია,
რომ დიდ ოჯახში მოქმედი წესრიგი რამდენადმე შემორჩა პატარა
ოჯახსაც. კონკრეტულად ეს თავს იჩენდა ოჯახის გაყრის მომენტში,
როდესაც ქალს აძლევდნენ ნახევარ წილს, ხოლო ქვრივს—ქმრის
მემკვიდრეობის 1/4 ნაწილს[42].

ბალყარეთში დიდი ოჯახის ხანგრძლივად არსებობის შესახებ
თითქმის იგივე ითქვა მეორე განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომ-
ში — „ბალყარელი ხალხის ისტორიის ნარკვევებში". მასში აღ-
ნიშნულია, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწ-
ყისში ბალყარელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გარ-
კვეულ როლს ასრულებდნენ დიდი ოჯახები, რომლებიც ინახავდ-
ნენ პატრიარქალური ოჯახის ნიშნებს და მომდინარეობენ იმ საოჯა-
ხო წყობიდან, რომელსაც ფ. ენგელსი პატრიარქალურ საბლისეულ
თემს უწოდებს. თუ ადრეულ პერიოდში დიდი პატრიარქალური
ოჯახი სამი ან სამზე მეტი თაობისაგან შედგებოდა, საწარმოო ძა-
ლების განვითარებასთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებების
შედეგად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ოჯახი მესამე თაობაზე
უკვე იყრებოდა. მის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა მიწა, სა-
ქონელი და წარმოების სხვა საშუალებები, რომლებზედაც, საკუთ-
რების უფლებით, ოჯახის უფროსი სარგებლობდა. შვილები ამ
მხრივ მთლიანად მამის ნება-სურვილს ემორჩილებოდნენ. მნიშვ-
ნელოვანი ცხოვრებისეული სამეურნეო საკითხების მოწესრიგებაში
კი მისი უფლებები განსაზღვრული იყო. ოჯახის უფროსის უშუალო
მოვალეობას შეადგენდა საოჯახო მეურნეობის წარმართვა და მამა-
კაცებს შორის ფუნქციების განაწილება. ასეთივე უფლებები ჰქონ-
და მინიჭებული ქალთა შრომა-საქმიანობაში მის მეუღლეს, უფროს
ქალს, რომელსაც ოჯახში ყველა ქალი უყოყმანოდ ემორჩილებოდა.
უფროსი მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთაურობა
უწევდა რომელიმე ძმას ან ხნით უფროსობის, ან უნარის მიხედვით.
დიდი ოჯახის გაყრის დროს უფროსი ძმისთვის ზედმეტი ქონების
გამოყოფის შემდეგ ყველა სახეობის საოჯახო დოვლათს ძმები თანაბ-
რად ინაწილებდნენ. ადათი გამორიცხავდა ქალის მემკვიდრეობას.
რძლებიდან წილი შეხვდებოდა მხოლოდ ქვრივს და ისიც მხოლოდ
იმ პირობით, თუ მას შვილები ჰყავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას
შეეძლო იქვე რომელიმე მაზლთან დარჩენილიყო, ან თავისი მამის

---

[42] Н. Такоева, Балкарцы, „Народы Кавказа», I, 289.

სახლში წასულიყო. თუ ქვრივს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა, მათზე მზრუნველობა ბიძებს ეკისრებოდათ. XIX საუკუნის ბოლოსათვის ბალყარეთის საზოგადოების ძირითად ერთეულად იქცა პატარა პატრიარქალური ოჯახი, რომელმაც ბევრი რამ მემკვიდრეობით მიიღო ოჯახის წინამორბედი ფორმისაგან. პირველ რიგში იგულისხმება საოჯახო ცხოვრების მამაპაპური ტრადიციები, რაც შეზღუდული სახით პატარა პატრიარქალურ ოჯახშიც ხანგრძლივად ინახებოდა[43].

ბალყარული დიდი ოჯახის ზოგიერთი ელემენტის გამოვლინების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა ეთნოგრაფებმა. ბალყარეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში 1958 წელს შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე რ. ხარაძემ მოგვცა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის ძირითადი ნიშნების კვალიფიციური დახასიათება. „ბალყარული დიდი ოჯახი, წერს რ. ხარაძე, თავისი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნებით — ოჯახის შემადგენლობით, მმართველობით, საკუთრების ფორმით და ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილებით, წარმოადგენდა ტიპიურ პატრიარქალურ ოჯახს, რომელსაც ბევრი ჰქონდა საერთო კავკასიისა და კერძოდ საქართველოს მთის პირობებში განვითარებულ დიდ ოჯახთან. მაგრამ, ამავე დროს, ბალყარულ ოჯახში მამის პრივილეგიური უფლებების განვითარება მთელ რიგ შემთხვევაში დესპოტურ ხასიათს იღებდა და ძირითად პრინციპს საოჯახო დემოკრატიისას უპირისპირდებოდა. ურჩ შვილზე მამის ძალის გამოჩენა და მისი უნაწილოდ გაშვების უფლება, რაც ჩანასახის სახით ბალყარულ ოჯახს ახასიათებდა, უკვე უქადიდა საოჯახო თემის საკუთრების ხასიათის შეცვლას და საერთო ქონების ერთი პირის ხელში ჩაგდებას“[44]. რ. ხარაძის აზრით, „ბალყარულ ოჯახში დესპოტიის განვითარება შეპირობებული იყო აგრეთვე ისლამითაც და იქ მიღებული შარიათით, რომელსაც პატრიარქატის განვითარება დესპოტიზმისაკენ მიჰყავდა. ამგვარი ვითარება ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად, მძლავრად ასვამდა კვალს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს — ოჯახური ცხოვრებისა, ქორწინებისა თუ სახალხო მმართველობის სფეროებში, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო შემონახული ხალხური ყოფიდან, მაგრამ ხშირად სახეშეცვლილი შარიათის გავლენით“[45].

---

43 «Очерки истории балкарского народа», Нальчик, 1961, 171—174.

44 **რ. ხ ა რ ა ძ ე**, სოფლის თემი ბალყარეთში, მსე, XI, თბ., 1960, 125.

45 **ი ქ ვ ე**, 125.

ამავე ნაშრომში ავტორი გვაცნობს დიდი ოჯახის საცხოვრებელ ნაგებობას, ფართის განაწილებასა და გამოყენებას და დიდი ოჯახის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიური ერთეულის, ადგილს ბალყარელთა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში.

რ. ხარაძის მასალების გათვალისწინებისა და დასახლების ფორმების შესწავლის საფუძველზე ალ. რობაქიძემ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ „საცხოვრებელი ფართის სეგმენტაციის თავისებურება, რომელიც ბალყარულ სახლში შეინიშნება, საოჯახო თემის განვითარების გარკვეულ საფეხურს ასახავს. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ამ საფეხურზე საოჯახო თემი, როგორც ეტყობა, ჰკარგავს მისთვის დამახასიათებელ სიმტკიცეს, რაც საცხოვრებელი ფართის ერთობლიობის რღვევაშიც მჟღავნდება“[46]. მკვლევარი ითვალისწინებს ისეთ მომენტებსაც, როგორიცაა ოჯახის წევრთა უფლებები და მდგომარეობა სქესისა და ასაკის მიხედვით, სუფრასთან მათი ჯდომის წეს-რიგი სადილობა-ვახშმობის დროს, შარიათით გამიჯნული ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის და დაასკვნის: „ბალყარულ ოჯახში, როგორც ეს გარკვეულია რ. ხარაძის მიერ, ვლინდება ოჯახის წევრთა უფლებების ის არათანასწორობა, რომელიც საოჯახო თემის რღვევის უკანასკნელი საფეხურისათვის არის დამახასიათებელი“[47]. ალ. რობაქიძე ფიქრობს, რომ დასახლების ძველი წესის ხელოვნური კონსერვაციის, ე. ი. დასახლების მონოგენური ფორმის შენარჩუნების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა ბალყარეთში „საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმით არსებობა, მისთვის დამახასიათებელი საოჯახო-თემური საკუთრებით“[48]. აქ მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ დიდი ოჯახის განაყრები იქვე ერთ უბნად სახლდებოდნენ და, ამის კვალობაზე, „დასახლების სიმჭიდროვე ვითარდებოდა ერთი ოჯახის განაყართა გამრავლებისა და ბუდე სახლის გარშემო განსახლების გზით“[49]. ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ დასახლების სამეურნეო პირობების შესწავლასთან დაკავშირებით ალ. რობაქიძემ წარმოაჩინა მანამდე უცნობი კონკრეტული ეთნოგ-

---

[46] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახლების ფორმა ბალყარეთში (დასახლების ტოპოგრაფია), მსე, XI, 101.

[47] ი ქ ვ ე.

[48] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახლების ფორმა ბალყარეთში (დასახლების მორფოლოგია), მსე, XII-XIII, თბ., 1963, 191.

[49] ი ქ ვ ე.

რაფიული მონაცემები ოჯახების ქონებრივი მდგომარეობისა და შრომა-საქმიანობის შესახებ, რაც საკმაოდ ამდიდრებს ჩვენ ცოდნას, ერთი მხრივ, ოჯახის ეკონომიური საფუძვლების, ხოლო, მეორე მხრივ, შრომის ორგანიზაციისა და ურთიერთდახმარების იქ არსებული ფორმების შესახებ. ამგვარი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბალყარელთა სამეურნეო ყოფაში მიწათმოქმედება. მისი საკმაოდ ინტენსიური ფორმის მიუხედავად, შედარებით მცირე მასშტაბების მქონე დარგი იყო, ხოლო სამეურნეო ცხოვრების საფუძველს მესაქონლეობა წარმოადგენდა და საოჯახო შემოსავალში მეტი ხვედრითი წონით წამყვან როლსაც ის ასრულებდა[50].

ზემოხსენებული შრომების შემდეგ გამოქვეყნდა კ. აზამატოვის წიგნი[51], რომელშიც დიდი ადგილი დაეთმო საოჯახო ურთიერთობის კვლევას. ავტორის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურული მონაცემების ანალიზის შედეგად მასში შესწავლილია როგორც დიდი, ისე პატარა ოჯახების შემადგენლობა, ეკონომიური ცხოვრების პირობები, ფუნქციების განაწილება, საკუთრების ხასიათი, გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი. ოჯახის ამ კომპონენტებს მკვლევარი განსაკუთრებით ნათლად ხედავს დიდი ოჯახის სტრუქტურაში, რომელიც განსახილველი პერიოდის ბალყარეთში საოჯახო თემის გადმონაშთურ მდგომარეობას ინარჩუნებდა. კ. აზამატოვის აზრით, საოჯახო თემის გადმონაშთების ხანგრძლივად არსებობა განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიც იყო ნახევრად-ნატურალური მეურნეობის ბატონობა და მესაქონლეობის სპეციფიკური ფორმები. ამასთან ერთად, XIX საუკუნეში გლეხთა დიდი ოჯახების გაყრას ხელს უშლიდნენ ადგილობრივი ფეოდალები, ვინაიდან მათთვის ხელსაყრელი იყო, პატარა ოჯახებთან შედარებით ეკონომიურად შეძლებული დიდი ოჯახების, როგორც მობეგრე ერთეულების, ერთიანობის შენარჩუნება[52].

კ. აზამატოვის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, დიდი ოჯახის შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ

---

50 ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში (დასახლების სამეურნეო პირობები), კეკ, I, 36—45.

51 К. Азаматов, Социально-экономическое положение и обычное право балкарцев в первой половине XIX века, Нальчик, 1968.

52 იქვე, 80, 98—99.

სამი-ოთხი თაობის წარმომადგენლები როგორც დალმავალ, ისე გვერდითი ნათესაობის ხაზით. მშობლების, შვილების, შვილიშვილებისა და შვილიშვილის შვილთა სახით დიდი ოჯახის წევრთა რაოდენობა საშუალოდ 25-დან 40-მდე სულს ითვლიდა, ხოლო ზოგჯერ 50 სულზე მეტსაც აღწევდა. ყოველი ასეთი ოჯახი ატარებდა მის უშუალო წინაპრად ცნობილი უფროსის სახელს. ოჯახის ერთობისა და ერთ სახლში მისი ცხოვრების აღსანიშნავად ბალყარეთში გამოიყენებოდა შინაარსობრივად იდენტური ისეთი სახელწოდებები, როგორიც იყო: „уллу юй“ („დიდი სახლი“), „бир отджагъа“ („ერთი კერა“), „бир къазанга къараган“ („ერთი კერის შემყურე“), „бир атаулую“ („ერთი დიდი მამისეული სახლი, ოჯახი“).

დიდ ოჯახს მართავდა წლოვანებით უფროსი მამაკაცი — მამა, პაპა ან პაპის მამა. გამონაკლის შემთხვევაში, უმთავრესად ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ, ეს მოვალეობა შეიძლებოდა დაკისრებოდა მის მეუღლეს — ხნით უფროს დედაკაცს. ოჯახის მეთაურის საზრუნავს შეადგენდა საოჯახო მეურნეობის ხელმძღვანელობა, მამაკაცებს შორის ფუნქციების განაწილება და შემოსავალ-გასავლის წარმოება იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ გარესამუშაოზე მყოფთ ყველა სახის ნაშოვარი საოჯახო სალაროში შემოეტანათ. ოჯახის უფროსი იყო ოჯახის ოფიციალური წარმომადგენელი სასოფლო კრებაზე, სასამართლოში და ყოველი სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებისას. იგი პირადი ძალაუფლებითა და ქონებაზე საკუთრების უფლებით სარგებლობდა. მის პირად სურვილსა და გადაწყვეტილებაზე ყოფილა დამოკიდებული ვაჟების დაქორწინება და ქალიშვილების გათხოვება. ამ უფლებებს ის ზოგჯერ ძმისწულების მიმართაც ავრცელებდა. მას შეეძლო მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინა ოჯახის ურჩი წევრი. მიუხედავად იმისა, რომ მიწა, საქონელი, შრომის იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი დიდი ოჯახის კოლექტიურ საკუთრებად იყო მიჩნეული, ოჯახის უფროსს შეეძლო ყოველივე ეს თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა. მდგომარეობა არსებითად იცვლებოდა, თუ მამის გარდაცვალების შემდეგ ძმები ერთობას შეინარჩუნებდნენ და ოჯახის ხელმძღვანელობა უფროს ძმას დაეკისრებოდა. ასეთ ვითარებაში უფროსი ძმის ძალაუფლება რამდენადმე იზღუდებოდა და ქონების განმგებლობის თუ მნიშვნელოვანი საოჯახო საკითხის მოწესრიგების მიზნით ის უსათუოდ ძმებს ეთათბირებოდა. მათი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელი ყოფილა დასმულიყო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხი რომელიმე ძმის ცალკე გამოყოფის ან ოჯახის გაყრის თაობაზე, მაშინ, როდესაც ოჯახის უფროსად მამის ყოფნის დროს რომელიმე შვილის მიერ ასეთი ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა გამორიცხული იყო.

კ. აზამატოვის ნაშრომის მიხედვით, დიდი ოჯახის შინასაქმიანობის ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა უფროს დედაკაცს („юй бийче"), ჩვეულებისამებრ, ოჯახის უფროსის ცოლს. ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს მომდევნო ძმა დაიჭერდა, უფროსი დედაკაცი თავისი მოვალეობის შესრულებას აგრძელებდა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ფუნქცია დაეკისრებოდა მომდევნო ხნით უფროს რძალს და ა. შ. უფროსი დედაკაცი ქალთა შრომა-საქმიანობას ხელმძღვანელობდა და მათ მიმართ მკაცრი ძალაუფლების გამოყენებით სარგებლობდა. მის დაუკითხავად ოჯახის არც ერთ წევრს, მათ შორის ოჯახის მეთაურს, არ შეეძლო სასურსათო საწყობში შესვლა. მისი ნებართვის გარეშე რძლები სტუმარსაც კი ვერ უმასპინძლდებოდნენ[53].

კ. აზამატოვის მიერ განხილული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს ლიტერატურაში მასზე ადრე არაერთგზის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბალყარეთში როგორც დიდი, ისე პატარა ოჯახის უმთავრეს საარსებო საშუალებათა (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება) შორის თავისი ხვედრითი წონით წამყვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას, რაც აქ, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მთაბარობას ემყარებოდა. მეურნეობის ამ დარგის და აქედან განსაკუთრებით მეცხვარეობის განვითარება, თავის მხრივ, საფუძველს ქმნიდა ადგილობრივი რეწვისა და ვაჭრობისათვის. პირველ რიგში ეს ეხება მატყლის ნაწარმს (მაუდი, ნაბადი, ხალიჩა...), რაც ქალის ხელით იქმნებოდა. მატყლის რეწვა, ისევე, როგორც ხისა და ლითონის დამუშავება, ბალყარეთში ძირითადად ნატურალურ-საომარმოსამარებლო ხასიათს ატარებდა, მაგრამ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ზრდისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ძემდგომი განვითარების კვალობაზე ბალყარლები თავიანთი მეურნეობით თანდათანობით ებმებიან საბაზრო ურთიერთობის ფერხულში. ამის საფუძველს ჰქმნიდა მესაქონლეობა, მაშინ, როდესაც სახნავ-სათესი მიწების უკიდურესი ნაკლებობის პირობებში მოსახ-

[53] К. Азматов, დასახ. ნაშრომი, 81—82.

ლეობა ადგილობრივი მოსავლით მხოლოდ ორ-სამ თვემდე იკმაყოფილებდა და თავს და პურს მეზობელი ხალხებისაგან (ყაბარდოელები, ოსები, რუსები...) ყიდულობდა. ეს მცირეოდენი სახნავი ნაკვეთები საოჯახო საკუთრებაში იყო, სათიბ-საძოვრები კი სასოფლო-სათემო მფლობელობაში იმყოფებოდა. ცალკეული საძოვარი ადგილები ეკუთვნოდა ერთ სოფელს ან სოფლების ჯგუფს, ხოლო იშვიათად მთელ თემ-საზოგადოებას. სათიბები უმეტესად ერთი სოფლის კუთვნილებად ითვლებოდა. არსებობდნენ აგრეთვე პატრონიმიული დასახლებანი, რომელთაც საზოგადო საკუთრებაში ჰქონდათ სათიბები და საზაფხულო საძოვრები. ადიღესაგან განსხვავებით, სადაც სახნავ მიწას პატრონიმიის წევრები კოლექტიურად ამუშავებდნენ, როგორც გაუყოფელ საკუთრებას, და პატრონიმიაში შემავალი ოჯახები გარკვეულ პერიოდებში იშვიათად ახდენდნენ მის გადანაწილებას[54], XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბალყარლებს მიწების გადანაწილების წესი საერთოდ არ შემოუნახავთ. კ. აზამატოვის აზრით, მხოლოდ გადმოცემების მიხედვით შეიძლება გაირკვეს, რომ ბალყარეთის წარსულში ყველა სახის მიწა საერთო სარგებლობაში იყო და მისი გადანაწილების წესიც არსებობდა. მიწის ნაკლებობა კიდევ უფრო ზრდიდა ფეოდალთა მხრიდან მისი დასაკუთრების ინტერესს, რაც დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა XVIII-XIX სს. ბალყარეთში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში არსებობას ინარჩუნებდა აგრეთვე სასოფლო-ტერიტორიული თემი, რაც დადებით როლს ასრულებდა გლეხთა ცხოვრებაში. თემი წინააღმდეგობას უწევდა ფეოდალებს მიწების მიტაცების საქმეში და გლეხობას იცავდა ფეოდალთა შემოტევისაგან, რომელთა მიზანს შეადგენდა ღამოუკიდებელი მოსახლეობისათვის ჯერ კიდევ შენარჩუნებული ზოგიერთი უფლებების წართმევა. ავტორის შეხედულებით, სოფლის თემის პოზიციას რამდენადმე ამაგრებდა პატრონიმიის არსებობაც, რომლის ხანგრძლივად შემონახულობას, სოფლის თემთან ერთად, ისევე როგორც საერთოდ გვაროვნულ-თემობრივი წესჩვეულებების შენარჩუნებას XIX საუკუნის ბალყარეთში, ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ადგილმონაცვლე მესაქონლეობის არსებობამ, ხოლო, მეორე მხრივ, ცენტრალიზებული ხელისუფლების უქონლობამ[55].

---

[54] Э. Коджесау, Патронимия у адыгов, СЭ, 1962, № 2, 116.

[55] К. Азаматов, დასახ. ნაშრომი, 21—38.

ოჯახის სტრუქტურაში მკვლევარი უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიიჩნევს ოჯახის წევრთა ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობის ნორმებს, რაც უმთავრესად განისაზღვრებოდა მათი სისხლიერი კავშირით, ოჯახისადმი ფაქტიური კუთვნილებით და რამდენადმე საოჯახო შრომა-საქმიანობაში მათი მონაწილეობით. მემკვიდრეობითი უფლების განსაზღვრაში პირველ ფაქტორს მეორესთან შედარებით მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღებული პერიოდისათვის მემკვიდრეობის გადაცემა მამრობითი ხაზით ხდებოდა, მაგრამ მამაკაცებს შორის ეს უფლება მინიჭებული ჰქონდათ მხოლოდ მამებს, ე. ი. გაყრის პრეტენდენტ ცოლშვილიან მოწილეებს. საოჯახო საკუთრება მათი კუთვნილი წილებისაგან შედგებოდა, მაგრამ თავის წილზე მოწილის უფლება ხორციელდებოდა მხოლოდ ოჯახის გაყრის შემდეგ. მემკვიდრეობის უფლების რეგულირება კი ხდებოდა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ამასთან ერთად, უფლებრივი ურთიერთობის სფეროში იგრძნობოდა შარიათისა და რუსული კანონმდებლობის გავლენაც, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ასეთმა გავლენამ ადათობრივი სამართლის პრინციპიდან გამომდინარე ფორმულირების — „მამის სიცოცხლეში შვილები არ იყრებიან“ — შევიწროვება ვერ შესძლო. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილები რამდენიმე ხანს კიდევ ერთად ცხოვრებას განაგრძობდნენ, მაგრამ როდესაც გაიყრებოდნენ, ქონებას თანაბრად იყოფდნენ. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ უფროსი ძმისთვის საუფროსოს („таматалык“) მიკუთვნება კარგი ცხენის, მიწის ნაკვეთის, უფრო ხშირად კი მსხვილფეხა საქონლის სახით, ხოლო უმცროსი ძმისათვის საქორწილოდ საჭირო ხარჯებისათვის ზედმეტის („кичилик“) გამოყოფა. ამასთან ერთად, უფროს მოწილეს, როგორც გვარის ტრადიციებისა და წინაპრის კულტის დამცველს, უბოძებდნენ ოჯახის კოლექტიური საკუთრების ნიშნებსაც. უმცროს შვილთან საცხოვრებლად რჩებოდა დედა თავისი ქალიშვილებით. თუ გაყრა მოხდებოდა მამის სიცოცხლეში, რაც შესაძლებელი იყო პატარა ოჯახში, მამა საუფროსოს სახით ზედმეტსაც მიიღებდა და კენჭისყრის გარეშე სასურველი წილის ამორჩევის უფლებითაც სარგებლობდა. საუფროსოსა და საუმცროსოს გამოყოფის შემდეგ მოწილე მამაკაცები, შვილების რაოდენობის მხედველობაში მიუღებლად ყველა სახის ქონებას, სამემკვიდრეოს თუ შრომით შეძენილს, თანაბრად ინაწილებდნენ, გარდა წლიური სარჩო-სანოვაგისა, რომელსაც მჭამელთა რიცხვზე ყოფდნენ. მიწებიდან გაყოფა ეხებოდა მხოლოდ სახნავ-სათეს ნაკვეთებს, ვინაიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათიბ-საძოვრები მთელი სოფლის კოლექტიურ საკუთრებად იმყოფ-ლებოდა. დაუშვებლად იყო მიჩნეული ერთობის სახლის დანგრევა ან გაყოფა, რადგანაც, საოჯახო სამართლის მიხედვით, მასში უნდა ეცხოვრა უფროს ან ყველაზე უმცროს ძმას. იქვე რჩებოდა კერაზე ჩამოკიდებული ჯაჭვი, რაც გაყოფის საგანს არ წარმოადგენდა. გაყოფა არ ეხებოდა აგრეთვე წისქვილს, რომელსაც განაყარი ოჯახები კოლექტიურ საკუთრებაში იტოვებდნენ და მინდსაც თანაბრად ინაწილებდნენ[56].

მკვლევარი აქვე ამტკიცებს, რომ ადათის მიხედვით ქალი მოკლებული იყო საოჯახო ქონების მემკვიდრეობის უფლებას. ადათისაგან განსხვავებით, შარიათი მას ანიჭებდა სამამაკაცოდ გათვალისწინებული წილის 1/2-ის მიღების უფლებას და XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ქალი არაიშვიათად სარგებლობდა ამ უფლების გამოყენებით. უშვილო ქვრივისთვის განკუთვნილი ყოფილა წილის 1/4, ხოლო შვილიანი ქვრივისთვის წილის 1/8, რამდენადაც მისი შვილებიც, თავის მხრივ, რაღაცას ღებულობდნენ. საერთოდ კი ქვრივისთვის ქონების გამოყოფაზე იშვიათად თუ იფიქრებდნენ, ვინაიდან ის, ჩვეულებისამებრ, მაზლზე თხოვდებოდა, რაშიაც მკვლევარი ლევირატის არსებობას ხედავს. უმრავლეს შემთხვევაში ქალი არც მამის სახლში და არც ქმრის ოჯახში არავითარი ქონებრივი უფლებით არ სარგებლობდა. მის პირად საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ მზითევი, რომელიც გასაყოფ ქონებაში არ შედიოდა[57]. ქალის უფლებების შეზღუდულობა თავს იჩენდა აგრეთვე ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში, რაშიაც უმეტესწილად ბრალდებულის როლში ქალი გამოჰყავდათ[58]. ქონების მიღებაში მისი უუფლებობა ასევე ვლინდებოდა გათხოვების მომენტში, როდესაც ქმრის მიერ მოტანილი ყალიმი მას კი არ ერგებოდა, არამედ მისი მამის ოჯახს ხმარდებოდა ანდა, მამის და ძმების უყოლობის შემთხვევაში, ყალიმს ქალის ახლო ნათესავი მამაკაცი ან მისი აღმზრდელი— მეურვე ეპატრონებოდა[59]. ამასთან ერთად, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქალს მზითვის გარდა პირად საკუთრებაში ჰქონდა ტანსაცმელი და საშინაო ჭურჭელი, ისევე როგორც მამაკაცებიც ამავე უფლებით ხმარობდნენ ტანსაცმელსა და იარაღს[60]. იმავე ნაშრომის

---

[56] К. Азаматов, დასახ. ნაშრომი, 96—98.

[57] იქვე, 99.

[58] იქვე, 99—101.

[59] იქვე, 88.

[60] იქვე, 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ადგილას კი ნათქვამია: ოჯახის წევრებს ტანსაცმელი ინდივიდუალურ სარგებლობაში ჰქონდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ის საერთო სახსრებით იყო შეძენილი, ოჯახის წევრები ტანსაცმელს დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით ვერ იყენებდნენ[61]. ასეთი განმარტებანი ერთიმეორეს გამორიცხავენ, რამდენადაც ტანსაცმელი, იარაღი და ჭურჭელი ერთ შემთხვევაში გამოცხადებულია ოჯახის წევრთა პირადი საკუთრების საგნებად, ხოლო მეორე შემთხვევაში ისინი საერთო-საოჯახო საკუთრებისა და პირადი სარგებლობის ნივთებად წარმოგვიდგებიან.

კ. აზამატოვის დაკვირვებით, ბალყარეთში დიდი ოჯახი, რომლის მთავარ ნიშნებსაც წარმოადგენდა საოჯახო-თემური საკუთრება, კოლექტიური წარმოება-მოხმარება და მმართველობის სოლიდარული ან დესპოტური ფორმა, XIX საუკუნეში იშლებოდა როგორც ახალ დიდ ოჯახებად, ისე ინდივიდუალურ ოჯახებად. იმ პრინციპის მოქმედების პირობებში, რომ „შვილები უმამოდ არ გაიყრებიან“, ხდებოდა დიდი ოჯახების სეგმენტაცია ისევ დიდ ოჯახებად, რომლებიც საშუალოდ სამ თაობას აერთიანებდნენ. აღნიშნული პროცესი უმთავრესად დამახასიათებელი იყო ძველი პერიოდისათვის. შემდგომ ხანაში, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც დიდი ოჯახი მთლიანობას ინარჩუნებდა უფრო მეტად მამის ავტორიტეტისა და დესპოტური ძალაუფლების წყალობით, დიდი ოჯახი კვლავ ახალ დიდ ოჯახებად სეგმენტაციას კი აღარ განიცდიდა, არამედ ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ ძმები იყრებოდნენ და პატარ-პატარა ოჯახებად სახლდებოდნენ. ასეთმა ოჯახებმა XIX საუკუნის ბალყარეთში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს. დიდი ოჯახიდან გამოყოფილი ახალი დიდი და პატარა ოჯახები იქვე ერთ უბნად სახლდებოდნენ, პატრონიმიულ უბანს ქმნიდნენ და ბუდე ოჯახიდან გადმოყოლილი ერთობის ტრადიციებსაც მეტ-ნაკლები სისრულით ინარჩუნებდნენ. სხვათა შორის, დიდ ოჯახში არსებული ზოგი ჩვეულება შემდგომში პატარა ოჯახშიც ცოცხლობდა[62].

როგორც ამ მიმოხილვიდან დავინახეთ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბალყარელთა საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ტერიტორიულ თემს, რომელიც პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის სხვა ისეთ გადმონაშთურ მოვლენებ-

---

[61] К. Азаматов, დასახ. ნაშრომი, 98.

[62] იქვე, 83—85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად, როგორიც იყო პატრონიმია და დიდი ოჯახი, ამ ოჯახ-ლებდნენ ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას. თავის მხრივ, საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის სიცოცხლეს ახანგრძლივებ-და ნატურალური მეურნეობისა და მთაბარული მესაქონლეობის არსებობა და პრივილეგიური ფენის მისწრაფება შეენარჩუნებ-ნათ გლეხთა დიდი ოჯახები, როგორც შეძლებული მებეგრე ერ-თეულები. ბალყარული დიდი ოჯახი ისეთივე ნიშნებით ხასიათდე-ბოდა, როგორც კავკასიის ყველა იმ ხალხში არსებული დიდი ოჯა-ხი, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო ადათობრივი ნორმებისა და შარიათით დანერგილი წესრიგის თანაარსებობა. პირველის თანდა-თანობით შეზღუდვისა და მეორის განვითარების კვალობაზე ყა-ლიბდებოდა დესპოტური ხასიათის დიდი ოჯახი, რომლის შიგნით კერძო საკუთრების განვითარება საბოლოოდ ერთობის ოჯახის ინდივიდუალურ ოჯახებად დაშლის ძირითად წინაპირობას წარმო-ადგენდა.

*

* *

არქაული საოჯახო ყოფის გადმონაშთები XIX საუკუნის და-სასრულამდე საკმაო სიმტკიცით ინარჩუნებდა არებობას ყარაჩაე-ლებში, რამაც კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. აღ-ნიშნული ეპოქის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ბ. მი-ლერი წერდა, რომ ყარაჩაში პატარა ოჯახი იშვიათად არსებობდა, ისიც, უმთავრესად, სავაჭროდ ჩამოსახლებულ ებრაელთა ყოფი-სათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო საკუთრივ ყარაჩაელთა უმ-რავლესობა გაუყრელად ცხოვრების წესს ინარჩუნებდა.

მ. მილერის დაკვირვებით, ყარაჩაული დიდი ოჯახი საშუალოდ ითვლიდა 15-25, შედარებით იშვიათად 30-35 სულს, ხოლო მის მიერ აღწერილ ერთ-ერთ ოჯახში 53 სულსაც კი უცხოვრია. რამ-დენიმე თაობის მომცველ ასეთ ნათესაურ გაერთიანებაში ზოგჯერ გარეშე პირებიც ოჯახის წევრებად ირიცხებოდნენ შეხიზნული ღარიბების ან დაქირავებული მუშახელის სახით. შარიათის გავლე-ნის შესაბამისად, ოჯახის მმართველობა დესპოტურ ხასიათს ატა-რებდა იმდენად, რომ ერთპიროვნული ძალაუფლებით აღჭურვილ მამას შვილის უწილოდ დატოვებაც კი შესძლებია. ქონების გაყო-ფის საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის გაყრის მუხლობრივი პრინ-ციპი საუფროსოს გამოყოფის პირობით, რაც ბ. მილერს შეცდომით მიუჩნევია მაიორატის გამოვლინებად. რაც შეეხება ქალის უფ-

ლებას, აღათის მიხედვით ქონების გაყოფის შემთხვევაში ის უწესრიგოდ რჩებოდა, ხოლო შარიათი მას ვაჟის წილის ნახევარს აკუთვნებდა. ბ. მილერის სამართლიანი შეხედულებით, ყარაჩაული დიდი ოჯახი წარმოადგენდა სისხლით ნათესაობით შეკავშირებულ ერთეულს და არა არტელს[63], როგორც ეს ეგონა ზოგიერთ მის წინამორბედ მკვლევარს და როგორც ეს დღესაც ასე ჰგონია „არტელური თეორიის“ ზოგიერთ თანამედროვე წარმომადგენელს.

ყარაჩაელთა ყოფაში საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის არსებობა დადასტურებულია უახლოესი დროის გამოკვლევაშიც. ვ. ნევსკაიას დაკვირვებით, XIX საუკუნეში ყარაჩაელთა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა სოფლის თემი, რომლის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენდა არქაული სოციალური ინსტიტუტების (გვაროვნული თემი, საოჯახო თემი) გადმონაშთების ხანგრძლივად არსებობა. ერთობლივ საკუთრებაზე და კოლექტიურ შრომაზე დაფუძნებული დიდი ოჯახის შენარჩუნების მიზეზად ავტორს მიაჩნია საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე, მეურნეობის ნატურალური ხასიათი და ნახევრადმომთაბარეული მესაქონლეობა. დროთა განმავლობაში ყარაჩაულ დიდ ოჯახს სოლიდარული მმართველობის ნაცვლად შეუძენია დესპოტური ხასიათი, რაც გამოხატულებას პოულობდა მისი მეთაურის შეუზღუდველი უფლებების არსებობაში როგორც საოჯახო ქონების, ისე ოჯახის წევრთა მიმართ. ამგვარი ოჯახების დაყოფა ინდივიდუალურ ოჯახებად ხდებოდა სოფლის თემის ფეოდალიზაციის პროცესთან ერთად. სოფლის თემის რღვევის პარალელურად ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა რეფორმისშემდგომ ხანაში. ავტორის დაკვირვებით, დიდი ოჯახების დაშლას ხელს უწყობდა კერძო საკუთრებისადმი ლტოლვა, როდესაც ოჯახის უფროსი თავისი მაღალი უფლებებით სარგებლობდა და ოჯახის უმცროსი წევრების ნაშრომ-ნაამაგარს ითვისებდა[64].

ბ. მილერის ზემოხსენებულ ნაშრომზე დაყრდნობით, ე. სტუდენეცკაია იძლევა ყარაჩაული დიდი ოჯახის ძირითადი ნიშნების დახასიათებას (მმართველობის სისტემა, შრომის ორგანიზაცია, ოჯახის წევრთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა...) და აღნიშ-

---

[63] Б. Миллер, Из области обычного права карачаевцев, ЭО, 1902, № 1, 20—40.

[64] В. Невская, Карачай в XIX веке (эволюция аграрного строя и сельской общины), Автореферат канд. дисс., Черкесск, 1966, 19—23, 49.

ნავს, რომ XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მისი დაშლის პროცესი ინდივიდუალურ ოჯახებად[65].

ძირითადად ასე წარმოგვიდგება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლის მდგომარეობა. არსებული ლიტერატურიდან კარგად გამოჩნდა, რომ ამ ეთნიკურად ჭრელ რეგიონში XIX საუკუნის ბოლომდე შეინიშნებოდა დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა. ამ დროისათვის პატარა (ინდივიდუალური) ოჯახის გაბატონებულ ერთეულად არსებობაში ეჭვი არავის შეუტანია. რაც შეეხება დიდ ოჯახს, ის აქაც, ისევე როგორც სხვაგან, მიჩნეულია საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმად. XIX საუკუნის დასასრულს თითქმის მთავრდება დიდი ოჯახების ინდივიდუალურ ოჯახებად დაშლის პროცესი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში და განსაკუთრებით კი უფრო ადრეულ ხანაში, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ფეოდალიზმი ვითარდებოდა სასოფლო-ტერიტორიული თემის რღვევის პირობებში, დიდი ოჯახი საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო და ის, როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა, არსებობას ინარჩუნებდა წინაკლასობრივი საზოგადოებიდან მომდინარე სხვა ინსტიტუტების (პატრონიმია, თემური მმართველობის სისტემა, სისხლის აღების წესი, ეგზოგამია, ლევირატი, ათალიკობა...) გადმონაშთურ ფორმებთან ერთად.

---

[65] Е. Студенецкая, Культура и быт Карачаевцев, «Очерки истории Карачаево-Черкесии», т. I, Ставрополь, 1967.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V. ოსთა საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები

ოსთა საოჯახო ყოფამ, ისევე როგორც ოსეთის ეთნოგრაფიამ საერთოდ, დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, რამაც განაპირობა საკმაოდ მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურის შექმნა ოსეთის შესახებ. ოსების საოჯახო ყოფის შესწავლაში საათანადო წვლილი შეიტანეს XVIII-XIX საუკუნეების ავტორთაგან ვახუშტი ბაგრატიონმა, შტედერმა, კლაპროტმა, ფ. ლეონტოვიჩმა, მ. კოვალევსკიმ, ს. კოკიევმა, კ. ხეთაგუროვმა და სხვებმა, ხოლო XX საუკუნის მკვლევართაგან აღსანიშნავია მ. კოსვენის, ზ. ვანეევის, ბ. ტოტროვის, ბ. კალოევის, ა. მაგომეტოვის, ზ. გაგლოევას და სხვათა ღვაწლი. ხსენებული ავტორები საოჯახო ყოფას ეხებოდნენ უმთავრესად სხვა საკითხების კვლევის პარალელურად. თვით ბ. ტოტროვმაც კი, რომლის საკანდიდატო დისერტაციის სახელწოდებაა „სამხრეთ ოსეთის გლეხთა ოჯახი და საოჯახო ყოფა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში", საოჯახო ყოფა ფაქტიურად ერთ-ერთ საკითხად განიხილა მეურნეობის ფორმებისა და მატერიალური კულტურის ძირითადი საკითხების გვერდით. დასახელებულ ავტორთა კვლევის შედეგები, ისევე როგორც ამ საკითხზე არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურა მთლიანად, გამოყენებული, განხილული და შეფასებული გვაქვს წიგნში, რომლის მესამე ნაწილი წარმოადგენს ოსთა საოჯახო ყოფის მონოგრაფიულ გამოკვლევას[1]. ამ ნაშრომში ნაჩვენებია ჩვენი დამოკიდებულება არსებული ლიტერატურული მონაცემებისადმი, რომლის განმეორება ზედმეტად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში შეიძლება დავკმაყოფილდეთ კვლევის შედეგების გადმოცემით და ამ მონოგრაფიის შემდეგ გამოქვეყნებული შრომების შეფასებით.

ოსების შესახებ არსებული ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის, ჩრდილო ოსეთსა და საქართველოში ოსებით დასახლებულ ხეობებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიუ-

[1] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, 195—208.

ლი წყაროების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ოსებმა ხანგრძლივ-ლივად შემოინახეს უძველესი სოციალური ინსტიტუტების გაღმონაშთები, მათ შორის საოჯახო ყოფის არქაული ელემენტები. პირველ ყოვლისა, ამას გვიჩვენებს ფაქტობრივი მონაცემები ოჯახის შემადგენლობის შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით, XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე, როდესაც ინდივიდუალურ ოჯახს, როგორც ოჯახის ძირითად სახეობას, უკვე თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა განვლილი, გაუყრელად ცხოვრება ჯერ კიდევ იმდენად გავრცელებულ ჩვეულებას წარმოადგენდა, რომ იმდროინდელი ავტორები უმთავრესად ოჯახის ძირითად სახეობად მიიჩნევდნენ საოჯახო თემს, ხოლო მის სოციალურ გარემოცვაში ხედავდნენ გვაროვნულ წყობილებას. ამგვარი შეხედულების გავრცელების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის ზოგიერთი ნიშნის, უმთავრესად, მისი შემადგენლობის ზერელე გაცნობა, მაგრამ ოჯახის ძირითადი კომპონენტების (ოჯახის შემადგენლობა, ეკონომიური საფუძვლები, მმართველობის სისტემა, შრომის ორგანიზაციის ხასიათი, საკუთრების ფორმები) შესწავლა კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით აქარწყლებს შეხედულებას XIX საუკუნემდე დიდი ოჯახის საყოველთაოდ გავრცელების შესახებ. ასეთი ოჯახების რიცხვი თანდათანობით მცირდებოდა და XIX საუკუნის ბოლოსათვის ისინი თითქმის დაშლის საბოლოო ეტაპზე იმყოფებოდნენ, მაგრამ ვიდრე არსებობა ჯერ კიდევ შეწყვეტილი არ ჰქონდათ, მათი უმრავლესობა მოიცავდა ოთხ თაობას, ხოლო შედარებით იშვიათად — სამ ან ხუთ თაობას. დიდი ოჯახი აერთიანებდა უახლოესი ნათესავების რამდენიმე ათეულ სულს. რაც უფრო ღრმად შევდივართ ოსთა ძველ ყოფაში, მით უფრო შესამჩნევია როგორც თაობათა რაოდენობის, ისე სულადი შემადგენლობის სიჭარბე. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში 100-მდე სულისა და ხუთი თაობის ერთად ცხოვრება დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა, საუკუნის ბოლოს დიდი ოჯახი უმთავრესად აერთიანებდა სამ-ოთხ თაობას და საშუალოდ 25-50 სულს. თაობათა რაოდენობისა და რიცხობრივი შემადგენლობის კლება სავსებით კანონზომიერ პროცესად გვესახება ისეთი ვითარებისათვის, როდესაც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვლილებასთან ერთად ცვლილებები ხდებოდა საოჯახო ყოფაშიც, უმთავრესად, დიდი ოჯახების დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახების მატების გზით.

როგორც ინდივიდუალური ოჯახის, ისე დიდი ოჯახის არსებობა ოსეთში ემყარებოდა ცენტრალური კავკასიის მთიანეთისათვის ტი-

პიერ მეურნეობას. ბარის სამეურნეო ათვისებას ოსები იწყებენ დაახლოებით XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც ისინი სახლდებიან ვლადიკავკაზისა და მოზდოკის მიდამოებში. კიდევ უფრო გვიან დაიწყო საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ოსების ნაწილის დასახლება ქართლის მთისძირა ზოლში. ახლო წარსულამდე ოსების ცხოვრება მთაში ვითარდებოდა სამეურნეო ნაკვეთების მწვავე უკმარისობისა და მესაქონლეობისათვის შედარებით ხელსაყრელ სამეურნეო პირობებში, რის გამო მათ საოჯახო მეურნეობაში, მიწათმოქმედებასთან შედარებით, მესაქონლეობის ხვედრითი წონა დიდი იყო და ამდენად წამყვანი ადგილიც მას ეჭირა.

საოჯახო მეურნეობის ხასიათი და ოჯახის შემადგენლობა განსაზღვრავდა ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებასაც. როგორც დიდ, ისე პატარა ოჯახში ყველაზე მაღალი უფლებებით სარგებლობდა უხუცესი მამაკაცი (хистæр), რომელიც ოჯახს ხელმძღვანელობდა. უხუცესი მამაკაცის პრიორიტეტი და სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით განსაზღვრული ურთიერთობა ოჯახის წევრებს შორის გამოკვეთილ სახეს ღებულობდა რამდენიმე თაობის გამაერთიანებელ დიდ ოჯახში, მაგრამ ხდებოდა ისედაც, როდესაც თავის მოვალეობას მოხუცი სიკვდილამდე ვერ გაუძღვებოდა, დაბერება-დაუძლურების გამო ოჯახის უფროსობაზე ხელს იღებდა და თავის ადგილს მომდევნო ძმას ან უფროს შვილს უთმობდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოტივირებული იყო ოჯახის პრაქტიკული ინტერესებით, რამდენადაც ოჯახის კეთილდღეობა ბევრად იყო დამოკიდებული ხელმძღვანელის უნარსა და შესაძლებლობაზე. უმეტეს შემთხვევაში კი უხუცესი მამაკაცი სიკვდილამდე ოჯახის სათავეში იმყოფებოდა. შრომითა და სიდარბაისლით სახელმოხვეჭილი მოხუცის ოჯახის უფროსობიდან გადაყენება დაუშვებელი იყო. ის დავრდომილი ავადმყოფიც რომ ყოფილიყო, ოჯახი მას პროტესტს ვერ შეჰკადრებდა. მაგრამ ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ოჯახის უფროსი თავის მოვალეობას ვერ უძღვებოდა, ფუქსავატობდა და ოჯახის მომავალზე არ ფიქრობდა, ოჯახის სრულწლოვან წევრთა შორის დგებოდა მისი გადაყენების საკითხი. ამის შემდეგ, ოჯახის ყოფილ ხელმძღვანელსა და ახალ მეთაურს შორის ფუნქციები იყოფოდა. ახალ მეთაურს ეკისრებოდა საოჯახო მეურნეობის ორგანიზაცია, ე. ი. ოჯახის მართვა, ხოლო ყოფილი უფროსი ქურუმის როლში რჩებოდა და საოჯახო რიტუალის შესრულებას თაოსნობდა.

ასეთი ვითარება იმის მაჩვენებელია, რომ პიროვნების უფლება ოჯახში მარტო მისი წლოვანებით არ განისაზღვრებოდა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვან, და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ადამიანის უნარი და ავტორიტეტი. ამ ფაქტორს შესანიშნავად იყენებდნენ ოსური დიდი ოჯახის წევრები, რომელთა მოთხოვნა და გადაწყვეტილება შეესაბამებოდა სოლიდარული მმართველობის პრინციპს.

ოჯახის მმართველობის ამგვარი სისტემა ოსეთში დააფასტურა მრავალმა მკვლევარმა, მაგრამ ზოგიერთმა ეჭვის ქვეშ დააყენა ოჯახის უფროსის არჩევის წესის არსებობა. ლიტერატურაში ასახვა ჰპოვა თვალსაზრისმა იმის შესახებაც, თითქოს ოჯახის უფროსი წარმოადგენდა საოჯახო ქონების ერთადერთ მფლობელსა და დესპოტ მმართველს, რაც ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია. ამგვარი შეხედულებები კრიტიკულადაა განხილული მონოგრაფიაში და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ოჯახის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილების თანახმად ოჯახის ხელმძღვანელის შეცვლის წესი შედარებით უმცროსი პიროვნებით არსებითად ნიშნავდა ოჯახის უფროსის არჩევას. თავის მხრივ, ასეთ ვითარებაში გამორიცხული იყო ოჯახის წამყვან წევრებთან კონტაქტის მოშლა, ერთპიროვნული ძალაუფლების დანერგვა და ტრადიციული სოლიდარული მმართველობის უგულებელყოფა.

მმართველობის ასეთსავე სისტემასთან იყო შეფარდებული ქალთა შორის უფროსი დედაკაცის (æфсин) გამოყოფის წესი, რომლის მოკალეობას შეადგენდა რძლების შრომა-საქმიანობის ხელმძღვანელობა. ამ შემთხვევაშიც ასაკთან ერთად ყურადღება ექცეოდა მის უნარს, რის გამო ზოგჯერ ასაკობრივი პრინციპი ირღვეოდა და ისეთი ვითარება იქმნებოდა, როდესაც ქალთა შორის უფროსობა ოჯახის უფროსის მეუღლეს არ უწევდა. უმთავრეს შემთხვევაში კი, როდესაც ასაკი და პირადი ღირსება ერთიმეორეს ავსებდნენ, ქალთა საქმიანობას უძღვებოდა ოჯახის უფროსის მეუღლე.

ოჯახის დანარჩენ წევრებს შორისაც ფუნქციების განაწილება ხდებოდა სქესობრივ-ასაკობრივი და შრომითი შესაძლებლობის პრინციპით. სქესსა და ასაკს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის წევრთა ყოველდღიურ ურთიერთობაში (სადილ-ვახშამი, კერასთან ჯდომის წესი, მიმართვის ფორმები), რაც, მყარი ტრადიციის სახით, დიდი ოჯახის საბოლოო მოსპობის შემდეგაც დიდხანს არსებობდა ოსთა საოჯახო ყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობის სოლიდარული სისტემის შენარჩუნებას უმთავრესად აპირობებდა საკუთრების კოლექტიური ფორმა, რომელიც ოსური საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. საკუთრების ამ ფორმის ძირითად თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ გაუყოფელი ოჯახის შიგნით არ იმყოფებოდა არამცთუ ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე, არამედ დაუშვებელი იყო ქონების თუნდ უმნიშვნელო ნაწილზე ვისიმე პრიორიტეტი. ყველა ის მამაკაცი, რომელიც ოჯახის გაყრის შემდეგ ახალი ოჯახის მეთაური ხდებოდა, ითვლებოდა სრულუფლებიან მოწილედ (хаиджин), ვინაიდან ყველა მათგანი ღებულობდა ქონების თანაბარ წილს (хай). ოჯახის შემადგენლობის შესაბამისად, მოწილეთა კატეგორიაში შედიოდნენ ძმები ან ძმები და ბიძაშვილები. ქონების გაყოფის დროს ამ მომენტს მნიშვნელობა არ ჰქონდა, ისევე როგორც ყურადღება არ ექცეოდა თითოეული მათგანის შთამომავლობის რიცხობრივ შემადგენლობას. ასევე უმნიშვნელო ფაქტორს წარმოადგენდა მოწილის ასაკი და დამსახურება. მოწილეებს შორის ქონების გაყოფის ზემოაღნიშნული პრინციპი ერთნაირად იყო დაცული როგორც ცოცხალი, ისე გარდაცვლილი მოწილეების მიმართ, ვინაიდან გარდაცვლილთა წილს აკუთვნებდნენ მათ ვაჟიშვილებს.

ქვრივს, რომელსაც ვაჟიშვილები არ ჰყავდა, წილი არ ეძლეოდა. გარდაცვლილი ქმრის ოჯახში საცხოვრებლად დარჩენილი ქვრივი იმავე მდგომარეობას ინარჩუნებდა, როგორიც ჰქონდა მას ქმრის გარდაცვალებამდე. თუ ქმრის სიცოცხლეში ის დიასახლისი იყო, ამ საპატიო მდგომარეობას შემდეგშიც უნარჩუნებდნენ. თუ უძეო ქვრივი ცალკე გამოყოფას მოისურვებდა, მას აძლევდნენ სახლის ნაწილს, საქონელს და მიწის ნაკვეთს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ისევ მოწილეებს უბრუნდებოდა. ქვრივის, ისევე როგორც ყველა რძლისა და გასათხოვარი ქალის, პირად საკუთრებას შეადგენდა მზითევი (ლოგინი და პირადი ნივთები), რაც საერთო ქონების განაწილების მომენტში ყველას თავ-თავისთვის რჩებოდა. ქვრივს ამ მზითევის წაღება შეეძლო მამის სახლში დაბრუნების ან გათხოვების შემთხვევაშიც, მაგრამ ეს დასაშვებად ითვლებოდა გარდაცვლილი ქმრის ერთწლიანი გლოვისა და მასთან დაკავშირებული სავალდებულო წესების შესრულების შემდეგ. აღნიშნული ვადის გასვლისას მას ასევე უფლება ჰქონდა გათხოვილიყო მისი შერთვის მსურველ მაზლზე, რაც ხორციელდებოდა ორი სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა ვარიანტით: თუ ქვრივი ერთწლიანი გლოვის შემდეგ მამის ოჯახს უბრუნდებოდა, მასზე დაქორწინების მსურველი მაზლი გამზადებული იყო ქვრივის მამისთვის ურვადი (iráed) გადაეხადა, ვინაიდან მამის სახლში დაბრუნების დღიდან ქვრივი ითვლებოდა თავისი მამის ოჯახის წევრად. ურვადის გადახდა გამორიცხული იყო ისეთ ვითარებაში, როდესაც ქვრივზე მაზლის დაქორწინება მოესწრებოდა მამის ოჯახში ქვრივის გადასვლამდე. ამიტომ ქვრივის შერთვა, უმთავრესად, მეორე ვარიანტის გამოყენებით ხდებოდა, ვინაიდან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა საურვადე თანხის შენარჩუნების ინტერესი.

ურვადის გადახდის სავალდებულო ჩვეულება ხელს უწყობდა ლევირატის შორეული გადმონაშთის შენარჩუნებას. სამაგიეროდ, ურვადის გადახდის წესი ზღუდავდა მრავალცოლიანობას, რამდენადაც დაქორწინება დაკავშირებული იყო დიდი ხარჯების გამოღებასთან. ამიტომ ეს ჩვეულება დამახასიათებელი იყო შეძლებული ფენების ცხოვრებისათვის. ამის დამამტკიცებელია ამ წრის წარმომადგენლის მიერ უფლებრივად დაბალი ფენის წარმომადგენლის, როგორც უკანონო ცოლის (ნომულუსი), შერთვის ჩვეულება, რითაც ის ზრდიდა მუშახელს ამ ქალისა და მისგან გაჩენილი შვილების — კავდასარდების (ბაგაში დაბადებული) სახით, რომელთაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკუთვნოდათ მამის მემკვიდრეობა, თუ მამას კანონიერ ცოლთან შვილი არ ჰყავდა.

დამსახურების მოტივით საუფროსო წილის გამოყოფის წესი წარმოქმნილი უნდა იყოს საოჯახო თემის დაშლის საფეხურზე, როდესაც მის შიგნით გზას იკაფავდა შრომითი კოოპერაციის ნორმები. ამავე მოვლენას უკავშირდება ჩვეულება, რომლის თანახმად ქონების განაწილება ხდებოდა ოჯახის წევრთა შრომითი წვლილის შესაბამისად. ასეთ ვითარებაში ირღვეოდა მოწილეების მიხედვით ქონების განაწილების ადათობრივი ნორმები და განმსაზღვრელ ფაქტორად გამოდიოდა ოჯახის წევრის, როგორც ქონების შემომტანის დამსახურება. ამგვარი ტენდენცია შეიმჩნევა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სტადიაზე, როდესაც ფართო მასშტაბს ღებულობს ოჯახის წევრთა დაქსაქსულობის პროცესი, ვაჭრობისა და საშოვარზე გასვლის შედეგად ჩნდება მრავალპროფილიანი შემოსავლის კერები, ოჯახის თითოეულ წევრს უფართოვდება პირადი ქონების დაგროვების ინტერესი და ყოველი მათგანი ცდილობს საერთო ქონებიდან უკლებლივ გამოიტანოს თავისი ნაამაგარი. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების კვალო-

ბაზე თანდათანობით ღრმავდებოდა ოჯახის წევრებს შორის ეკონომიური ბრძოლა, საერთო საკუთრების მოშლა და განკერძოებულ საკენ ლტოლვა, რომლის შედეგად საბოლოოდ ისპობოდა საუკუნეების განმავლობაში გადმონაშთური ფორმით არსებული საოჯახო თემი და საყოველთაო ხასიათს ღებულობდა ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების დიდი ხნიდან დამკვიდრებული წესი.

დაახლოებით ასეთი სურათი წარმოგვიდგება ჩვენ მიერ გათვალისწინებული ყველა სახის მონაცემების, მათ შორის, არსებული ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე. ზემოხსენებული მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ოსთა საოჯახო ყოფის საკითხს კიდევ რამდენიმე ავტორი შეეხო. ამ მხრივ უხვი პროდუქცია შექმნა ა. მაგომეტოვმა, რომელიც ოსთა საოჯახო ყოფას მრავალგზის განიხილავს, უმთავრესად, ჩრდილო ოსეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით[2]. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მონოგრაფიაში გაგვეთვალისწინებინა და შეგვეფასებინა მის მიერ ადრე გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ მკვლევარმა ოსთა საზოგადოებრივი ყოფის შესწავლა შემდგომში კიდევ უფრო გააფართოვა და ოჯახის საკითხებიც რამდენადმე შეავსო. სხვათა შორის, თავის სადოქტორო დისერტაციაში მან გამოიყენა ჩვენს მიერ ოსეთში წარმოებული კვლევის შედეგებიც[3]. ა. მაგომეტოვი თავის შრომებში აღწერს და იკვლევს როგორც ინდივიდუალურ ოჯახს, ისე საოჯახო თემს მისი გადმონაშთური ფორმების ჩათვლით. ამასთან ერთად, ის გვაცნობს ოსთა ახალ საოჯახო ყოფას. მკვლევარი იმ თვალსაზრისს ავითარებს, რომ XVII—XIX საუკუნეების სიგრძეზე ოსეთში, ინდივიდუალურ ოჯახთან ერთად, არსებობდა დიდი ოჯახი, რომელიც განუვითარებელ კლასობრივ საზოგადოებაში საოჯახო თემის ნიშნებს ინარჩუნებდა და, ამდენად, მის გადმონაშთურ ფორმას წარმოადგენდა. ასეთ ნიშნებად იგი ასახელებს რამ-

---

[2] А. Магометов, Семья и семейный быт осетин в прошлом и настоящем, Орджоникидзе, 1962, მისივე, Культура и быт осетинского крестьянства, Орджоникидзе, 1963, 133—163; მისივე, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, 315—402; მისივე, Этнография осетин, Орджоникидзе, 1970, 120—131; მისივე, Общественный и семейный быт осетин (XVIII—XIX вв.), Автореферат докт. дисс., Орджоникидзе, 1970; მისივე, Общественный строй и быт осетин (XVII—XIX вв.), Орджоникидзе, 1974, 155—192.

[3] А. Магометов, Общественный строй и быт осетин (XVII—XIX вв.), 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე თაობის გაუყოფელად ცხოვრებას, მრავალსულიანობას, ოჯახო-თემურ საკუთრებას, ოჯახის მართვის სოლიდარულ ფორმას და სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობას შრომა-საქმიანობისა თუ ოჯახის წევრთა ურთიერთობის სფეროში. საოჯახო ყოფის შესახებ ყველა თავის ნაშრომში გამოთქმულ შეხედულებებს ა. მაგომეტოვი აჯამებს 1974 წელს გამოქვეყნებულ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში, რომელშიც საოჯახო თემს ერთ-ერთ თავში საგანგებოდ გამოყოფს და მას, როგორც სოციალური ყოფის ხელშესახებსა და გამოკვეთილ ელემენტს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან ორგანულ კავშირში განიხილავს.

ა. მაგომეტოვისაგან განსხვავებით, რომელიც თავისი კვლევა-ძიების ძირითად წყაროდ იყენებს ჩრდილო ოსეთის ეთნოგრაფიულ მასალებს, საოჯახო ყოფის შესწავლის მიზნით, ზ. გაგლოევა სარგებლობს სამხრეთელი ოსების ეთნოგრაფიული მასალებით. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობით საოჯახო ყოფის სფეროდან იგი პირველ რიგში დაინტერესდა საოჯახო თემის შესწავლით. სპეციალურად ამ საკითხზე დაწერილ სტატიაში[4] ავტორი აღწერს არაერთ დიდ ოჯახს მისი შემადგენლობით, მეურნეობრივი საფუძვლებით, ერთობლივი საკუთრებითა და ოჯახის წევრთა ფუნქციების ჩვენებით. ამ კომპონენტების მიხედვით ზ. გაგლოევა იმ დასკვნამდე მიდის, რომ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში დიდი, პატრიარქალური ოჯახი, ანუ საოჯახო თემი ოსეთში პატარა ოჯახთან ერთად არსებობდა და ამ არსებობის გახანგრძლივებას ხელს უწყობდა ოსეთში ნახევრადნატურალური მეურნეობის ბატონობა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სუსტი განვითარება.

ზ. გაგლოევამ ეს საკითხი შემდეგ ცალკე პარაგრაფად შეიტანა თავისი წიგნის იმ თავში, რომელშიც შესწავლილია ნათესაური გაერთიანებანი: საოჯახო თემი[5], პატრონიმია და გვარი. ამავე წიგნის პირველ თავში შეტანილია ქორწინება და ოჯახი, რომელშიც ავტორი ქორწინების ძირითად მომენტებთან ერთად ეხება საოჯახო ურთიერთობის ზოგიერთ მხარესაც (ცოლისა და ქმრის, მშობლებისა და შვილების, უფროსებისა და უმცროსების ურთიერთობას,

---

[4] З. Гаглоева, Семейная община у осетин, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского Института», вып. XV, Цхинвали, 1969, 105—114.

[5] З. Гаглойти, Очерки по этнографии осетин, Тб., 1974, 54—71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ უფლება-მოვალეობას)[6]. საოჯახო თემისადმი განკუთვნილ პარაგრაფში ძირითადად მეორდება ის მასალა და თვალსაზრისი, რაც მოცემული იყო ადრე დაბეჭდილ სტატიაში. მაგრამ, ავტორი, ამასთან ერთად, მსჯელობას ავსებს ახალი ლიტერატურით და წინა სტატიასთან შედარებით აქ მეტ ყურადღებას უთმობს ოჯახის მმართველობის სისტემას და ოჯახის უფროსის უფლებამოსილების საკითხს. მკვლევარი იმ თვალსაზრისს იცავს, რომ ოჯახის უფროსად ყოფნა დამოკიდებული იყო პიროვნების ასაკსა და ავტორიტეტზე, ხოლო ოჯახის მმართველობა სოლიდარულ პრინციპს ემყარებოდა. ამ შემთხვევაში მეორდება სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმული შეხედულება, მათ შორის ჩვენი თვალსაზრისიც. მაგრამ ზ. გაგლოევა არ ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებიც დემოკრატიული ანუ სოლიდარული ოჯახის უფროსობაში მემკვიდრეობის პრინციპს გამორიცხავენ და არჩევითობის საფუძვლებს აღიარებენ. ავტორის ინტერპრეტაციით, ამ შეხედულებას იცავენ ნ. კოსვენი და ვ. ითონიშვილი, ხოლო ეწინააღმდეგებიან მ. კოვალევსკი და ზ. ვანეევი[7]. მეცნიერული სიზუსტისათვის პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ მ. კოვალევსკი ზემოხსენებულ თვალსაზრისს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ პირველმა სწორედ მან განავითარა აზრი დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული მმართველობის სფეროში ოჯახის უფროსისა და დიასახლისის არჩევითობის შესახებ, რამდენადაც ოჯახის უფლებამოსილებას შეადგენდა რომელიმე მათგანის შეცვლა უკეთესი ხელმძღვანელით[8]. ჩვენ აქ აღარ დავიმოწმებთ სხვა ავტორთა შეხედულებებს, ვინაიდან ისინი განხილული და შეფასებულია ზემოხსენებულ მონოგრაფიაში[9]. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ოჯახის

---

[6] З. Гаглойти, Очерки по этнографии осетин, 40—46.

[7] იქვე, 62.

[8] М. Ковалевский, Поземельные и сословныя отношения у горцев Северного Кавказа, «Русская мысль», кн. XII, 1883, 140.

[9] ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, 245—271.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ გვერდების ნაცვლად ზ. გაგლოევა უთითებს ჩვენი ნაშრომის 187-ე გვერდს, სადაც ამის შესახებ არაფერი თქმულა. არაზუსტი მითითება შეინიშნება ავტორეფერატშიც. ავტორის ცნობით, ოსეთში საოჯახო თემის არსებობა დაადასტურეს ზ. ვანეევმა, მ. კოსვენმა, ა. მაგომეტოვმა, ბ. კალოევმა, ვ. ტოტროვმა, ხოლო კავკასიის სხვა ხალხებში — მ. კოსვენმა, რ. ხარაძემ, შ. ინალ-იფამ, ს. გაჯიევამ, ვ. ითონიშვილმა, ე. კარაპეტიანმა, ე. სტუდენეკაიამ, ტ. შიკოვამ, მ. მერეტუკოვმა და სხვებმა (З. Гаглоева, Общественный быт осетин в XIX веке, Автореферат докт. дисс., Тб., 1975, 14). იმის საჩვენებლად, რომ კავკასიის სხვა

უფროსის არჩევა ღია ან ფარული კენჭისყრისა და ცერემონიების შესრულებას კი არ გულისხმობდა, არამედ იმ პრინციპების გაანალისწინებას, რაც ნიშანდობლივი იყო სოლიდარული ბუნების ოსური საოჯახო თემისათვის. ამიტომ მტკიცება იმისა, რომ ოჯახის უფროსობაში არჩევითობა გამორიცხული იყო, რეალურ ვითარებას არ ასახავს. იქ, სადაც ხანდაზმული კაცი ზოგჯერ თვითონვე უთმობდა ადგილს თავისზე უმცროს კაცს, აგრეთვე ფაქტები იმის შესახებ, რომ ოჯახში დგებოდა უფროსის შეცვლის საკითხი, არჩევითობის პრინციპების მაჩვენებელია. ყოველივე ამის გამო ჩვენ კვლავ ძველ თვალსაზრისზე ვრჩებით.

ოსთა საოჯახო ყოფის ზოგიერთ თავისებურებას, უფრო მეტად კი დიდი ოჯახის ცალკეულ ელემენტებს, განიხილავენ აგრეთვე საცხოვრებელ ნაგებობათა და დასახლების ფორმათა მკვლევარნი. სამხრეთელ ოსთა საცხოვრებელი ნაგებობების ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად ლ. ჩიბიროვმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ნაგებობათა ადრინდელი სახეობანი გენეტიკურად საოჯახო თემის არსებობას უკავშირდებიან და XIX საუკუნეშიც დიდი ოჯახები გაუტიხრავ ხაძარებში ცხოვრობდნენ[10].

მთა-ოსეთის საცხოვრებელ ნაგებობათა ფორმებისა და დასახლების სტრუქტურის შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომის[11] იმ ნაწილში, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობებს ეხება, გ. გეგეჭკორმა საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ინტერიერის აღწერას, სათავსოების განლაგება-მოწყობილობისა და თითოეული მათგანის სამეურნეო თუ სოციალური ფუნქციის ჩვენებას. ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელშიც ალ. რობაქიძე დასახლების სტრუქტურას ეხება, მასალები საოჯახო ყოფის შესახებ გამოყენებულია უმთავრესად საცხოვრებელი კომპლექსების სოციალურ დახასიათებასთან და პატრონიმიული უბნის ჩამოყალიბების პროცესის გარკვევასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც ავტორი ავითარებს იმ თვალსაზრისს,

---

ხალხებში საოჯახო თემის საკითხს ჩვენც ვეხებით, ზ. გაგლოევამ იქვე დაიმოწმა ჩვენი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი (В. Итонишвили, Семейный быт горцев Центрального Кавказа, Тб., 1971), მაგრამ სიზუსტე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ავტორეფერატში ასახულია არა მარტო კავკასიის სხვა ხალხების (ინგუშების, ჩაჩნების, პანკისელი ქისტების), არამედ აგრეთვე ოსთა საოჯახო თემის კვლევის შედეგებიც.

[10] Л. Чибиров, Осетинское народное жилище, Цхинвали, 1970, 140.

[11] А. Робакидзе, Г. Гегечкори, Формы жилища и структура поселения горной Осетии, КЭК, V, часть I, Тб., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პატრონიმია, როგორც გარკვეული სოციალური ერთეულები, იქმნებოდა დიდი ოჯახის სეგმენტაციის საფუძველზე, ხოლო ეს წარმონაქმნი, თავის მხრივ, შეადგენდა დიდი და პატარა ოჯახების უბნურ გაერთიანებას. ამის დასამტკიცებლად საოჯახო ყოფის სფეროდან გამოყენებულია როგორც საველე ეთნოგრაფიული, ისე ლიტერატურული მონაცემები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისს, როდესაც ასეთ კვლევაში გვერდი აქვს ავლილი თვით ალ. რობაქიძის რედაქციით გამოქვეყნებულ ჩვენს ზემოხსენებულ მონოგრაფიას ოსთა საოჯახო ყოფის შესახებ.

საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები აშკარად ადასტურებენ ამ მიმოხილვის დასაწყისში ნათქვამს იმის შესახებ, რომ ოსეთის ეთნოგრაფიისადმი დიდი ინტერესი და ოსების შესახებ მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურის შექმნა განაპირობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრადიციული მოვლენების, მათ შორის ოჯახის უძველესი ფორმების გადმონაშთურ სახეობათა ხანგრძლივად არსებობამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI. ვეინახების საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები

ვეინახების (ჩაჩნები, ინგუშები, პანკისის ხეობის ქისტები) საოჯახო ყოფის შესახებ რევოლუციამდელ პერიოდში არაოფ სპეციალური გამოკვლევა, აღწერილობითი ხასიათის ნაშრომიც კი არ დაწერილა. მართალია, ზოგიერთი ავტორი სხვა საკითხებთან ერთად ოჯახის ამა თუ იმ თავისებურებასაც ეხებოდა, მაგრამ საკუთრივ საოჯახო ყოფის სპეციალური შესწავლა არავის უცდია. ამ მხრივ ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საბჭოთა ეთნოგრაფიაში 1960-იან წლებამდე. ვეინახების საოჯახო ყოფის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდა მოცემულია ნაშრომში[1], რომლის პირველ ნაწილში შესწავლილია საოჯახო ყოფა ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ხოლო მეორეში—პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფა. ეს ნაშრომი დაწერილია ავტორის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. საკითხის შესწავლის მდგომარეობით დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს ამ ნაშრომით გაეცნოს არსებულ ლიტერატურულ მონაცემებს, რის გამო მის შესახებ მსჯელობას აღარ განვაახლებთ და შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ჩვენი კვლევის შედეგები.

ოჯახის შემადგენლობის, მისი ეკონომიური საფუძვლების, მმართველობის სისტემის, შრომის ორგანიზაციის ფორმების, ოჯახის შიგნით მოქმედი ურთიერთობის ნორმების, ოჯახის გაყრის წესისა და ქონების განაწილების პრინციპების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ XIX საუკუნის ბოლომდე ჩაჩნეთ-ინგუშეთში ადგილი ჰქონდა ორი ტიპის ოჯახის თანაარსებობას, რომელთა შორის ინდივიდუალურ ოჯახს გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, ხოლო დიდი ოჯახი, რომელიც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის სახით იყო შემონახული, დაშლის სტადიაში იმყოფებოდა.

---

[1] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, (ნაწილი პირველი, გვ. 13—136; ნაწილი მეორე, გვ. 137—194).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოჯახის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთა-ინგუშეთში მოპოვებული მასალა, ვინაიდან გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია, ისევე როგორც წინაკლასობრივი წყობის გადმონაშთები საერთოდ, ინგუშეთში უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე ჩაჩნეთში, სადაც შარიათის შედარებით ადრე გავრცელებამ განაპირობა ძველი ტრადიციების საფუძვლების შერყევა. თუ ჩაჩნეთში გაუყრელად ცხოვრების ტრადიციაზე წარმოდგენას გვიქმნის ოდესღაც დიდი ოჯახების საცხოვრებლად გამოყენებული მრავალსართულიანი ნაგებობანი და გადმოცემები ასეთი ოჯახების სეგმენტაციის შესახებ, ინგუშეთში ასეთი სახის მონაცემებთან ერთად ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა XIX საუკუნის ბოლომდე შემონახული დიდი ოჯახების შემადგენლობის ამსახველი მასალები, რომლის საფუძველზე შედგენილი გენეალოგიების მიხედვით დადასტურდა რამდენიმე თაობის ერთ ჭერქვეშ ცხოვრების ფაქტები.

ცალკეული ოჯახების, სოფლებისა და ხეობების მიხედვით სამეურნეო ყოფის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ოჯახის ძირითად ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა მთის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ხოლო დამხმარე როლს ასრულებდა უფრო მეტად შინამრეწველობა და ნაწილობრივად ვაჭრობაც, როგორც შედარებით გვიანდელი და იშვიათი მოვლენა. კონკრეტული მონაცემები ოჯახებს შორის ქონებრივ სხვაობას გვიჩვენებენ, მაგრამ მეურნეობისათვის და საერთოდ ჩაჩნეთ-ინგუშეთის ეკონომიური განვითარებისათვის ნიშანდობლივი იყო მეურნეობის ძირითადი დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაარსებობა, რომელთა შორის მესაქონლეობას შედარებით ხელსაყრელი სამეურნეო პირობები გააჩნდა, ამის გამო ეკონომიკაში მისი ხვედრითი წონა მეტი იყო მიწების სიმცირით შეზღუდული მასშტაბის მიწათმოქმედებასთან შედარებით და, ამდენად, მეურნეობის წამყვან დარგსაც მესაქონლეობა წარმოადგენდა.

ამგვარი სამეურნეო პირობების მქონე ოჯახის მართვა მინდობილი ჰქონდა უხუცეს მამაკაცს, რომლის ავტორიტეტს, ასაკთან ერთად, განსაზღვრავდა შრომის ორგანიზაციის უნარი. უამპირობოდ, ისევე როგორც ოჯახის სრულწლოვან წევრებთან კონტაქტის გარეშე, ის ამ საპატიო მდგომარეობას ვერ შეინარჩუნებდა. ყველა სახის მონაცემების მიხედვით მტკიცდება, რომ ინგუშურ დიდ ოჯახში მისი უფროსი არ წარმოადგენდა ერთპიროვნული უფლებების მქონე დესპოტს და ოჯახის მართვა სოლიდარობის პრინციპს

ემყარებოდა. ვეინახების საოჯახო ყოფაში დესპოტური მმართველობის ელემენტები შემოიჭრა მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების შედეგად, რაც ჩაჩნეთსა და ინგუშეთში სხვადასხვა დროიდან დაიწყო და არათანაბარი მასშტაბითაც დაინერგა. ჩაჩნეთში ის ფეხს იკიდებს XVI საუკუნიდან, ხოლო ინგუშებში, უმთავრესად, ვრცელდება XIX საუკუნეში შამილის ინიციატივით. ასეთმა ვითარებამ განსაზღვრა თვით შარიათის როლი საოჯახო ურთიერთობის სფეროში. ჩაჩნეთში დიდი ხნიდან მისი გავრცელების გამო ტრადიციული ადათობრივი წეს-რიგი უმეტესად შარიათის ნორმებით შეიცვალა, ხოლო ინგუშეთში მისი შემოტანა ისეთ ვითარებას დაემთხვა, როდესაც რუსული კანონმდებლობაც ფეხს იკიდებდა. ამის გამო, შარიათმა, რომელიც ადათისა და რუსული კანონმდებლობის შუალედში აღმოჩნდა, ინგუშთა საოჯახო ყოფაში ისეთი სიღრმით ვერ შეაღწია, როგორითაც ჩაჩნების საოჯახო ურთიერთობაში. საოჯახო ყოფის სპეციფიკისათვის კი ამას სათანადო მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან შარიათის დანერგვამ ოჯახის სტრუქტურაში არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია: ქალს, რომელსაც ადათის მიხედვით მამის ოჯახიდან წილი არ ეკუთვნოდა, შარიათმა მიანიჭა ვაჟისთვის კუთვნილი ქონების 1/3-ის მიღების უფლება; ახალმა რელიგიურმა მოძღვრებამ გააფართოვა ოჯახის უფროსის ერთმმართველური უფლებები, შეარყია მმართველობის სოლიდარული სისტემა და ხელი შეუწყო ოჯახში დესპოტური ძალაუფლების დანერგვას; შარიათმა კიდევ უფრო განამტკიცა და გააძლიერა ყალიმის გადახდის წესი, მრავალცოლიანობა და ლევირატის გადმონაშთური სახით არსებობა. მაშასადამე, მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად ვეინახების საოჯახო ყოფისათვის ნიშანდობლივი გახდა ადათისა და შარიათის ნორმების შერწყმა. ამ ორი მომენტის თანაარსებობამ ერთგვარად განსაზღვრა ოჯახის დუალისტური ხასიათი, რაც წარმოადგენდა ვეინახთა საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელსა და ცენტრალური კავკასიის სხვა მთიელთა (ქართველები, ოსები) საოჯახო ურთიერთობისათვის უცხო მოვლენას.

გამოირკვა, რომ შარიათს თითქმის არ შეუღწევია ოჯახის შიგნით არსებული ურთიერთობის სფეროში. მამაკაცებისა და ქალების, უფროსებისა და უმცროსების, მშობლებისა და შვილების, მაზლებისა და რძლების ურთიერთდამოკიდებულება, ისევე როგორც აღზრდა, ქცევა, სტუმარ-მასპინძლობა და საზოგადოებაში თავის დაჭერა, ტრადიციული მამაპაპური ჩვეულებების გამოყენე-

ბით წესრიგდებოდა და ადათობრივი ნორმებით იყო განმტკიცებული.

როგორც უკვე ითქვა, შარიათის გავლენამ თავი იჩინა უფრო მეტად ოჯახის მმართველობისა და ქონების განაწილების სფეროში, მაგრამ საოჯახო საკუთრებაზე უფლებათა რეგულირებაში განსაზღვრელი როლი მაინც ტრადიციას ენიჭებოდა, რაც განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა ინგუშთა საოჯახო ყოფის შესწავლის შედეგად. ადათის მიხედვით, ოჯახის გაყრა მიზანშეწონილად ითვლებოდა მხოლოდ პირველი თაობის უხუცეს პირთა, ე. ი. მოწილე მამაკაცთა მშობლების გარდაცვალების შემდეგ. ასეთ ვითარებაში მშობლები თავისთავად გამოირიცხებოდნენ მოწილეთა რიგებიდან, მაგრამ XIX საუკუნის ლიტერატურაში გვხვდება ცნობები იმის შესახებაც, რომ მამა ერთ-ერთი მოწილის როლში გვევლინებოდა. ასეთ შემთხვევაში მშობლები თავიანთი კუთვნილი წილით საცხოვრებლად უმცროს შვილთან რჩებოდნენ და მამაპაპური სახლიც უმცროსი შვილის ხელში გადადიოდა, რითაც ის მომგებიან მდგომარეობას აღწევდა. ამ წესით ოჯახის გაყრა დამახასიათებელი იყო მოგვიანო პერიოდისათვის, XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის, როდესაც დიდი ოჯახი მოსპობის სტადიაში იმყოფებოდა. ადრინდელი ტრადიციული ჩვეულების შესაბამისად, ოჯახის გაყრის შემთხვევაში კი, რაც დასაშვებად ითვლებოდა მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მოწილეების საერთო თანხმობის საფუძველზე, სახლის ან მისი საუკეთესო ნაწილის მიკუთვნებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდნენ უფროს მოწილეს, როგორც განაყართა შემდგომი ერთობის განმასახიერებელსა და კულტის მსახურს. მამისთვის წილის გამოყოფის წესთან ერთად გვიანდელი ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება ქონების განაწილება ოჯახის წევრთა შრომითი წვლილის მიხედვით. აღნიშნული ვითარება იწვევდა ოჯახის წევრთა პირად დაინტერესებას, გამხდარიყვნენ თავისი ნაშრომ-ნაამაგარის ხელშეუხებელი მესაკუთრენი, ეს თავის მხრივ აღვივებდა მათ შორის მეტოქეობას და წინააღმდეგობას, ზრდიდა განკერძოების ტენდენციას და დიდი ოჯახის დაშლასაც აპირობებდა. დიდი ოჯახის დანაწილების შედეგად წარმოქმნილი ინდივიდუალური ოჯახები ერთიმეორის მეზობლად სახლდებოდნენ და პატრონიმიული უბნის სახით მჭიდრო ნათესაობრივ და, ნაწილობრივად, მეურნეობრივ ერთობას ინარჩუნებდნენ.

ვეინახების საოჯახო ყოფის შესწავლისათვის ეთნოგრაფიულად საყურადღებო აღმოჩნდა პანკისის ხეობა (შედის ახმეტის რა-

ინში), სადაც XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ჩაჩნებისა და ინგუშების დასახლება, მათ მიერ ქართული ენის ათვისება, გვარების გაქართულება, ქართულ ყოფასა და კულტურასთან ზიარება და, ყოველივე ამასთან ერთად, მშობლიური ენისა და რამდენადმე სახეშეცვლილი ტრადიციების შენარჩუნება. თან მოტანილ და დამხვდურ კულტურათა სინთეზის ნიადაგზე პანკისის ხეობაში ჩამოყალიბდა ორენოვანი ეთნიკური ერთეული ქისტების სახით. მათი საოჯახო ყოფის შესწავლის შედეგად, რაც პირველად მოცემულია ჩვენს ზემოხსენებულ ნაშრომში, გამოირკვა შემდეგი: პანკისელ ქისტებში დიდი ოჯახის არსებობა არ დადასტურდა, ვინაიდან მათი ჩამოსახლება დაემთხვა ამ ტიპის ოჯახის დაშლის ეტაპს როგორც ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ისე საქართველოში. ქისტებში ოჯახების უმრავლესობა აერთიანებდა ორ თაობას მშობლებისა და შვილების სახით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ რიცხობრივი შემადგენლობით, რაც განისაზღვრებოდა მშობლებთან შვილების ცხოვრების ხანგრძლივობით, ოჯახის ბუნებრივი მატებით (ბავშვების რაოდენობის ზრდა) და ხელოვნური ზრდით (რძლების რაოდენობა). ამგვარი მონაცემების მიხედვით ქისტებში დადასტურდა ორი ტიპის ინდივიდუალური ოჯახის არსებობა, რომელთაგან ერთი იყო მრავალრიცხოვანი ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო მეორე — მცირერიცხოვანი ინდივიდუალური ოჯახი; ორივე მათგანი ინარჩუნებდა დიდი ოჯახიდან მემკვიდრეობით მიღებულ ზოგიერთ ტრადიციას (უფროს-უმცროსობაზე დამყარებული ურთიერთობა, ქალისა და მამაკაცის უფლებრივი მდგომარეობა და სხვა). პირველ რიგში ამის დამადასტურებელია მრავალსულიან ინდივიდუალურ ოჯახში ძმებს შორის ქონების თანაბრად გაყოფის ჩვეულება, რაც დაქორწინებისთანავე მათი გაყრის დროს ხორციელდებოდა. მართალია, დაქორწინებისთანავე ძმების გაყრა საოჯახო თემის დაყოფისათვის შეუფერებელ ჩვეულებას წარმოადგენდა, რამდენადაც დიდ ოჯახს ახასიათებდა ძმების ხანგრძლივი გაუყრელობა და თაობათა სიმრავლე, მაგრამ ქონების თანაბრად გაყოფის ამ წესში, რომელსაც ინდივიდუალური ოჯახიც ინარჩუნებდა, შესაძლებელია დავინახოთ დიდი ოჯახისათვის ნიშანდობლივი ერთობლივი საკუთრების ანარეკლი.

ინდივიდუალური ოჯახის სულად შემადგენლობაზე რამდენადმე დამოკიდებული იყო მის შიგნით არსებული მმართველობისა და შრომის ორგანიზაციის ხასიათი. თუ ოჯახი მშობლებისა და მცირეწლოვანი შვილებისაგან შედგებოდა, ოჯახის ხელმძღვანელობაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შრომაც მხოლოდ მშობლებს ეკისრებოდათ. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც მშობლები და მათი სრულწლოვანი შვილები ამ უფროსნასკნელთა დაცოლშვილებამდე ან დაცოლშვილებიდან კიდევ რამდენიმე წლით მაინც ერთ ჭერქვეშ იცხოვრებდნენ, მათ შორის ფუნქციების განაწილების შესაძლებლობაც იქმნებოდა და ოჯახის მმართველობის სფეროშიც უფროს-უმცროსობის პრინციპი შედარებით გამოკვეთილ სახეს ღებულობდა. ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება აქ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, როგორსაც ჰქონდა ადგილი საოჯახო თემის შიგნით, მაგრამ ვინაიდან მრავალსულიან ინდივიდუალურ ოჯახშიც ადამიანების უფლება-მოვალეობათა ნორმები გამიჯნული იყო სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით, ხოლო ეს ნიშანი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დიდი ოჯახისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ქისტის ინდივიდუალურ ოჯახს ეს ტრადიცია დიდმა ოჯახმა უანდერძა.

პანკისის ხეობაში ოჯახის საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მრავალპროფილიანი მეურნეობა (მემინდვრეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მესაქონლეობა) და შინამრეწველობა. აქ დასახლების დასაწყისში ქისტებისათვის ცნობილი იყო უმთავრესად მთის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ხოლო მოგვიანებით ისინი ეუფლებიან მებოსტნეობასა და მებაღეობა-მევენახეობასაც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მემინდვრეობა და მებაღეობა-მევენახეობა ვითარდებოდა ხეობის ქვედა ზოლში (ბარში), სადაც მოხდა ქისტების უმრავლესობის დასახლება, ხოლო ხეობის სათავეებში უფრო ხელსაყრელი პირობები გააჩნდა მესაქონლეობას. ამის შესაბამისად, ბარის ზოლში მეურნეობის წამყვან დარგად წარმოგვიდგება მემინდვრეობა, ხოლო ხეობის სათავეებში — მესაქონლეობა.

ქართული ყოფისა და კულტურის ესოდენ დიდი გავლენის, უმთავრეს შემთხვევაში კი მისი შესისხლხორცების შედეგად, რაც გამოხატულებას პოულობდა მეურნეობის ზემოხსენებულ სახეობათა (ბარის მიწათმოქმედება, მებაღეობა-მევენახეობა) დაუფლებაში თუ ადგილობრივი მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტების (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დგამჭურჭელი...) ათვისებაში, ცვლილებებს განიცდიდა ქისტების საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა. საოჯახო ყოფის სფეროდან ამ მხრივ აღსანიშნავია ყალიმის თანდათანობით შემცირება, მრავალცოლიანობის გაიშვიათება, მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებათა შეზღუდვა, გარდაქმნა ან მოსპობა და რიგ შემთხვევაში მათ ნაცვლად

ოჯახში ქართული წესრიგის შემოტანა. ყოველივე ამის გამო, პანკისელი ქისტის ოჯახი სინკრეტულ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა, რომელსაც ახასიათებდა თავდაპირველი ვეინახური ადათის, მასში შემოჭრილი შარიათის კანონებისა და შემდგომში შეთვისებული ქართული ტრადიციების თანაარსებობა.

ჩვენი მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ვეინახთა საოჯახო ყოფას კიდევ რამდენიმე ავტორი შეეხო. ნაშრომში, რომელიც პანკისის ხეობაში დასახლებული ქისტების ყოფისა და კულტურის თითქმის მთლიან მიმოხილვას მოიცავს, ლ. მარგოშვილი საოჯახო ყოფის სფეროდან მოკლედ აღწერს უმთავრესად ოჯახის შიგნით არსებული ურთიერთობის სურათს და ზოგიერთ იმ ტრადიციას, რომელსაც ქისტები აქ დასახლების დღიდან ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ. საოჯახო ყოფის ზოგი ნიშან-თვისების ამ მოკლე მიმოხილვაში დადასტურებულია ჩვენ მიერ დადგენილი ვითარება, რომ ქისტებში აღარ მისდევდნენ მრავალი თაობის გაუყოფელად ცხოვრების წესს, ისინი ცხოვრობდნენ ინდივიდუალურ ოჯახებად, მაგრამ იცავდნენ ძველ პატრიარქალურ რეჟიმს, რაც აშკარად ვლინდებოდა ცოლისა და ქმრის, მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში და ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილებაში[2].

პანკისელი ქისტების შესახებ მსჯელობა იმით შეიძლება დავამთავროთ, რომ მათი საოჯახო ყოფის, კერძოდ, საოჯახო საკუთრების ელემენტებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ურვადის გადახდის წესი, რომლის შესწავლას სპეციალური წერილი მიუძღვნა ლ. მელიქიშვილმა[3].

ჩაჩნების საოჯახო ყოფის ძირითად საკითხებს სპეციალურ ნაშრომში განიხილავს მ. ისმაილოვა. ადგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, მასში შესწავლილია ოჯახის შემადგენლობა, მეურნეობრივი საფუძვლები, მმართველობა, ფუნქციების განაწილება და ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობა. აღნიშნული საკითხების განხილვისას გათვალისწინებულია როგორც ადათობრივი ნორმები და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე მათი ცვალებადობა, ისე შარიათის გავრცელების შედეგად შემოტანილი წეს-

---

[2] Л. Маргошвили, Кисты Панкиси, Автореферат канд. дисс., Тб., 1969, 22—24.

[3] ლ. მელიქიშვილი, ურვადი პანკისის ხეობის ქისტებში, „საისტორიო კრებული“ (ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები), IV, თბ., 1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი და, ამის შედეგად, საოჯახო ყოფაში მომხდარი ცვლილებები ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მსგავსად, მ. ისმაილოვას მიერ თავმოყრილი მასალიდანაც კარგად გამოჩნდა, რომ ჩაჩნეთში დიდი ოჯახის რღვევის პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ინგუშეთში და გაუყრელი ოჯახი აქ XIX საუკუნეში შედარებით იშვიათი გამონაკლისის სახით იყო შემორჩენილი[4]. მაგრამ აღნიშნული ვითარება როდი ქმნის იმის საფუძველს, რომ დიდი ოჯახების არსებობა შუასაუკუნეების ჩაჩნეთშიაც გამოვრიცხოთ და მრავალსართულიანი კომპლექსები, რომლებშიც ასეთი ოჯახები ცხოვრობდნენ, ინდივიდუალური ოჯახების კუთვნილ ნაგებობად გამოვაცხადოთ. ასე დაემართა ს. უმაროვს, რომლის წარმოდგენით, ჩაჩნეთის მთიანეთში თავდაპირველი ტიპის სახლს წარმოადგენდა დიდი ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილი მრავალკამერიანი ციხე-სახლი, რომელიც თანდათანობით შეცვალა პატარა ოჯახის ერთკამერიანმა საცხოვრებელმა ნაგებობამ[5].

ს. უმაროვის მიერ თავდაყირა წარმოდგენილი სურათისაგან განსხვავებით, გ. გეგეჭკორმა ჩაჩნურ-ინგუშური საცხოვრებლების მონოგრაფიული შესწავლის შედეგად გვიჩვენა, რომ დაუნაწევრებელი საცხოვრებელი ფართობის მქონე ციხე-სახლები და წა ტიპის სახლები დიდხანს ინარჩუნებდნენ დამლის სტადიაზე მყოფი დიდი ოჯახების საცხოვრებელთა ფუნქციებს. საცხოვრებლის ფართის სეგმენტაცია ხდებოდა დიდი ოჯახის ინდივიდუალურ ოჯახებად დაყოფასთან დაკავშირებით, რის შედეგად განაყრები ერთიმეორის მეზობლად სახლდებოდნენ და ერთ პატრონიმიულ უბანს ქმნიდნენ[6].

ასეთნაირად წარმოგვიდგება საკითხის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით გამოჩნდა ოჯახის სხვადასხვა სახეობათა ძირითადი კომპონენტები, გაირკვა ვეინახებში შემავალი ცალკეული ეთნიკური ერთეულების (ინგუშები, ჩაჩნები, ქისტები) საოჯახო ყოფისათვის ნიშანდობლივი საერთო თუ სპეციფიკური თავისებურებანი და დადგენილ იქნა ის მიზეზები, რაც ამ სპეციფიკური ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებას აპირობებდა.

---

[4] М. Исмаилова, Из истории семейного быта чеченцев—состав семьи, „მაცნე“, 1970, № 6; მისივე, Семейный быт чеченцев в прошлом, Автореферат канд. дисс., Баку, 1971.

[5] С. Умаров, Средневековая материальная культура горной Чечни XIII—XVII вв. Автореферат канд. дисс., М., 1970.

[6] Г. Гегечкори, Горные жилые комплексы Чечено-Ингушетии, Автореферат канд. дисс., Тб., 1970.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VII. დაღესტნის მოსახლეობის საოჯახო ყოფის საკითხები ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში

ჩრდილო კავკასიის ხალხთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ოჯახი, ხოლო მათ შორის პირველობა ეკუთვნის დაღესტნურ ჯგუფს. დაღესტანი კავკასიაში გამოირჩევა ეთნიკური დანაწევრებითა და ენათა სიმრავლით. ტყუილად ხომ არ უწოდებდნენ მას „მთების ქვეყანას“ და „ენათა მთას“. აქ ცხოვრობს დაახლოებით 30 დასახელების ხალხი და ეთნოგრაფიული ჯგუფი საკუთარი ენებითა და 70-ზე მეტი დიალექტით. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა ენობრივად ეკუთვნის საკუთრივ კავკასიის, ხოლო ნაწილობრივად თურქულენოვან და ირანულენოვან ხალხებს. დაღესტნის იბერიულ-კავკასიური ენების ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა. ესენია 1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, 2. დარგუული და ლაკური, 3. ლეზგიური. ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთაგან სიმრავლით გამოირჩევიან ხუნძები ანუ ავარები, დარგინელები, ლეკები და ლაკები. მათი რიცხობრივი სიმრავლის შესაბამისად, დაღესტნის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე გავრცელებულია ხუნძური ანუ ავარიული ენა, რომელიც გამოყენებულია ურთიერთობის საშუალებად მთელ დასავლეთ დაღესტანში მცხოვრებ ტომთათვის. ამის შემდეგ გავრცელების მასშტაბით ერთიმეორეს მიყვებიან დარგუული, ლეზგიური და ლაკური ენები. დაღესტანში თურქულენოვან ხალხს ეკუთვნიან ყუმუხები და ნოღაელები, ხოლო ირანულ-ენოვანს — მთის ებრაელები[1]. ასეთი ეთნიკური მრავალფეროვნებითა და მრავალენოვანებით დაღესტანი ერთერთი უნიკალური მხარეა არათუ კავკასიაში, არამედ მთელ მსოფ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, 369—371; ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1969, 4; А. Даниялов, Народы Дагестана (вступительная глава), «Народы Кавказа», I, М., 1960, 403—404; თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, 3—11.

ლიოში. ყოველივე ეს თავისთავად მეტყველებს თუ რაოდენ საინტერესოა ეს რეგიონი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, კერძოდ, საოჯახო ყოფის თავისებურებებით, რომლის კვლევა XIX საუკუნიდან დაიწყო და დღემდე შეუნელებელი ინტერესით მიმდინარეობს.

XIX საუკუნის მკვლევართაგან დაღესტნის ხალხთა საოჯახო ყოფის ზოგიერთ მხარეს გვაცნობენ ნ. დუბროვინი და მ. კოვალევსკი. ნ. დუბროვინი ეხება რა საქორწინო ურთიერთობის ნორმებს, საცხოვრებელ ნაგებობათა სოციალურ დანიშნულებას (ოჯახის სამყოფი ოთახი, საყონალო), ოჯახში სტუმრის მიღების წესს და რიგ სხვა საკითხს, საოჯახო ყოფის სფეროდან აღწერს შრომის ორგანიზაციის ხასიათს საქალებო და სამამაკაცო საქმიანობათა მიხედვით, ოჯახის მმართველობის ზოგიერთ მომენტს და მემკვიდრეობის წესს.

ნ. დუბროვინის ნაშრომის მიხედვით, დაღესტანში საქალებო და სამამაკაცო საქმიანობათა აშკარა გამიჯნულობის პირობებში, განსაკუთრებით მძიმე შრომას უძღვებოდა ქალი. მის მოვალეობას შეადგენდა ბავშვების აღზრდა, ოჯახისა და საქონლის მოვლა, ქსოვა, კერვა, მინდვრად მუშაობა და ტყიდან შეშის მოტანაც კი. ეს მაშინ, როდესაც მამაკაცს მხოლოდ ხვნა-თესვა და თიბვა ეკისრებოდა. თვით თივის ფოცხვაც ისევ ქალებს უწევდათ[2].

ავტორის დაკვირვებით, მამაკაცის პრიორიტეტი ასევე შესამჩნევი იყო ქონების გაყოფის დროს. ამის საბუთად იგი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გლეხთა წრეში უვაჟოდ დარჩენილი ოჯახის ქონება გადადიოდა ახლო ნათესავი მამაკაცების ხელში და თვით ამ ოჯახის ქალები ხელცარიელნი რჩებოდნენ, ვინაიდან ისინი მოკლებულნი იყვნენ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას. ჩვეულებისამებრ კი, როდესაც ოჯახში იმყოფებოდნენ მემკვიდრეები ვაჟების სახით, ქონებას იყოფდნენ ოჯახის მდგომარეობის შესაბამისად. ოჯახი თუ მშობლების სიცოცხლეშივე გაიყრებოდა, შვილებს შორის ქონების განაწილება მშობლების გადაწყვეტილებით ხდებოდა. მშობლებიდან ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის გაყრის შემთხვევაში კი შვილები ჯერ გამოყოფდნენ მამის ქონებიდან დედის წილს ანდა, პირიქით, დედის ქონებიდან მამის წილს, ხოლო დანარჩენს თანაბრად იყოფდნენ. ქონებაზე მემკვიდრეობის უფლე-

---

[2] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПб., 1871, 551.

ბა არ ჰქონდათ: უკანონო შვილებს, მშობლის მკვლელს ან ქრისტიანული სარწმუნოების მიმღებსა და ამ მიზეზით საზოგადოებიდან გაძევებულ კაცს. შარიათის კანონით განსაზღვრული იყო ქალის უფლებებიც. დას ეძლეოდა ძმისთვის კუთვნილი წილის 1/3 ე. ი. ერთი ძმა და ორი და ქონებას შუაზე იყოფდნენ. მდგომარეობა გათანაბრებული იყო დების სიმრავლის შემთხვევაში, ხოლო უძმო ოჯახში ქონებას დები ინაწილებდნენ[3].

დაღესტნის მთიელებში საოჯახო საკუთრებისა და ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლისათვის ნ. დუბროვინის შრომიდან უფრო მეტად საყურადღებოა ეთნოგრაფიული მონაცემები ყუმუხების შესახებ. ავტორის ყურადღება მიუქცევია, პირველ რიგში, იმ გარემოებას, რომ საქორწინო კავშირის დამყარება და ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრებოდა წოდებრივი მდგომარეობით[4]. მას მიაჩნია, რომ ქონება, რომელსაც ქალი გათხოვების დროს ღებულობდა თავისი მამის სახლიდან საქორწილო საჩუქრებისა და ფულის სახით, ხოლო საქმროს ოჯახიდან ყალიმის სახით, წარმოადგენდა ქალის ხელშეუხებელ საკუთრებას. წოდებრივი მდგომარეობის შესაბამისად ქმრისაგან მიცემული თანხა გათვალისწინებული იყო ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში ქალის უზრუნველსაყოფად. ქმარი ამ თანხას გამოიყენებდა მხოლოდ ცოლის ნებართვით. გაყრის ან დაქვრივების შემდეგ ქალს ამ თანხით მამის სახლში დაბრუნება შეეძლო. სხვა სახის ქონებას ქმრის ოჯახიდან ის ვერ გაიტანდა[5].

ნ. დუბროვინი გაკვრით ეხება აგრეთვე ოჯახში ქალის უფლებრივ მდგომარეობასაც. მას შექმნია შთაბეჭდილება, რომ ყუმუხებში ქალი ისე დაჩაგრული არ იყო, როგორც კავკასიის სხვა მთიელებში. სადიასახლისო საქმეში ის სრულუფლებიან დიასახლისად ითვლებოდა და ქმარი მის ფუნქციებში არ ერეოდა. ქმარს ასევე სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა ცოლის დატვირთვა ქალისთვის შეუფერებელი მძიმე შრომით. სამაგიეროდ, ცოლი ქმარს უყოყმანოდ ემორჩილებოდა და მამაკაცის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის ზოგჯერ თავის აშკარა უპირატესობასაც ჩქმალავდა[6].

ნ. დუბროვინის აღწერილობის თანახმად, ყუმუხებში ოჯახის

---

[3] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, 599.

[4] იქვე, 637.

[5] იქვე, 638.

[6] იქვე, 639.

წევრთა ურთიერთობა ემყარებოდა უფროს-უმცროსობის ტრადიციულ პრინციპს უფროსის პრიორიტეტის შენარჩუნებით. მამის ძალა-უფლება აქ უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე ჩაჩნეთში. ის ითვლებოდა რა ქონების სრულუფლებიან მესაკუთრედ, შვილს არ ჰქონდა ცალკე გამოყოფისა და წილის მოთხოვნის უფლება. შვილი მხოლოდ მამისაგან ნაწყალობევ ულუფას უნდა დასჯერებოდა. მამაზე იყო დამოკიდებული მისადმი უყოყმანო მორჩილებაში მყოფი ქალიშვილების ბედის განსაზღვრაც. ადათის მიხედვით ქალს არავითარი წილი არ ეკუთვნოდა, მაგრამ რამდენადაც ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე მამა იყო, ხოლო ის შარიათის ნორმებით ხელმძღვანელობდა, ამის შესაბამისად, ქალიშვილსაც აძლევდა ვაჟისთვის კუთვნილი წილის 1/3-ს. იმ შემთხვევაში კი, თუ ოჯახის გაყოფა მამის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა, ქალიშვილი წილს ვეღარ მიიღებდა. სამაგიეროდ, ძმებს ევალებოდათ მისი შენახვა და გამზითვება. ყოველივე ამის აღწერის შემდეგ ნ. დუბროვინი დაასკვნის, რომ დაღესტანში ქონებაზე მემკვიდრეობის ისეთივე წესი არსებობდა, როგორიც ჩაჩნეთში, რომლის მიზეზად მას მიაჩნია შარიათის ნორმების დანერგვა[7].

ნ. დუბროვინის ცნობები დაღესტნელთა საოჯახო ყოფის შესახებ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი გვაცნობს ადათობრივი წესებისა და შარიათის ნორმების თანაარსებობას. ამ თვალსაზრისით, დაღესტნელთა საოჯახო ყოფა განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან კავკასიაში დაღესტანი წარმოადგენდა მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების მთავარ კერას, რაც შეეხება თვით ოჯახის ფორმებს და ოჯახის ისტორიული განვითარების საფეხურებს, ამის შესახებ ნ. დუბროვინის ნაშრომი თითქმის არაფერს გვაძლევს. ამ მხრივ საკითხს მ. კოვალევსკიმაც ბევრი ვერაფერი შემატა. იგი ჯერ იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდა, რომ დაღესტანში იმ დროს დიდი ოჯახი იშვიათადღა არსებობდა და ყველა თავისთვის დაბინავებას ცდილობდა[8], ხოლო შემდეგ თავისი მსჯელობა იმითი ამოწურა, რომ ოჯახების გაყრა შედარებით გვიან შემოიღესო[9].

საოჯახო ყოფას ასევე გაკვრით შეეხო ყუმუხი ეთნოგრაფი მანაი ალიბეკი, რომელმაც აღნიშნა, რომ XIX საუკუნის დასასრულ-

---

[7] Н. Дубровин, დისახ. ნაშრომი, 639—640.

[8] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, М., 1890, 192.

[9] იქვე, 205.

სა და XX საუკუნის დასაწყისში ყუმუხური ოჯახის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა მამის სიცოცხლეში შვილების გაუყრელობა, მამისადმი მათი უყოყმანო მორჩილება და ის, რომ მამის სიცოცხლეში გაუყოფლად ცხოვრების დროს შვილები არაფერს არ თვლიდნენ თავიანთ საკუთრებად[10].

საბჭოთა ეთნოგრაფიაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, ეს არის მ. კოსვენის მიერ სახელდებული სამამო ანუ მამისუფლებიანი დიდი ოჯახი, რომელსაც ახასიათებდა შედარებით მცირერიცხოვანი შემადგენლობა (15-20 სული) და მამის დესპოტური უფლებების ზრდა[11].

XIX საუკუნის დაღესტნის საზოგადოებრივი წყობის დახასიათებისას ჰ. ხამაევი უარყოფს რა რევოლუციამდელ მკვლევართა თვალსაზრისს სოციალური ინსტიტუტების შესახებ, ერთ-ერთ ნაკლად თვლის საოჯახო და საგვარეულო თემების არსებობის აღიარებას მათი გადმონაშთური სახეობის მხედველობაში მიუღებლად. მისი შეხედულებით, XIX საუკუნის დაღესტანში ძირითად ერთეულს წარმოადგენდა პატარა (ინდივიდუალური) ოჯახი. მისივე მტკიცებით, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ დაღესტანი შორეულ წარსულში საოჯახო და საგვარო თემსაც იცნობდა, მაგრამ XIX საუკუნეში საოჯახო თემი მხოლოდ გადმონაშთური ფორმით არსებობდა. ასეთი ოჯახები ცხოვრობდნენ ვეებერთელა სახლებში, რომლებიც ჩვენს დრომდე შემოინახა. ავტორს მნიშვნელოვან საბუთად მიაჩნია დიდი და პატარა ოჯახების აღმნიშვნელ განსხვავებულ სახელწოდებათა არსებობაც. დიდი ოჯახის გადმონაშთური სახეობის ძირითად ნიშნებად მკვლევარი თვლის ერთობლივ მეურნეობას, საერთო წარმოებას და კოლექტიურ მოხმარებას, დემოკრატიულ მმართველობას მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობით და ოჯახის უფროსის ხელმძღვანელობით. იქვე მითითებულია, რომ მმართველობის ზემოაღნიშნული სისტემა ისტორიულად არსებული საოჯახო თემისათვის ყოფილა დამახასიათებელი. რაც შეეხება XIX საუკუნეში შემორჩენილ დიდ ოჯახს, მასში დანერგილა დესპოტური მმართველობა, რასაც ავტორი ისლამის გავლენით ხსნის[12].

საოჯახო თემისა და სხვა ნათესაურ გაერთიანებათა სტრუქტურის საკითხები განხილულია რ. მაგომედოვის შრომებში. ერთ-ერთ

---

[10] М. Алибек, Адаты Кумыков, Махачкала, 1927, 31.

[11] С. Гаджиева, Кумыки, М., 1961, 254.

[12] Х. М. Хашаев, Общественный строй Дагестана в XIX веке, М., 1961, 220—221.

მათგანში მკვლევარმა სცადა დაემტკიცებინა, რომ თუხუმი, რომელიც მ. კოვალევსკიმ იროკეზული გვარის ანალოგიურ ერთეულად მიიჩნია[13], სინამდვილეში წარმოადგენდა არა გვარს, არამედ საოჯახო თემს, დიდ პატრიარქალურ ოჯახს[14]. მისივე შეხედულებით, რუსეთთან შეერთების პერიოდისათვის დაღესტნის ხალხთა უმრავლესობაში საოჯახო თემის ინსტიტუტი უკვე მოშლილი იყო. ამ ეპოქის დაღესტანში, ისევე როგორც კავკასიის მთიანეთში საერთოდ, საოჯახო თემი მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობდა[15].

რ. მაგომედოვის შეხედულებას საოჯახო თემის დაშლისა და გადმონაშთური ფორმით მისი შემონახულობის შესახებ იზიარებს ა. ფადეევი, როდესაც მიმოიხილავს ლიტერატურას კავკასიის მთიელთა სოციალური წყობის შესახებ. ამ შეხედულების მართებულობის საფუძვლად ა. ფადეევს მიაჩნია ის გარემოება, რომ XIX საუკუნის დამდეგისათვის მთელ ჩრდილო კავკასიაში სისხლით ნათესაობაზე დამყარებული გაერთიანებანი ადგილს უთმობდნენ ტერიტორიულ თემს, რომელშიც შეჭრილი იყო სოციალური უთანასწორობა და სათემო საკუთრებასთან ერთად გამოკვეთილ სახეს ღებულობდა ინდივიდუალური საოჯახო საკუთრება[16]. ა. ფადეევის მიერ გაზიარებული ეს შეხედულება დავას არ იწვევს, მაგრამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა რ. მაგომედოვის მტკიცებამ თუხუმისა და საოჯახო თემის იდენტურობის შესახებ. თუხუმის შემდგომი დაკვირვებითი შესწავლის საფუძველზე ს. გაჯიევამ დაასაბუთა, რომ ამ საზოგადოებრივი ჯგუფის გაიგივება არ შეიძლება არც გვართან და არც საოჯახო თემთან, ვინაიდან თუხუმი წარმოადგენდა ნათესავების გაერთიანებას, პატრონიმიული ორგანიზაციის სახესხვაობას[17]. ამის შესახებ შემდგომში კიდევ უფრო გამოკვეთილად ითქვა დაღესტნის ხალხთა კულტურისა და ყოფის შესწავლისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელი ხასიათის კრებულში. მის მეოთხე თავში, რომელშიც მოცემულია საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების

---

[13] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, 147.

[14] Р. Магомедов, К вопросу о семейной общине в Дагестане, «Труды II научной сессии дагестанской научно-исследовательской базы АН СССР» Махачкала, 1949, 85.

[15] Р. Магомедов, Общественно-экономический и политический строй Дагестана в XVIII — начале XIX в., Махачкала, 1957, 127.

[16] А. Фадеев, დასახ. ნაშრომი, 133.

[17] С. Гаджиева, К вопросу о тухуме и большой семье у каякентских кумыков, КСИЭ , XIV, М., 1952, 78.

მიმოხილვა, მ. აგალაროვი ტრადიციული საზოგადოებრივი ყოფის სათვის დამახასიათებელ კომპონენტებად თვლის ჯამაათს (სასოფლო თემს) და თუხუმს. აქ მოცემული კვალიფიკაციის თანახმად, ჯამაათის შემადგენლობაში შედიოდა ორიდან ათამდე ან მეტი თუხუმი, ხოლო თითოეულ თუხუმში გაერთიანებული იყო აგნატური ნათესაობის წრე. თუხუმის წევრებს აკავშირებდათ სოლიდარობა სამეურნეო, საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ისე, რომ საკუთრების მხრივ ყველა მათგანი სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა[18].

ზემოხსენებულ ნაშრომში წამოყენებული თვალსაზრისი ს. გაჯიევამ განავითარა დაღესტნელთა საოჯახო ყოფის შესწავლისადმი განკუთვნილ სპეციალურ შრომებში. ადრინდელ გამოკვლევებში იგი უმთავრესად ეხება ყუმუხთა საოჯახო ურთიერთობის საკითხებს[19], რაც მოკლედ ასახა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის ზოგადი მიმოხილვის იმ მონაკვეთში, რომელიც საკუთრივ ყუმუხების ყოფისა და კულტურის დახასიათებას ითვალისწინებს[20]. საკითხის შემდგომი კვლევა ავტორმა გააფართოვა მთელი დაღესტნის მასშტაბით და ერთ-ერთ მონოგრაფიაში[21] შეისწავლა დაღესტნის ხალხთა საოჯახო ყოფა მისი ძირითადი კომპონენტებისა და ოჯახის ცალკეული ტიპების ძირითადი ნიშნების მიხედვით. ამ შრომებში მოცემული კვლევის შედეგები მკვლევარმა შეაჯამა ზემოთ დასახელებულ განმაზოგადებელ კრებულში, რომელიც მისი რედაქციით გამოიცა, ხოლო მის მიერვე დაწერილი მესამე თავი მთლიანად დაეთმო როგორც რევოლუციამდელი საოჯახო ყოფის, ისე საბჭოთა ოჯახის სტრუქტურის შესწავლას[22].

ყველა ამ ნაშრომში, მათ შორის კი მეტადრე საკითხის მონოგრაფიულ კვლევაში და შემაჯამებელ მიმოხილვაში, საოჯახო ყოფის დახასიათებისათვის ს. გაჯიევა ითვალისწინებს იმ ფრიად

---

[18] «Современная культура и быт народов Дагестана» (Авторский коллектив: С. Гаджиева, М. Османов, А. Исламмагомедов, М. Агаларов, С. Асиятилов, С. Агаширинова), М., 1971, 212—214.

[19] С. Гаджиева, Каякентские кумыки, КЭС, II, М., 1958, 64—65; მისივე, О семейных отношениях кумыков в XIX в., УЗДФ АН СССР, IV, Махачкала, 1958, 183—211; მისივე, Кумыки, 252—259.

[20] «Народы Кавказа», I, 434—436.

[21] С. Гаджиева, Семья и семейный быт народов Дагестана, Махачкала, 1967.

[22] «Современная культура и быт народов Дагестана», 153—211.

მნიშვნელოვან გარემოებას, რომ დაღესტანს, ისევე როგორც მეზობელ რუსეთის მრავალ სხვა განაპირა ნაციონალურ მხარეს, ოქტომბრის რევოლუციის პერიოდისათვის განვლილი არ ჰქონია განვითარების კაპიტალისტური სტადია. ოქტომბრის რევოლუციამ ამ მხარეს ისეთ ვითარებაში მოუსწრო, როდესაც აქ ბატონობდა მნიშვნელოვანწილად პატრიარქალურ-გვაროვნული ყოფის გადმონაშთებთან გადახლართული ფეოდალური ურთიერთობანი. რუტინულ ტექნიკაზე დამყარებული მეურნეობა ნახევრად ნატურალური ხასიათისა იყო. მიწათმოქმედებასა და მიწათმფლობელობაში ადგილი ჰქონდა ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმების თანაარსებობას — დაწყებული თემურით და გათავებული კაპიტალისტურით. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ, რომელიც ვითარდებოდა ოქტომბრის რევოლუციამდე და უკვე შესამჩნევ გავლენას ახდენდა ეკონომიკის ყველა დარგზე, განსაკუთრებით ზღვისპირა დაღესტანში, ვერ მოასწრო გაბატონებული მდგომარეობისათვის მიღწევა. XIX საუკუნის შუა პერიოდამდე დაღესტანი პოლიტიკურად ერთიანი არ იყო. მის ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდნენ ერთმანეთისადმი მტრულად დაპირისპირებული და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით ერთმანეთისაგან განსხვავებული ფეოდალური ხასიათის პოლიტიკური წარმონაქმნები. საუკუნეების განმავლობაში არსებულმა ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, ხალხთა შორის მტრობამ და გათიშულობამ შეაფერხა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარება. აღნიშნული ვითარება აპირობებდა ხანგრძლივ კულტურულ ჩამორჩენილობას დაღესტნელ მთიელებში, რომელთა მსოფლმხედველობა ისლამის დოგმებით იყო გაჟღენთილი. ს. გაჯიევას შეხედულებით, ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა დაღესტნის ხალხთა რევოლუციამდელ საოჯახო ყოფაში, რომელიც ხასიათდებოდა მრავალი არქაული ნიშნით.

ოჯახის ფორმებზე მსჯელობის წყაროდ ს. გაჯიევა იყენებს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიულ მასალას, რომლის ანალიზის საფუძველზე, მისი ყველა ნაშრომის მიხედვით, დაღესტნელთა საოჯახო ყოფისათვის ნიშანდობლივ მთავარ მომენტად გვესახება XIX საუკუნის ბოლომდე დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა იმის თვალნათლივ ჩვენებით, რომ დიდი ხნიდან არსებულ ძირითად ერთეულს წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო დიდი ოჯახი არსებობას ინარჩუნებდა როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილობითი წყაროების უქონლობის გამო მკვლევარს შეუძ-
ლებლად მიაჩნია დაღესტნის ხალხთა შორეულ წარსულში ჩამ-
ბული დიდი ოჯახის სახელწოდების დადგენა, მაგრამ ხალხის მეხსი-
ერებაში შენახული ცნობების საფუძველზე იგი ჩამოთვლის მთელ
რიგ საინტერესო სახელწოდებებს, რომლებიც აშკარად გვიჩვენე-
ბენ ერთობისა და გაუყოფლობის ფაქტს დიდი ოჯახის არსებობის
გვიანდელ საფეხურზე. ამასთან ერთად, ს. გაჯიევა გვაცნობს ღღვე-
ვის საფეხურზე გადმონაშთის სახით არსებული დაღესტნური დი-
დი ოჯახის ძირითად კომპონენტებს, რომელთაგან პირველია ახლო
ნათესავების სამ-ოთხ თაობამდე გაუყოფლად ცხოვრება 24-25, ხო-
ლო შედარებით იშვიათად 45-47 სულის სახით. ოთხ თაობაზე მეტის
ერთად ცხოვრების უშუალო კონკრეტული მაჩვენებლები ავტორს
საველე ეთნოგრაფიული მასალით ვერ დაუდასტურებია, მაგრამ
მოპოვებული ცნობების რეტროსპექტული ანალიზისა და სხვა მო-
ნაცემების (გადმოცემები ოჯახების შესახებ, საცხოვრებელი ნაგე-
ბობანი, დასახლების ფორმები) მიხედვით ვარაუდობს, რომ იმ
პერიოდში, როდესაც მეურნეობას ახასიათებდა იზოლირება და კარ-
ჩაკეტილობა, დიდი ოჯახი დაღესტანში ნათესავთა უფრო ფართო
წრეს აერთიანებდა და ხუთი-ექვსი თაობა გაუყოფლად ცხოვრობ-
და[23]. ს. გაჯიევა აქვე ეხება დიდ ოჯახს ფეოდალთა წრეში, რომლის
შემადგენლობაში ერთი მამის სამ-ოთხმუხლიან შთამომავლობას-
თან ერთად შედიოდნენ მონები (რაიონებში, სადაც გავრცელებუ-
ლი იყო პატრიარქალური მონობა), ფეოდალის შინამოსამსახურეე-
ბი და სხვ. ს. გაჯიევას აზრით, ასეთი შემადგენლობის მქონე და-
ღესტნურ დიდ ოჯახს სავსებით მიესადაგება სამხრეთსლავური ზად-
რუგას ფ. ენგელსისეული დახასიათება.

საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის იმ ეტაპზე, რომლის
შესწავლა ხდება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეთნოგრაფიული
მასალების მიხედვით, ავტორი კანონზომიერ მოვლენად თვლის ერთ
ოჯახად მცხოვრები ნათესავების წრის თანდათანობით შემცირებას.
მისი აზრით, აღნიშნული ვითარება განპირობებული იყო დაღეს-
ტნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით, კერძო საკუთ-

---

23 აზრი იმის შესახებ, რომ ოჯახი ექვს თაობამდე გაუყოფლად ცხოვრობდა, არ შეეხება ყველა თაობის წევრთა ერთდროულად, ერთ სახლში ყოფნას. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ასეთი შინაარსის მქონე სხვა გადმოცემებში, იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც წინა თაობის წარმომადგენლები გარდაცვლილან, ხოლო მიმდევნო თაობები გაუყოფლად ცხოვრებას განაგრძობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გაფართოებისა და კლასობრივი დიფერენციაციის საყოველთაო პროცესით და, საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში მომხდარ ცვლილებებთან ერთად, თვით საოჯახო თემის ხასიათის შეცვლით.

აღნიშნული სახეობის დიდ ოჯახს მეთაუროობდა მშრომელი, ცხოვრებაში გამოცდილი, მეურნეობის საუკეთესო მცოდნე და საერთო საქმის ხელმძღვანელობის უნარით აღჭურვილი უფროსი მამაკაცი, ჩვეულებისამებრ, მამა ან პაპა, რომლის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთაურის ადგილს იკავებდა მომდევნო ხნით უფროსი მამაკაცი — მისი ძმა ან უფროსი შვილი. ოჯახის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა მამაკაცთა შორის ფუნქციების განაწილება ასაკისა და უნარის შესაბამისად. მასვე ჰქონდა ჩაბარებული ოჯახის დოვლათი და ის განაგებდა შემოსავალ-გასავლის საქმეს. მისი გადაწყვეტილება კანონად ითვლებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე ის ოჯახის სხვა წევრებთანაც თათბირობდა. ს. გაჯიევას დაკვირვებით, ოჯახის უფროსის დესპოტური უფლებები განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი ოჯახის არსებობის გვიანდელ საფეხურზე. მას, როგორც განუსაზღვრელი ძალა-უფლების მქონე მბრძანებელს, ყველა უყოყმანოდ ემორჩილებოდა. ეს ერთპიროვნული ძალაუფლება იმდენად გაღრმავებულა, რომ ნებისმიერი რძლის დაწუნება და ოჯახის წევრისთვის სხვა ქალის ცოლად მოყვანაც კი მის ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული. აღნიშნული ვითარების დამადასტურებელია ისიც, რომ მას შეეძლო ოჯახის უმცროს წევრთა ფიზიკურად დასჯა, ხოლო ოჯახის უფროსის ერთპიროვნული ძალა-უფლების ყველაზე უფრო ნათელი სურათი ჩანს საკუთრების ხასიათში, რამდენადაც საოჯახო ქონების მესაკუთრედ ის ითვლებოდა. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ს. გაჯიევა შენიშნავს, რომ ოჯახის უფროსი სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების გარეშე საკითხის გადაწყვეტას გაურბოდა, ვინაიდან საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევა და განსაზღვრული საოჯახო ეტიკეტის უგულვებელყოფა აუგად ითვლებოდა.

ოჯახის უფროსი განსაკუთრებით ერიდებოდა ქალთა საქმიანობაში ჩარევას, რომელსაც უშუალოდ განაგებდა დიასახლისად გამოყოფილი უფროსი ქალი, ჩვეულებისამებრ, ბებია. დიასახლისის ხელთ იყო საწყობისა და ზანდუკის გასაღებები და პროდუქტების ხარჯვაც მას ჰქონდა მინდობილი, მაგრამ ოჯახიდან დიდი ხარჯის გაღება მას არ შეეძლო ოჯახის უფროსთან შეთანხმების გარეშე. უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსი ქალის მოადგილედ ითვლებოდა მომდევნო ხნით უფროსი რძალი, რომელსაც საჭმელის მომზადება ევალებოდა. ახალგაზრდა რძლების მოვალეობას შეადგენდა პურის ცხობა, წყლის მოტანა, სისუფთავის დაცვა, ძროხების მოწველა და სხვა, ხოლო რძლებს შორის ყველაზე დიდი შრომა პატარძალს უწევდა. ქალთა შორის ფუნქციების განაწილებაც ასაკის მიხედვით განისაზღვრებოდა. დიასახლისად გამოყოფილი უფროსი ქალი უმთავრესად ოჯახის უფროსის მეუღლე იყო, რომლის შემდეგ ეს მოვალეობა დაეკისრებოდა მომდევნო უფროს რძალს. რძლებს შორის უფროსობა კი განისაზღვრებოდა არა მათი წლოვანების, არამედ მათი ქმრების ასაკის მიხედვით. ამის შესაბამისად, შეიძლებოდა უფროსი დიასახლისის ადგილი დაეჭირა ხნით უმცროს რძალს, თუკი ის ხნით უფროსი ძმის ცოლი იქნებოდა.

დიდი ოჯახის არსებობის გვიანდელ პერიოდში ს. გაჯიევა გამორიცხავს უფროსის არჩევის წესს, ვინაიდან, არსებული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ყოფილ უფროსს, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, მომდევნო ხნით უფროსი მამაკაცი სცვლიდა, რომლის კანდიდატურას უმთავრესად ყოფილი უფროსი ასახელებდა. ოჯახის უფროსის უახლოეს თანაშემწედ ითვლებოდა დიასახლისად გამოყოფილი უფროსი ქალი, რომელიც ზოგჯერ ოჯახის მეთაურიც ხდებოდა, ხოლო მეურნეობის წარმოებაში მას უფროსი შვილი ეხმარებოდა.

ს. გაჯიევას შრომები ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ ოჯახის უფროსის განუსაზღვრელ უფლებებთან ერთად, რაც, პირველ რიგში, ქონების ერთპიროვნულ საკუთრებაში გამოიხატებოდა, დაღესტნური დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ თავისებურებად აღიარებულია ქონების კოლექტიური საკუთრება და საერთო წარმოება-მოხმარება, რაც, თავის მხრივ, აპირობებდა კოლექტიური შრომის ხასიათს და მეურნეობაში ოჯახის ყველა წევრის ერთობლივ მონაწილეობას. მათი ეს მონაწილეობა განისაზღვრებოდა ასაკისა და შრომის უნარის მიხედვით, რომლის გათვალისწინების საფუძველზედაც ოჯახის მეთაური რთულ სამუშაოებს აკისრებდა შრომაში ნაწრთობსა და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილ უფროს მამაკაცებს, ხოლო მათდამი დახმარებას ავალებდა ოჯახის ახალგაზრდა წევრებს. უფროსი თაობის მამაკაცები ოჯახის ხელმძღვანელის თანაშემწეებად ითვლებოდნენ, მეურნეობის ძირითად დარგებს — მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას ისინი უძღვებოდნენ და ოჯახში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

ზემოაღნიშნული მომენტების თანაარსებობა (ერთი მხრივ მმართველობის სოლიდარული ფორმა და მეორე მხრივ დესპოტიზმი, ანდა ერთი მხრივ ერთპიროვნული საკუთრება და მეორე მხრივ კოლექტიური საკუთრება), როლის მიზეზსაც ს. გაჯიევა გამოკვეთილად არ გვიჩვენებს, აიხსნება დაღესტნელთა ყოფაში ადათობრივი ნორმებისა და შარიათის თანაარსებობით. ამ უკანასკნელმა თანდათანობით შეავიწროვა ტრადიციის მოქმედების ასპარეზი და ოჯახის სტრუქტურაშიც ღრმად დანერგა დესპოტიზმის ელემენტები, ამას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კლასობრივი ურთიერთობის განვითარებამ, რაც ს. გაჯიევას შეუმჩნეველი არ დარჩენია. მისი შეხედულებით, დაღესტანში დიდი ოჯახის არსებობას ახანგრძლივებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე, მეურნეობის ნახევრად ნატურალური ხასიათი და თემური ყოფისათვის ნიშანდობლივი მოვლენების შემონახულობა. მისივე განმარტებით, ასეთი ოჯახის არსებობა თუმცა ყველა სახის საწარმოო საშუალებების კოოპერირებას და კოლექტიურ შრომას ემყარებოდა, მაგრამ მის შიგნით ღრმად იყო შეჭრილი ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმები. საკითხისადმი ასეთი მიდგომა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ფეოდალური ურთიერთობა ოჯახის შიგნით ნერგავდა კერძო საკუთრების ტენდენციას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის სტრუქტურის შეცვლაში. აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდა კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ამას ემატებოდა შარიათის გავლენა, რაც ოჯახს ტრადიციულ სახეს უკარგავდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ს. გაჯიევა მ. კოსვენზე დაყრდნობით ამ ტიპის დიდ ოჯახს თვლის საოჯახო თემის გვიანდელ ფორმად, რომლის საბოლოო დაყოფა ინდივიდუალურ ოჯახებად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პირობებში მოხდა. მაგრამ ს. გაჯიევა როდი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ დიდი ოჯახი პირდაპირ ინდივიდუალურ ოჯახებად დაქუცმაცდა. მისი აზრით, დაღესტანში შეკრებილი მასალები სავსებით ადასტურებენ მ. კოსვენის დებულების სისწორეს იმის შესახებ, რომ საოჯახო თემის ბუნებრივი ზრდის შედეგად ხდებოდა მისი დანაწილება შედარებით მცირერიცხოვან საოჯახო თემებად, ხოლო თითოეული მათგანი იყოფოდა რამდენიმე ინდივიდუალურ ოჯახად. დიდი ოჯახების დაშლის შემაფერხებელ ფაქტორად მკვლევარი თვლის პრივილეგიური ფენის ეკონომიურ ინტერესებსაც. როგორც იგი აღნიშნავს, ჯერ ფეოდალები, ხოლო შემდეგ მეფის მო-

ხელეები ცდილობდნენ დაღესტანში ხელოვნურად შეეჩერებინათ
ეროვნული
ბიბლიოთეკა
დიდი ოჯახების, როგორც გადასახადების გადახდის მეტი უნარის
მქონე ერთეულების დაშლა. ასეთ ვითარებაში მამის სიცოცხლეში
შვილებს ცალკე გამოყოფა არ შეეძლოთ, ხოლო თუ რომელიმე მათ-
განი ოჯახის უფროსის დაუკითხავად მაინც ამ გზას დაადგებოდა,
საოჯახო ქონებიდან ვერაფერს ვერ მიიღებდა. გასაჩივრების შემ-
თხვევაშიც საქმე ოჯახის უფროსის სასარგებლოდ გადაწყდებოდა,
რომელიც ოჯახის ერთობის შენარჩუნებით საოჯახო ქონებაზე ერთ-
პიროვნული მესაკუთრის უფლების გაძლიერებისათვის იბრძოდა.
მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დიდმა ოჯახმა დაღესტანში თავისი
არსებობის ბოლო პერიოდში დესპოტური სახე მიიღო, ერთპიროვ-
ნული მესაკუთრის უფლებას მოწყურებული ოჯახის უფროსი გაუ-
ყრელობის შენარჩუნებას ცდილობდა და ამ ცდაში მას ზედაფენების
წარმომადგენლებიც ეხმარებოდნენ, დიდი ოჯახების დაშლა მაინც
გარდუვალი იყო. ამისი საფუძველი შემზადდა ფეოდალური ურთი-
ერთობის პერიოდში, როდესაც ოჯახის შიგნით კერძო მესაკუთრეო-
ბისადმი სწრაფვამ იჩინა თავი; ეს პროცესი საგრძნობლად გაღრ-
მავდა ოჯახში დესპოტიზმის ელემენტების დანერგვა-გაფართოებას-
თან დაკავშირებით, ხოლო დიდი ოჯახების დაშლის დიდი ხნიდან
დაწყებული პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა რეფორმის შემდ-
გომ პერიოდში, როდესაც ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში არსე-
ბითი ხასიათის ცვლილებები მოხდა. ამ რთულ სოციალურ პროცესს
დაღესტანში ლოკალური თავისებურებანი ახასიათებდა. დიდი
ოჯახის უფრო ადრე მოსპობა ქვეყნის ერთ კუთხეში და სხვაგან მი-
სი მეტხანს შემონახულობა გამოწვეული იყო კონკრეტული სოცია-
ლურ-ეკონომიური პირობებით, მაგრამ ყველა მათგანისათვის ერთ-
ნაირად დამახასიათებელი და კანონზომიერი მოვლენა საბოლოო
ჯამში მაინც ერთი იყო. დაღესტნის ყველა კუთხეში საოჯახო თემის
დაშლის დიდი ხნის წინათ დაწყებული პროცესის შედეგად წარ-
მოქმნილი ოჯახების ერთობლიობა ქმნიდა ახლო ნათესავთა გაერთი-
ანებას პატრონიმიის სახით, რომლის წევრები ქონების გარკვეულ
ნაწილზე (ზოგიერთი მიწის ნაჭერი, საკარმიდამო ნაკვეთი, წისქვი-
ლი და სხვა) საერთო საკუთრებას ინარჩუნებდნენ.

იმასთან ერთად, რომ დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი
ერთობის ტრადიციების ნაწილობრივად შენარჩუნება ხდებოდა გა-
ნაყარი ოჯახების ერთ პატრონიმიაში ყოფნისა და მათი ახლო ურ-
თიერთობის გამო, ს. გაჯიევა ძველ ტრადიციებს ხედავს საკუთრივ
ინდივიდუალური ოჯახის შიგნითაც. იგი აღწერს მრავალ ისეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებას, რომელიც ინდივიდუალურმა ოჯახმა მემკვიდრეობით მიიღო დიდი, პატრიარქალური ოჯახისაგან და ზოგი მათგანი ბოლომდე დღესაც კი არ არის ლიკვიდირებული. მისი დაკვირვებით, თანამედროვე ცხოვრებაში შედარებით იოლად მიმდინარეობს ძველი საზოგადოებრივი ყოფის გადმონაშთების დაძლევა, მაგრამ უფრო მეტად იხანგრძლივებენ არსებობას გადმონაშთები საოჯახო ყოფის სფეროდან. მკვლევარი ამ გარემოებას ხსნის საზოგადოებრივ ყოფასთან შედარებით საოჯახო ყოფის მეტი კონსერვატიულობით, რაც განსაკუთრებით შეინიშნება მთის შორეულ რაიონებში, უმთავრესად, ხანდაზმულ გლეხთა ოჯახებში. ასეთ ოჯახებში დღემდე აღმოუფხვრელი გადმონაშთების წყებას განეკუთვნებიან: ქორწინება შარიათის კანონით, ყალიმის გადახდის წესი, ქალის მოტაცება, მცირეწლოვანთა ქორწინება, ქმრის მშობლებთან რძლის უმძრახობა, ოჯახში შრომის განაწილების ძველი ფორმები, ვაჟების პრიორიტეტი და ა. შ. ახალი ყოფის შესწავლის შედეგად, ს. გაჯიევამ გაარკვია, რომ ამ კატეგორიის გადმონაშთები პირველ რიგში შეინიშნება სამთაობიან ოჯახებში, სადაც ძველი ტრადიციების დამცველებად გვევლინებიან უფროსი თაობის წარმომადგენლები. საოჯახო ყოფაში ძველი ტრადიციებისა და გადმონაშთების ესოდენ ხანგრძლივად არსებობა, პირველ ყოვლისა, განაპირობა თვით გაუყრელად ცხოვრების წესის დიდხანს არსებობამ, რაც ს. გაჯიევამ სათანადო მონაცემებით დაადასტურა. მისი ცნობით, გვიანობამდე მრავლად შემორჩენილი დიდი ოჯახების საბოლოო დაშლა 1921—1931 წლებშიღა მიმდინარეობდა და ესეც სულთა რაოდენობის მიხედვით მიწების განაწილების ახალი კანონის მიღებამ გამოიწვია, ვინაიდან ოჯახების გაყრა მეტი ნაკვეთების მიღების შესაძლებლობას ზრდიდა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში, როდესაც დიდმა ოჯახმა ასე ხანგრძლივად შეინარჩუნა არსებობა, მისგან ნაანდერძევი ზოგიერთი ჩვეულების სიცოცხლე ინდივიდუალურ ოჯახშიც გაგრძელებულიყო. მკვლევარი ასეთ ჩვეულებათაგან ასახელებს უფროსებისადმი უმცროსების მორჩილების წესს, ოჯახის უფროსი მამაკაცის პატრიარქალურ ძალაუფლებას, ქალის შედარებით უუფლებობას, შრომა-საქმიანობაში სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპს და ა .შ. მკვლევარი იმასაც არ ივიწყებს, რომ ინდივიდუალურ ოჯახში აღნიშნული ურთიერთობა განისაზღვრებოდა ოჯახის მცირერიცხოვანი შემადგენლობით. ამის შესაბამისად, ოჯახის უფროსის უფლებები ვრცელდებოდა მისი ცოლისა და შვილების მიმართ, რითაც ამ უფლებების გამოყენების სფერო, დიდ ოჯახთან

შედარებით, შეზღუდული იყო, მაგრამ ამითი არ იცვლებოდა მამა-
პაპური წეს-ჩვეულებების შესრულების რეჟიმი. ს. გაჯიევას
ვირვებით, აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით ცხადად შეიმჩ-
ნევა საქორწინო ურთიერთობაში, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელო-
ბა ენიჭებოდა ოჯახის უფროსების შეთანხმებას და მათ მიერ დათქ-
მული პირობების შესრულებას. პირველ რიგში იგულისხმება მე-
ქორწინე მხარეთა მატერიალური გარიგება მომავალი მეუღლეების
გრძნობებისა და სურვილების გაუთვალისწინებლად, ე. ი. ყალიმის
გადახდის სავალდებულო წესი, რაც თავიდანვე განსაზღვრავდა
ქმრის ოჯახში ცოლის უუფლებო მდგომარეობას და ქმრის ეკონო-
მიური პირობების კვალობაზე მისთვის მრავალცოლიანობის შესაძ-
ლებლობასაც.

XIX საუკუნის დაღესტანში ასეთ ჩვეულებებთან ერთად შემო-
ნახული იყო აგრეთვე ლევირატის (მაზლის მიერ ქვრივი რძლის
ცოლად შერთვის ჩვეულება) გადმონაშთები, რასაც ყალიმის გადახ-
დის წესთან ერთად ეხება და საქორწინო ურთიერთობის საკითხთან
დაკავშირებით განიხილავს გ. სერგეევა. აღნიშნული მოვლენების
არსებობა მას დადასტურებული აქვს საველე მასალისა და ლიტერა-
ტურის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე. იგი აკრიტიკებს იმ
ავტორებს, რომელნიც უარყოფდნენ ყალიმის არსებობას და დამა-
ჯერებლად ამტკიცებს ამ ინსტიტუტის ფართოდ გავრცელებას და-
ღესტნელთა ყოფაში[24].

ინდივიდუალური ოჯახის გვერდით საოჯახო თემის გადმონაშ-
თური სახეობის არსებობა არაერთმა მკვლევარმა დაადასტურა
დაღესტნის ცალკეული კუთხეების ეთნოგრაფიული შესწავლის სა-
ფუძველზე. როგორც ლ. ლავროვი წერს, ლეკების სოფ. კურახში
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიც კი ოცდაათ-
სულიანი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ გაუყოელად ცხოვრება არამც-
თუ XX, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც აღარ წარ-
მოადგენდა საყოველთაო მოვლენას და დიდი ოჯახი ამ დროისათ-
ვის უკვე იშვიათად არსებობდა[25].

XIX საუკუნეში დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა ასე-
ვე გამოჩნდა სამხრეთ დაღესტანში შემორჩენილი ძველი ტიპის

---

[24] Г. Сергеева, Брак и свадьба у народов Дагестана в XIX в. КСИЭ, XXXII, 1959.

[25] Л. Лавров, Лезгины, «Народы Дагестана (сборник статей)», М., 1955. 115.

საცხოვრებელ ნაგებობათა სოციალური ბუნების შესწავლის საფუძ-
ველზე. ს. ხან-მაგომედოვმა აღწერა ზოგი ისეთი სახლი, რომლის
ასაკი 200-მდე წელს აღწევდა, ხოლო მისი ზედა სართული წარმო-
ადგენდა დიდი ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილ დიდ გაუტიხრავ
ოთახს. იგივე ავტორი გვაცნობს უფრო მოგვიანო დროის სახლებ-
საც, რომელთა ზედა სართულები ოთახებად სეგმენტირებული ყო-
ფილა. ამ ოთახებში უცხოვრია დიდი ოჯახის დაშლის შედეგად
შექმნილ ინდივიდუალურ ოჯახებს, რომლებსაც ბოსელი საერთო
ხმარებაში დაუტოვებიათ და ერთობლივი მეურნეობაც შეუნარ-
ჩუნებიათ[25]. ავტორის შეხედულებით, დიდი ოჯახის დაშლის შედე-
გად XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა სახლის ახალი ტიპი,
რომელიც პასუხობდა ინდივიდუალური ოჯახის მოთხოვნილე-
ბებს[27].

ეს დებულება არ გაიზიარა ლ. პანეკმა, რომელმაც იმავე საკითხი-
სადმი მიძღვნილ ნაშრომში მიუთითა, რომ დიდი ოჯახის რღვევა,
მის შედეგად პატარა ოჯახის წარმოქმნა და მისი მოთხოვნილების
შესაბამისი საცხოვრებლის ტიპის შექმნა XIX საუკუნეში არ შეიძ-
ლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან დიდი ოჯახის რღვევას ლეკებში,
ისევე როგორც ქართველ მთიელებში (ავტორს მხედველობაში
ჰყავს მთიულები)[28] მანამდე, დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. საცხოვ-
რებელ ნაგებობათა ცალკეული ტიპების აღწერისა და მათში მცხოვ-
რები ოჯახების შესახებ არსებული ფაქტობრივი მონაცემების გან-
ხილვის შედეგად, ავტორი დაასკვნის, რომ XIX საუკუნეში და XX
საუკუნის დასაწყისში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ინ-
დივიდუალურ ოჯახს, მაგრამ მასთან ერთად ჯერ კიდევ დიდი ოჯა-
ხებიც არსებობდნენ[29].

გაუყრელი ოჯახების არსებობა ასევე აღინიშნა ყუბაჩელების
საცხოვრებელ ნაგებობებზე დაკვირვების შედეგად. XIX საუკუნის
60-იან წლებში ზოგიერთ დამკვირვებელს შეუნიშნავს, რომ ყუბაჩე-
ლები რამდენიმე თაობის სახით მრავალსართულიან სახლებში ცხოვ-
რობდნენ[30]. ამ ცნობას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს ე. შილინ-

---

[26] С. Хан-Магомедов. Народное жилище Южного Дагестана, СЭ, 1951, № 1, 168, 173.

[27] С. Хан-Магомедов. Лезгинское народное жилище, Автореферат канд. дисс., М., 1955, 4, 6.

[28] Л. Панек, Следы родового строя у мтиулов, СЭ, 1938, № 1.

[29] Л. Панек, Жилище лезгин, მსე, IX, თბ., 1957, 155-156.

[30] П. Петухов, Кубачинское племя, газ. «Кавказ», 1866, № 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი. მას მიაჩნია, რომ დიდი ოჯახი ამ ეპოქაში არსებითად უკვე დაშლილი იყო, ხოლო შემორჩენილი გაუყოელი ოჯახები ინდივიდუალურ ოჯახებად იყოფოდნენ[31].

საოჯახო თემის ნაკვალევი ლაკების ყოფაში შენიშნულია ლ. ლავროვის მიერ. იგი მიუთითებს გვაროვნული წყობის გადმონაშთების არსებობაზე და ასეთივე ხასიათის გადმონაშთებად თვლის დიდ ოჯახსაც. ამის საბუთად იმოწმებს ხალხურ გადმოცემას, რომ სოფ. ვიხლიში ოდესღაც უცხოვრია 150-სულიან ოჯახს[32].

ლაკთა ყოფაში დიდი ოჯახის ხანგრძლივად არსებობა დაადასტურა აგრეთვე ა. ბულატოვამ. ლიტერატურული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მას დაუდგენია, რომ XIX საუკუნეში და თვით XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საყოველთაოდ გავრცელებული იყო ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესი, არსებობდა სამ-ოთხ თაობამდე გაუყოელი ოჯახებიც. ავტორი მას მიაკუთვნებს იმ ტიპის დიდ ოჯახს, რომელსაც მ. კოსვენმა უწოდა გადაგვარებული დიდი პატრიარქალური ოჯახი. ა. ბულატოვას დაკვირვებით, გაუყოელად ცხოვრება განსაკუთრებით დამახასიათებელი ყოფილა მეცხვარეებისა და საშოვარზე მოსიარულეთათვის, რასაც იგი ხსნის მათი სამეურნეო ინტერესებით და, ამდენად, მიაჩნია, რომ ოჯახის ამ ფორმას იყენებდნენ მეურნეობის სპეციფიკის შესაბამისად[33].

ამავე ეპოქის ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე ზ. ნიკოლსკაიამ თავის შრომებში[34] გვიჩვენა, რომ დაღესტნის მთიანეთში ხუნძების საზოგადოება ნახევრადპატრიარქალური-ნახევრადფეოდალური განვითარების საფეხურზე იმყოფებოდა. ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო კლასობრივი დიფერენციაციის საწყისებისა და გვაროვნულ გაერთიანებათა თანაარსებობა.

---

31 Е. Шилинг, Кубачинцы и их культура, М.-Л., 1949, 35—37.

32 Л. Лавров, Лакцы. «Народы Дагестана», 172—173.

33 А. Булатова, Лакцы в XIX—начале XX веков, Автореферат канд., дисс., Махачкала, 1969, 12—13; მისივე, Лакцы (XIX—начала XX в.), Историко-этнографические очерки, Махачкала, 1971, მეოთხე თავი.

34 З. Никольская, Из истории аварского жилища, СЭ, 1947, № 2, 159—163; მისივე, Из истории семейно-брачных отношений у аварцев в XIX в. КСИЭ, VIII, М.-Л., 1949, 53—54; მისივე, Пережитки патриархально-родового строя у аварцев в XIX и в начале XX века, ТИЭ Новая серия, т. XIV, М., 1951, 229—233, მისივე, Аварцы, «Народы Дагестана», 31, 32, 37, 38, 42; მისივე, Аварцы, «Народы Кавказа», I, 451.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმონაშთის სახით შემონახულ ასეთ გაერთიანებათა შორის მკვლევარი სიდიდის მიხედვით ჩამოთვლის ისეთ ნათესაურ ერთეულებს, როგორიც იყო „ბო“, „როსო“, „თოხუმი“ „кьибил“ („Корень“, „ძირი“), „цо рукъалъул г/адамал“ („ერთი სახლის ხალხი“). საერთოდ, ხუნძების საზოგადოების სტრუქტურაში, XIX საუკუნის მონაცემების მიხედვით, უმცირესი და ძირითადი სამეურნეო ერთეული იყო პატარა (ინდივიდუალური) ოჯახი, ხოლო უმსხვილეს სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა სასოფლო თემი. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, ზემოხსენებულ ნათესაურ გაერთიანებებთან და პატარა ოჯახებთან ერთად, შედიოდნენ გადმონაშთის სახით შემორჩენილი დიდი ოჯახებიც. ხუნძურად დიდ ოჯახს ერქვა „цо рукъ“ („ერთი სახლი“), რომლის დაშლის ნიადაგზე იქმნებოდა პატრონიმია („ერთი სახლის ხალხი“). საყურადღებოა, რომ ხუნძებში „ერთი სახლის ხალხი“ („цо рукъалъул г/адамал“) ეწოდებოდა დიდ ოჯახსაც, რაც იმის მანიშნებელია, რომ დიდი ოჯახის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა ნათესაურმა გაერთიანებამ დიდი ოჯახის სახელი შეინარჩუნა, ე. ი. დიდი ოჯახის აღმნიშვნელი სახელწოდება იქცა პატრონიმიულ სახელწოდებად. ეს ფაქტი, თავის მხრივ, გვიჩვენებს, რომ ხუნძებშიც, ისევე როგორც დაღესტნისა და კავკასიის სხვა ხალხებში, ახლო ნათესავების პატრონიმიული გაერთიანება წარმოადგენდა იმ ოჯახების ერთობლიობას, რომლებიც წარმოიქმნენ დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად. ასეთ გაერთიანებაში ირიცხებოდა 60—70 კაცი. მასზე უფრო მოზრდილი ერთეულები იყო „ძირი“ და „თოხუმი“, რომელთაგან თითოეულში შედიოდა რამდენიმე „ერთი სახლის ხალხი“. ყოველი ნათესაური გაერთიანება ერთობას ინარჩუნებდა ნათესაობის ნიშნით, საერთო წარმომავლობით. ეს გამოხატულებას პოულობდა ურთიერთდახმარების წესის, კოლექტიური შრომის ფორმებისა და ერთობლივი საკუთრების ელემენტების არსებობაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო ორგანიზებულ ერთეულს, რომელიც იცავდა ურთიერთდახმარების პრინციპს და ზოგ რამეზე საერთო საკუთრებას ინარჩუნებდა, წარმოადგენდა „ერთი სახლის ხალხი“. ხუნძების ზოგიერთ საზოგადოებაში ასეთი ნათესაური ერთეულის საერთო საკუთრებად ითვლებოდა მიწის მცირედი ნაკვეთები, წისქვილი, მარცვლეულის გასახმობი ღუმელი და სხვა. აღნიშნული კომპონენტების მიხედვით, საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც დიდი ოჯახის განაყარი პატარა ოჯახები ერთობის ტრადიციას აგრძელებდნენ პატრონიმიულ ორგანიზაციაში.

ბ. ნიკოლსკაიას გამოკვლევით, XIX საუკუნის ბოლომდე გადმონაშთის სახით შემორჩენილი და დაშლის სტადიაში მყოფი დიდი ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა დიდი ზომის ერთკამერიანი ნაგებობა, რაც, მრავალკამერიან სახლთან ერთად, ავტორის იქ ყოფნის დროს კიდევ არსებობდა და ის უკვე პატარა ოჯახის საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილი ოთახი, რომელიც ორსართულიან სახლში მეორე გაუტიხრავ სართულს მოიცავდა, ზომით 80—120 კვ. მეტრს აღწევდა. მის ცენტრში მდგარი ორნამენტიანი დედაბოძი და თიხის იატაკზე გამართული კერა თავისი ქვაბ-საკიდელით ოთახის ფართობს ოთხ ნაწილად ყოფდა: მარჯვენა მხარე იყო სამამაკაცო, მარცხენა — სადედაკაცო, ადგილი კერასა და ბოძს შორის ბავშვებისათვის პურის საჭმელად იყო განკუთვნილი, ხოლო კერისა და გარეთა კედლის შუაში საწვავს ინახავდნენ. ყველაზე საპატიო ადგილად ითვლებოდა კერის მარჯვენა მხარე, სადაც ოჯახის უფროსისა და სტუმრებისათვის მოჭრელებული ხის სავარძელი იდგა. ასეთ პირობებში მცხოვრებ დიდ ოჯახში ბატონობდა პატრიარქალური რეჟიმი, რაშიაც აშკარად იყო გამოკვეთილი მამაკაცის პრიორიტეტი და დედაკაცის დაკნინებული მდგომარეობა.

საცხოვრებელი ნაგებობისა და დასახლების ფორმების სპეციალური შესწავლის შედეგადაც დადასტურდა, რომ XIX საუკუნეში ხუნძების მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა როგორც ერთკამერიან, ისე ორ-სამკამერიან საცხოვრებლებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ დიდი მოცულობის ერთკამერიან ნაგებობაში, რომლის ფართობი 100 კვადრატულ მეტრს აღემატებოდა, უნდა ეცხოვრა დიდ ოჯახს, ხოლო ოთახებად დანაწევრებული სახლები გამოიყენებოდა ურთიერთ მონათესავე ოჯახების საცხოვრებლად. აქვე ისიც ითქვა, რომ XIX საუკუნეში გაბატონებული იყო ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესი, ამ დროისათვის დიდი ოჯახი უკვე დაშლილი იყო, მაგრამ ასეთი ოჯახის საცხოვრებლად გამოყენებული ნაგებობანი გადმონაშთის სახით ყოფილა შემორჩენილი[35]. სამწუხაროდ, ავტორმა ვერ შესძლო ან საჭიროდ არ ცნო XIX საუკუნეში გადმონაშთის სახით არსებული დიდი ოჯახის აღწერა, რაც სხვა ავტორთა მიერ, როგორც ეს ჩვენი

---

[35] А. Исламмагомедов, Из истории материальной культуры аварцев (поселения и жилища), Автореферат канд, дисс., Махачкала, 1966, 10—11.

მიმოხილვიდან ჩანს, არაერთგზის იქნა აღწერილი. უამპირობოდ კი სახლის სოციალური ბუნების სრულფასოვანი გარკვევა შეუძლებელი ხდება.

საცხოვრებლების შემდგომი კვლევის შედეგებიდანაც გამოჩნდა, რომ ყოველთვის სათანადოდ არ არის გამოყენებული კონკრეტული მონაცემები ოჯახის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესახებ, რაც საცხოვრებლის სოციალური ბუნების გარკვევის შესაძლებლობას ასუსტებს. სამაგიეროდ, ზოგიერთ ნაშრომში მოცემულია იმის საკმაოდ ეფექტური ცდა, რომ ნაგებობის კონსტრუქციის მიხედვით განისაზღვროს თუ რა სახის სოციალური უჯრედის ინტერესებს ემსახურებოდა ეს ნაგებობა. ამ მიმართულებით საკითხის განხილვის ცდა მოცემულია გ. მოვჩანის ნაშრომში, რომელიც დაწერილია ხუნძების საცხოვრებლების, დასახლების ფორმისა და მასთან დაკავშირებული სოციალური ყოფის შესწავლის საფუძველზე. ამ გზით მიღებული კვლევის შედეგების მიხედვით, ხუნძების დასახლების სტრუქტურაში უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო თოხუმის (ნათესავთა გაერთიანების) სამოსახლო უბანი, რომელიც წარმოადგენდა საცხოვრებელ ნაგებობათა მჭიდრო კომპლექსს. გ. მოვჩანის მტკიცებით, თოხუმი თანდათანობით დიდ ოჯახებად იყოფოდა და ყოველი ასეთი ოჯახი თავის საცხოვრებელ ბინას იქვე იშენებდა. ოჯახების მიერ სახლების ერთიმეორეზე მიშენება-დაშენების შედეგად ასე შეკრული კომპლექსიდან შეუძლებელი ხდება თავდაპირველი ნაგებობის ცალკე გამოყოფა. ამის გამო იგი არ იზიარებს ალ. რობაქიძის თვალსაზრისს (დამყარებულს ინგუშური მასალის ანალიზის საფუძველზე) იმის შესახებ, რომ პატრონიმია წარმოადგენდა დიდი ოჯახის გაყრის შედეგად წარმოქმნილი ოჯახების ერთობლიობას, ხოლო პატრონიმიული უბანი იქმნებოდა ამ ოჯახების გვერდიგვერდ დასახლების შედეგად[36]. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გ. მოვჩანი ბოლომდე ვერ გაერკვა პატრონიმიის წარმოშობის მექანიზმში. ამაზე მეტყველებს, პირველ რიგში, ის გარემოება, რომ მკვლევარი სოციალური ერთეულების წარმოქმნის შებრუნებულ პროცესს წარმოგვიდგენს. მისი აზრით, დიდი ოჯახის დაშლის ნიადაგზე კი არ იქმნებოდა პატრონიმია და დიდი ოჯახის საცხოვრებლის ირგვლივ კი არ ხდებოდა პატრონიმიული უბნის წარმოქმნა, არამედ თოხუმი იშლებოდა დიდ ოჯახებად, ხოლო ასე-

---

[36] Г. Мовчан, Социологическая характеристика старого аварского жилища, КЭС, V, М., 1972, 145—149; შდრ. А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тб., 1968, 111—112.

თი ოჯახების მიერ ბინების მიშენება-დაშენების შედეგად ხდებოდა, იმ მჭიდრო კომპლექსის შექმნა, საიდანაც თავდაპირველი ნაგებობის გამოყოფა შეუძლებლად მიაჩნია. ასეთი მსჯელობის კონსტრუქცია, პირველ რიგში, მცდარია იმიტომ, რომ ძალაუნებურად გამოდის თოხუმის გათანაბრება გვაროვნული წყობილების დროის გვართან და იმ უძველეს სოციალურ პროცესთან, როდესაც საოჯახო თემი გვარის დაშლის ნიადაგზე იქმნებოდა. არქაიზაციის ამგვარ სამიშროებასთან ერთად თოხუმის დიდ ოჯახებად დაყოფის ავტორისეული სქემა სრულ შეუსაბამობაშია ოჯახების მიერ სამოსახლო კომპლექსის შექმნის პროცესთან. თუ დიდ ოჯახს თოხუმიდან გამოყოფილ ერთეულად წარმოვიდგენდით, მაშინ ლოგიკური იქნებოდა იმის მტკიცებაც, რომ თოხუმის სამოსახლო ასე თანდათანობით კი არ გაიზარდა, არამედ თოხუმისათვის თავიდანვე განკუთვნილი საცხოვრებელი კომპლექსი შემდგომში თანდათანობით დანაწილდა თოხუმიდან გამოყოფილი დიდი ოჯახების საცხოვრებლად. სინამდვილეში აქაც კანონზომიერ მოვლენად გვეჩვენება ის გარემოება, რომ დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად მისი სამოსახლოს ირგვლივ განაყრები ქმნიდნენ მჭიდროდ დასახლებულ კომპლექსს. ამაზე მეტყველებს თვით გ. მოვჩანის ნათქვამი, რომ თოხუმის უბანი წარმოადგენდა ოჯახების მიერ მიშენებულ-დაშენებული ნაგებობების კომპლექსს. მაშასადამე, საკმარისია გ. მოვჩანის მიერ წარმოსახული სოციალური სურათი შევაბრუნოთ, ე. ი. სწორად წარმოვადგინოთ, რომ გამოჩნდეს ალ. რობაქიძესთან მისი კამათის უსაფუძვლობა. სამაგიეროდ, გ. მოვჩანი საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს საცხოვრებელ ნაგებობებთან ოჯახის სტრუქტურის მიმართების საკითხში. ხანგრძლივი საველე მუშაობის შედეგად მკვლევარი ამტკიცებს, რომ დიდი გაბარიტების მქონე სახლების ფართოდ გავრცელება ხუნძების მატერიალური კულტურის ერთ-ერთ შესამჩნევ თავისებურებას წარმოადგენდა. რუსეთთან შეერთებამდე ხუნძური სახლი იყო ერთკამერიანი ნაგებობა, სადაც ოჯახის წევრები იძინებდნენ, საჭმელს ამზადებდნენ, ჭამდნენ, სტუმარს ღებულობდნენ და საქმიანობდნენ. საცხოვრებელი ოთახის ასეთი ფუნქციის გამო ხუნძურად „სახლი“ და „ოთახი“ ერთი და იგივე სიტყვით (рукъ) აღინიშნებოდა. მისი ფართობი 70, 80, 100 კვადრატულ მეტრს აღწევდა და ის დიდი პატრიარქალური ოჯახის საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ასეთი საცხოვრებლების მასობრივი გავრცელების საბუთად მკვლევარი იმოწმებს იმ ფაქტს, რომ მის მიერ აზომილი 98 სახლიდან 80 საცხოვრებელი ოთახის ფართობი

50 კვ. მეტრს აღემატებოდა. ფართობის შემცირება ნიშანდობლივია მოგვიანო დროის საცხოვრებლებისათვის, რასაც მკვლევარი ხსნის ოჯახის რიცხობრივი შემცირების მიზეზით. მას წარმოუდგენლად მიანჩია 100 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის ბინა აეშენებინა მცირერიცხოვან ოჯახს და ისიც ისეთ პირობებში, როდესაც ესოდენ ჭირდა მასალის მომარაგება და პრიმიტიული ტექნიკური საშუალებებით მშენებლობა. ამგვარ ნაგებობაში დიდი ოჯახის ცხოვრების დამადასტურებელ საბუთად გ. მოვჩანი იმოწმებს იმ ფაქტსაც, რომ სამამაკაცო და სადედაკაცო ნაწილებად პირობითად გაყოფილ სათავსოში მდგარა ორი ან მეტი ხარო, თითოეული ორი ტონა მარცვლეულის ტევადობისა, რაც ერთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 40 სულს მაინც გამოკვებავდა. დროთა განმავლობაში, დიდი ოჯახების გაყრასთან ერთად, ხდებოდა დიდი ზომის სათავსოების დატიხვრა და განაყრებისათვის მათი საცხოვრებლად გამოყენება, ხშირად იმ პირობით, რომ პურის ხაროები საზიარო ხმარებაში დაეტოვებინათ. ასეთი მონაცემები ავტორს საკმარის საბუთებად მიაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ XVIII—XIX სს. ბოლომდე ხუნძებში, ისევე როგორც კავკასიაში საერთოდ, ჯერ კიდევ არსებობდა დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი. როგორც იგი აღნიშნავს, ამაში თითქოს არც არავინ დაეჭვებულა და საკვლევი რეგიონის საცხოვრებლების სოციალური ბუნების შესახებ საკმარისი იქნებოდა იმის უყოყმანოდ თქმა, რომ ასეთ სახლებში დიდი პატრიარქალური ოჯახები ცხოვრობდნენ. მაგრამ მკვლევარს საჭიროდ მიუჩნევია დასაბუთების გაღრმავება, ვინაიდან ზოგიერთ დაღესტნელ მკვლევარს[37] ბოლო ხანებში სურვილი გაუჩნდა ამტკიცოს, თითქოს დაღესტანში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დიდმა ოჯახმა არსებობა შეწყვიტა. ამ შეხედულებამ ასახვა ჰპოვა „დაღესტნის ისტორიის“ მრავალტომეულში, სადაც ნათქვამია, რომ დაღესტანში V—X სს. საზოგადოებრივი სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენდა პატარა ოჯახი[38]. აღნიშნული შეხედულების დამცველები თითქოს „არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს“ ეყრდნობიან, ისევე

---

[37] М. Агаларов, Техника сооружения террасных полей и вопросы эволюции форм собственности у аварцев (до XIX в.), УЗДФ АН СССР, т. XVI, Махачкала 1966; მ ი ს ი ვ ე, Поселения и жилища андийской группы народов в XIX — начале XX в., УЗДФ АН СССР, т. XVI; С. Асиятилов, Некоторые вопросы общественных отношений у аварцев в свете их хозяйственной деятельности, УЗДФ, АН ССР, т. XVI.

[38] «История Дагестана», т. I, М., 1967, 139.

როგორც ასეთივე „მასალების“ მიხედვით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ხსენებულ ისტორიულ ხანაში ერთკამერიანი ნაგებობა მრავალკამერიანი საცხოვრებლით იცვლება. გ. მოვჩანის სამართლიანი შეხედულებით, ასე ზოგადად ხსენება „ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალებისა“, მისი რაობისა და კონკრეტულობის ჩვენების გარეშე, არ გამოდგება რაიმე თვალსაზრისის დასაბუთების სანდო წყაროდ. ამგვარი „მასალების“ ასე გამოყენების სხვაგვარი შეფასება არც იყო მოსალოდნელი იმის მიერ, ვისაც ხელთ ჰქონდა უამრავი ფაქტობრივი მასალა XIX საუკუნეში არსებული ერთკამერიანი დიდი საცხოვრებლების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებდნენ დიდი ოჯახების მოთხოვნილებებს[39].

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ადრეც იყო აღნიშნული, რომ „დაღესტნის ისტორიის ნარკვევებში“[40] გაზვიადებულად არის წარმოსახული საზოგადოებრივი განვითარების დონე. „ყაბარდოს ისტორიაში“[41] და „ადიღეს ისტორიის ნარკვევებში“[42] ნათლად გამოკვეთილი თვალსაზრისისაგან განსხვავებით, რომ რუსეთთან შეერთების პერიოდში კავკასიის მთიელთა სოციალური სტრუქტურისათვის ყველაზე ტიპიური იყო პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობა, „დაღესტნის ისტორიის ნარკვევების“ ავტორები დაღესტნისათვის დამახასიათებლად მიიჩნევენ მხოლოდ წარმოების ფეოდალური წესის არსებობას პატრიარქალურ-გვაროვნული გადმონაშთების შემონახულობით. ამავე ნარკვევებში ნათქვამია, რომ დაღესტნის მთიელებში არსებობდა ფეოდალიზმის ადრეული სტადიისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა. ა. ფადეევის შეხედულებით, ასეთი ფორმულირებანი ბუნდოვანია მით უფრო, რომ წიგნში არაფერი თქმულა „ადრეული ფეოდალიზმის“ არსის შესახებ.

ა. ფადეევს ამ წიგნის ნაკლად ისიც მიაჩნია, რომ ფეოდალიზმზე მსჯელობისას ავტორებმა მეტად მცირე ადგილი დაუთმეს გვაროვნული წყობის გადმონაშთებსა და პატრიარქალურ-თემურ ტრადიციებს, როგორც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს. წიგნის მხოლოდ ერთ თავში, სადაც განხილულია XVI—XVII სს. დაღესტნის ისტორია, გაკვრით არის ნახსენები, რომ სოფლის თემის შემადგენლობაში არსებობდნენ სხვა-

---

[39] Г. Мовчан, დასახ. ნაშრომი, 120—123.

[40] «Очерки истории Дагестана», т. I—II, Махачкала, 1957.

[41] «История Кабарды», М., 1957.

[42] «Очерки истории Адыгеи», Майкоп, 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა სახელწოდების მქონე ნათესაური ჯგუფები. ა. ფადეევის აზრით, ამ არადამაკმაყოფილებელი ზედაპირული მიმოხილვის ნაცვლად ნაჩვენები უნდა ყოფილიყო XIX ს. დასაწყისისათვის დაღესტანში შემოინახა თუ არა „გვაროვნული ჯგუფები“ და თუ შემოინახა, ავტორებს იმის განმარტებაც უნდა მოეცათ, რას წარმოადგენდნენ ისინი — დიდ პატრიარქალურ ოჯახებს თუ პატრონიმიებს[43].

დაღესტნელთა საოჯახო ყოფის ძირითად თავისებურებათა ჩვენებისათვის საყურადღებოა ეთნოგრაფიული მასალა აღულების შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც ბ. კალოევმა დაადგინა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ოჯახები ჯერ კიდევ არსებობდნენ. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით დიდი ოჯახი 17-20 სულისაგან შედგებოდა, რომლის მეთაური თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტდა საოჯახო თათბირის შემდეგ. ყველა სახის ქონება და შემოსავალი საერთო საოჯახო სარგებლობაში იმყოფებოდა, რომელსაც ოჯახის უფროსი განაგებდა. ოჯახის წევრთა პირად საკუთრებას წარმოადგენდა მამაკაცებისათვის მხოლოდ ტანსაცმელი და იარაღი, ხოლო ქალებისათვის მზითევი. ამგვარი ოჯახის დაშლის საბოლოო საფეხურად ბ. კალოევს მიაჩნია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, რამაც ხელი შეუწყო უფროსის მისწრაფებას ერთპიროვნული საკუთრებისადმი და, მისდამი პროტესტის ნიშნად, გაყრისადმი ოჯახის წევრების მიდრეკილებას[44].

როგორც ვხედავთ, ბ. კალოევმა დაახლოებით ისეთი ვითარება გაგვაცნო, როგორიც ს. გაჯიევამ, ვინაიდან, დაღესტნის ყველა ხალხთან ერთად, აღულების საოჯახო ყოფისთვისაც დამახასიათებელი იყო ტრადიციული დიდი ოჯახისა და გვიანდელი ეპოქის დესპოტური ხასიათის დიდი ოჯახის ელემენტების შერწყმული სახით არსებობა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის დაშლის საფეხურზე.

დაღესტნის მოსახლეობის საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაზე არსებულ მონაცემებს რამდენადმე ავსებს ლ. ლავროვის კვლევის შედეგები რუტულების შესახებ. ლიტერატურისა და საარქივო წყაროების მიხედვით ნაშრომში დასაბუთებულია, რომ XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში რუტულების საზოგადოებ-

---

[43] А. Фадеев, დასახ. ნაშრომი, 133.

[44] Б. Калоев, Агулы, КЭС, III, М., 1962, 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა სოფლის თემი და გვარი. მაორგანიზებელ უჯრედს წარმოადგენდა მამაკაცების საერთო ყოფა — ჯამაათი. რევოლუციამდელ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნათესაურ ურთიერთობას. ნათესავთა დიდ გაერთიანებას აქაც, ისევე როგორც დაღესტანში საერთოდ, ეწოდებოდა თუხუმი, რომელიც მოიცავდა მთელ გვარს, ხოლო ზოგჯერ კი პატრონიმიას, ე. ი. გვარის ნაწილს. ჩვეულებისამებრ, პატრონიმიაში შედიოდნენ ახლო ნათესაობით დაკავშირებული ოჯახები, მათ შორის დიდი ოჯახებიც. სხვათა შორის, ასეთი ოჯახებისა და, საერთოდ, უძველესი სოციალური ერთეულების გადმონაშთურ სახეობათა ნაკვალევი ავტორს დაუდასტურებია ახალ ყოფაშიც[45]. დაღესტანში ერთ-ერთი ტერიტორიულ-ეთნიკური ერთეულის შესწავლის შედეგადაც გამოირკვა, რომ ახალ საოჯახო ყოფაში თავს ინახავდა პატრიარქალური ყოფის ტრადიციები[46].

ოჯახის სტრუქტურის შესწავლისათვის საყურადღებო მონაცემები გამოვლინდა მთიელ ებრაელთა სოციალური ურთიერთობის შესწავლის შედეგად. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით; მ. იხილოვმა ცხადჰყო, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არსებული დიდი ოჯახი, რომელიც ამ დროისათვის თანდათანობით იშლებოდა, წარმოადგენდა პირველყოფილ-თემური წყობის ერთ-ერთ გადმონაშთს. მკვლევარს მიაჩნია, რომ მისი საბოლოო მოსპობა განაპირობა დაღესტანში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეღწევამ, მრეწველობისა და ვაჭრობის ზრდამ და, ამის შედეგად, ნატურალური მეურნეობის მოშლამ, რაზედაც ადრე დამოკიდებული იყო დიდი ოჯახის არსებობა.

მ. იხილოვის გამოკვლევით, მთიელი ებრაელის დიდი ოჯახი („келекифлет",) აერთიანებდა სამ-ოთხ თაობას აგნატური ნათესაობის ხაზით — ძმების, ბიძების, ძმისწულების, ბიძაშვილების, მათი ცოლებისა და შვილების სახით. რევოლუციამდელ ხანაში დიდი ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობა 30-70 სულს აღწევდა. ასეთმა ოჯახებმა გადმონაშთური ფორმით არსებობა შეინარჩუნეს ოქტომბრის რევოლუციამდე, ხოლო ზოგან საკოლმეურნეო ცხოვრების გამარჯვებამდეც კი მოაღწიეს. მთიან ადგილებში 3—5 ასეთი დიდი

---

[45] Л. Лавров, Рутульцы в прошлом и настоящем, КЭС, III, М.—Л., 1962, 134—135.

[46] Г. Сергеева, Арчинцы, М., 1967, 130 და შმდ. -

ოჯახი შეადგენდა სოფელს, ერთდროულად რელიგიურ თემს, ხოლო ქალაქებში — მთიელ ებრაელთა უბანს („მახალე“). სოფლებში დიდი ოჯახები ცხოვრობდნენ ყოველი მხრიდან ქვის ღობით შემოზღუდულ ეზოებში. სახლები განლაგებული იყო ეზოს სიღრმეში, რომელთაგან ერთში ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე იძინებდნენ, ხოლო სხვებში — დანარჩენი საქორწინო წყვილები. ოჯახის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა მეურნეობის ერთობლივი წარმოება და დოვლათის კოლექტიური მოხმარება. ძირითად საქმიანობად ითვლებოდა მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებრინჯეობა, მეთამბაქოება და შინამრეწველობა. შრომაში მონაწილეობა ევალებოდა ოჯახის ყველა შრომისუნარიან წევრს. ფიზიკური შრომისაგან თავისუფალი იყვნენ მოხუცები და 12 წლის ასაკამდე ბავშვები. მძიმე საქმეს მამაკაცები ასრულებდნენ, მაგრამ მინდვრის სამუშაოებში, ხვნა-თესვის გამოკლებით, მათ ქალებიც ეხმარებოდნენ, რომლებიც შინასაქმეებსაც უძღვებოდნენ. დიდ ოჯახს ხელმძღვანელობდა უფროსი მამაკაცი, რომლის შეცვლა მისი არჩევის გარეშე ხდებოდა მომდევნო ხნით უფროსი მამაკაცით. მისი სიტყვა ოჯახის ყველა წევრისათვის კანონი იყო. იგი ოჯახის წევრის დასჯის უფლებითაც სარგებლობდა. დიდ ოჯახში მეორე პირად ითვლებოდა მეუღლე, რომლის ხელთ იყო მთელი შინასაოჯახო მეურნეობა, ისევე როგორც სამამაკაცო საქმიანობას უშუალოდ ოჯახის უფროსი განაგებდა. ოჯახის გაყოფაც შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ მისი უფროსის გარდაცვალების შემდეგ.

მ. იხილოვის გამოკვლევით, მთიელ ებრაელებში დიდი ოჯახის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა აგრეთვე ოჯახებს შორის ქონებრივი უთანასწორობა და ოჯახის წევრთა თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული ქონების ერთობლივი საკუთრება. ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა განსაზღვრავდა ოჯახის წევრთა სამუშაოს პროფილს; ადგილობრივი სამეურნეო ბაზის უკმარობის შემთხვევაში ზოგი მათგანი სხვაგან ეძებდა სამუშაოს. მაგრამ ოჯახს როგორი სამეურნეო პირობებიც არ უნდა ჰქონოდა, მისი ქონება, დიდი იქნებოდა ის თუ მცირე, ოჯახის ყველა წევრის კუთვნილებას შეადგენდა და ოჯახის უფროსის თაოსნობით მათ თანასწორად ხმარდებოდა. პირად საკუთრებაში იყო მხოლოდ ტანსაცმელი და სამკაული. დიდ ოჯახში ერთობლივი საკუთრება-მოხმარების სიმბოლურ ნიშნად მკვლევარი თვლის იმ გარემოებასაც, რომ წარსულში დიდი ოჯახის წევრები ერთი ქვაბიდან ჭამდნენ, მაგრამ დიდი ოჯა-

ხის არსებობის ბოლო პერიოდში მდგომარეობა შეიცვალა. პროდუქტებს კვლავ საერთო საკუჭნაოში ინახავდნენ და მისი ხელმძღვანელი ისევ ოჯახის უფროს დიასახლისს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ საჭმელს ამზადებდნენ არა ისევ ერთ ქვაბში, არამედ იმდენში, რამდენი ცოლშვილიანი მამაკაციც ოჯახში იმყოფებოდა. ერთი ქვაბიდან პურის ჭამის ადრინდელ წესს ასეთ ოჯახებში ასრულებდნენ მხოლოდ ლხინსა და დღესასწაულებში. გაუყრელ ოჯახში ერთის ნაცვლად რამდენიმე ქვაბის გამოყენება ოჯახის დაშლის მომწიფების მანიშნებელი იყო. კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრის პირობებში ეს პროცესი გაღრმავდა ჯერ ბარად, ხოლო შემდეგ მთიან რაიონებშიც. გაყრა და ქონების განაწილება ხდებოდა თაობების მიხედვით. განაყრები სახლდებოდნენ როგორც დიდი ოჯახის ძველ სამოსახლოში, ისე გაყრის შემდეგ მის ახლოს აშენებულ საცხოვრებლებში. ამგვარი განსახლების შედეგად იქმნებოდა ახლო ნათესავების ერთი უბანი, რასაც „ძმათა სახლები" („ხუნეი ბიროორი") ეწოდებოდა. ერთ პატრონიმიულ უბნად მცხოვრები ახლო ნათესავები ცდილობდნენ ნათესაობრივი ერთობის და ეკონომიური სოლიდარობის შენარჩუნებას, რაც ხორციელდებოდა უმთავრესად მთის მოსახლეობაში, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ტრადიციებით სულდგმულობდა[47].

მთიელ ებრაელთა სოციალური ყოფის შესახებ მ. იხილოვმა შემდგომშიც იგივე თვალსაზრისი განავითარა[48]. იგი სპეციალურად შეეხო აგრეთვე ლეკების, ტაბასარანელების, რუტულების, წახურებისა და აღულების საოჯახო ყოფას[49]. საველე, საარქივო და ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომში ნაჩვენებია, რომ დასახელებულ ხალხთა ყოფას XIX საუკუნეში კვლავ ახასიათებდა გაუყრელი ოჯახების შემონახულობა. ასეთი ოჯახების კომპონენტებად ავტორს მიაჩნია ნათესავთა ფართო წრის (3-დან 7 თაობამდე) ერთად ცხოვრება, საერთო წარმოება, ერთობლივი მოხმარება და ოჯახის მართვის სფეროში ასაკობრივი მონაცვლეობა. სამ-

---

[47] М. Ихилов, Большая семья и патронимия у горских евреев, СЭ, 1950, № 1; შდრ. მისივე, Горские евреи, Автореферат канд. дисс., М., 1949, 11—12.

[48] М. Ихилов, Горские евреи, «Народы Дагестана», 236; მისივე, Горские евреи, «Народы Кавказа», I, 557.

[49] М. Ихилов, Народности лезгинской группы, Махачкала, 1967, 168—210.

წუხაროდ, ნაშრომში იდენტური მნიშვნელობით გვხვდება ერთმანეთისაგან განსხვავებული სოციალური ცნებები: „დიდი ოჯახი“, „თუხუმი“, „პატრონიმია“ და ა. შ. ავტორის მსჯელობაში შეინიშნება ისეთი უცნაური გამოთქმები, როგორიცაა „პატრონიმიული ოჯახი“, „თუხუმი ანუ დიდი ოჯახი“, „თუხუმის ანუ დიდი ოჯახების დაშლა პატრონიმიებად“[50] და სხვა. ოჯახისა და თუხუმის გათანაბრება, ისევე როგორც ოჯახის ფორმად „პატრონიმიული ოჯახის“ გამოცხადება, უხერხული შეცდომაა ისევე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ „თუხუმის ანუ დიდი ოჯახების დაშლა პატრონიმიებად“, რამდენადაც თუხუმი თავისთავად პატრონიმიული ხასიათის ნათესაური გაერთიანებაა, ხოლო დიდი ოჯახი პატრონიმიებად კი არ იშლებოდა, არამედ მისი დაშლის შედეგად იქმნებოდა პატრონიმია, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე დიდსა და პატარა ოჯახს. მ. კოსვენის გამოკვლევებზე დაყრდნობით, მ. იხილოვი აქვე აღნიშნავს, რომ პატრონიმია იყო დიდი ოჯახის დაშლის შედეგად მიღებული წარმონაქმნი. თუ მ. იხილოვი მ. კოსვენის თვალსაზრისს საყრდენ დებულებად იყენებს, მით უფრო გაუგებარია მის მიერ სოციალური ცნებების ასეთი აღრევა.

საოჯახო ყოფის მნიშვნელოვან კომპონენტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობა, რის ცოდნაზედაც ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო საკუთრივ ოჯახში მოქმედი უფლებრივი ნორმების გარკვევა, არამედ საერთოდ ოჯახის სტრუქტურის შესწავლა. ამ ტრადიციულ თემას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არაერთი ავტორი შეეხო[51], რომლებიც არსებულ მდგომარეობას აღწერდნენ უშუალო დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე. ცნობების სისრულისა და სიზუსტის მხრივ მათ შორის განსხვავება შეიმჩნევა, მაგრამ ყველა ავტორი ერთხმად აღიარებდა დაღესტანში ქალის უუფლებობასა და მძიმე შრომით პირობებს მამაკაცთან შედარებით. ასეთივე ვითარებაა ასახული „ადათების“ კრებულში[52], რომელსაც სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა

---

[50] М. Ихилов, Народности лезгинской группы, 176.

[51] П. Пржецлавский, Дагестан, его нравы и обычай, ВЕ, 1867, № 3; Н. Львов, Домашняя и семейная жизнь дагестанских горцев аварского племени, ССКГ, III, Тифлис, 1870; А. Омаров, Как живут лаки, ССКГ, III, IV, 1870; Г. Амиров, Среди горцев Северного Дагестана, ССКГ, VII, Тифлис, 1873.

[52] «Адаты Дагестанской области и Закатальского округа», Тифлис, 1889.

ენიჭებოდა დაღესტნელთა საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაშინაც კი, როდესაც დაღესტანი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და მოსახლეობას დაეკისრა რუსული კანონმდებლობისადმი მორჩილება.

ლიტერატურული მონაცემებისა და დამატებითი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქალის მდგომარეობის შესწავლამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა ეთნოგრაფიის თემატიკაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დარგინელთა ყოფა, რომლის ეთნოგრაფიულ მიმოხილვაში ა. ალიევი და ზ. ნიკოლსკაია მოკლედ გვაცნობენ ოჯახში სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავების ნიშნით განმტკიცებულ ტრადიციულ რეჟიმს და, ამის შესაბამისად, ოჯახის წევრთა უფლებრივ მდგომარეობას[53]. მათი ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებას, რომ თითქმის XX საუკუნის დამდეგამდე აქ შენარჩუნებული იყო ქალის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მანიშნებელი გადმონაშთები, რაზედაც მიუთითებენ დაღესტნელთა ყოფის სხვა მკვლევარნიც. ასეთი კატეგორიის გადმონაშთებად ავტორები მიიჩნევენ, მაგალითად, მამაკაცების დაუსწრებლად ქალთა შეკრების ჩვეულებას. აღნიშნული ვითარების მატერიალური მტკიცების საფუძვლად ისინი თვლიან სოფ. ყუბაჩში საგანგებო დანიშნულების ნაგებობათა არსებობას („დედაკაცების სახლი“, „ქალიშვილების სახლი“), სადაც დედაკაცები და ქალიშვილები გასართობად იკრიბებოდნენ. მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ აგრეთვე საქალებო დღესასწაულების მოქმედებას. აღნიშნული კომპონენტების არსებობამ ავტორებს აფიქრებინა, რომ დარგინელი ქალი ოდესღაც საგანგებო უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ ყოფაში გადმონაშთის სახით შემორჩენილი ასეთი მონაცემების მიუხედავად ავტორებს მიაჩნიათ, რომ რევოლუციამდელ პერიოდში ქალი მეტისმეტად დაჩაგული იყო. იგი მოკლებული იყო სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის, სასოფლო დღეობებზე დასწრების, მამაკაცებთან დალაპარაკებისა და სხვების წინაშე თვით ქმართან ხმის ამოღების უფლებებს. ქალს არ შეეძლო ქონების დამოუკიდებლად შეძენა, გაყიდვა ან გასაჩუქრება, ვინაიდან მზითვის გარდა, რომელიც მის პირად საკუთრებას შეადგენდა, საოჯახო ქონების მესაკუთრის უფლებით ოჯახის უფროსი

---

[53] А. Алиев, и З. Никольская, Даргинцы, «Народы Дагестана», 75—76; შდრ. «Народы Кавказа», I, 480.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცი სარგებლობდა. ქალს ჩაგრავდა აგრეთვე ყოველდღიური ცხოვრების მკაცრი რეჟიმი და მძიმე შრომა შინ და გარეთ.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დარგინელებში ქალის ადრინდელი უფლებამოსილება შემდგომში მისი უუფლებობით შეიცვალა. რამ განაპირობა ასეთი ვითარება, ავტორები ამის ახსნას არ იძლევიან, მაგრამ მათივე აღწერილობის საფუძველზე საფიქრებელია, რომ ქალის შედარებით თავისუფალი მდგომარეობის ამსახველი გადმონაშთები მომდინარეობდეს ისლამამდელი ადათობრივი ტრადიციების არსებობის დროიდან, ხოლო შემდგომში მისი უფლებების შეზღუდვა უთუოდ შარიათის გავრცელებამ განაპირობა. ამასთან ერთად საფიქრებელია, რომ ქალთა სახლი დარგინელებში ისეთივე დანიშნულებისა ყოფილიყო, როგორც სამრეკლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. ასევე პარალელურ ეთნოგრაფიულ მოვლენებად შეიძლება წარმოვიდგინოთ ქალთა დღესასწაულები დარგინელებში და საქალებოდ განკუთვნილ ხატ-სალოცავებში ქალთა დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ასეთი პარალელების გათვალისწინების საფუძველზედაც დასაშვები ჩანს, რომ მონაცემები ქალის შედარებით მაღალი უფლებამოსილების შესახებ წარმოადგენენ ისლამამდელი ტრადიციული ყოფის გადმონაშთებს.

ეთნოგრაფიული მასალით ხელმისაწვდომი პერიოდისათვის ქალის უფლებები დაღესტანში ძირითადად განსაზღვრული იყო შარიათის დოგმებით, რაზედაც ზემოხსენებულ მკვლევართა მიერაც ითქვა, მაგრამ მთელი დაღესტნის მასშტაბით ამ საკითხის გაშუქებას მიეძღვნა გ. სერგეევას ნაშრომი[54], რომელშიც შესწავლილია ქალის მდგომარეობა რევოლუციამდელსა და საბჭოთა პერიოდში.

საარქივო წყაროების, საველე მასალების, XIX საუკუნის ლიტერატურული მონაცემებისა და სპეციალური ეთნოგრაფიული გამოკვლევების შესწავლის საფუძველზე გ. სერგეევა გვაცნობს ქალის მდგომარეობას დაბადებიდან სიკვდილამდე. იგი სწორად შენიშნავს, რომ ქალის უუფლებობა მამაკაცთან შედარებით დაბადებისთანავე განისაზღვრებოდა, როდესაც ეს მოვლენა ვაჟიანობის შემთხვევაში საზეიმო რიტუალით აღინიშნებოდა, ხოლო ქალის დაბადებას ალაჰის სასჯელად თვლიდნენ. აქედან ეყრებოდა საფუძველი ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ მდგომარეობას საოჯახო

---

[54] Г. Сергеева, Положение женщины в дореволюционном и советском Дагестане, КЭС, IV, М., 1969.

იერარქიაში, რაც განსაკუთრებით მკვეთრად იჩენდა თავს ოჯახ-ქმრული ურთიერთობის სფეროში. ეს განსხვავება აღინიშნებოდა როგორც ქცევის ნორმებში, ისე შრომა-საქმიანობაში. ყველა მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ქალი უძღვებოდა უაღრესად შრომატევად საქმიანობას და უპრეტენზიოდ ემორჩილებოდა ქმრის ნება-სურვილს. ამასთან ერთად, მის მოვალეობას შეადგენდა იმ ვალდებულებათა შესრულება, რაც ოჯახში მოქმედ უფროს-უმცროსობის რეჟიმს ექვემდებარებოდა. ყოველივე ამას ემატებოდა ისიც, რომ ქალი ადათის მიხედვით საოჯახო ქონების მემკვიდრედ არ ითვლებოდა და შარიათიც მას ამ მხრივ მხოლოდ უმნიშვნელო წილის მიღების უფლებას ანიჭებდა. აღნიშნული მომენტების მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ დაღესტნელთა საოჯახო ყოფაში გადახლართული იყო ადათისა და შარიათის ნორმები, ხოლო ქალის ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელი იყო დიდი პატრიარქალური ოჯახისათვის, რომელსაც ისლამის გავლენით შეძენილი ჰქონდა დესპოტური ოჯახის თვისებები.

ძველი საოჯახო ყოფის ამგვარ თავისებურებათა გამოვლინება შესაძლებელი ხდება აგრეთვე ახალი ყოფის შესწავლის პროცესში, რამდენადაც ახალი ყოფის კვლევა წარმოებს ძველთან შედარება-დაპირისპირების მეთოდით[55]. ამ მეთოდით ოჯახისა და ქორწინების ფორმების შესწავლა, ისევე როგორც ეთნოგრაფიის მრავალი სხვა საკითხის კვლევა, ინტენსიურად მიმდინარეობს დაღესტანის ასსრ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში[56].

განხილული ლიტერატურის მიხედვით საკმაოდ ცხადად გამოჩნდა, რომ დაღესტნელთა ცხოვრებაში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით, რომელსაც დიდი ხნიდან მოპოვებული ჰქონდა გაბატონებული მდგომარეობა, XIX საუკუნის ბოლომდე დიდი ოჯახიც არსებობდა როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა. ამ ტიპის ოჯახის თავისებურებას წარმოადგენდა ადათობრივი ნორმებისა და შარიათის გავლენით შემოსული წესების თანაარსებობა. დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად იქმნებოდა განაყარი ოჯახების ერთობლიობა — პატრონიმია, რომელიც ინარჩუნებდა გაუყოფელი ცხოვრების ზოგიერთ ნიშანს (საერთო წარმომავლობა, ერთობლივი საკუთრების ზოგიერთი ელემენტი), ისევე როგორც ინდივიდუალური

---

[55] Современная культура и быт народов Дагестана, М., 1971.

[56] С. Гаджиева, Этнографическое изучение народов Дагестана в годы Советской власти, СЭ, 1973, № 6.

ოჯახიც ინახავდა დიდი ოჯახიდან მემკვიდრეობით მიღებულ ზოგიერთ ჩვეულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა

კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის შესწავლის შედეგად დღემდე შექმნილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, რაც ამ ნაშრომში მოცემულია კავკასიის ცალკეული ხალხებისა და რეგიონების მიხედვით, თვალნათლივ გამოჩნდა როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების კლასობრივ სტადიაზე წარმოშობილი, ისე მანამდე არსებული სოციალური ერთეულების თანაარსებობა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ინდივიდუალური ოჯახისა და საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის თანაარსებობას, რომელთაგან პირველი გენეტიკურად უკავშირდება კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას, ხოლო მეორე პირველყოფილ-თემური წყობის არსებობას და მისი დაშლის სტადიას. კლასობრივი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ინდივიდუალური ოჯახი თანდათანობით გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს, ხოლო საოჯახო თემი, სხვა სოციალურ ინსტიტუტთან (გვარი, პატრონიმია, ტერიტორიული თემი...) ერთად, გადმონაშთის სახით ინახავს თავს, ტრანსფორმაციას განიცდის და XIX საუკუნის დასასრულს, ზოგიერთ კუთხეში კი უფრო გვიანაც, საბოლოოდ წყვეტს თავის არსებობას. თითქმის ყველა ავტორის აღიარებით, დიდი ოჯახის არსებობის ხანგრძლივობას აპირობებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე. ამ მხრივ დიდ განსხვავებას ჰქონდა ადგილი არა მარტო კავკასიის ქვეყნებს შორის, არამედ ეს განსხვავება შეიმჩნეოდა ერთი ქვეყნის შიგნითაც. თუ საქართველო და სომხეთი სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით გაცილებით მაღლა იდგნენ ჩრდილო კავკასიის ქვეყნებზე, თვით საქართველოსა და სომხეთში არათანაბარი იყო სოციალური განვითარების დონე თითოეული მათგანის მთისა და ბარის რაიონებს შორის. ამის შესაბამისად, საქართველოსა და სომხეთის მთიანეთში უფრო ხანგრძლივად იყო შენარჩუნებული უძველესი სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთები, მათ შორის დიდი ოჯახები, ვიდრე ბარში. არქაული მოვლენების შემონახულობის მხრივ ასევე ლოკალური თავისებურებებით ხასიათდებოდა ჩრდილო კავკასიის ეთნოგრაფიული რეგიონები, რაც ასევე გაპირობებული იყო თითოეული მათგანის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით.

საოჯახო ყოფის სპეციფიკას განსაზღვრავდა იდეოლოგიური

ფაქტორებიც, სახელდობრ, რელიგიის ფორმა და მისი გავრცელების მასშტაბი. ოჯახის სტრუქტურაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აღმოჩნდა მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად შარიათის ნორმების დანერგვა და მის საფუძველზე ზოგიერთი ტრადიციული ნიშანთვისების შეცვლა ან მთლიანად მოშლა. ამის შესაბამისად, ოჯახი ერთ შემთხვევაში ხასიათდებოდა ტრადიციული კავკასიური ნიშნებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ტრადიციებისა და შემდგომში შეთვისებული ელემენტების თანაარსებობით. ამიერკავკასიის მოსახლეობაში ტრადიციულ სახეს ინარჩუნებდა ქართული, აფხაზური და სომხური დიდი ოჯახი, ხოლო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობიდან ეს თავისებურება ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო ოსური დიდი ოჯახისათვის. რაც შეეხება შარიათის გავლენას, ამიერკავკასიაში ეს სავსებით გამოკვეთილად ჩამოყალიბდა აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფაში, ხოლო ჩრდილო კავკასიის ხალხთაგან განსაკუთრებით დაღესტნელების და ჩაჩნების საოჯახო ყოფაში.

შარიათის გავლენის შედეგად მომხდარმა ცვლილებებმა თავი იჩინეს უმთავრესად ოჯახის მართვის, ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობისა და საოჯახო ქონებაზე მფლობელობის სფეროში. ოჯახის მართვის სფეროში გაძლიერდა მისი უფროსის ერთპიროვნული ძალაუფლება, ოჯახის წევრთა ურთიერთობაში კიდევ უფრო შეიზღუდა ქალის თავისუფლება, ხოლო საკუთრების სფეროში მას მიენიჭა ქონების გარკვეული ნაწილის მიღების უფლება და კიდევ უფრო გაიზარდა ოჯახის უფროსი მამაკაცის, როგორც საოჯახო დოვლათის მესაკუთრის, პრივილეგიები. ამგვარი მოვლენები განაპირობებდნენ დესპოტური ოჯახის ჩამოყალიბებას, რომლის შიგნით ერთპიროვნული ძალაუფლებისა და კერძომესაკუთრული ტენდენციის ზრდა მისი რღვევის სიმპტომებს წარმოადგენდნენ, განკერძოებისაკენ სწრაფვას ხელს უწყობდნენ და მის დამლასაც აჩქარებდნენ. განხილული ლიტერატურის მიხედვით, დესპოტური ანუ სამამო ოჯახი, როგორც მ. კოსვენმა ამ ტიპის ოჯახს უწოდა, ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს აზერბაიჯანში, ხოლო დესპოტიზმის ელემენტები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია დაღესტნის ხალხების, ჩაჩნების, ინგუშების და ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის ხალხების საოჯახო ყოფისთვისაც, თუმცა ჩრდილო კავკასიის ხალხებში, მათ შორის ისეთებშიც კი, რომელთა ცხოვრებაში მაჰმადიანობამ მძლავრად გაიდგა ფესვები (დაღესტანი, ჩაჩნეთი), სრულფასოვანი დესპოტური ოჯახი არ შექმნილა. არსებული ლიტერატურის მიხედვით, კავკასიის ხალხთა უმრავლესობაში დიდი ოჯახი ინარჩუ-

ნებდა დემოკრატიული ტიპის ოჯახის ტრადიციულ ნიშან-თვისებებს (რამდენიმე თაობის გაუყრელობა, მმართველობის სოლიდარული ფორმა, საოჯახო-თემური საკუთრება).

XIX საუკუნის ავტორები მრავალ შემთხვევაში არქაიზაციის ტენდენციას იჩენდნენ და დიდი ოჯახის არსებობას კავკასიის მთიელთა ცხოვრებაში გვაროვნული ყოფის შენარჩუნებით ხსნიდნენ. ისინი ყოველთვის როდი ცდილობდნენ იმის დანახვას, რაც გვაროვნულ წყობას მისი გადმონაშთებისაგან განასხვავებდა. სამაგიეროდ, საბჭოთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში თანდათანობით ვითარდებოდა შეხედულებები, რომ რუსეთთან შეერთების პერიოდისათვის კავკასიის მთიანეთში არსებობდა პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობა, ანუ მოუმწიფებელი ფეოდალური ურთიერთობა გვაროვნული წყობის მძლავრად შემორჩენილი გადმონაშთებით. როგორც ცალკეულ გამოკვლევებში, ისე სახელმძღვანელოს ტიპის შემაჯამებელ შრომებში დიდი ოჯახი მის პარალელურად არსებული ტრანსფორმირებული სოციალური ერთეულების (გვარი, პატრონიმია, ტერიტორიული თემი...) გვერდით განიხილებოდა ნახევრადპატრიარქალური-ნახევრადფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელ მოვლენად. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ მიმართულებით კვლევის საფუძველზე საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში განმტკიცდა შეხედულება, რომ შუა საუკუნეების მთის საზოგადოებები განვითარების ადრეფოდალურ საფეხურზე იმყოფებოდნენ.

ბოლოდროინდელ გამოკვლევებში, რომლებიც მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების ახლებურად გარკვევას მიეძღვნა, აკად. გ. მელიქიშვილმა სახელმძღვანელო დებულება შეიმუშავა კავკასიის მთიელთა სოციალურ-ეკონომიური წყობილების განსაზღვრაში[1]. მანამდე არსებულ შეხედულებათა კრიტიკული გადასინჯვის საფუძველზე მკვლევარმა შესაძლებლად ცნო „უარი ვთქვათ ტერმინ „ადრეფეოდალურის“ გამოყენებაზე დასავლეთევროპულისაგან განსხვავებული ფეოდალიზმის ტიპების მიმართ“. მისი აზრით, „ყოველ შემთხვევაში, „მთური ფეოდალიზმის“ მიმართ უფრო მისაღებია ისეთი

---

[1] Г. Меликишвили, К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ, ж. «История СССР», 1975, № 6; მ ი ს ი ვ ე, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის, „ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბ., 1976.

ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „წინაფეოდალური“, „პროტოფეოდალური“, „ნახევრად-ფეოდალური“, ვიდრე ტერმინისა „ადრეფეოდალური“[2]. კავკასიის მთის საზოგადოებათა ამგვარი კვალიფიკაცია მთლიანად აცლის საყრდენს მცდარ სქემატიზმზე დამყარებულ თვალსაზრისს ქართველ მთიელთა საზოგადოებრივ განვითარებაში ე. წ. ძველაღმოსავლური ტიპის ადრემონათმფლობელური წყობილების არსებობის შესახებ (ვ. ბარდაველიძე) და დღის წესრიგში აყენებს მთელი იმ შეხედულებების გადასინჯვას, რომელიც ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის სტრუქტურას შეეხება. გ. მელიქიშვილის გამოკვლევათა შუქზე უნიადაგო აღმოჩნდა არათუ თეზისი მთაში, და თანაც ხევსურეთში, ადრემონათმფლობელური სტადიის შესახებ, არამედ „სადავოა სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად საყოველთაოდ გაბატონებული მოსაზრება შუასაუკუნეების მთის საზოგადოებათა „ადრეფეოდალურობის“ შესახებ. ეს უცანასკნელი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს განასახიერებს და უფრო დინამიურ სიტუაციას გამოხატავს — განვითარებულ ფეოდალიზმში გადაზრდის ძლიერ ტენდენციას იმჩნევს. ასეთი რამ კი მთის ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი არ ჩანს. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, უმთავრესად განსაზღვრავს აქაურ საზოგადოებათა ბაზისის თავისებურება — ამ საზოგადოებების ეკონომიური ბაზის შეზღუდულობა, რაც ზედმეტი პროდუქტის წარმოებისა და ექსპლოატაციის გაღრმავების შესაძლებლობას არ იძლევა“[3].

გ. მელიქიშვილის ეს დებულება კიდევ უფრო ზრდის უძველესი სოციალური ინსტიტუტების, მათ შორის საოჯახო თემის ტრანსფორმირებულ სახეობათა შესწავლის მნიშვნელობას, აფართოებს მისი შემდგომი კვლევის პერსპექტივას და მეტ აქტუალობას ანიჭებს მისი ადგილის განსაზღვრას კავკასიის ხალხების საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურაში.

РЕЗЮМЕ

Сведения о семейном быте народов Кавказа восходят к древнейшим временам. Чем богаче культурное, историческое

---

[2] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის, 170.

[3] ი ქ ვ ე.

и литературное наследие народа, тем обильнее и разностороннее эти сведения. Интересные для изучения семейных отношений данные встречаются в исторической литературе, в юридических памятниках, художественных произведениях, этнографических и фольклорных материалах. Следует отметить, что древнейшие письменные источники содержат самые полные сведения именно о семейных и брачных отношениях. Подтверждением этого являются памятники древневосточного права, среди которых важнейшее место занимают семейные и брачные кодексы. Не менее интересными в этом отношении являются и памятники древнегрузинского и древнеармянского права, а также, другие письменные источники, содержащие важные сведения о семейном быте грузин, армян и некоторых других народов Кавказа.

В течение веков накоплялся огромный материал о структуре семьи, однако научное изучение семейных отношений, наряду с другими основными вопросами общественного быта, начинается лишь со второй половины XIX в., когда этнография оформилась в самостоятельную научную дисциплину. С этого же времени внимание исследователей привлекает и семейный быт кавказских народов. Большой интерес исследователей к изучению форм семьи на Кавказе был обусловлен длительно сохранившимся богатым фактическим материалом, который лег в основу многочисленных описаний и исследований. Этот материал превратился в достояние общей этнографии.

Вопреки так называемой «патриархальной теории», согласно которой человечество на протяжении своего существования знало якобы лишь моногамную семью и патриархальный строй, Ф. Энгельс в своем труде «Происхождение семьи, частной собственности и государства» обосновал, что до моногамной семьи существовала семейная община. Заслуживает внимания то обстоятельство, что при этом Ф. Энгельс обратил внимание на Кавказ, использовав в качестве одного из своих источников труды М. Ковалевского, написанные по материалам семейного быта кавказских народов. Данный факт свидетельствует о том, что кавказский этнографический материал сыграл важнейшую роль в исследовании проблемы форм семьи в свете общей этнографии.

Высказывание Ф. Энгельса основанное на соответствующей литературе о том, что во второй половине XIX в., т. е. на капиталистической стадии развития общественных отношений, «еще продолжает существовать... южнославянская задруга, как наилучший образец семейной общины, что «такие большие семейные общины продолжают существовать в

России», что «во Франции они сохранились в Ниверне вплоть до Французской революции под названием parçonneries, а во Франш-Конте они до настоящего времени еще не совсем исчезли»[1], стало методологической основой советской этнографии при научной разработке прочно утвердившегося положения, что сохранившаяся до XIX в. большая семья была пережитком ранней формы семейной общины.

Советская этнография развивает в этом направлении исследование семейного быта, актуальность которого постепенно растет в борьбе с буржуазной наукой, защищающей противоположную точку зрения. Естественно, в такой обстановке значительно повышается роль кавказского этнографического материала, как первостепенного источника, на основе использования которого сфера исследования социальных взаимоотношений от М. Ковалевского до настоящего времени обогатилась многими интересными трудами. Это, в первую очередь, касается изучения семейного быта, которое началось в первой половине XIX в. в основном сбором материала, во второй половине XIX в. появлялись и отдельные исследования, а в советской этнографии изучение этого вопроса приняло интенсивный характер. Из работ, опубликованных в советскую эпоху, особо следует выделить Фундаментальные труды М. Косвена[2], монографии Р. Харадзе[3], исследования Э. Карапетян[4] и многих других авторов. Вопросы семейных взаимоотношений кавказских народов были нами изучены в специальных трудах[5], в которых делает-

---

1 Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XXI, изд. II, М., 1961, 62—63.

2 М. Косвен, Этнография и история Кавказа, М., 1961; его же, Семейная община и патронимия, М., 1963.

3 Р. Харадзе, Пережитки большой семьи у сванов (на груз. яз., резюме на русск. и на франц. яз.), Тб., 1939; ее же, Грузинская семейная община, I, Тб., 1960, II, Тб., 1961.

4 Э. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958.

5 В. Итонишвили, Из истории семейных отношений грузин-горцев (на груз. яз.), Тб., 1960; его же, Пережитки семейной общины в горной Ингушетии (состав семьи), КЭС, II, Тб., 1968; его же, Семейный быт горцев Центрального Кавказа, I, Семейный быт нахов и осетин (на груз. яз., резюме на русск. яз.), Тб., 1969; его же, В. И. Ленин о семье (на груз. яз.), ж. «Мнатоби», 1970, № 9; его же. Семейны быт Мтиулети-Гудамакари (на груз. яз., резюме на русск. яз.), КЭС, III, Тб., 1971; его же, Семейный быт горцев Центрального Кавказа, Автореферат докт. дисс., Тб., 1971; его же, Пережитки семейной общины у грузин-горцев Ксанского ущелья, КЭС, IV, Тб., 1972; его же, Из жиз-

ся и попытка критической оценки использованной литературы. Для сравнительно полного воссоздания реальной картины мы сочли необходимым дать историографический обзор семейного быта народов Кавказа. В данном труде с этой точки зрения рассмотрен семейный быт почти всех народов Кавказа (армян, азербайджанцев, абхазов, адыгов, балкарцев, карачаевцев, осетин, вейнахов, дагестанских народов). В виду ограниченного объема труда, при рассмотрении историографии семейного быта грузинского народа мы заострили внимание лишь на заслугах известных грузинских ученых И. Джавахишвили, С. Джанашиа и Н. Бердзенишвили. Рассмотрение этнографического, исторического и юридического наследства о семейном быте грузинского народа отложено на будущее.

На основе рассмотрения историко-этнографической литературы, созданной в итоге изучения семейного быта народов Кавказа, которое дано в настоящем труде по отдельным народам и регионам Кавказа, стало ясным сосуществование социальных единиц, возникших как на классовой, так и доклассовой стадии развития общественных отношений. В данном случае дело касается сосуществования индивидуальной семьи и пережиточной формы семейных общин, из которых первая генетически связана с возникновением классового общества, а вторая — с существованием первобытнообщинного строя и стадией его разложения. Индивидуальная семья на различных ступенях классового общества постепенно достигает господствующего положения, а семейная община вместе с другими социальными институтами (род, патронимия, территориальная община) сохраняется в пережиточном виде, претерпевает трансформацию и в конце XIX в., в некоторых регионах более позднее, окончательно прекращает свое существование. По признанию почти всех авторов, длительность существования большой семьи была обусловлена уровнем социально-экономического развития страны. В этом

ни и быта горцев Картли (на груз. яз.), Тб., 1974; его же, Вопросы семейного быта народов Закавказья в советской этнографический науке (на груз. яз.), «Мацне» (серия истории...), 1975, № 1; его же, Экономические основы семьи у цова-тушин (на груз. яз.). «Юбилейный сборник посвященный 100-летию со дня рождения академика И. А. Джавахишвили», Тб., 1976; его же, Порядок раздела семьи и принцип распределения имущества у цова-тушин (на груз. яз.), «Юбилейный сборник, посвященный 80-летию со дня рождения академика Н. А. Бердзенишвили (Разыскания по истории Грузии и Кавказа)», Тб., 1976.

отношении имелось различие не только между странами Кавказа, но и внутри одной страны. Если Грузия и Армения по уровню социально-экономического развития стояли намного выше стран северокавказских народов, то в самой Грузии и Армении уровень социально-экономического развития между горным и равнинным районами был неодинаков. В соответствии с этим в горных районах Грузии и Армении, в отличие от равнины, более длительное время сохранились пережитки древнейших социальных институтов, в том числе и большие семьи. В отношении сохранения архаичных явлений такие же локальные особенности были характерны и для северокавказских этнографических регионов, что также было обусловлено уровнем социально-экономического развития каждого из них.

Специфику семейного быта определяли и идеологические факторы, в частности форма религии и масштабы ее распространения. Особенно явным в структуре семьи оказалось внедрение норм шариата в результате распространения мусульманства и замена на его основе некоторых традиционных характерных свойств или полное их отживание. В соответствии с этим, для семьи характерна в одном случае традиционные признаки, в другом — сосуществование традиции и усвоенных в дальнейшем элементов. Среди закавказских народов традиционный вид сохранили грузинская, абхазская и армянская большие семьи, а у населения Северного Кавказа эта особенность была больше всего характерна для осетинской большой семьи. Что касается влияния шариата в Закавказье, это четко отразилось в семейном быту азербайджанцев, а у народов Северного Кавказа особенно в семейном быту дагестанцев и чеченцев.

Изменения, возникшие под влиянием шариата, особенно ярко проявились в сфере управления семьей, владения семейным имуществом и взаимоотношении членов семьи. В сфере управления семьей усилилась единоличная власть главы семьи, во взаимоотношениях членов семьи еще более была ограничена свобода женщины, в сфере собственности ей было предоставлено право получения определенной доли имущества, возросли привилегии старшего мужчины семьи, как собственника семейного достатка. Подобные явления обусловливали формирование деспотичной семьи, внутри которой рост единоличной власти и частнособственнической тенденции были симптомами его разложения, способствовали обособлению и ускоряли их распад. Анализ литературы показывает, что деспотическая или отцовская семья, как назвал М. Косвенн этот тип семьи, формируется в Азербай-

джане, а элементы деспотизма более или менее характерны для семейного быта чеченцев, ингушей, народов Дагестана и Северо-Западного Кавказа. Но у народов Северного Кавказа, в том числе и среди тех, у которых мусульманство пустило глубокие корни (дагестанцев, чеченцев), не была создана типичная деспотичная семья. По данным специальной литературы у большинства народов Кавказа большая семья сохранила традиционные признаки семьи демократического типа (неразделенность нескольких поколений, солидарная форма правления, общесемейная собственность).

Авторы XIX в. часто проявляли тенденции архаизма и существование большой семьи в жизни горцев объясняли сохранением родового быта. Они не всегда старались увидеть то, что отличало родовой строй от его пережитков. В советской историко-этнографической литературе постепенно развивалась точка зрения, что на рубеже XVIII—XIX веков в горах Кавказа существовали патриархально-феодальные взаимоотношения, или незрелые феодальные отношения с сильно сохранившимися пережитками родового строя. В отдельных исследованиях и в обобщающих трудах большая семья, в месте с существующими параллельно с ней трансформированными социальными единицами (род, патронимия, территориальная община) рассматривалась, как явление, характерное для полупатриархально-полуфеодального строя. На основе изучения общественных отношений советская историческая наука пришла к выводу о том, что средневековые горские общества находились на раннефеодальной стадии развития.

При исследовании природы древнейших классовых обществ Ближнего Востока и Кавказа, акад. Г. Меликишвили выдвинул положение об определении социально-экономического строя кавказских горцев[6]. Критически пересмотрев существующие точки зрения, автор считает: «справедливым будет отказ от применения этого термина («раннефеодальный») в отношении отличных от западноевропейского типов феодализма. Во всяком случае, пишет Г. Меликишвили, в отношении «горского феодализма» нам кажется более приемлемым использованием терминов «дофеодальный», «прото-

---

6 Г. Меликишвили, К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ, ж .«История СССР», 1975, № 6; его же, К вопросу о характере древнейших классовых обществ Ближнего Востока и Кавказа (на груз. яз.), «Юбилейный сборник, посвященный 100-летию со дня рождения академика И. А. Джавахишвили», Тб., 1976.

феодальный», чем термина «раннефеодальный»[7]. Подобная квалификация кавказских горских обществ полностью исключает возможность существования т. н. раннерабовладельческого строя древневосточного типа в горных районах Восточной Грузии (В. Бардавелидзе) и считаем необходимым пересмотреть взгляды, касающиеся струкутры пантеона астральных божеств. В свете исследований Г. Меликишвили беспочвенным оказался не только тезис о раннерабовладельческой стадии в горных районах, тем более в Хевсурети, но и является спорным общепризнанное ныне в научной литературе мнение о «раннефеодальности» средневековых горских обществ. Эти последние, указывает автор, олицетворяют более высокую ступень развития и выражают более динамичную ситуацию — сильную тенденцию перероста в развитый феодализм. Незаметно, чтобы такое положение было бы характерным для горских раннеклассовых обществ. Это обстоятельство, конечно, определяется, главным образом, особенностью здешних обществ — ограниченностью их экономического базиса, препятствующего производству прибавочного продукта и углублению эксплуатации[8].

Это положение, высказанное Г. Меликишвили, еще больше поднимает значение изучения древнейших социальных институтов, в том числе трансформированных форм семейной общины, расширяет перспективы его дальнейшего исследования и придает актуальность определению его места в структуре общественных отношений народов Кавказа.

---

[7] Г. Меликишвили, К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ, 52.

[8] Г. Меликишвили, К вопросу о характере древнейших классовых обществ Ближнего Востока и Кавказа, 170.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებათა განმარტება

კეკ — კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული (თბილისი)
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
АЭС — Азербайджанский этнографический сборник
ВКБНИИ — Вестник Кабардино-Балкарского научно-исследовательского института
ВИ — Вопросы истории
ВЕ — Вестник Европы
ЗКОРГО — Записки Кавказского отдела Русского географического общества
ИВ — Исторический вестник
КСИЭ — Краткие сообщения Института этнографии Академии наук СССР
КЭС — Кавказский этнографический сборник (Москва, Тбилиси)
МИЭБГКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
СМИЭБГКЗК — Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края
СМОМПК — Сборник Материалов для описания местностей и племен Кавказа
ССКГ — Сборник сведения о кавказских горцах
СЭ — Советская этнография
ТИЭ — Труды Института этнографии Академии наук СССР
УЗАНИИЯЛИ — Ученые записки Адыгейского научно-исследовательского института языка, литературы и истории
УЗДФ АН СССР — Ученые записки Дагестанского филиала Академии наук СССР
ЭО — Этнографическое обозрение

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3
I. ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის საკითხები ქართველ ისტორიკოსთა შრომებში 8
II. სომხების, აზერბაიჯანელებისა და ამიერკავკასიის ზოგიერთი სხვა ხალხის საოჯახო ყოფის საკითხები საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში 53
1. საოჯახო თემის გადმონაშთები სომხეთში 59
2. საოჯახო თემის გადმონაშთები აზერბაიჯანში . . 68
III. აფხაზთა საოჯახო ყოფის საკითხები ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში 82
IV. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის საკითხები ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში 99
V. ოსთა საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები 137
VI. ვეინახების საოჯახო ყოფის კვლევის შედეგები 148
VII. დაღესტნის მოსახლეობის საოჯახო ყოფის საკითხები ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში 156
დასკვნა 187
რეზიუმე 190
შემოკლებათა განმარტება

СОДЕРЖАНИЕ

Введение 3
I. Вопросы семейного быта грузин в трудах грузинских историков 8
II. Вопросы семейного быта армян, азербайджанцев и некоторых других народов Закавказья в Советской этнографической науке 53
1. Пережитки семейной общины в Армении . . . 59
3. Пережитки семейной общины в Азербайджане . . 68
III. Вопросы семейного быта абхазов в этнографической литературе 82
IV. Вопросы семейного быта народов Северо-Западного Кавказа в этнографической литературе 99
V. Итоги исследования семейного быта осетин 137
VI. Итоги исследования семейного быта вейнахов 148
VII. Вопросы семейного быта народов Дагестана в этнографической литературе 156
Заключение 187
Резюме 190
Список сокращений

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 31.1.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.5.1976;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 12,50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.85;
უე 01078; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 317;
ფასი 1 მან. 50 კაპ.

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Валериан Джамбулович Итонишвили

СЕМЕЙНЫЙ БЫТ НАРОДОВ КАВКАЗА

Историографический очерк

(На грузинском языке)

ეროვნული
ბიბლიოთეკა